

# ადამიანის უფლებათა

---

ევროპული სასამართლოს

გადაწყვეტილებების

კრებული



Deutsche Stiftung Für  
Internationale Rechtliche  
Zusammenarbeit e.v.



**ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებების კრებული**

თბილისი 2010

*ISBN*

© საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი - 2010

© წიგნის გამოცემა მომზადდა “ციხის საერთაშორისო რეფორმის” (PRI) პროექტის “წამების პრევენცია საქართველოში” ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

© წიგნი დაიბეჭდა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით

მოცემული გამოცემის შინაარსზე ექსკლუზიური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს და “ციხის საერთაშორისო რეფორმას” (PRI). იგი არ გამოხატავს ევროკავშირის თვალსაზრისს

**CONSEIL  
DE L' EUROPE**



**COUNCIL  
OF EUROPE**

**COURE EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS**

**დიდი პალატა**

**რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ**

**CASE OF RAMIREZ SANCHEZ v. FRANCE**

**(განაცხადი № 59450/00)**

**გადაწყვეტილება**

**სტრასბურგი  
4 ივლისი, 2006**



## საქმეზე რამირუს სანჩუსი საზრანგეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დიდი პალატის სახით, შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა:

ლუზიუს ვილდჰაბერი, *პრეზიდენტი*,  
კრისტოს როზაკისი,  
ჟან-პოლ კოსტა,  
ნიკოლოს ბრანტა,  
ბოშტან მ. ზუპანჩიჩი,  
ვოლოდიმირ ბუტკევიჩი,  
იოზეფ კასადევალი,  
ჯონ ჰადიგანი,  
მარგარიტა ცაცა-ნიკოლოვსკა,  
კრისტაკ ტრიაი,  
ლეს გარლიჩი,  
ხავეერ ბორეგო ბორეგო,  
ელიზაბეტ ფურა-სანდსტრიომი,  
ალვინა გულუმიანი,  
რენატე იეგერი,  
დანუტ იოხიენე,  
დრაგოლიუბ პოპოვიჩი, *მოსამართლეები*, და  
ლორენს ერლი, *მთავარი რეგისტრატორი*,

იმსჯელა რა განმარტოებით, 2006 წლის 25 იანვარსა და 31 მაისს, 2006 წლის 31 მაისს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება.

### პროცედურა:

1. საქმეს №59450/00 საფუძველად დაედო განაცხადი საზრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 2000 წლის 20 ივლისს სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში “კონვენცია”) 34-ე მუხლის შესაბამისად ვენესუელის მოქალაქემ ბატონმა ილიჩ რამირუს სანჩუსმა (შემდგომში: “განმცხადებელი”) შეიტანა.
2. განმცხადებელი, კერძოდ, ამტკიცებდა, რომ ის სამართლო პატიმრობაში იმყოფებოდა, რითაც კონვენციის მე-3 მუხლი დაირღვა. იგი ასევე ჩიოდა, რომ მას აღნიშნული ღონისძიების გასაჩივრების სამართლებრივი საშუალება არ მიეცა.
3. განაცხადი სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად) გადაეცა. 2004 წლის 14 თებერვალს, სასამართლოს პირველი სექციის პალატამ, რომელშიც მოსამართლეები: კრისტოს როზაკისი, პეერ ლორენზენი, ჟან-პოლ კოსტა, ფრანსუაზ ტულკენსი, ნინა ვაჟიჩი, ეგილს ლევიტსი, სნეჟანა ბოტუჩაროვა და სექციის რეგისტრატორი სიორენ ნილსენი შედიოდნენ, საქმე წარმოებაში მიიღო.
4. 2005 წლის იანვარში, იმავე სექციის პალატამ, რომლის შემადგენლობაში მოსამართლეები: კრისტოს როზაკისი (თავმჯდომარე), ლუკის ლუკაიდესი, ჟან-პოლ კოსტა, ფრანსუაზ ტულკენსი, პეერ ლორენზენი, ნინა ვაჟიჩი, სნეჟანა ბოტუჩაროვა და სექციის

რეგისტრატორი სანტიაგო კესადა შედიოდნენ, გადაწყვეტილება მიიღო. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ, განმცხადებლის სამართლო საკანში პატიმრობასთან მიმართებაში, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ხოლო ერთსულოვნად იქნა მიღებული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის ეფექტური ზომის მიღების უფლება დაირღვა მოსამართლეების როზაკისის, ლუკაიდის და ტულკენის განსხვავებული მოსაზრება გადაწყვეტილებას თან ერთვის.

5. 2005 წლის 21 აპრილს, კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 73-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებელმა საქმის დიდ პალატაში გადაცემა მოითხოვა. 2005 წლის 6 ივნისს დიდი პალატის კომიტეტმა საქმის დიდ პალატაში გადაცემა გადაწყვიტა.

6. დიდი პალატის შემადგენლობა კონვენციის 27-ე მუხლის 2-ე და 3-ე პუნქტებისა და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად განისაზღვრა.

7. განმცხადებელმა (და არა სახელმწიფომ) საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებით (რეგლამენტი, მუხლი 59.1) მტკიცებულებები წარადგინა.

8. საქმის საჯარო განხილვა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა შენობაში 2006 წლის 25 იანვარს (რეგლამენტი, მუხლი 59.3) გაიმართა.

### **სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:**

ა) მთავრობის სახელით:

ქალბატონი ე. ბელიარი, სამართლებრივ საქმეთა დირექტორი, საგარეო საქმეთა სამინისტრო,

ქალბატონი ა. ფ. ტისიერი, ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსი, საგარეო საქმეთა სამინისტრო,

ქალბატონი კ. კუფლე, სამართლებრივ ქმედებათა და სასჯელაღსრულების სამართლის სამმართველო,

ბატონი პ. ობლიგი, დირექტორის მოადგილე, ციხის უსაფრთხოების სამსახური, იუსტიციის სამინისტრო;

ბ) განმცხადებლის სახელით:

ქალბატონი ი. კუტან პეირი, პარიზის ადვოკატურის წევრი,

ბატონი ფ. ვილემანი, პარიზის ადვოკატურის წევრი.

სასამართლომ ქალბატონ კუტან პეირის, ბატონ ვილემანისა და ქალბატონ ბელიარის მიმართვები მოისმინა.

### **შეჯამება**

#### **I. საქმის გარემოებები**

9. განმცხადებელი 1949 წელს დაიბადა და ამჟამად კლერვოს საპყრობილეში იმყოფება.

ა. განმცხადებლის სამართლო პატიმრობა

10. განმცხადებელი, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი პროფესიით რევოლუციონერია, 1994 წლის 15 აგვისტოს დააკავეს. მის წინააღმდეგ სასამართლო გამოძიება საფ-

რანგეთში მის მიერ ჩადენილი რამდენიმე ტერორისტული თავდასხმის ფაქტზე დაიწყო და 1997 წლის 25 დეკემბერს, 1975 წლის 27 ივნისს ჩადენილი პოლიციის ორი ოფიცრის მკვლელობის გამო, უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

11. იგი სამარტო პატიმრობაში დაკავების მომენტიდან – 1994 წლის აგვისტოს მეორე ნახევრიდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე - პარიზის ლა სანტეს ციხეში იმყოფებოდა.

12. მისი ადვოკატის განცხადებით, იგი მოათავსეს 6,84 კვ. მ. ფართის საკმაოდ ამორტიზებულ საკანში, რომელიც ღია ტუალეტისგან იზოლირებული არ იყო. განმცხადებელს სხვა პატიმრებთან და მსჯავრდებულებთან ურთიერთობა ეკრძალებოდა, საკნიდან გასვლის უფლებას მხოლოდ მას შემდეგ აძლევდნენ, რაც დანარჩენი პატიმრები თავიანთ საკნებს უბრუნდებოდნენ.

საკნის გარეთ მას მხოლოდ ორსაათიანი სეირნობის უფლება ჰქონდა: სამკუთხა ეზოში, 15 მეტრის სიგრძისა და 7.5 მეტრის სიგანის ტერიტორიაზე, რომლის დაქანებაც 1 მეტრს შეადგენდა. ეს ფართი ჭერის მხრიდანაც კი მავთულის ღობით იყო შემოკავებული. მისი გართობისა და დასვენების ერთადერთი ფორმა გაზეთების კითხვა და ტელევიზორის ყურება დაქირავებულ ტელევიზორში იყო. მასთან ვიზიტის უფლება მხოლოდ მის ადვოკატსა და, თვეში ერთხელ, მღვდელს ჰქონდათ.

ციხის ადმინისტრაცია უგულვებელყოფდა მის თხოვნას, რომ მასთან პაემნის უფლება სხვა პირებისთვისაც დაერთოთ. განმცხადებელისთვის განკუთვნილი წერილი დაიკარგა და მისი კონფისკაცია ოფიციალურად არ მომხდარა, და მან, აგრეთვე, ზამთრის ტანსაცმელი ვერ მიიღო, რომელიც მისთვის ციხეში 1999 წლის ოქტომბრიდან 2000 წლის 16 თებერვლამდე მიჰქონდათ.

13. მთავრობის წარმომადგენლებმა ზემომოტანილ ფაქტებთან დაკავშირებით არ იკამათეს. მათ განაცხადეს, რომ საკანი როგორც ბუნებრივი განათებით, ისე ჭერის ნათურითა და ღამის სანათით ნათდებოდა. განცხადებით პატიმართან ვიზიტის თაობაზე განმცხადებლის ოჯახის არცერთ წევრს არასოდეს მიუმართავს. პაემანთან დაკავშირებით უარი მხოლოდ ორი მიმართვაზე განუცხადეს და ორივე თხოვნა ჟურნალისტებისგან იყო.

14. საქმეში არსებული დოკუმენტები მიუთითებდნენ, რომ განმცხადებელს მისი ციხეში ყოფნის დროს სხვადასხვა ადვოკატთან 58 შეხვედრა ჰქონია. . ამჟამად, მისი წარმომადგენელი, რომელიც ისლამის სჯულის მიხედვით მისი მეუღლეა, მას 1997 წლის 27 ივნისიდან 2002 წლის 29 აპრილამდე პერიოდში 640-ჯერ შეხვდა.

15. მხარეებმა მთელი რიგი გადაწყვეტილებები მიიღეს, რომლებიც მოითხოვდა, რომ განმცხადებელი მომდევნო სამი თვის მანძილზე სამარტო პატიმრობაში ყოფილიყო.

16. პირველი გადაწყვეტილება 1994 წლის 15 აგვისტოს იქნა მიღებული, განმცხადებლის დაპატიმრებისთანავე. გადაწყვეტილება წარმოადგენს ფორმას, რომელშიც შემდეგი უჯრები იყო მონიშნული: “საჭიროებს ურთიერთობის თავიდან აცილებას ერთ ან მეტ პატიმართან” და “ძირს უთხრის წესრიგსა და დისციპლინას ციხეში”. განმცხადებელს აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი შენიშვნა არ გამოუთქვამს. იმავე დღეს ექიმმა სამედიცინო დასკვნა გასცა, რომელშიც წერია:

“[განმცხადებლის] ჯანმრთელობის მდგომარეობა სამარტო პატიმრობას შეესაბამება. ამასთანავე, თუ შესაძლებელია, იგი რვა დღიან სრულ დასვენებას საჭიროებს”.

17. 1994 წლის 3 ნოემბერით დათარიღებული გადაწყვეტილება, განმცხადებლისათვის 1994 წლის 15 ნოემბრიდან 1995 წლის 15 თებერვლამდე სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე, სასჯელადსრულების სამსახურის რეგიონული დირექტორის ოფისის მიერ დამტკიცდა. გადაწყვეტილებას იგივე საფუძველი დაედო, თუმცა განმცხადებელმა შემდეგი შენიშვნა გააკეთა:

“შიმაჩნია, რომ სამართლო პატიმრობის აღნიშნული ზომები, განსაკუთრებით კი სიმშვიდის დარღვევა დამის საათებში, მიუთითებს სურვილზე, რომ პოლიტიკური პატიმარი გამოვიტონ”.

იმავე დღეს გაცემულ სამედიცინო დასკვნაში ექიმი წერს:

“ვამოწმებ, რომ [განმცხადებლის] ჯანმრთელობის მდგომარეობა სამართლო პატიმრობის გაგრძელებას შეესაბამება”.

18. 1995 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც გამოყენებულ იქნა 1995 წლის 15 თებერვლიდან 15 მაისამდე, იგივე დასაბუთებას ეფუძნებოდა და რეგიონული დირექტორის ოფისის მიერ დამტკიცდა. განმცხადებელმა გადაწყვეტილების გაცნობის აქტის ხელმოწერაზე უარი განაცხადა. იმავე დღეს გაცემულ სამედიცინო დასკვნაში, ექიმი წერს:

“ვამოწმებ, რომ [განმცხადებლის] ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება სამართლო პატიმრობის გაგრძელებას, რომელიც ადმინისტრაციული სასჯელის სახით მიესაჯა”.

19. რეგიონული დირექტორის ოფისის მიერ დამტკიცებული 1995 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, რომელიც 1995 წლის 15 მაისიდან 15 აგვისტომდე მოქმედებდა, მიუთითებს: “[პატიმარი] საჭიროებს კომუნიკაციის არქონას ერთ ან რამდენიმე პატიმართან” და “უსაფრთხოების ზომებზე”. განმცხადებელი იმავე დღეს ფრესნეს ციხეში გადაიყვანეს.

20. 1995 წლის 26 ივლისით დათარიღებულ დასკვნაში, სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ, აღნიშნულია: “საჭიროებს სხვა პატიმრებისგან ურთიერთობების თავიდან აცილებას”.

1995 წლის 27 ივლისს ფრესნეს დაწესებულების ექიმის მიერ გაცემულ დასკვნაში მითითებულია: “ჯანმრთელობის მდგომარეობა სამართლო პატიმრობის გაგრძელებასთან შესაბამისობაშია”.

21. 1995 წლის 11 აგვისტოს აღნიშნული ღონისძიება, დაწყებული 1995 წლის 15 აგვისტოდან, სამი თვით გაგრძელდა.

22. 1995 წლის 10 ნოემბერს ფრესნეს დაწესებულების ექიმის მიერ გაცემულ სამედიცინო დასკვნაში მითითებულია, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სამართლო პატიმრობას შეესაბამება.

იმავე დღით დათარიღებულ გადაწყვეტილებაში, აღნიშნული ღონისძიების გაგრძელების თაობაზე, აღნიშნულია, რომ განმცხადებელი “დაწესებულებაში წესრიგს და დისციპლინას არღვევს”.

23. 1995 წლის 20 ნოემბერს, დაწყებული 1995 წლის 15 ნოემბრიდან, იგივე ღონისძიება მომდევნო სამი თვით გაგრძელდა.

24. 1996 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, სამარტო პატიმრობის გაგრძელების შესახებ, “სხვა პატიმრებთან კომუნიკაციის თავიდან აცილების საჭიროებაზე” მიუთითებს.

1995 წლის 25 იანვრით დათარიღებული, ფრენეს დაწესებულების ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო დასკვნა მიუთითებს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო.

25. 1996 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე, 1996 წლის 4 მარტიდან აღნიშნული ღონისძიება სამი თვის ვადით გაგრძელდა.

26. 1996 წლის 19 აპრილს ფრენეს დაწესებულების ექიმმა სამედიცინო დასკვნა გასცა იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამარტო პატიმრობას შეესაბამებოდა.

1996 წლის 7 მაისს, დაწესებული 1996 წლის 15 მაისიდან, იგივე ღონისძიება სამი თვის ვადით გაგრძელდა. 1996 წლის 17 აპრილით დათარიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ “პრევენციული და უსაფრთხოების ზომები საჭიროა ერთ-ერთი მოყვანილი მიზეზის გამო: საჭიროებს კომუნიკაციის არიდებას რომელიმე პატიმართან”.

27. სინამდვილეს არ შეფერება განმცხადებლის მტკიცება, რომ, 1996 წლის 31 ოქტომბრამდე, მისთვის არ უცნობებიან ღონისძიების შეფარდების შესახებ 1996 წლის 15 მაისიდან 15 აგვისტომდე პერიოდში. მან შემდეგი სახის შენიშვნა გააკეთა:

“არ მიმაჩნია სამართლიანად, რომ ხელმოწერა ხუთი თვის შემდეგ დასვა”.

28. 1996 წლის 15 ივლისს განმცხადებელს ეცნობა, რომ სამარტო პატიმრობა შეეფარდა და გააცნეს საფუძველი: “საჭიროებს კომუნიკაციის არიდებას სხვა პატიმრებთან” და “საერთაშორისო ტერორიზმი”.

29. 1996 წლის 22 ოქტომბერს ფრენეს დაწესებულების ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამარტო პატიმრობას შეესაბამებოდა.

30. 1996 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სამარტო პატიმრობის გაგრძელების შესახებ, რომელიც 1996 წლის 15 ნოემბრიდან 1997 წლის 15 თებერვლამდე მოქმედებდა, “სხვა პატიმრებთან კომუნიკაციის თავიდან აცილების საჭიროებაზე” მიუთითებს. განმცხადებელმა შემდეგი შენიშვნა გააკეთა:

“აღვნიშნავ, რომ ბატონმა ..., დაწესებულების დირექტორმა უკვე პასუხი გასცა ჩემს შენიშვნებს, რომელიც მე გადავეცი 1996 წ. 7 ნოემბერს დაწესებულების სასჯელის აღსრულების კომისიას. შესაბამისად, მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ შენიშვნები ვაკეთო, ზედმეტად მიმაჩნია. ამ შეთხვევაშიც კი, ჩემი სამარტო პატიმრობა წამების ერთ-ერთი ფორმაა.”

გადაწყვეტილება სამარტო პატიმრობის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასჯელასრულების სამსახურის თამჯდომარის მიერ 1996 წლის 14 ნოემბერს დამტკიცდა.

31. 1997 წლის 17 იანვარს პარიზის რეგიონული ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ექიმი სამედიცინო დასკვნაში წერს, რომ მან განმცხადებელი შეამოწმა და ასკვნის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სამარტო პატიმრობას შეესაბამება.

32. 1997 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება მიუთითებს იმის “აუცილებლობაზე, რომ [განმცხადებელი] დაცული იყოს დაწესებულების სხვა პატიმრებისგან” და

რომ “საჭიროებს კომუნიკაციის არიდებას სხვა პატიმრებისგან”. განმცხადებელმა შემდეგი შენიშვნა დაურთო:

“მინდა აღვნიშნო, რომ მე ამ მზარდი ძალადობის ქვეშ ვიმყოფები და განცალკევებული ვარ, როგორც პოლიტიკური პატიმარი. უარს ვაცხადებ იმ მიზეზებზე, რის გამოც სამართლო პატიმრობაში ვიმყოფები”.

33. 1997 წლის 23 აპრილის სამედიცინო დასკვნაში, პარიზის რეგიონული ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ექიმი ამოწმებს, რომ სამართლო პატიმრობა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

34. 1997 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე, შემდეგი მიზეზებით იქნა დასაბუთებული:

“სიფრთხილისა და უსაფრთხოების ზომები გამომდინარეობს შემდეგი მიზეზებიდან:

- საჭიროებს პირადი უსაფრთხოების დაცვას დაწესებულების სხვა პატიმრებისგან;
- საჭიროებს კომუნიკაციის არიდებას სხვა პატიმრებისგან”.

განმცხადებელმა დაურთო შემდეგი კომენტარი:

“მე არავის შევუძლოვარ, ავუწონივარ, არც გაუზომავთ სისხლის წნევა, და სხვა ... მინდა შევნიშნო, რომ კითხვარის ქვედა ნაწილი უკვე შევსებული იყო. ასე რომ, ეს უკვე დაცინვა და ფარსია. ვითხოვ, სრული სამედიცინო შემოწმება ჩამიტარდეს”.

35. 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება დამატებით ეყრდნობა “დაწესებულებაში წესრიგისა და დისციპლინის მოშლის მცდელობას” და “ტერორიზმის აქტებთან დაკავშირებულ პოტენციურ საფრთხეებს”. განმცხადებელმა შემდეგი შენიშვნები დაურთო:

“სამედიცინო შემოწმების შემდეგ, არ მიმიღია სამედიცინო დასკვნა და თქვენ იყენებთ ყალბ დოკუმენტებს, რომლის ჩვენებასაც კი ვერ ბედავთ. მოვითხოვ სასწრაფო შეხვედრას დაწესებულების დირექტორთან”.

36. 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება კვლავ იმეორებს ფრაზას: “საჭიროა კომუნიკაციის არ ქონა სხვა პატიმრებთან”.

37. 1997 წლის 14 ოქტომბერს ფრესნეს დაწესებულების ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამართლო პატიმრობისთვის დამაკმაყოფილებელია.

1997 წლის 21 ოქტომბრისა და 1998 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებები 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებას იმეორებენ. 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერისას, განმცხადებელმა აღნიშნა:

“ხელს ვაწერ პროტესტის ნიშნად იმისა, რომ, ამ უსამართლო და რეპრესიული გადაწყვეტილებით, საფრანგეთის მთავრობას მძევლად ჰყავს პოლიტიკური პატიმარი”.

38. 1998 წლის 23 იანვარს ფრესნეს დაწესებულების ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა იმის თაობაზე, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამართლო პატიმრობისთვის დამაკმაყოფილებელია.

39. მას მოჰყვა 1998 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებულია, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამართლო პატიმრობას შეესაბამება და 1998 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, რომ სამართლო პატიმრობა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად არ აისახება. იგივე წერია 1998 წლის 21 ოქტომბრით დათარიღებულ დასკვნაში.

40. 1998 წლის 22 აპრილის, 23 ივლისისა და 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ “უსაფრთხოებისა და პრევენციული ზომები საჭიროა პატიმრის ხასიათიდან და პირად საქმეში არსებული ჩანაწერებიდან გამომდინარე”.

განმცხადებელმა 1998 წლის 22 აპრილის დასკვნაზე შემდეგი კომენტარი გააკეთა:

“მე ვადასტურებ ამ შეტყობინების გაცნობას, მაგრამ ვაპროტესტებ ჩემ მიმართ უმსგავსი პოლიტიკური რეპრესიის ამ გაუმართლებელი ღონისძიების გამოყენების გაგრძელებას. გთხოვთ, მომაწოდოთ ასლი”.

1998 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე კი შენიშნა:

“დოკუმენტზე არალოიალური დირექტორის მოადგილის, ბატონ გ-ს ხელმოწერა მოწმობს იმ რეპრესიული ღონისძიების უსამართლობას, რომელიც დაწესებულების სამსახურმა მე, როგორც პოლიტიკურ პატიმარს, შემიფარდა”.

41. 1998 წლის 19 ოქტომბრით დათარიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ “უსაფრთხოებისა და პრევენციული ზომები საჭიროა პატიმრის ხასიათიდან და პირად საქმეში არსებული ჩანაწერებიდან გამომდინარე”.

42. 1999 წლის 15 იანვარს ლა სანტეს ციხის ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც წერია:

“განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამართლო პატიმრობის განსახორციელებლად დამაკმაყოფილებელია და იგი ფსიქიატრიულ მკურნალობას საჭიროებს”.

1999 წლის 14 იანვრითა და 8 აპრილით დათარიღებულ გადაწყვეტილებებში მითითებულია:

“პატიმარი უნდა დარჩეს ადმინისტრაციულ სამართლო პატიმრობაში წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, რაც ეფუძნება მის ხასიათს, პირადი საქმის ჩანაწერებსა და მისი სასამართლო საქმის არსს”.

43. იუსტიციის სამინისტროს 1999 წლის 20 იანვრისა და 20 აპრილის გადაწყვეტილებებში მითითებულია:

“პატიმარი, რომელიც არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი და, შესაბამისად, საშიში, მისი ხასიათიდან და სასჯელის ვადიდან გამომდინარე, საჭიროებს სამართლო პატიმრობის გაგრძელებას, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.”

44. 1999 წლის 9 აპრილს ლა სანტეს ციხის მთავარმა ექიმმა სამედიცინო დასკვნა გასცა, რომელშიც წერია:

“1998 წლის დეკემბრის ცირკულარი სამართლო პატიმრობის შესახებ მითითებს, რომ ექიმის დასკვნა მხოლოდ სამართლო პატიმრობის ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ საჭიროებს განახლებას. ამიტომ საჭირო არ არის, რომ სამართლო ვადის გაგრძელების გადაწყვეტილებას სამედიცინო დასკვნა დაეუროთ”.

45. 1999 წლის 23 აპრილს დაწესებულების სხვა ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა იმის თაობაზე, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სამარტო პაციენტობაში გაგრძელებასთან სრულ შესაბამისობაშია.

46. 1999 წლის 20 ივლისით დათარიღებული სამედიცინო დასკვნა ადასტურებს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობა მისი სამარტო პაციენტობაში დარჩენით არ შეირყევა.

47. 1999 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებაში შემდეგი მიზეზებია მითითებული:

“თქვენი პიროვნებისა და სასჯელის სიმძიმის კლასიფიკაციის გათვალისწინებით და, აგრეთვე, თქვენი რწმენისა და სასამართლოში მიმდინარე საქმიდან გამომდინარე, თქვენ მომდევნო სამი თვის განმავლობაში სამარტო პაციენტობაში რჩებით – წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მოტივებიდან გამომდინარე”.

48. 1999 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 15 ნოემბერს, წერია:

“აუცილებელია სამარტო პაციენტობის გაგრძელება კიდევ სამი თვით, რათა დაცულ იქნეს წესრიგი და უსაფრთხოება დაწესებულებაში თქვენი საშიშროებიდან, ასევე, იმ უნარიდან გამომდინარე, რომ ზეგავლენა მოახდინოთ სხვა პაციენტებზე და გაქცევის მოწყობის საფრთხიდან გამომდინარე”.

განმცხადებელმა შემდეგი კომენტარები დაურთო:

“მინდა შევნიშნო, რომ ეს სამარტო მასკარადი, რომელიც სიონისტმა მილიტარისტმა ელისაბეტ გიგუმ მოაწყო, რომელიც საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს მართავს იმპერიალისტური ძალების სახელით და ცდილობენ საფრანგეთი დაიყვანონ აშშ-ს ვასალურ ქვეყნად, გრძელდება. ეშმაკსა დალახვროს ადამიანის უფლებები და კანონიც. ალლუჰა აყბარ”.

49. 2000 წლის 1 თებერვალს ხელისუფლება დაეყრდნო

“წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნებს, თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.”

50. 2000 წლის 27 აპრილის, 20 ივლისისა და 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებები 1999 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებების იდენტურად არის ფორმულირებული, გარდა დამატებითი წინადადებისა: “გეძლევათ დახმარების შესაძლებლობა გარედან”.

51. 2000 წლის 13 ივლისს ლა სანტეს ციხის მთავარმა ექიმმა გასცა შემდეგი სამედიცინო დასკვნა:

“მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ... ვადასტურებ, რომ [განმცხადებელი] იმყოფება ჯანსაღ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაში 6 წლის სამარტო პაციენტობის შემდეგ.

ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ გამართლებულად არ მიმაჩნია პაციენტის ექიმისგან ჯანმრთელობის დასკვნის გამოთხოვნა, რომელიც შეიძლება საექსპერტო დასკვნად იქნეს გამოყენებული. ექიმისათვის რთულია სამარტო პაციენტობის მისჯა ადმინისტრაციულ და არა სამედიცინო საფუძველზე.”

52. 2000 წლის 3 ოქტომბერს სხვა ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც წერია:

“მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ... ვადასტურებ, რომ დღეს შევამოწმე [განმცხადებელი].

არანაირი კლინიკური შემოწმება არ განხორციელებულა. ამისდა მიუხედავად, მისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შემიძლია შევადგინო სამედიცინო დასკვნა იმის თაობაზე, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაფერისი არის თუ არა სამარტოო პატიმრობის გაგრძელებასთან”.

53. 2001 წლის 5 და 23 იანვარს იუსტიციის სამინისტრომ ფლერი-მეროვისა და ლა სანტეს ციხეების დირექტორების 2000 წლის 30 დეკემბრითა და 2001 წლის 22 იანვრით დათარიღებული გადაწყვეტილებები დაამტკიცა: განმცხადებლის სამარტოო პატიმრობა ავტომატურად გაგრძელდეს წინა გადაწყვეტილების ვადის გასვლისა და მეორე დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგაც.

54. 2001 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაში შემდეგი მიზეზებია მოყვანილი:

“შხედველობაში იქნა მიღებული თქვენი პიროვნება, თქვენი კლასიფიცირება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენად, განაჩენის ხანგრძლივობა [უვადო თავისუფლების აღკვეთა], ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და თქვენი მონაწილეობა საერთაშორისო ტერორისტულ ქსელში. ყველა ზემოხაზოვლილი საშიშროების ობიექტური ინდიკატორები გვაძლევენ იმის საფუძველს, რომ თქვენ, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, სამარტოო პატიმრობაში მოგათავსოთ.”.

55. 2001 წლის 20 მარტს ლა სანტეს ექიმმა დაამოწმა, რომ მან განმცხადებელი მოინახულა, მაგრამ მისი სამედიცინო შემოწმების საშუალება არ მიეცა. მან დაამატა:

“ამისდა მიუხედავად, მისი ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მე არ შემიძლია გავცე სამედიცინო დასკვნა, შეიძლება თუ არა მისი დატოვება სამარტოო პატიმრობაში”.

2001 წლის 28 მარტს განმცხადებელმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

“მე კიდევ ერთხელ შემივსეს ფორმა, რომელიც უკვე მომზადებული იყო 19 მარტს... მე ვგმობ “თეთრ წამებას” განუწყვეტელი სამარტოო პატიმრობის ფორმით, რომელიც 2000 წლის 28 დეკემბრის სერიოზული პროვოკაციის შედეგად კიდევ უფრო დამძიმდა კარზე არსებული სარკმლის დახურვით, რომელიც ახლა მხოლოდ ოცდაათგრადუსიანი კუთხით იღება (7.5 სმ) და სუფთა ჰაერის შემოსვლას ხელს უშლის. და ეს ყველაფერი ვიზიტებისა და ფრანგული ენის გაკვეთილების აკრძალვას ემატება თქვენ ჰუმანურობის წინააღმდეგ დანაშაულს ჩადინართ”.

56. 2001 წლის 28 მარტს კოშანის სავადმყოფოს ექიმმა, რომელიც ლა სანტეს დაწესებულებაში პრაქტიკაზე იყო, სამედიცინო დასკვნაში ჩაწერა:

“მე, ქვემოთ ხელისმომწერი ... ვადასტურებ, რომ პარიზის ლა სანტეს დაწესებულების ექიმები კომპეტენტური არ არიან, რათა დაასკვნან, შეესაბამება თუ არა სამარტოო პატიმრობის გაგრძელებას ამჟამად ლა სანტეს დაწესებულებაში მყოფ პატიმარ ილიჩ რამირეს სანჩესის ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობა”.

57. 2001 წლის 22 აპრილს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სამარტოო პატიმრობის გაგრძელების შესახებ:

“რათა დაცულ იქნას დაწესებულებაში წესრიგი და უსაფრთხოება თქვენი საშიშროებიდან და იმ უნარიდან გამომდინარე, რომ ზეგავლენა მოახდინოთ სხვა პატიმრებზე, ასევე – გაქცევის მოწყობის საფრთხიდან გამომდინარე”.

იგივე მიზეზები იყო მოტანილი სამარტო პატიმრობის გაგრძელების შესახებ 2001 წლის 18 ივნისისა და სექტემბრის გადაწყვეტილებებში.

58. 2001 წლის 23 მაისს ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმმა ლა სანტეს დაწესებულების დირექტორს შემდეგი მისწერა:

“შევხვდი ბატონ ილიჩ რამირეს სანჩესს მე მკითხეს, ხომ არ იყო ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შეუსაბამო პაციენტის სამარტო პატიმრობა.

იმისდა მიუხედავად, რომ ბ-ნი რამირეს სანჩესი კარგ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფება, მკაცრმა სამარტო პატიმრობამ, ექვს წლისა და ცხრა თვის მანძილზე, საბოლოოდ ფსიქოლოგიური აშლილობა უნდა გამოიწვიოს.

ჩემი, როგორც ექიმის მოვალეობაა, შეგატყობინოთ ამ პოტენციური შედეგების შესახებ, რათა თქვენ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა გქონდეთ”.

59. 2001 წლის 20 ივნისს ექიმმა, რომელმაც გასცა 2001 წლის 20 მარტის სამედიცინო დასკვნა, მეორე სამედიცინო დასკვნა გასცა, რომელშიც იგივე პირობებია მოყვანილი.

60. გადაწყვეტილებაში, რომელიც ძალაში შედიოდა 2001 წლის 22 ივლისიდან, შემდეგი მიზეზებია მოტანილი:

“რათა დაცულ იქნას დაწესებულებაში წესრიგი და უსაფრთხოება თქვენი საშიშროებიდან დ იმ უნარიდან გამომდინარე, რომ ზეგავლენა მოახდინოთ, ასევე გაქცევის მოწყობის საფრთხიდან გამომდინარე”.

61. 2001 წლის 20 სექტემბერს განმცხადებლის შემოწმების შემდეგ ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა “სამარტო პატიმრობის გაგრძელების შესაბამისობასთან დაკავშირებით”:

“ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა სრულიად მიზანშეწონილია შვიდი წლის სამარტო პატიმრობასთან”,

თუმცა აქვე დაუმატა:

“ეს თვალსაზრისი არ წარმოადგენს ექსპერტის დასკვნას, რადგან მე სათანადო კვალიფიკაცია არ გამაჩნია.”

62. 2001 წლის 4 ოქტომბერს შემდეგი საფუძველი სამარტო პატიმრობის დასასაბუთებლად იყო მოტანილი:

“აუცილებელია სამარტო პატიმრობის გაგრძელება დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე და რათა თავიდან იქნეს აცილებული თქვენი ზეგავლენა პატიმრებზე, და/ან გაქცევის მცდელობა”.

განმცხადებელმა, კერძოდ, შენიშნა:

“შეიდ წელზე მეტი ხნის სამარტო პატიმრობის შემდეგ, ვიზიტებისა და ფრანგული ენის გაკვეთილების აკრძალვისა და საკანში სუფთა ჰაერის რაოდენობის შემცირების შემდეგ, საიდანაც ძველი ხის სასკოლო მერხიც კი იქნა გატანილი: ყველაფერი ეს მოწმობს იმ რეპრესიული ზომების უსამართლობას, რაც გაუტყუბელი რევოლუციური პოლიტიკური ლიდერის წინააღმდეგ მიიღეს.”

63. 2001 წლის 20 დეკემბერს ღონისძიება მომდევნო სამი თვით განახლდა:

“მხედველობაში მიღებულ იქნა თქვენი პიროვნება, სასჯელის ხანგრძლივობა, დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი და თქვენი მონაწილეობა საერთაშორისო ტერორისტულ ქსელში. საშიშროების ყველა ეს ობიექტური ნიშანი, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თქვენთვის სამართლო პატიმრობის გაგრძელებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.”

64. 2002 წლის 10 იანვრის, 25 მარტისა და 8 ივლისის გადაწყვეტილებებში მითითებულია:

“აუცილებელია თქვენი დატოვება სამართლო პატიმრობაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული თქვენი ზეგავლენა სხვა პატიმრებზე და გაქცევის მოწყობის მცდელობა. ის გარემოება, რომ თქვენ მოგესაჯათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, თქვენი კლასიფიცირება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ მსჯავრდებულად და თქვენ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია, არ მოგესაჯოთ სამართლო პატიმრობა.”

65. 2002 წლის 13 ივნისს ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმის თანაშემწემ გასცა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც ჩაწერა:

“მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ექიმი ... ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმის თანაშემწე ლა სანტეს დაწესებულებაში, ვადასტურებ, რომ სამართლო პატიმრობაში დატოვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, შევამოწმე ბ-ნი რამირეს სანჩესი, დაბადებული 1949 წლის 12 ოქტომბერს, მისივე მოთხოვნის საფუძველზე.

სამედიცინო თვალსაზრისით, წლების მანძილზე ხანგრძლივი სამართლო პატიმრობის პრობლემა ის არის, რომ მან მსჯავრდებულის ფსიქიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს”.

66. 2002 წლის 29 ივლისს ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმმა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შემდეგი დასკვნა მისწერა:

“პაციენტი, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, იმყოფება იზოლაციაში, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ყოველკვირეულად ორ სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას გადის ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმებისგან.

ამჟამად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბრწყინვალეა. ჩემი კვალიფიკაცია საშუალებას არ მაძლევს, მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ კვალიფიციური დასკვნა დავწერო.

ასევე, ბ-ნ რამირეს გომესს შეუძლია, სავალდებულო სამედიცინო ვიზიტების გარდა, დამატებითი კონსულტაციისათვის ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმებს მიმართოს.

ამის საფუძველზე მან შეძლო, კონსულტაციისათვის ოფთალმოლოგისათვის მიემართა ... და სათვალეები გამოუწერეს.

რამდენჯერმე, სავალდებულო ვიზიტებისგან დამოუკიდებლად, ექიმებს მკურნალობისთვის მიმართა ...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა რამირეს სანჩესმა რეგიონული სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურის ფსიქოლოგის დახმარებაზე უარი განაცხადა”.

67. 2002 წლის სექტემბერში მომდევნო გადაწყვეტილება სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე მიღებულ იქნა “წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რაც სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას საერთაშორისო ტერორისტულ ქსელში განმცხადებლის მონაწილეობის გამო, მისი საშიშროებიდან და გაქცევის მოწყობის რისკებიდან გამომდინარე.”

68. 2002 წლის 17 ოქტომბერს განმცხადებელი გადაყვანილ იქნა სენტ-მორის დაწესებულებაში (ინდრეს დეპარტამენტი), სადაც მისი სამართლო პატიმრობა დასრულდა. 2003 წლის 13 მაისს მან სასამართლოში განცხადება შეიტანა: იგი ახალი პირობების – კერძოდ, პარიზიდან დაშორების – გამო ჩიოდა.

69. 2003 წლის ივნისში გამოიცა წიგნი “რევოლუციური ისლამი”, რომელიც განმცხადებელმა ჟურნალისტის დახმარებით დაწერა.

70. 2003 წლის 27 აგვისტოს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წერილის პასუხად, ინდრეს ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორმა დაწერა:

“ბ-ნი რამირეს სანჩესს სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში შემოსვლის-თანავე – 2002 წლის 17 ოქტომბერს – ჩაუტარდა .

იგი სამართლო პატიმრობაში არ მოუთავსებიათ სენტ-მორის დაწესებულებაში. რაც შეეხება მისი ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, იგი სავალდებულო სამედიცინო მომსახურებასა და კონსულტაციებს ღებულობს ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის ექიმებისგან, მისი მოთხოვნის შესაბამისად.

რაც შეეხება მის ფსიქიკურ მდგომარეობას, იგი რეგიონული ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ფსიქიატრმა სტანდარტული პროცედურის შესაბამისად შეამოწმა. მას შემდეგ დამატებითი გამოკვლევები არ დაუნიშნაოთ და ფსიქიატრის დახმარება არც პაციენტს მოუთხოვია. მას 2003 წლის 26 აგვისტოს შემოწმება ჩაუტარდა. რეკომენდაცია, დამატებითი შემოწმების თაობაზე, რეგიონული ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს არც ამის შემდეგ მიუცია”.

71. 2004 წლის 18 მარტს განმცხადებელი ფრესნეს დაწესებულებაში, პარიზის გარეუბანში გადაიყვანეს, სადაც იგი კვლავ სამართლო პატიმრობაში მოათავსეს. ამას ჟურნალისტთან მისი სატელეფონო ინტერვიუ მოჰყვა, რომელიც სატელევიზიო არხით გადაიცა. ინტერვიუში განმცხადებელმა უარი განაცხადა, სინანული გამოეხატა მის მსხვერპლთა მიმართ იმ მიზეზით, რომ ისინი “არ იყვნენ უდანაშაულო მსხვერპლნი”.

72. 2004 წლის 6 აგვისტოს ფრესნეს დაწესებულების ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც წერია:

“მე, ქვემოთ ხელის მომწერი ... ვადასტურებ, რომ სამართლო პატიმრობის გაგრძელება ბ-ნ ილიჩ რამირეს სანჩესისათვის, დაბადებული 1949 წლის 12 ოქტომბერს, მისი ფსიქიკური მდგომარეობისათვის საზიანოა.

სამართლო პატიმრობის დასრულება ხელს შეუწყობს ქრონიკულ ფიზიკურ პათოლოგიაზე მონიტორინგს, რაც პაციენტს ახლახან აღენიშნა და სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებს.”

73. 2005 წლის 20 დეკემბერს სხვა ექიმმა გასცა სამედიცინო დასკვნა, რომელშიც წერია:

“მე, ქვემოთ ხელისმომწერი, ... რეგულარულად ვხვდები ბ-ნ ილიჩ რამირეს სანჩესს, მსჯავრდებულს, რომელიც საპრობილეში იმყოფება .

სამართლო პატიმრობის გაგრძელება მისი ჯანმრთელობისათვის საზიანოა: ეს რამდენიმე წელიწადია გრძელდება და სამედიცინო თვალსაზრისით, სასურველია, მისი შეწყვეტა.”

74. 2005 წლის 24 იანვარს განმცხადებელი ფლერი-მეროვის დაწესებულებაში გადაიყვანეს და 24 ნოემბერს კი – ლა სანტეს დაწესებულებაში. ორივე დაწესებულებაში იგი იმყოფებოდა სამართლო პატიმრობაში, რომლის განახლება პერიოდულად ხდებოდა.

75. 2005 წლის 30 ივნისსა და 5 ოქტომბერს ამბულატორიული კონსულტაციისა და მკურნალობის სამსახურის მთავარმა ექიმმა გასცა ორი, ფაქტობრივად, ანალოგიური სამედიცინო დასკვნა, რომელშიც წერია:

“მე, ქვემოთ ხელისმომწერი ... ვადასტურებ, რომ ბ-ნი რამირეს სანჩეს ილიჩი, დაბადებული 1949 წლის 12 ოქტომბერს, დაწესებულებაში შემოსვლის დღიდან ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

ბ-ნი რამირეს სანჩესის ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები, რაც მას დაწესებულებაში შემოსვლისას აღენიშნებოდა, ამჟამად, სტაბილურია.

ბ-ნი რამირეს სანჩესი კვლავ განაგრძობს ჩვილს იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რაც მისთვის სამართლო პატიმრობას მოაქვს.

რადგან მას არ აქვს სურვილი, ფლერი-მეროვის დაწესებულების რეგიონული სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურის ექიმებმა უმკურნალონ, მე არ ვარ კომპეტენტური, დავადგინო, თუ რა ზეგავლენა მოაქვს მის სულიერ მდგომარეობაზე იმ პირობებს, რომელშიც იგი იმყოფება. ამიტომ მისი სამედიცინო და ფსიქოლოგიური შემოწმება სასურველია.

დასკვნა გაცემულია დაწესებულების ადმინისტრაციის მოთხოვნით, კანონის შესაბამისად, დანიშნულებისამებრ წარსადგენად.”

76. 2006 წლის 5 იანვარს განმცხადებელი კლერვოს დაწესებულებაში, გადაიყვანეს სადაც იგი საერთო რეჟიმში იმყოფებოდა.

### **ბ. განმცხადებლის მოთხოვნა სასამართლო განხილვის თაობაზე**

77. 1996 წლის 14 სექტემბერს პარიზის ადმინისტრაციულ სასამართლოში განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა 1996 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, სამართლო პატიმრობაში მისი მოთავსების შეწყვეტის მოთხოვნით.

78. 1998 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით, პარიზის ადმინისტრაციულმა სასამართლომ სარჩელზე უარი განაცხადა, დაასკვნა რა, რომ სადავო გადაწყვეტილება არის შიდა ადმინისტრაციული დონისძიება, რომლის გაუქმების უფლება ადმინისტრაციულ სასამართლოებს არ გააჩნიათ.

79. განმცხადებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მის სამართლო პატიმრობაში მოთავსებასთან დაკავშირებით. 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, პარიზის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა:

“თუმცა ადმინისტრაცია საკუთარი პოზიციის დაცვის მიზნით ამტკიცებს, რომ მოსამართლემ, რომელიც განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელია, 2005 წლის 4 თებერვალს გამოიტანა ზეპირი გადაწყვეტილება ბ-ნი რამირეს სანჩეს-

სისათვის სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე. ჩანაწერებში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ რეგიონულმა დირექტორმა სასჯელის აღსრულების კომიტეტისგან გადაწყვეტილება მოიპოვა, ვიდრე დასაბუთებულ ანგარიშს გაუგზავნიდა იუსტიციის სამინისტროს – მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი . 283-1-ის თანხმად, კომიტეტი ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს უნდა გაგრძელდეს თუ არა სამართლო პატიმრობა ერთი წლის შემდეგ. აქედან გამომდინარეობს, რომ ბ-ნ რამირეს სანჩესის არგუმენტი, – 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე არასრულფასოვანია და უნდა გაუქმდეს – არის კარგად დასაბუთებული.

რაც შეეხება კომპენსაციის მიღების საკითხს:

იმისდა მიუხედავად, რომ იურიდიულად დაუსაბუთებელი სამართლო პატიმრობა გადაცდომას წარმოადგენს, რომელიც იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ამგვარი გადაცდომა ამგვარ სასჯელს დაქვემდებარებული პიროვნებისათვის არ შეიძლება იწვევდეს კომპენსაციას ზარალის გამო, თუკი საქმის ისეთი გარემოებები იყო, რომ კანონი ამართლებდა გადაწყვეტილების მიღებას სამართლო პატიმრობის შესახებ; რადგანაც სავარაუდო ზიანი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებული გადაცდომის შედეგი.

გამოძიება მიუთითებს, რომ ბ-ნ რამირეს სანჩესს უვადო თავისუფლების აღკვეთა პოლიციის ოფიცრების მკვლევლობის გამო მიესაჯა. გამოძიება მის საქმეზე სხვადასხვა ტერორისტული აქტების მოწყობასთან დაკავშირებით დაიწყო, მათ შორის, განზრახ სიცოცხლის ხელყოფა და ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენება მოძრავი ქონების განადგურების მიზნით. განმცხადებელმა კომუნიკაცია, ფლერი-მეროგის დაწესებულებაში ან მის გარეთ, შეიძლება გამოიყენოს მისი ტერორისტული ქსელის წევრებთან კონტაქტების აღსადგენად ან სხვა პატიმრების გადასაბირებლად – გაქცევის მომზადების მიზნით. ამრიგად, წინამდებარე საქმის გარემოებები იმგვარია, რომ იურიდიულად ამართლებს მიღებულ გადაწყვეტილებას სამი თვით სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე. ბ-ნ რამირეს სანჩესის განცხადება ზიანის შესახებ, რაც გულისხმობს სხვა მსჯავრდებულებთან კონტაქტების დაკარგვას, არ შეიძლება, განხილულ იქნეს 2005 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების პროცედურული ხარვეზის შედეგად. ამის გამო, მისი მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან მისთვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე არის უსაფუძვლო. ... “

## **II. შუსაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა**

### **80. 1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**

#### **მუხლი D. 270**

“გარდა იმ გარემოებებისა, რომელიც მოყვანილია მუხლში D. 136 - D. 147, სასჯელ-აღსრულების დაწესებულების მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს საშუალება მსჯავრდებულის ყოფნა დაწესებულებაში ნებისმიერ დროს შეამოწმოს.

ღამის საათებში უნდა იყოს შესაძლებლობა, აუცილებლობის შემთხვევაში, საკანი განათდეს. საკანში შესვლა მხოლოდ საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ან გარდაუვალი საფრთხის შემთხვევაში უნდა მოხდეს. ყველა შემთხვევაში, შესვლა

უნდა განხორციელდეს სულ ცოტა ორი თანამშრომლისა და ოფიცრის მიერ, რომელიც ღამით მორიგეობს”.

#### **მუხლი D. 272**

“შემოვლა შეიძლება განხორციელდეს მას შემდეგ, რაც შუქები ჩაქრება ღამის საათებში დადგენილ დროს, რაც შეიძლება შეიცვალოს ყოველდღიურად, უფროსი ოფიცრის მიერ, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.”

#### **მუხლი D. 283-1**

“საერთო რეჟიმის დაწესებულების მსჯავრდებული შეიძლება მოთავსებულ იქნას სამარტო პატიმრობაში მისი მოთხოვნისამებრ ან უსაფრთხოებისა და სიფრთხილის ზომებიდან გამომდინარე.

ბრძანება მსჯავრდებულის სამარტო პატიმრობაში მოთავსების შესახებ შეიძლება გასცეს დაწესებულების დირექტორმა, რომელმაც ამის შესახებ რეგიონულ დირექტორს ან სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოსამართლეს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს. ამის შესახებ დაწესებულების დირექტორმა ასევე უნდა აცნობოს სასჯელის აღსრულების კომისიას, მსჯავრდებულის სამარტო პატიმრობაში მოთავსების ან მსჯავრდებულის პროტესტის შემდეგ, კომისიის პირველსავე შეხვედრაზე.

მსჯავრდებულს, პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, შეუძლია თავისი შენიშვნები სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოსამართლეს წარუდგინოს.

სამედიცინო ჯგუფს ყოველდღიურად სამარტო პატიმრობაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა სიები უნდა მიეწოდოს. სამარტო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულს სამედიცინო შემოწმება მუხლ D. 381-ის შესაბამისად უნდა გაეწიოს. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ექიმმა შეიძლება გამოთქვას თვალსაზრისი სამარტო პატიმრობის შეწყვეტის შესახებ.

სამარტო პატიმრობა შეიძლება სამ თვეს აღემატებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასჯელის აღსრულების კომისიას ახალი ანგარიში წარედგინება და რეგიონული დირექტორი ასე გადაწყვეტს.

სამარტო პატიმრობა შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის სამინისტრო ასე გადაწყვეტს, რეგიონული დირექტორის მიერ წარდგენილი დასაბუთებული მოხსენების საფუძველზე, მას შემდეგ რაც რეგიონული დირექტორი სასჯელის აღსრულების კომისიისა და ექიმის დასკვნებს მიიღებს.

დაწესებულების დირექტორმა სამარტო პატიმრობის შესახებ ჩანაწერები ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების წინაშე უნდა წარადგინოს, საზედა-მხედველო ვიზიტებისა და ინსპექციების შემთხვევაში”.

#### **მუხლი D. 283-2**

“სამარტო პატიმრობა დისციპლინურ სასჯელს არ წარმოადგენს.

სამარტო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულები დაწესებულების ჩვეულებრივ რეჟიმს არ ექვემდებარებიან”.

### **81. 2. ცირკულარები**

*ამონარიდი 1998 წლის 8 დეკემბრის ცირკულარიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებებთან და დამატებებთან დაკავშირებით*

#### **4. “სამარტო პატიმრობა, როგორც უსაფრთხოებისა და სიფრთხილის ზომა**

ბრძანება უსაფრთხოებისა და სიფრთხილის ზომად სამართლო პატიმრობის დაწესების შესახებ გამოიცემა დაწესებულების დირექტორის მიერ, მსჯავრდებულის მოთხოვნის შესაბამისად ან დირექტორის საკუთარი ინიციატივით. რამდენადაც მხოლოდ დირექტორს აქვს უფლება გასცეს ბრძანება სამართლო პატიმრობაში მოთავსების შესახებ, იგი ვალდებულია, საფუძვლიანად დაასაბუთოს.

#### 4.1 დასაბუთების საჭიროება

1995 წლის 17 თებერვლის *Conseil d'Etat's Marie* გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციულ სასამართლოს მიენიჭა იურისდიქცია, დისციპლინური ღონისძიების კანონიერება განიხილოს.

სასამართლო განიხილავს არ ვრცელდება გადაწყვეტილებებზე სამართლო პატიმრობის შესახებ, რომელიც “შიდა ადმინისტრაციულ ზომად” ითვლება და განიხილვას არ ექვემდებარება.

მუხლი D. 283-2-ის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ “სამართლო პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის პირობებს არ უნდა აუარესებდეს” (*Conseil d'Etat*, 28 February 1996, *Fauqueux*, and *Conseil d'Etat*, 22 September 1997, *Trébutien*)

#### 4.2 საფუძვლის ბუნება

არ არის საკმარისი გამეორება მოკლე ფრაზისა “როგორც უსაფრთხოებისა და სიფრთხილის ზომა”, რომელიც გამოიყენება მუხლში D. 283-1.

...

ბრძანება სამართლო პატიმრობის შესახებ, როგორც სიფრთხილისა და უსაფრთხოების ზომა, უნდა ეფუძნებოდეს ნამდვილ საფუძვლებს, რომელიც გამომდინარეობს იმ საფრთხიდან, რომ მსჯავრდებული იწვევს ან დგას სერიოზული ზიანის წინაშე.

#### 4.3 დაუსაბუთებელი მიზეზები

ბრძანება სამართლო პატიმრობის შესახებ არ შეიძლება გამოიცეს მხოლოდ შემდეგი მიზეზების გამო:

##### 4.3.1. დანაშაულის ბუნება

დანაშაულის სიმძიმე, რისთვისაც მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, და დანაშაულის ბუნება, რისთვისაც ბრალი დაედო, თავისთავად, სამართლო პატიმრობის დაწესების საფუძველს არ წარმოადგენს.

...

### III. სამართლო პატიმრობის პროცედურა

...

#### 14. გადაწყვეტილების შინაარსი

გადაწყვეტილება უნდა იყოს დაბეჭდილი ბლანკზე აქ თანდართული ნიმუშის მიხედვით და უნდა ეცნობოს სასამართლოს დასრულების შემდეგ. ბლანკი შედგება ორი განყოფილებისგან, ერთი – გადაწყვეტილების საფუძვლების შესახებ

და მეორე – მსჯავრდებულის შენიშვნებისათვის. დამატებითი შენიშვნები ან ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც რაიმე სახის განმარტებას იძლევა, შეიძლება გადაწყვეტილებას თან დაერთოს.

...

## 2.2. დოკუმენტების ასლები

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 283-1, ქვეპუნქტი 2 ითხოვს, რომ დაწესებულების დირექტორმა რეგიონულ დირექტორსა და სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელ მოსამართლეს ამ გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს.

გადაწყვეტილების ასლი, ბრალდებულის სამართლო პატიმრობაში მოთავსების თაობაზე ასევე უნდა გაეგზავნოს მოსამართლეს.

## 3. ღონისძიების გაუქმება

სამართლო პატიმრობა არ ნიშნავს განუსაზღვრელი ვადით მის გაგრძელებას, რადგან მისი დანიშვნა დასაბუთებული უნდა იყოს ფაქტობრივი გარემოებებითა და სამართლებრივი მოსაზრებებით, რაც შეიძლება შეიცვალოს ან შეწყვიტოს არსებობა.

ხანგრძლივი სამართლო პატიმრობის ზიანის მომტანი შედეგების გამო, დაწესებულების დირექტორმა და რეგიონულმა დირექტორმა ღონისძიების ხანგრძლივობაზე მჭიდრო მონიტორინგი უნდა დააწესონ.

სამართლო პატიმრობის ღონისძიება ავტომატურად შეწყდება მესამე თავში მოყვანილი გარემოებების შემთხვევაში. ღონისძიების შეწყვეტისას მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული ღონისძიების გაგრძელების თარიღი.

## 4. ღონისძიების გაგრძელება

თუკი სამი თვის ამოწურვამდე არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ღონისძიების გაგრძელების თაობაზე, აღნიშნული ღონისძიება ავტომატურად უქმდება.

...

### 4.1. წინადადებები ღონისძიების გაგრძელების თაობაზე

პროცედურა სამართლო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე სამთვიანი ვადის ამოწურვამდე სამი კვირით ადრე უნდა ამოქმედდეს.

სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს უნდა აცნობონ იმის თაობაზე, აპირებენ თუ არა ღონისძიების გაგრძელებას და თუკი მათ სურვილი აქვთ, უნდა მიეცეთ ერთი საათი შენიშვნების მოსამზადებლად, რომელთა წარდგენა მათ ამ მიზნით ჩატარებულ მოსმენაზე შეუძლიათ. შემდგომ მათ აცნობებენ წინადადების შესახებ.

არ შეიძლება სამართლო პატიმრობის გაგრძელება მსჯავრდებულის მდგომარეობის წინასწარი შეფასების გარეშე, რომელიც, *inter alia*, ხორციელდება სამართლო პატიმრობაზე დაკვირვების მასალების საფუძველზე.

თუ დაწესებულების დირექტორი საჭიროდ ჩათვლის ღონისძიების გაგრძელებას, მან უნდა შეავსოს დოკუმენტი შემდეგი მონაცემებით:

- I. წინადადების დაბეჭდილი ბლანკი, რომელიც ღონისძიების დანიშვნის განახლებულ საფუძვლებს მოიცავს. ბლანკი შეიცავს დადასტურებას, რომ მსჯავრდებულს ეცნობა ღონისძიების შესახებ, სასჯელის აღსრულების კომისიისათვის ვერბალური მოხსენების წარდგენის თარიღსა და რეგიონული დირექტორისათვის მოხსენების გადაცემის თარიღს.
- II. მოხსენება მსჯავრდებულის ქცევის შესახებ სამართლო პატიმრობაში, რომელიც ძირითადად ეფუძნება დაკვირვების მასალებს.
- III. ნებისმიერი მოხსენება სამედიცინო სამსახურის ექიმებისგან უნდა დაერთოს წინადადებას ღონისძიების გაგრძელების შესახებ.

## 4.2 რეგიონული დირექტორის გამოძიება

მასალები უნდა გაეგზავნოს რეგიონული დირექტორის სამსახურს სამთვიანი ვადის ამოწურვამდე არა ნაკლებ 15 დღით ადრე. რეგიონული დირექტორის სამსახური შეისწავლის მასალებს და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით დოკუმენტებს ან ინფორმაციას მოითხოვს.

რეგიონულმა დირექტორმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა სამართლო პატიმრობის გაგრძელება და გადაწყვეტილება გააგზავნოს დაწესებულებაში, რომ მსჯავრდებულს აცნობონ ღონისძიების შესახებ სამთვიანი ვადის ამოწურვამდე. გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

თუ გადაწყვეტილება სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ არ იქნა მიღებული, ის დაუყოვნებლივ წყდება და მსჯავრდებული ჩვეულებრივ რეჟიმში ბრუნდება.

მსჯავრდებულს ეძლევა გადაწყვეტილების ასლი ღონისძიების გაგრძელების თაობაზე.

იგივე პროცედურა გამოიყენება, თუ ღონისძიების გაგრძელება ყოველი მომდევნო სამთვიანი ვადის ამოწურვისას აუცილებელი ჩანს. რეგიონული დირექტორი განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავს ღონისძიების გაგრძელების საფუძვლებს. კერძოდ, მან უნდა შეისწავლოს, სხვა სახის ზომები განხილულ იქნა თუ არა და შესაძლებელია თუ არა სხვა ზომების განხორციელება.

როდესაც რეგიონული დირექტორი სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, ღონისძიების გაუქმება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იგივე თანამდებობის პირის მიერ, თუკი იგი, მესამე თავის შესაბამისად, ავტომატურად არ უქმდება. ამ შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორი რეგიონულ დირექტორს უგზავნის დასაბუთებულ წინადადებას ღონისძიების შეწყვეტის თაობაზე, დამატებითი მოხსენების საფუძველზე. დაწესებულების დირექტორი რეგიონულ დირექტორს ასევე დაუყოვნებლივ წარუდგენს სამედიცინო დასკვნას, რომელიც შესაძლოა გაცემულ იქნა ექიმის მიერ.

## 5. სამართლო პატიმრობის გაგრძელება ერთი წლის შემდეგ

ერთი წლის შემდეგ, სამართლო პატიმრობა შეიძლება გაგრძელდეს გამონაკლის შემთხვევაში. გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ იუსტიციის სამინისტროს აქვს.

### 5.1 წინადადებები სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ

დაწესებულების დირექტორმა რეგიონულ დირექტორს უნდა წარუდგინოს

წინა-დადება სამარტო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე მეათე თვის დასრულებისას, იმ მიზნით, რომ რეგიონული დირექტორის სამსახურსა და ცენტრალურ ხელისუფლებას მიეცეს სათანადო დრო წინადადების დეტალურად შესასწავლად.

სამარტო პატიმრობის ერთი წლის შემდეგ გაგრძელებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ექიმის აზრი. ექიმმა აზრი წერილობით უნდა ჩამოაყალიბოს და უნდა დაერთოს წინადადებას. თუ ექიმი არ წერს თავის აზრს, მან წინადადების ბლანკზე სულ მცირე პარაფირება უნდა გააკეთოს.

დაწესებულების დირექტორი წინადადებას წარუდგენს სასჯელის აღსრულების კომისიას.

დაწესებულების დირექტორმა უნდა აცნობოს მსჯავრდებულს სამარტო პატიმრობის ერთი წლის შემდეგ გაგრძელების თაობაზე. თუ ეს მსჯავრდებულს სურს, მას ეძლევა არა ნაკლებ ერთი საათისა, რომ შენიშვნები მოამზადოს. მსჯავრდებულს ამის შემდეგ წინადადების შინაარსს აცნობებენ.

დაწესებულების დირექტორმა წინადადებას უნდა დაერთოს შემაჯამებელი ანგარიში მსჯავრდებულის ქცევის შესახებ, პირველი გადაწყვეტილების მიღებიდან.

დაბოლოს, შემაჯამებელი მოხსენება უნდა წარედგინოს ორგანოს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას, ღონისძიების ქრონოლოგიის დეტალებით, მიიღებს.

## **5.2 რეგიონული დირექტორის მოხსენება**

რეგიონული დირექტორი დაწესებულების დირექტორის წინადადების საფუძველზე მოხსენებას ამზადებს და იძლევა დასაბუთებულ დასკვნას, ღონისძიება უნდა გაგრძელდეს თუ არა ერთი წლის შემდეგ.

ვიდრე ამას გააკეთებდეს, რეგიონული დირექტორი უფლებამოსილია შეწყვიტოს ღონისძიება, თუ მიიჩნევს, რომ მისი გაგრძელება აღარაა საფუძვლიანი ან შეცვალოს სხვა ღონისძიებით.

მას შეუძლია რეკომენდაციით მიმართოს სხვა ზომების მიღებასთან დაკავშირებით – თუნდაც, სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

წინადადება სამარტო პატიმრობის გაგრძელების თაობაზე უნდა გაეგზავნოს სასჯელაღსრულების სამსახურის სათავე დაწესებულებას, არა ნაკლებ ერთი თვით ადრე, სამარტო პატიმრობის ვადის ამოწურვამდე. ცენტრალურ ორგანოს მასალების შესწავლისათვის და ალტერნატივის მოძიებისათვის ვადა უნდა მიეცეს.

## **5.3 იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება**

ცენტრალური ორგანო იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას (რასაც ჩვეულებრივ დებულობს სასჯელაღსრულების სამსახური უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე) აგზავნის რეგიონული დირექტორის სამსახურში სამარტო პატიმრობის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე იმ მიზნით, რომ დაწესებულებამ მის შესახებ დროულად შეიტყოს.

მსჯავრდებულს გადაწყვეტილების ასლი უნდა გადასცენ, ხოლო ორიგინალი მასალებში უნდა ჩაეკრას.

სასჯელის აღსრულების კომისიას გადაწყვეტილების შესახებ ვერბალური ანგარიში უნდა წარედგინოს.

...

#### IV. სამართლო პატიმრობის რეჟიმი

##### 1. ევროპული და ეროვნული რეკომენდაციები

1996 წლის 6-18 ოქტომბერს საფრანგეთში ვიზიტის შემდეგ, წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის აღკვეთის ევროპული კომისიის რეკომენდაციით, “უნდა მოინახოს კომპრომისი საქმის მოთხოვნასა და სამართლო პატიმრობის ტიპის რეჟიმის გამოყენებას შორის” იმ უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, რაც შეიძლება ამ რეჟიმმა მსჯავრდებულს მოუტანოს. კომისიამ შესთავაზა სამართლო პატიმრობის განყოფილების იმდაგვარად ორგანიზება, რომ მსჯავრდებულისათვის სავარჯიშო მოედანი და სხვა საქმიანობები, საკნის გარეთ საქმიანობის ჩათვლით, უწყვეტად ხელმისაწვდომი გახდეს.

აღნიშნული რეკომენდაციები მჭიდროდაა კავშირში სასჯელადსრულების სამსახურის მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფების დასკვნებთან.

##### 2. დაწესებულების ჩვეულებრივი რეჟიმის გამოყენება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 283-2-ის თანახმად, სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული დაწესებულებაში მოქმედი ჩვეულებრივი რეჟიმით სასჯელის მოხდას ექვემდებარება.

1° პატიმარს უფლება აქვს სრულიად გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის უფლება, რაც დაცულია კონსტიტუციური კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების შესაბამისად და იმ განსხვავების მიხედვით, რაც არსებობს ბრალდებულსა და მსჯავრდებულს შორის. მუხლი D.145-4-ში მითითებული კომუნიკაციის აკრძალვა არ უნდა გავრცელდეს ადვოკატთან შეხვედრაზე.

2° სასჯელადსრულების დაწესებულებაში პაემნების მეშვეობით ხორციელდება უფლება ოჯახის წევრებთან და სხვებთან ურთიერთობის შესახებ. დაუშვებელია რაიმე სახის შეზღუდვა პაემნებთან დაკავშირებით, თუკი სასამართლო სამართლო პატიმრობა არ შეუფარდა.

დაუშვებელია, სამართლო პატიმრობაში მყოფ პატიმრებს კორესპონდენციის გაგზავნა-მიღებასთან დაკავშირებით რაიმე სახით შეზღუდვა დაუწესდეს. თუმცა, მიმოწერაზე მკაცრი კონტროლი, შესაძლოა, გამართლებული იყოს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 276-1-ის შესაბამისად, მსჯავრდებულის კლასიფიკაცირებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ან რეკომენდაციით, მსჯავრდებულის სუიციდის მცდელობაზე მეთვალყურეობის დაწესების მიზნით.

ანალოგიურად, მსჯავრდებულის უფლება სატელეფონო საუბრებზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 417-ის შესაბამისად, სამართლო პატიმრობის შემთხვევაში, არ იზღუდება.

3° სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულისათვის არ არსებობს ზოგადი შეზღუდვა ახალ ამბებზე ხელმისაწვდომობაზე, რასაც ჩვეულებრივ რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულები სასჯელის მოხდის მთელ მანძილზე იღებენ. სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულები ინარჩუნებენ უფლებას, თავიანთი სურვილისამებრ, შეიძინონ გაზეთები ან გამოიყენონ რადიო და

ტელევიზორი.

თუ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სამარტო პატიმრობაში მყოფი პატიმრებისათვის უნდა იყოს საგანგებო ღია საათები ან დაწესებულების სამარტო პატიმრობის განყოფილებაში ბიბლიოთეკის განცალკევებული განყოფილება უნდა მოეწყოს.

#### 4° აღმსარებლობის დაცვა

რელიგიური აღმსარებლობის დაცვა სამარტო პატიმრობის განყოფილებაში უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 437 - D. 439-ის შესაბამისად. რადგან სამარტო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულები რელიგიურ რიტუალების შესრულებას ვერ დაესწრებიან სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, მათ შეიძლება მიეცეთ უფლება, კაპელანთან შეთანხმებით დაესწონ სპეციალურ მსახურებას.

#### 5° ჯანმრთელობის დაცვა

სამარტო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნება დამოკიდებულია იმაზე, რომ იმყოფებოდეს ცხოვრების ისეთ პირობებში, რაც მათი ჯანმრთელი ცხოვრების წესს უზრუნველყოფს:

- I. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 350-ის თანახმად, საკანში უნდა იყოს ფანჯარა, რომელიც ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას უზრუნველყოფს.
- II. სავარჯიშო ეზო ღია ჰაერზე უნდა იყოს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამარტო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს გამოეყოთ კონკრეტული საათები ღია ეზოში ვარჯიშისათვის. სპორტული ვარჯიშისათვის გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს იგივე, რაც – დანარჩენი მსჯავრდებულებისთვის.
- III. სპორტული ღონისძიებები სამარტო პატიმრებისათვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. უზრუნველყოფილი იყოს, მაგალითად, ველოტრენაჟორით, სპორტული ხალიჩით ან ჩოგბურთის მაგიდით.

### 2.6 საქმიანობები სამარტო პატიმრობის განყოფილებაში

თუმცა კომუნალური საქმიანობა, რაც დაშვებულია საერთო რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულებისათვის, შეწყვეტილია სამარტო პატიმრობის შემთხვევაში, სამარტო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან ჩვეულებრივი რეჟიმის შესაბამისად და სპეციალური ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული სამარტო პატიმრობის განყოფილებაში, რომ საქმიანობები გაგრძელდეს და მსჯავრდებულებს დროგამოშვებით პატარა ჯგუფებად შეკრების საშუალება მიეცეთ.

ამრიგად, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორმა სამარტო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს, ვარჯიშისა და საქმიანობებისათვის. ორ ან სამკაციან ჯგუფებად შეკრების ნება უნდა დართოს. ამ მიზნით მრავალპროფილიანი ოთახი (სპორტული, სამკითხველო) უნდა გამოიყოს. დაწესებულების დირექტორზე დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, ამგვარი ჯგუფები თუ როგორ და როდის უნდა შეიქმნას.

მხარი დაუჭირონ მასწავლებლების ან ინსტრუქტორების მიერ შეთავაზებულ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს ან დისტანციურ სწავლებას.

...

#### 4. სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულების მონიტორინგი და დიალოგი მათთან

##### 4.1 მონიტორინგი

სამართლო პატიმრობაში მყოფ ყველა მსჯავრდებულზე ჩანაწერები უნდა დგებოდეს. იგი უნდა ივსებოდეს ნებისმიერი განმარტებებით ოფიცრებისგან, რომლებიც სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ქცევაზე ზედამხედველობას ეწევიან.

დაკვირვების ჩანაწერები უნდა მოქმედებდეს, როგორც წინასწარი გაფრთხილების სისტემა იმ შემთხვევაში, თუკი სამართლო პატიმრობას მსჯავრდებულისათვის ზიანი მოაქვს.

დაწესებულების თანამშრომლები რეგულარულად უნდა მიმართავდნენ ჩანაწერებს და, ასევე, ყველა შემთხვევაში, როდესაც ღონისძიების გაგრძელებას აპირებენ.

ჩანაწერების რეზიუმირებული ვერსია უნდა გაეგზავნოს რეგიონულ დირექტორსა და ცენტრალურ ორგანოს წინადადებასთან ერთად სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ; აგრეთვე – იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული ასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას ან გადაწყვეტილებას ღონისძიების გაგრძელების თაობაზე.

##### 4.2 დიალოგი

გადამეტებული სოციალური იზოლაციის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის კონტაქტების შენარჩუნება. ეს არა მხოლოდ შეამცირებს იზოლაციის ხარისხს, განსაკუთრებით იმ მსჯავრდებულთათვის, ვისთანაც პაემანზე არ მოდიან, არამედ მსჯავრდებულთა ხასიათის მონიტორინგში დაეხმარება.

ამავე მიზნებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელობა და სოციალური და საგანმანათლებლო სამსახურის თანამშრომლები სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს უნდა შეხვდნენ არა ნაკლებ იმავე რაოდენობით, როგორც ჩვეულებრივი რეჟიმის მსჯავრდებულებს”.

### 82.3 Conseil d’Etat-ის საქმე

2003 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაში *Conseil d’Etat*-მა გადაუხვია მის მიერვე მიღებულ პრეცედენტს საქმეზე, როდესაც იგი წერდა:

“ზემოთმოტანილი დებულებები და ფაქტების შემსწავლელი სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებები მოწმობენ: თავად სამართლო პატიმრობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფ პიროვნებებს ჩამოერთვათ სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის უფლება, რაც, როგორც წესი, სხვა მსჯავრდებულებისათვის ნებადართულია. ამგვარი ღონისძიება შეიძლება დაეკისროთ სამი თვის ვადით და ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს. იმისდა მიუხედავად, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი D. 283-2-ის თანახმად, სამართლო პატი-

მრობა არ არის დისციპლინური ღონისძიება, რადგან ამ სახის პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულები ექვემდებარებიან სასჯელის მოხდის ჩვეულებრივ რეჟიმს, გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სამართლო პატიმრობაში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოთავსების შესახებ, პატიმრობის პირობებიდან გამომდინარე, უნდა დაექვემდებაროს სასამართლო განხილვას. მაშასადამე, იუსტიციის სამინისტროს მიერ საქმის განსახილველად შემოტანა, რომ სააპელაციო ადმინისტრაციულმა სასამართლომ შეცდომა დაუშვა, როდესაც წარმოებაში მიიღო ბატონ X-ის განცხადება, რომელიც ეხებოდა ბუა დ'არსის დაწესებულების დირექტორის მიერ მისი სამართლო პატიმრობაში მოთავსების წინააღმდეგ, დაუსაბუთებელია.

სააპელაციო ადმინისტრაციულ სასამართლოს არ დაუშვია სასამართლო შეცდომა, როდესაც დაასკვნა, რომ სამართლო პატიმრობაში მოთავსება იმგვარ გადაწყვეტილებებს მიეკუთვნება, რომლის მიმართაც 1979 წლის 11 ივლისის კანონის I კარი ითხოვს მიზეზების განმარტებას”.

#### IV.სამართაშორისო მასალები

*83. ამონარიდები წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) მოხსენებიდან და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის პასუხები (არაოფიციალური თარგმანი)*

#### 1996 წლის 6 – 18 ოქტომბრის ვიზიტის ანბარიში

158. “კომიტეტი (CPT) სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. კომიტეტი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ პროპორციულობის პრინციპის თანახმად, საქმის პირობებსა და სამართლო პატიმრობის რეჟიმის გამოყენებას შორის ბალანსი უნდა იქნეს დაცული. ეს უკანასკნელი ისეთი ზომაა, რომელსაც მსჯავრდებულისათვის მძიმე შედეგების მოტანა შეუძლია. გარკვეულ შემთხვევებში, სამართლო პატიმრობა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას შესაძლოა გაუტოლდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის მაქსიმალურად ხანმოკლე უნდა იყოს.
159. დელეგაციამ მონახულა სამართლო პატიმრობის ადგილები... და პარიზის ლა სანტეს დაწესებულებაში ... შეხვდა რამდენიმე პატიმარს, რომლებიც სამართლო პატიმრობაში დიდი ხნის და, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან დიდი ხნის მანძილზე იმყოფებიან.

... გარდა ამისა, სამართლო პატიმრობის საკნები პარიზის ლა სანტეს დაწესებულებაში შეიძლება შეფასდეს მისაღებად.

რაც შეეხება სასჯელის მოხდის რეჟიმს, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, საერთო რეჟიმს წარმოადგენს, დელეგაციამ დაადგინა, რომ საქმიანობები შეზღუდულია (კითხვა, ტელევიზორი და, ზოგ შემთხვევაში, საკანში საგანმანათლებლო საქმიანობა). ... გრძელდება ადამიანებთან კონტაქტის არარსებობა, რაც გულისხმობს ახლო ნათესავებთან და პასუხისმგებლობით აღჭურვილ სხვა პირებთან (როგორცაა სასულიერო პირები) პაემნის არ ქონას და მოიცავს ყოველდღიურ კონტაქტს ზედამხედველებთან.

რაც შეეხება სუფთა ჰაერზე სეირნობას, დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, ყოველდღიურად ერთიდან სამ საათამდე სეირნობა ნებადართულია, თუმცა პირობები ნაკლებ დამაკმაყოფილებელია.

160. პირველი ვიზიტის შემდეგ კომიტეტი თავის მოხსენებაში შენიშნავს, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. შუალედური მოხსენების პუნქტ 380-ში, საფრანგეთის მთავრობა აღნიშნავს, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს კვირაში ორჯერ სამედიცინო შემოწმება უტარდებათ და რომ, სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ექიმის გამოძახება ნებისმიერ დროს ხდება. თუ ექიმი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა საფრთხის ქვეშაა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ დაწესებულების დირექტორს წერილობით მოახსენოს.

ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის ხელისუფლებამ დელეგაციას აცნობა, რომ ახალი კანონპროექტით (რომელიც ძალაში შევა 1996 წლის 1 დეკემბერს) ახალი წესები დაწესდება, ექიმთან დაშვებასთან და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებასთან დაკავშირებით.

161. რაც შეეხება უსაფრთხოების სხვა ზომებს, სათანადო მასალების შემოწმების შემდეგ დელეგაცია მიიჩნევს, რომ სამართლო პატიმრობის გაგრძელების პროცედურა ძალიან მოკლეა. მისი განხორციელების მეთოდი, როგორც ჩანს, სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია. ... პარიზის ლა-სანტეს დაწესებულებაში, დელეგაციამ სამართლო საკანში მყოფი მსჯავრდებულებისგან მოისმინა, რომ ასეთი პროცედურები მათთან მეტი აღარ არსებობს. დელეგაციამ ეს სანდო განცხადებად მიიჩნია, რადგან, მარსელისგან განსხვავებით, დელეგაციამ ვერსად მიაგნო რაიმე სახის ინფორმაციას, რითაც მსჯავრდებულებს აცნობებდნენ სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ. დელეგაციამ მასალებში ვერ იპოვა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, მოხსენებები, რომელიც უნდა გაგზავნილიყო სასჯელის აღსრულების კომისიაში და ვერც – ამავე კომისიის თვალსაზრისი სამართლო პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სამედიცინო დასკვნებს სამართლო პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ის, რაც დელეგაციამ ნახა, არის სტერეოტიპული და ძალიან მოკლე.

162. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კომისია რეკომენდაციით მიმართავს საფრანგეთის ხელისუფლებას:

- I. გადაისინჯოს სამართლო პატიმრობის განხორციელების ღონისძიებები იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებულებს მიეცეთ ფართო საქმიანობების უფლება და უზრუნველყონ შესაბამისი კონტაქტები ადამიანებთან;
- II. უზრუნველყოს, რომ სამართლო პატიმრობა იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე. ამასთან დაკავშირებით, კვარტალური ანგარიში სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ უნდა მოიცავდეს სრულ შეფასებას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაეყრდნოს სამედიცინო დასკვნასა და სოციალური მუშაკის ანგარიშებს;
- III. უზრუნველყოს, რომ ყველა მსჯავრდებულს, რომელთა სამართლო პატიმრობის გაგრძელება ხდება, ღონისძიების მიზეზების შესახებ წერილობით შეატყობინონ.

კომიტეტი ასევე ითხოვს საფრანგეთის მთავრობისგან ინფორმაციას იმის თაობაზე, კანონი შევიდა თუ არა ძალაში და კანონის ასლის მიწოდებას”.

საზრუნველყოფის მეთოდების პასუხი 1996 წლის  
მოხსენებასთან დაკავშირებით

შენიშვნები (შუალედური ანგარიში)

- I. გადაისინჯოს სამართლო პატიმრობის განხორციელების ღონისძიებები იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებულებს ფართო საქმიანობების უფლება მიეცეთ და ადამიანებთან შესაბამისი კონტაქტები უზრუნველყონ (პუნქტი 162)

მიმდინარეობს სამართლო პატიმრობის მარეგულირებელი წესების გადასინჯვა. სისხლის საართლის საპროცესო კოდექსის მუხლები D. 283-1 და D. 283-2 და 1981 წლის 12 ივლისის ცირკულარი საჭიროებენ დამატებებს, რათა პროცედურა გაუმჯობესდეს და ღონისძიების ხანგრძლივობა შეიზღუდოს.

მუხლი D. 283-1-ის პროექტი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს სამართლო პატიმრობის განყოფილებაში სამედიცინო ზედამხედველობის საჭიროებას. ეს მუხლი ასევე პასუხისმგებლობას აკისრებს სასჯელადსრულების სამსახურის დირექტორს, გადაწყვიტოს, გააგრძელოს თუ არა სამართლო პატიმრობა ერთი წლის შემდეგ.

ამ მუხლის ძალაში შესვლა, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების 300 მუხლთაგან ერთ-ერთია, შეჩერდა, რამდენადაც ეს კანონი სახელმწიფო რეფორმების სამთავრობო პროგრამის ნაწილია.

გადაწყვეტილია, რომ ცირკულარის პროექტი მაშინვე გამოქვეყნდეს, როგორც კი კანონი ძალაში შევა. მასში ხაზგასმული იქნება, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული დაექვემდებარება სასჯელის მოხდის საერთო რეჟიმს და მითითებას მისცემს იმასთან დაკავშირებით, რომ დიალოგი გაგრძელდეს დაწესებულების თანამშრომლებსა და სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს შორის, კერძოდ, რეგულარული შეხვედრების ორგანიზების გზით. ინდივიდუალური სწავლებისა და ტრენინგების პროგრამების განხორციელება ასევე რეკომენდირებულია.

- II. უზრუნველყოს, რომ სამართლო პატიმრობა იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე. ამასთან დაკავშირებით, კვარტალური ანგარიში სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ უნდა მოიცავდეს სრულ შეფასებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა დაეყრდნოს სამედიცინო დასკვნასა და სოციალური მუშაკის ანგარიშებს (პუნქტი 162)

ცირკულარის პროექტი მზადდება.

- III. უზრუნველყოს, რომ ყველა მსჯავრდებულს, რომელთა სამართლო პატიმრობის გაგრძელება ხდება, ღონისძიების მიზეზების შესახებ წერილობით შეატყობინონ (პუნქტი 162)

ცირკულარის პროექტი მზადდება.

დამატებითი ანგარიში

- I. გადაისინჯოს სამართლო პატიმრობის განხორციელების ღონისძიებები იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებულებს ფართო საქმიანობების უფლება მიეცეთ და უზრუნველყონ შესაბამისი კონტაქტები ადამიანებთან (პუნქტი 162)

შუალედურ ანგარიშში მითითებული კანონპროექტი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანს, გამოქვეყნების სტადიაზეა.

ცვლილება ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლ D.283-1-ს. ეს მუხლი პასუხისმგებლობას აკისრებს სასჯელადსრულების სამსახურის დირექტორს გადაწყვიტოს, ერთი წლის შემდეგ გააგრძელოს თუ არა სამართლო პატიმრობა. ასევე ფოკუსს გადაიტანს სამედიცინო ზედამხედველობიდან სამედიცინო სამსახურის ექსკლუზიურ ფუნქციაზე, უზრუნველყოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის დაცვა.

ამ დებულების შესაბამისად, ცირკულარის პროექტი იქნა შემუშავებული, რომლის თანახმად, სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული დაექვემდებარება სასჯელის მოხდის საერთო რეჟიმის პირობებს, რაც, *inter alia*, გამოიწვევს:

- (I) საერთო რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის უფლებებთან სრულ შესაბამისობას ოჯახის წევრებთან, მის წარმომადგენელთან და სხვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით;
- (II) უწყვეტი დიალოგის არსებობა დაწესებულების თანამშრომელთა და სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს შორის;
- (III) სამართლო პატიმრობის განყოფილებაში შესაძლებლობის ფარგლებში, სპეციალური საქმიანობის ორგანიზება ინდივიდუალური ტრენინგებისა და სწავლების პროგრამების მეშვეობით.

აღნიშნული პროექტი დეცენტრალიზებულ სამსახურებთან ფართო კონსულტაციების გზით მომზადდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ინფორმაციის გაცემის პროცედურა ამოქმედებულია და ცირკულარის ძალაში შესვლასთან ერთად გაგრძელდება.

**II. უზრუნველყოს, რომ სამართლო პატიმრობა იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე. ამასთან დაკავშირებით, კვარტალური ანგარიში სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ უნდა მოიცავდეს სრულ შეფასებას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა დაეყრდნოს სამედიცინო დასკვნასა და სოციალურ მუშაკის ანგარიშებს (პუნქტი 162)**

ცირკულარის პროექტი სამართლო პატიმრობის ხანგძლივობაზე კონტროლის მექანიზმს აწესებს: ვიდრე გადაწყვეტილება სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ ღონისძიების გაგრძელების შესახებ მიიღება, რეგიონულმა დირექტორმა უნდა განიხილოს დაწესებულების დირექტორის მოხსენება, რაც ეყრდნობა მის ცოდნასა და დაწესებულების სხვადასხვა სამსახურებიდან მიღებულ ინფორმაციას მსჯავრდებულის შესახებ.

**III. უზრუნველყოს, რომ ყველა მსჯავრდებულს, რომელთა სამართლო პატიმრობის გაგრძელება ხდება, წერილობით შეატყობინონ ღონისძიების მიზეზების შესახებ (პუნქტი 162).**

ცირკულარის პროექტით შემოდის გაუმჯობესებული სისტემა, რომლის მიზანია, სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ მსჯავრდებულს წერილობით შეატყობინონ და მიზეზები განუმარტონ.

“111. 1991 და 1996 წლის მოხსენებებში წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს ბალანსის დაცვას საქმის გარემოებებსა და სასჯელის მოხდის სამართლო პატიმრობის სახის რეჟიმის გამოყენებას შორის, რადგან ამ ღონისძიებას, შესაძლოა, მსჯავრდებულისათვის მძიმე შედეგები მოჰყვეს. სამართლო პატიმრობა, შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევებში, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ღონისძიების ვადა მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს. ვიზიტის შემდეგ კომიტეტმა სამართლო პატიმრობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა. შესაბამისად, 1998 წლის 14 დეკემბრის ცირკულარით იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა ინსტრუქცია, რომელიც, *inter alia*, ეხება მსჯავრდებულის სამართლო პატიმრობაში გადაყვანის საფუძვლებს, შემდგომ პროცედურას და სამართლო პატიმრობაში სასჯელის მოხდის რეჟიმს. ეს ინსტრუქცია კომიტეტის მიერ მოხსენებაში დასმულ საკითხებს ნაწილობრივ წყვეტს.

ამისდა მიუხედავად, ვიზიტის მსვლელობისას დელეგაციამ ბევრი ნაკლი დაადგინა, თუ როგორ სრულდებოდა კომიტეტის რეკომენდაციები და მინისტრის ინსტრუქციები.

კომიტეტმა მსჯავრდებულთა სამართლო პატიმრობაში გადაყვანის ადმინისტრაციული საფუძვლების შესახებ სერიოზული შენიშვნები გამოთქვა. შენიშვნები ეხებოდა როგორც სამართლო პატიმრობის ხანგრძლივობას, რაც ზოგჯერ წლობით გრძელდებოდა, ისე – რეჟიმის განსაკუთრებულ სიმკაცრეს (კომუნალური და სტრუქტურული საქმიანობის სრული არარებობა).

112. მსჯავრდებულის სამართლო პატიმრობაში ყოფნის პირობები ზოგადად მისაღებია. ამისდა მიუხედავად, პარიზის ლა სანტეს დაწესებულებაში ბუნებრივი განათება ძალიან შეზღუდულია. გარდა ამისა, სასჯელასრულების ოთხ დაწესებულებაში, რომელიც დელეგაციამ მოინახულა, სავარჯიშო ეზო მიმზიდველი არ არის.

113. სამინისტროს ინსტრუქციაში მითითებულია: “საერთო რეჟიმის ძირითადი პირობები, რამდენადაც შესაძლებელია, შენარჩუნებული უნდა იყოს სამართლო პატიმრობის განყოფილებაშიც” (პუნქტი 4.1). შემდგომ, *inter alia*, დადგენილია, რომ “დაუშვებელია პაემნების შეზღუდვა” (პუნქტი 4.2.2) და “სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულები რჩება საერთო რეჟიმის პირობებში და სამართლო პატიმრობის განყოფილებაში საგანგებო ზომები უნდა იქნეს მიღებული; რომ მსჯავრდებულებს დროდადრო მიეცეთ პატარა ჯგუფებად თავშეყრის უფლება”; და რომ “დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია, მისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, თუ როგორ და როდის მოხდეს ამ ჯგუფების ორგანიზება” და “ხელი შეუწყოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო და დისტანციური სწავლების პროგრამების განხორციელებას” (პუნქტი 4.2.6). ინსტრუქცია მსჯავრდებულებზე ზედამხედველობის შემდგომ გაძლიერებას მოითხოვს და აკონკრეტებს: “სოციალური იზოლაციის გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია, თანამშრომელთა და სამართლო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს შორის კონტაქტების შენარჩუნება” (პუნქტი 4.4.2).

დელეგაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, კავშირი გარე სამყაროსთან), ზემოხსენებული

მოთხოვნების დიდი უმრავლესობა არ არის შესრულებული. მაგალითად, ერთადერთი დაწესებულება, რომელიც სამარტო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს ჯგუფების ორგანიზების ნებას აძლევს, არის ლიონის სენ-პოლის დაწესებულება და ისიც მკაცრი შეზღუდვებით (ვარჯიში ღია ეზოში და სავარჯიშო დარბაზში).

კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები, რათა სრულად განხორციელდეს იუსტიციის სამინისტროს 1998 წლის 14 დეკემბრის ინსტრუქცია სამარტო პატიმრობის დაწესების ადმინისტრაციული საფუძვლების შესახებ, კერძოდ, პუნქტი 4.2.6, 4.2.7 და 4.4.2-ის შესაბამისად.

114. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა ასევე გამოთქვა უკმაყოფილება ადმინისტრაციული მოტივით სამარტო პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული პროცესუალური გარანტიების ეფექტურობასთან მიმართებაში. შემოწმებული მასალებიდან აღმოჩნდა, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, სამარტო პატიმრობა გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ალტერნატიულ სასჯელად (მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში, ლონისძიება შეეფარდა “დაწესებულების ქონებისათვის სერიოზული ზიანის მიყენების გამო, რამაც დაწესებულების უსაფრთხოება სერიოზული რისკის ქვეშ დააყენა”), ან აღნიშნული ღონისძიების გაგრძელების შემთხვევაში მოტივი ხშირად სტერეოტიპული იყო (“სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნება” და “გაქცევის მცდელობის რისკი”). ერთ შემთხვევაში მსჯავრდებული სამარტო პატიმრობაში იმყოფებოდა 1997 წლიდან “იმ დანაშაულის ბუნების გამო, რისთვისაც მას მსჯავრი დაედო”.

ამრიგად, მინისტრის ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ “ბრძანება სამარტო პატიმრობის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომად შეფარდების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს რეალურ საფუძველსა და ობიექტურ მტკიცებულებებს უსაფრთხის შესახებ, რომ მსჯავრდებული გამოიწვევს, ან მიიღებს სერიოზულ ზიანს”, ყოველთვის არ სრულდება.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საფრანგეთის მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს, სამარტო პატიმრობის საქმეები, 1998 წლის ინსტრუქციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სათითაოდ განიხილოს.

115. დაბოლოს, წამების საწინააღმდეგო კომიტეტი თვლის, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალების საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის (შდრ. 1991 წლის ვიზიტის ანგარიშის პუნქტი 146). პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ სამარტო პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულებს ამჟამად არანაირი რეალური საშუალება არ გააჩნიათ, სადავო გადაწყვეტილება სამარტო პატიმრობის შეფარდებისა და გაგრძელების შესახებ დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე გაასაჩივრონ.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ გაძლიერდეს სამარტო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულების სამართლებრივი დაცვის გარანტიები, რაც დამოუკიდებელი ორგანოს, უპირატესად, მოსამართლის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

## საზრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის პასუხი

“(i) დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული ზომები იუსტიციის მინისტრის 1998 წლის 14 დეკემბრის ინსტრუქციების სრულად განსახორციელებლად, რომელიც სამართლო პატიმრობის ადმინისტრაციულ საფუძვლებს ეხება.

(ii) განხორციელდეს თითოეული საქმის განხილვა ადმინისტრაციული მოტივებით, სამართლო პატიმრობის შეფარდების 1998 წლის ინსტრუქციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (პუნქტი 114).

იმ შემთხვევაში, თუ სამართლო პატიმრობის ვადა ერთ წელს აღემატება, ამ ღონისძიების გაგრძელებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება იუსტიციის სა-მინისტროს ენიჭება.

ამჟამად 77 პატიმარი იმყოფება სამართლო პატიმრობაში ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მათ შორის 23 მსჯავრდებულია, ხოლო 54 – ბრალდებული.

მათ შორის უმრავლესობამ სამართლო პატიმრობა საკუთარი ინიციატივით მოითხოვა: ზოგიერთმა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, ზოგმა კი – იმ საქმიანობის გამო, რასაც დაპატიმრებამდე ეწეოდა.

1998 წლის 14 დეკემბრის ცირკულართან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სამართლო პატიმრობის განყოფილებაში ბევრი ცვლილებები ხორციელდება. სასჯელაღსრულების დაწესებულებები, რომლებიც “პროგრამა 4000”-ის ფარგლებში იგება, სამართლო პატიმრობის ბლოკებით აღიჭურვება, რაც პატიმრებს საშუალებას მისცემს, ზემოაღნიშნულ ცირკულარში განსაზღვრული პირობებით სრულყოფილად ისარგებლონ.

(iii) გაძლიერდეს სამართლო პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულების სამართლებრივი დაცვის გარანტიები, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანოს, უპირატესად, მოსამართლის მიერ (პუნქტი 115).

სამართლო პატიმრობა არის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში განიხილება”.

**82. ამონარიდი სახელმძღვანელო პრინციპებიდან ადამიანის უფლებებისა და ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მიღებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2002 წლის 11 ივლისს**

### “III. ანტიტერორისტული ზომების მართლზომიერება

1. სახელმწიფოს მიერ მიღებული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ზომა მართლზომიერი უნდა იყოს.
2. როდესაც ზომა ადამიანის უფლებებს ზღუდავს, შეზღუდვები ზუსტად უნდა განისაზღვროს. ისინი მიზნის მისაღწევად აუცილებელი და მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

### IV. წამების აბსოლუტური აკრძალვა

წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენება ყველა შემთხვევაში აბსოლუტურად აკრძალულია, და, კერძოდ, ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული პირის დაკავების, დაკითხვისა და პატიმრობის დროს, მიუხედავად იმ აქტის ბუნებისა, რის გამოც პიროვნება ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებულია.

...

## XI პატიმრობა

1. პიროვნებას, რომელსაც თავისუფლება ტერორისტული საქმიანობის გამო აქვს აღ-ვეთილი, ყველა შემთხვევაში, ადამიანური ღირსების შესაბამისად უნდა ექცე-ოღნენ.
2. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იმპერატივი შეიძლება მოითხოვდეს, რომ ტერორისტული საქმიანობისათვის თავისუფლებააღკვეთილ პირს უფრო მკაცრი შეზღუდვები დაუწესდეს, ვიდრე სხვა პატიმრებს, კერძოდ:

(i) კომუნიკაციისა და კორესპონდენციის ზედამხედველობის წესები, მათ შორის, ადვოკატსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობის ჩათვლით;

(ii) ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობის გამო თავისუფლებააღკვეთილი პირის მოთავსება საგანგებოდ დაცულ ბლოკებში;

(iii) ამგვარი პირების განცალკევება დაწესებულების შიგნით და სხვადასხვა და-წესებულებაში, იმ პირობით, რომ აღნიშნული ღონისძიება მისაღწევი მიზნის პროპო-რციულია”.

### **85.1. ამონარიდი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2006)2 წვერი სახელ-მწიფოებისადმი, ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს)**

“მინისტრთა კომიტეტი, თანახმად ევროპის საბჭოს წესდების მე-15 ”ბ” მუხლის პირობებისა,

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევრო-პული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით;

ასევე წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის მუშაობისა და განსაკუთრებით, მის ანგარიშებში შემუშავებული სტანდარტების გათვალისწინებით;

იმის გამეორებით, რომ არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა უკი-დურესი შემთხვევისა და კანონით დადგენილი პროცედურისა;

იმის ხაზგასმით, რომ საპატიმრო სასჯელის აღსრულება და პატიმრებთან მოპყრობა საჭიროებს უსაფრთხოების, უშიშროებისა და დისციპლინის საკითხების გათვალისწინებას, ასევე ციხეში ყოფნის ისეთი პირობების უზრუნველყოფას, რომელიც არ ხელყოფს ადამიანის ღირსებას, არამედ იძლევა პატიმართათვის სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის და დასაქმების საშუალებას, რი-თაც მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის ამზადებს ;

...

რეკომენდაციას იძლევა, რომ წვერმა სახელმწიფოებმა:

საკუთარ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ იმ წესებით, რომლებიც მოცემულია ამ რეკომენდაციის დანართში და იკავებს მინისტრთა კომიტეტის ევროპულ ციხის წესებზე რეკომენდაცია დ. (87) 3-ის ადგილს;

...

**რეკომენდაცია Rec(2006)2-ის დანართი**

...

**ძირითადი პრინციპები**

1. ყველა თავისუფლებაა დაცვით აღადგინოს მისი უფლებების პატივისცემით უნდა მოეპყრან.

2. თავისუფლებაა დაცვითი პირები ინარჩუნებენ ყველა უფლებას, რომელიც კანონიერად არ ერთმევათ იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც მათ სასჯელს უსჯიან ან პატიმრობას უფარდებენ.

3. თავისუფლებაა დაცვითი პირთა მიმართ დაწესებული შეზღუდვები უნდა იყოს მინიმალურად აუცილებელი და იმ ლეგიტიმური ამოცანის თანახომიერი, რომლისთვისაც მათი დაწესება ხდება.

18.2 ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან:

ა. ფანჯრები საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა საშუალება მისცეს პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში, ასევე, უნდა ხდებოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონირების სისტემა;

ბ. ხელოვნური განათება მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს;

...

23.2 პატიმრებს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საკუთარი ხარჯებით. ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ მათ მიერვე შერჩეულ იურისტ-კონსულტანტს,...

23.4 კონსულტაციები და სხვა კომუნიკაციები, ასევე კორექსონდენცია სამართლებრივ საკითხებზე პატიმრებს შორის და მათსა და იურიდიულ კონსულტანტებს შორის კონფიდენციალური უნდა იყოს.

...

24.1 პატიმრებს ნებას უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან.

24.2 კომუნიკაციები და პაემნები შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს და მონიტორინგს, რომელიც საჭირო იქნება სისხლის სამართლის გამოძიების გასაგრძელებლად, წესრიგის შესანარჩუნებლად, უსაფრთხოებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად და სისხლის სამართლის დანაშაულთა აღსაკვეთად, დანაშაულის მსხვერპლთა დასაცავად. მაგრამ სასამართლო ხელისუფლების მიერ დაწესებული ასეთი შეზღუდვები, მათ შორის კონკრეტული შეზღუდვები, კონტაქტის დასაშვებ მინიმალურ დონეს მაინც უნდა იძლეოდეს.

...

24.4 პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს, ოჯახური ურთიერთობები, შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში, შეინარჩუნონ და განავითარონ.

...

24.10 პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, საზოგადოებრივი საქმეების შესახებ რეგულარულად შეიტყონ. ამისათვის გამოიწერონ და იკითხონ გაზეთები, პერიოდული გამოცემები და სხვა პუბლიკაციები, მოუსმინონ რადიოს ან სატელევიზიო გადაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო ხელისუფლების მიერ კონკრეტული აკრძალვაა დაწესებული, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ინდივიდუალურ შემთხვევაში.

...

25.1 ნებისმიერი პატიმრისთვის განკუთვნილი რეჟიმი ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას უნდა შეიცავდეს.

25.2 ეს რეჟიმი საშუალებას ყველა პატიმარს უნდა აძლევდეს, ყოველდღიურად თავიანთი საკნების გარეთ გაატარონ რაც შეიძლება მეტი დრო, რაც საჭიროაადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადექვატური დონის შესანარჩუნებლად.

25.3 რეჟიმი ასევე უნდა პასუხობდეს პატიმრის სოციალურ საჭიროებებს.

...

27.1 ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ყოველდღიურად, მინიმუმ ერთი საათი მაინც, ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი ამის საშუალებას იძლევა.

27.2 ავდრის პირობებში, პატიმრებს ვარჯიშის ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ.

27.3 სათანადოდ ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს სიჯანსაღეს და უზრუნველყოფს ფიზიკურ ვარჯიშსა და დასვენებას, რეჟიმის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

27.4 სასჯელადსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელობა მსგავს ღონისძიებებს ხელს უნდა უწყობდეს შესაბამისი აღჭურვილობისა თუ ბაზის უზრუნველყოფით.

27.5 დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მოაგვაროს სპეციალური ღონისძიებების ორგანიზების საკითხები იმ პატიმართათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ.

27.6 დასვენების საშუალებები, მათ შორის სპორტი, თამაშები, კულტურული ღონისძიებები, ჰობი და თავისუფალი დროის გატარების სხვა ხერხები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს და პატიმრებს მათი ორგანიზების შესაძლებლობა შეძლებისდაგვარად მიეცეთ.

27.7 პატიმრებს, ვარჯიშის დროს და სარეკრეაციო ღონისძიებებში მონაწილეობისას, ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ,...

29.2 ციხეების რეჟიმი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლებისდაგვარად, საშუალება მისცეს პატიმრებს, დაიკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნები, დესწრონ რელიგიის და სარწმუნოების აკრედიტებული წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ ღვთისმსახურებას და შეხვედრებს; კერძოდ, შეხვდნენ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლებს და საკუთრებაში იქონიონ თავის რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული ლიტერატურა ან წიგნები.

...

37.1 უცხო ქვეყნის მოქალაქე პატიმრებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოთ, რომ აქვთ უფლება, მოითხოვონ კონტაქტი და სათანადო საშუალებები თავიანთი სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლებთან.

37.2 პატიმრები, რომლებიც არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, რომელსაც არ გააჩნია აღნიშნულ სახელმწიფოში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, ან არიან დევნილები, ან მოქალაქეობის არმქონე პირები, უნდა იქნენ უზრუნველყოფილი მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებით იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან დასაკავშირებლად, რომელიც იცავს მათ ინტერესებს, ან ეროვნულ, ან საერთაშორისო ხელმძღვანელობასთან, რომლის ამოცანა ასეთი კატეგორიის პირების ინტერესების დაცვაა.

...

39. ციხის ხელმძღვანელობამ მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პატიმრების ჯანმრთელობა უნდა დაიცვას.

...

40.1 ციხეში სამედიცინო სამსახური სახელმწიფოს ან საზოგადოების ზოგადი ჯანდაცვის ადმინისტრაციასთან ახლო თანამშრომლობით უნდა იყოს ორგანიზებული.

...

40.4 ციხეში სამედიცინო სამსახურები უნდა ცდილობდნენ გამოიკვლიონ და უმკურნალონ ფიზიკურ და ფსიქიკურ დაავადებებს ან დეფექტებს, რომელიც პატიმრებს აწუხებთ.

40.5 პატიმრებს უნდა გაეწიოს ყველა საჭირო სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება, მათ შორის ისეთიც, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფარგლებში ტარდება.

...

43.2 მედიცინის მუშაკი ან კვალიფიციური მედდა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს იმ პატიმართა ჯანმრთელობას, რომლებიც სამარტო პატიმრობაში იმყოფებიან. ასეთ პატიმრებს ყოველდღე უნდა ნახულობდეს, უწევდეს მათ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და მკურნალობას მათივე ან ციხის თანამშრომელთა თხოვნით.

43.3 თუ ექიმი მიიჩნევს, რომ პატიმრის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა სერიოზულ რისკს ექვემდებარება პატიმრობის გაგრძელების ან მისი რომელიმე პირობის გამო, სამარტო პატიმრობის ჩათვლით, ამის შესახებ ციხის დირექტორს უნდა აცნობოს.

...

51.1 ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისათვის.

51.2 უშიშროება, რომელიც დაცულია ფიზიკური ბარიერებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით, განმტკიცებული უნდა იყოს დინამიური უსაფრთხოების მეშვეობით,

რომელსაც უზრუნველყოფს პერსონალი, ვინც მათ კონტროლს ქვეშ მყოფ პატიმრებს კარგად იცნობს.

51.3 პატიმართა მიღებიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა მოხდეს შეფასება, რათა განისაზღვროს:

- ა. რისკი, რომელსაც, გაქცევის შემთხვევაში, ისინი საზოგადოებისათვის წარმოადგენენ;
- ბ. რისკი იმისა, რომ ისინი გაქცევას შეეცდებიან ან დამოუკიდებლად, ან – გარეშეთა დახმარებით.

51.4 ამიტომ, ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროებისპირობებში, რომელიც სათანადო რისკის დონეს შეესაბამება.

51.5 საჭირო უშიშროების დონე, რეგულარული ინტერვალებით, პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში უნდა გადაისინჯოს.

### **უსაფრთხოება**

52.1 პატიმრის მიღებიდან შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, უნდა შეფასდეს და განისაზღვროს, უქმნის თუ არა საფრთხეს იგი სხვა პატიმართა, ასევე ციხის პერსონალის ან ამ დაწესებულებაში მომუშავე ან ვიზიტად მყოფი პირების უსაფრთხოებას, ან რამდენადაა მოსალოდნელი, თვითდაზიანება მიიყენოს.

52.2 უნდა არსებობდეს და მოქმედებდეს პროცედურები, რომლებიც პატიმართა, ციხის პერსონალის და ყველა ვიზიტორის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რათა ძალადობის რისკი ან უსაფრთხოების ხელმყოფი სხვა ინციდენტები მინიმუმამდე შემცირდეს.

...

53.1 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება გამოიყენებოდეს.

53.2 დაწესებულებაში უნდა არსებობდეს პროცედურები, რომელიც ნებისმიერი პატიმრის მიმართ, უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში, დაცული უნდა იქნას.

53.3 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიების ხასიათი, ხანგრძლივობა და საფუძველი, რომლის გამოც შეიძლება იქნას გამოყენებული სპეციალური ზომები, ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება.

53.4 უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებების გამოყენება თითოეულ შემთხვევაში ნებადართული უნდა იყოს შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ, დროის განსაზღვრული პერიოდისათვის.

53.5 ნებისმიერი გადაწყვეტილება 53.4 წესში აღნიშნული დროის გაგრძელების შესახებ შესაბამისი კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ უნდა იყოს დადასტურებული.

53.6 პატიმრების მიმართ უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალურად და არა – ჯგუფურად.

53.7 ნებისმიერი პატიმარი, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ასეთი სახის ღონისძიება, საჩივრის უფლებით უნდა სარგებლობდეს, რომელიც მოცემულია 70-ე წესში.

...

70.1 პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, საჩივრით ან მოთხოვნით მიმართონ ციხის დირექტორს, ან სხვა კომპეტენტურ ორგანოს.

...

70.3 თუ მოთხოვნა ან საჩივარი უარყოფილი იქნა, პატიმარს მიზეზები უნდა განემარტოს და შესაძლებლობა მიეცეს, საჩივრით დამოუკიდებელ ორგანოს მიმართოს.

**2. ამონარიდი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ბატონ ალვარო ჯილ-რაბლესის მოხსენებიდან საფრანგეთში ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის შესახებ, 2005 წლის 5 – 21 სექტემბერში საფრანგეთში ვიზიტის შედეგები (გამოქვეყნდა 2006 წლის 15 თებერვლს)**

123. ... ამავე დროს, სხვა ადმინისტრაციული პროცედურა, რომლის განხორციელება მთლიანად სასჯელაღსრულების დაწესებულების კომპეტენციშია, მთლიანად არატრანსპარენტულია და საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან სასწრაფო მოქმედებას საჭიროებს. ეს არის პროცედურა სამარტო პატიმრობის შესახებ.

124. როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებას ეწვევი, კონკრეტულად კი დისციპლინურ ბლოკებს, ჩვეულებრივ, აქვე არსებობს სამარტო პატიმრობის ბლოკი. ეს ბლოკი ყველა დაწესებულებაშია. კანონმდებლობის თანახმად, უსაფრთხოებისა და პრევენციული ზომებიდან გამომდინარე, სამარტო პატიმრობაში გადასვლა ნებისმიერ პატიმარს თავისი მოთხოვნით შეუძლია (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი D. 283-1). ცალკეულ შემთხვევაში, სასჯელის მოხდის ეს რეჟიმი გამოიყენება სხვა პატიმრებისგან ისეთი პატიმრების გამოცალკევების მიზნით, რომლებიც არადისციპლინირებული და არეულობის მოთავეები არიან, დისციპლინური დარღვევის ჩადენის გარეშე.

125. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამარტო პატიმრობა არ არის დისციპლინური ღონისძიება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი D.283-2). სამარტო პატიმრობაში მყოფი პირები სასჯელის მოხდის საერთო რეჟიმს უნდა დაექვემდებარონ. ამისდა მიუხედავად, მათ სხვა მსჯავრდებულებთან კონტაქტი არ უნდა იქონონ, გარდა დაწესებულების ექიმის საგანგებო გადაწყვეტილებისა, რომ სამარტო პატიმრობაში მყოფ სხვა პირებთან ერთად ერთჯერად საქმიანობაში მიიღოს მონაწილეობა. სამარტო პატიმრობაში მყოფი პირები დაწესებულების შიგნით იმგვარად მოძრაობენ, რომ ერთმანეთს არ ხვდებიან. რამდენიმე დაწესებულებაში სამარტო პატიმრობაში მყოფი პირები შეიძლება საკნიდან გაუსვლელად დაკავებული იყვნენ შემოსავლიანი საქმიანობით. ჩვეულებრივ, მათთვის ხელმიუწვდომელია რაიმე სახის შემოსავლიანი საქმიანობა და მთლიანად დამოკიდებული არიან იმ სახსრებზე, რასაც გარედან უზრუნველნიან. ამისდა მიუხედავად, სამარტო პატიმრობაში მყოფი პირი, ჩვეულებრივ, პაემნებითა და მიმოწერით უნდა სარგებლობდეს.

126. ამასთანავე, არსებობს სამარტო პატიმრობის მკაცრი რეჟიმი იმ პატიმრებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით საშიშად ითვლებიან, “ორგანიზებულ დანაშაულსა და ტერორისტულ მოძრაობაში მონაწილეობის ან კრიმინალური წარსულის გამო”. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის გადასაწყვეტია, ამ კატეგორიაში სამარტო პატიმრობაში მყოფი რომელი პირი უნდა მოხვდეს. ისინი

უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს ექვემდებარებიან. ზოგიერთი მათგანი თითქმის ყოველ ექვს თვეში ერთი დაწესებულებიდან მეორეში რეგულარულად გადაჰყავთ. ისინი სამარტო პატიმრობაში მუდმივად რჩებიან და სხვა კატეგორიის მსჯავრდებულებს არასოდეს უერთდებიან.

127. სამარტო პატიმრობას, როგორც წესი, დაწესებულების დირექტორი აწესებს. ის ასევე შეიძლება დააწესოს გამომძიებელმა მოსამართლემ, სასამართლო გამოძიების პროცესში. მჯერად, მინდა დაწვრილებით შევჩერდე იმ ადმინისტრაციულ პროცედურებზე, რაც დაწესებულების დირექტორის პასუხისმგებლობას განეკუთვნება, რადგან მიმაჩნია, რომ ეს უშუალო კავშირშია მთელ რიგ საკითხებთან, მათ შორის, სამარტო პატიმრობაში მყოფი პირების ფუნდამენტური უფლებების დარღვევასთან.

128. მსჯავრდებულებთან, ადვოკატებთან, დაწესებულების ადმინისტრაციისა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების შემდეგ დავასკვნებ, რომ პირის სამარტო პატიმრობაში მოთავსების პროცედურა ერთპიროვნულად დამოკიდებულია სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორის ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაზე. არ არსებობს არანაირი ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებს ამ პროცედურას და დაიცავს აღნიშნულ პირთა უფლებებს, კერძოდ, სასამართლოს უფლებისა და ადვოკატის დახმარების უზრუნველყოფით.

129. პრინციპში, არსებობს ზოგადი წესები, რომლებიც ამ საკითხს აწესრიგებენ. ეს არის 24-ე მუხლი 2000 წლის 12 აპრილის კანონიდან “ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას მოქალაქის უფლებების შესახებ”. ამ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა, რომელიც აპირებს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გამოტანას ცალკეულ მოქალაქესთან მიმართებაში, ამის შესახებ წერილობით წინასწარ უნდა შეატყობინოს ამ მოქალაქეს და ამ პროცედურის საფუძვლები დააკონკრეტოს. აღნიშნულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება, წერილობით ან, სურვილის შემთხვევაში, ზეპირად წარადგინოს შენიშვნები. ასევე უფლება აქვს ადვოკატის ან წარმომადგენლის მხრიდან დახმარებაზე. მისთვის ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი საქმის მასალები.

130. აშკარაა, რომ ამ დებულების მოქმედება უნდა ვრცელდებოდეს გადაწყვეტილებაზე პირის სამარტო პატიმრობაში მოთავსების შესახებ. ამისდა მიუხედავად, ჩვენ განგვიმარტეს, რომ კანონის ეს წესი სამარტო პატიმრობაზე არ ვრცელდება. ამის გამო დაწესებულების დირექტორი სამარტო პატიმრობის დაწესებასთან დაკავშირებით დისკრეციულ უფლებამოსილებას ინარჩუნებს.

131. როგორც საუბრებიდან შევიტყვევთ, ამჟამად სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებს, როგორც წესი, უშუალოდ სამარტო პატიმრობის შეფარდების შესახებ წინადადების გამოცხადების წინ აცნობებენ. მათ განკარგულებაში, როგორც წესი, ერთი საათია, რომ საკუთარი შენიშვნები ყოველგვარი იურიდიული დახმარების გარეშე მოამზადონ. მიმაჩნია, რომ, ამ შემთხვევაში, ეს პროცედურა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) რეკომენდაციებს ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, აღნიშნული პროცედურის წმინდა ადმინისტრაციული და არაკონკურენტული ხასიათი უადრესად ზრდის პატიმრის უფლებების დარღვევის საფრთხის ზრდას. ამიტომაც მიმაჩნია, რომ აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, აღნიშნული პროცედურის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

132. გარდა ამისა, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სამარტო პატიმრობა შეიძლება დაწესდეს განუსაზღვრელი ვადით, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მას ზიანი მოაქვს პატიმრის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. დაწესებულების დირექტორის მიერ სამარტო პატიმრობა თავდაპირველად წესდება ვადით სამ თვემდე. ის გრძელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასჯელის აღსრულების კომიტეტს წარედგინება მოხსენება და სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეგიონული დირექტორი შესაბამის გადაწყვეტილებას გამოსცემს. გამონაკლის შემთხვევებში, სამარტო პატიმრობა შეიძლება გაგრძელდეს ერთი წლის შემდეგ, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, დაწესებულების დირექტორი ადგენს საქმის მასალებს, რაც, სხვათა შორის, დაწესებულების ექიმისა და სასჯელის აღსრულების კომიტეტის დასკვნებს მოიცავს. მინისტრის კომპეტენციას განეკუთვნება ყოველი სამი თვის შემდეგ ღონისძიების გაგრძელება, იმავე პროცედურის შესაბამისად.

133. როგორც უკვე დავინახეთ, ეს პროცედურა მთლიანად ადმინისტრაციული ხასიათისაა. ამჟამად სასამართლოს არანაირი მონაწილეობა არ არსებობს. და მაინც, ეს არის განსაკუთრებით მკაცრი ღონისძიება, რადგან, თუმცა სასჯელის სახედ არ ითვლება, სამარტო პატიმრობის რეჟიმი მნიშვნელოვან შეზღუდვებს აწესებს პატიმრის უფლებებთან მიმართებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ფსიქოლოგიურ შედეგებზე. ვიზიტის განმავლობაში მომეცა შესაძლებლობა, სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებს გავსაუბრებოდი. ზოგიერთი მათგანი ჩოდა ცხოვრების პირობების სიმკაცრის გამო. მათი განმარტებით, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ზოგჯერ ერთი წლის მანძილზე, ვინმესთან კომუნიკაციის არქონა ძნელი ასატანია. სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებს ეფექტური ადმინისტრაციული საშუალებები არ გააჩნიათ და უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამარტო პატიმრობა შენიღბული დისციპლინური სასჯელია. ვიზიტის დროს მე შევხვდი მსჯავრდებულებს, რომლებიც რამდენიმე წელიწადია, რაც სამარტო პატიმრობაში იმყოფებიან.

134. ძნელია არ დაეთანხმოთ მათ, როდესაც აღმოაჩნთ ზოგიერთ შეზღუდვას, რაც სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებს ეკისრებათ. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელის მოხდის სამარტო პატიმრობის რეჟიმის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ ამგვარ პატიმარს არ უნდა ჰქონდეს კონტაქტები სხვა მსჯავრდებულებთან, შეუძლებელია მათთვის იმ უფლებების განხორციელება, რაც ყველა პატიმარს აქვს მინიჭებული და დისციპლინური სასჯელის შემთხვევაში არ გამოიყენება. იგივე ხდება სამარტო პატიმრობის შემთხვევაშიც. მაგალითად, ბიბლიოთეკისა და სპორტული დარბაზის გამოყენების შემთხვევაში ზომების მიღებაა საჭირო, რომ ამ ადგილებში. სხვა არავინ მოხვდეს. როგორც ვიცით, გადატვირთულობის გამო რთულია, უზრუნველყო, რომ ჩვეულებრივი მსჯავრდებულები ამ ადგილებში არ მოხვდნენ. უმრავლესობა ჩოდა, რომ ამ მიზეზის გამო ისინი ვერ ახორციელებენ იმ უფლებებს, რაც მათ, ჩვეულებრივად, ეკუთვნით. იგივე ვითარებაა შემოსავლიან შრომით საქმიანობაში მონაწილეობის შემთხვევაში. თეორიულად, სამარტო პატიმრობაში მყოფი პირებს ამისი უფლება აქვთ, მაგრამ პრაქტიკაში ამისი კეთების უფლება მხოლოდ საკნიდან გაუსვლელად აქვთ, რაც ძალიან პრობლემურია, ზოგადად, სამუშაო ადგილების სიმცირის გამო.

135. და ბოლოს, ამ კატეგორიის მსჯავრდებულები იმავე სავარჯიშო მოედნებს იყენებენ, რაც ჩვეულებრივ დისციპლინარულ ბლოკებში მყოფი მსჯავრდებულთათვის არის განკუთვნილი. ჩვენ სავარჯიშო მოედანი ფლერი-მეროგის დაწესებულებაში მოვინახულეთ. ის დაწესებულების შენობის სახურავზეა მოწყობილი, შემოზღუდულია ბეტონის კედლებით ყველა მხრიდან და დახურულია მავ-

თულხლართებით. იგი ისეთი პატარაა, რომ უფრო ღია ოთახია, ვიდრე – სხვა რამე.

136. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ ვსაუბრობთ იმ მსჯავრდებულებზე, რომლებსაც დისციპლინური სასჯელი არ დაკისრებიათ. ამას გარდა, ის გარემოება, რომ პიროვნებას ჩამორთმეული აქვს ის უფლებები, რაც მინიჭებული აქვს ყველა პატიმარს, არის ადმინისტრაციული გადაწყვეტილების შედეგი, რომლის გასაჩივრება რთულია. ამიტომაც მოვუწოდებ საფრანგეთის მთავრობას, სამართლო პატიმრობის პირობების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სასწრაფო ზომები მიიღოს. მიმაჩნია, რომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების მიღება სამართლო პატიმრობის პროცედურების მოწესრიგების მიზნით. დისციპლინური სასჯელისათვის უკვე არსებული კონკურენტული სისტემა უნდა შეიქმნას სამართლო პატიმრობის პროცედურისთვისაც. და ბოლოს, ვფიქრობ, რომ სამართლებრივი ნამდვილობის პრინციპთან შესაბამისობაში მოსაყვანად, საჭიროა, რომ სასამართლო ორგანოს პროცედურაში მონაწილეობის საშუალება მიეცეს.

137. ამას გარდა, საკანონმდებლო ცვლილებების გატარებამდე, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფმა პირებმა ორგანიზებულ საქმიანობებში მონაწილეობა მიიღონ: კერძოდ, შრომით საქმიანობაში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. სეირნობა და ღია ეზოში სპორტული ღონისძიებები უნდა მოეწყოს სასწრაფოდ შესაფერის ადგილებში, რომელიც გათვალისწინებულია ყველა მსჯავრდებულისათვის და არა მხოლოდ – დისციპლინური სასჯელდადებული პატიმრებისათვის. ამ საქმიანობებისგან მსჯავრდებულის ჩამოშორება შეუფარული სასჯელის ეკვივალენტურია. ამგვარი ცვლილებების მიღება იმ ერთობ მძიმე ატმოსფეროს შეამსუბუქებს, რაც მე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში აღმოვაჩინე.

...

## **კანონმდებლობა**

### **I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

86. განმცხადებელი თავდაპირველად ჩიოდა, რომ მისთვის სამართლო პატიმრობის გაგრძელება, 1994 წლის 15 აგვისტოდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე და 2004 წლის 18 მარტიდან 2006 წლის 6 იანვრამდე, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას და, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

მე-3 მუხლში წერია:

“არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის მსხვერპლი”.

#### **ა. პალატის გადაწყვეტილება**

87. პალატამ გადაწყვიტა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მან დაადგინა, რომ განმცხადებელი სრულ სენსორულ თუ სოციალურ იზოლაციაში არ იმყოფებოდა. დამნაშავის პიროვნებისა და იმ განსაკუთრებული საფრთხის გათვალისწინებით, რასაც იგი წარმოადგენდა, პალატამ დაადგინა, რომ პირობებმა, რომელშიც იგი იმყოფებოდა და სამართლო პატიმრობაში გატარებული დროის ხანგრძლივობამ არ მიაღწია სიმკაცრის იმ მინიმალურ დონეს, რომ შეადგენდეს არაადამიანურ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

## ბ. მხართა არგუმენტები

### 1. განმცხადებელი

88. განმცხადებელმა გაასაჩივრა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მისი მტკიცებით, პალატა შეცდა, როდესაც, *prima facie*-ს მტკიცებულებების გარეშე, დაეთანხმა მთავრობის განცხადებას, რომ მის მიერ მსჯავრდებულების გადამიხილების ან გაქცევის დაგეგმვის საფრთხე არსებობდა. საჩივარში იგი აცხადებდა, რომ შეუძლებელია იმისი მტკიცება, რომ სამართლო პატიმრობამ რაიმენაირად შეაფერხა ამგვარი ქმედება, ისევე, როგორც შეუძლებელია რაიმე დასკვნის გამოტანა იმ პერიოდთან, როდესაც იგი სამართლო პატიმრობაში არ იმყოფებოდა.

89. იგი ასევე მიიჩნევდა, რომ მთავრობის მხრიდან რაიმე კონკრეტული მტკიცებულებების უქონლობის გამო, პალატას არ უნდა მიეღო მხედველობაში მისი “ხასიათი” ან “განსაკუთრებით საშიში პიროვნება”, რასაც მთავრობა მის “აბსტრაქტულ” დახასიათებას სისტემატურად ამბობდა, განმცხადებლის სამართლო პატიმრობაში მოთავსების მიზნით. ანალოგიურად, მითითება სხვა მსჯავრდებულებზე მის სავარაუდო გაბატონებაზე მიუთითებს, რომ საფუძვლები, რის გამოც იგი ჰყავდათ სამართლო პატიმრობაში, ფიქტიური იყო.

90. მის საჩივარში იგი აღნიშნავდა, რომ სამართლო პატიმრობის სისტემატური განახლება გაგრძელდა ისეთი ხანძრძლივობით, რაც ეწინააღმდეგება წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) რეკომენდაციებსა და იმ ვალდებულებებს, რაც მთავრობამ წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 1996 წლის ვიზიტის შემდეგ იკისრა.

გარდა ამისა, იგი არასოდეს ყოფილა მსჯავრდებული ტერორიზმის ბრალდებით და, კონვენციის მუხლი 6.2-ის შესაბამისად, ამ საკითხთან მიმართებაში უდანაშაულობის პრეზუმფციით სარგებლობდა.

91. რაც შეეხება დაწესებულებაში ცხოვრების პირობებს, მისი განცხადებით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მკაცრი აკრძალვა, დაწესებულების თანამშრომელთა ჩათვლით, მისი ტოტალური სოციალური იზოლაციით დასრულდა. მას ფრანგული ენის შესწავლის ნება არ დართეს და მისი ოჯახის არც ერთ წევრს ოფიციალურად არ აცნობეს მისი დაპატიმრებისა და ადგილმდებარეობის შესახებ. მისი განცხადებით, გამოძიების მასალებიდან ჩანდა, რომ სწორედ საფრანგეთის ხელისუფლების სურვილი იყო, დაეპატიმრებინა მისი ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელიც საფრანგეთში ჩავიდოდა.

რაც შეეხება სასულიერო პირის ვიზიტს, განმცხადებლის სიტყვებით, თავდაპირველად ამისი ნება დართეს, შემდგომში ამ ვიზიტების უფლება მხოლოდ თვეში ერთხელ ჰქონდა. მან მიუთითა, რომ დიპლომატიურ წარმომადგენელთა ვიზიტი მათი იურიდიული უფლებაა და, რომ მისი მდგომარეობის შესახებ ვენესუელას ხელისუფლებას ბოლო დრომდე არ აცნობეს.

რაც შეეხება სანიტარულ პირობებს, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იგი შხაპს იღებდა იგივე ინტერვალებით, როგორც სხვა მსჯავრდებულები და საგანგებო რეჟიმი არ მოუთხოვია. იგი აიძულეს, ადარ ევლო კარდიო-სავარჯიშო ოთახში მას შემდეგ, რაც თავს დაესხნენ, თუმცა არ დაუზუსტებია, თუ ვინ იყო თავდამსხმელი.

92. მისი ადვოკატების ვიზიტი იყო არა სოციალური ვიზიტი, არამედ დაცვის უფლების განხორციელების შემადგენელი ნაწილი. მან განაცხადა, რომ პალატა შეცდა, როდესაც დაეთანხმა, რომ ამ ვიზიტებმა მისი იზოლაცია შეამცირა და აქვე

ისიც დაამატა, რომ მრავალი შემთხვევა იყო, როდესაც მის ადვოკატებს მასთან ვიზიტის განხორციელებისას აფერხებდნენ. ამტკიცებდა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი სიიდან ერთ-ერთი ადვოკატი მისი წარმომადგენელი არ ყოფილა. მან წარმოადგინა 58 ადვოკატის სია, რომელთაც განხორციელებს 860-ზე მეტი ვიზიტი – 1994 წლის 16 აგვისტოდან 2002 წლის 29 აპრილის ჩათვლით.

პარიზის ლა სანტეს დაწესებულებაში ყოფნისას ადვოკატების ვიზიტი ნებისმიერი სისწიერით ხორციელდებოდა. სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემდეგ ამგვარი ვიზიტები ძალიან შემცირდა, მანძილის გამო. 2002 წლის ოქტომბრიდან ადვოკატების ვიზიტს.

კვირაში ერთხელ ღებულობდა.

93. განმცხადებელმა მიუთითა, რომ თუმცა 1998 წლის 8 დეკემბრის ცირკულარის თანახმად (რომელსაც დიდი პალატა დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღებისას) სამედიცინო დასკვნა აუცილებელია სამარტო პატიმრობის გაგრძელების წინ, მთავრობას არ მოუტანია მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება როდისმე ჩატარებულა.

94. განმცხადებელმა დაამატა, რომ მისი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის ბრწყინვალე მდგომარეობა განპირობებული იყო მისი ძლიერი ხასიათით და მცდელობით, ფსიქიკური ბალანსი შეენარჩუნებინა.

95. ამისდა მიუხედავად, ძილის ციკლის დარღვევას მისი ჯანმრთელობისთვის მავნე შედეგი ჰქონდა, რაც გამოწვეული იყო ზედამხედველთა მიერ საათობრივი ინტერვალით შუადამიდან დილის 6 საათამდე, მისი ხმაურით გაღვიძებით. დაწესებულებაში არსებული პირობების გამო, იგი ასევე იტანჯებოდა პერიოდული რესპირატორული და კანის ალერგიით.

96. მისმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ 2004 წლის იანვარში მსჯავრდებულს აღმოაჩნდა დიაბეტი – ავადმყოფობა, რომელიც მანამდე არ აწუხებდა. მან აგრეთვე განაცხადა, რომ განმცხადებელმა წონაში 20 კილოგრამით დაიკლო, 2004 წლის მარტიდან დეკემბრამდე.

## 2. მთავრობა

97. მთავრობა მიესალმება და იწონებს დიდი პალატის გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის სამარტო პატიმრობაში ყოფნა კონვენციის მე-3 მუხლს არ არღვევს.

98. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებლის სასჯელის მოხდის რეჟიმი სრულიად განსაკუთრებული იყო და იმ გარემოებიდან გამომდინარეობდა, რომ, საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი იყო რა ტერორისტული აქტების ჩამდენად, არსებობდა იმისი საფრთხე, რომ იგი სერიოზულად დაარღვევდა დაწესებულებაში დადგენილ წესრიგსა და რეჟიმს არა მხოლოდ მსჯავრდებულთა გადაბირებით, არამედ – გაქცევის დაგეგმვითაც კი.

99. ნებისმიერ შემთხვევაში, ლა სანტეს დაწესებულებაში სასჯელის მოხდის სამარტო პატიმრობის რეჟიმი საერთო რეჟიმის პირობებს მკაცრად მიჰყვება. ერთადერთი შეზღუდვა არის ის, რომ სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებს ერთმანეთთან შეხვედრის უფლება არ აქვთ.

100. რაც შეეხება მე-11 და მე-12 პუნქტებში მოყვანილ ფაქტებს, მთავრობა აცხადებს, რომ განმცხადებლის დაწესებულებაში ყოფნის პირობები კონვენციის მე-3 მუხლს არ ეწინააღმდეგება.

101. რაც შეეხება პაემნებს, მთავრობამ განმარტა, რომ განმცხადებელი 2000 წლის 30 იანვრამდე ბრალდებული იყო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, პაემნის ნების დართვის უფლებამოსილება მხოლოდ გამომძიებელ მოსამართლეს აქვს. როგორც კი განმცხადებელს საბოლოოდ დაედო მსჯავრი 2000 წლის 30 იანვარს, პაემნის ნების დართვის უფლებამოსილება დაწესებულების დირექტორის კომპეტენციაში მოექცა.

102. განმცხადებლის ოჯახის წევრებს, რომლებიც არ ცხოვრობენ საფრანგეთში, მასთან კონტაქტი არასოდეს ჰქონიათ.

უფრო მეტიც, როდესაც იგი მოისურვებდა, განმცხადებელს სასულიერო პირთან შეხვედრის უფლება ჰქონდა და რეგულარული შეხვედრები ჰქონდა საკონსულოს წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით კი – ვენესუელის საელჩოს წარმომადგენლებთან.

103. მთავრობამ დაამატა, რომ განმცხადებელს საკმაოდ ხშირი შეხვედრები ჰქონდა მის ადვოკატთან, რომელიც მისი საცოლვე და, ბოლოს, მეუღლე გახდა, ისლამური წესების თანახმად. ადვოკატმა იგი ოთხი წლისა და ათი თვის მანძილზე 640-ჯერ მოინახულა (იხილეთ მე-14 პუნქტი). ადვოკატთან შეხვედრა სპეციალურ საკონფერენციო ოთახში ეწყობოდა ადვოკატსა და მის კლიენტს შორის, ყოველგვარი ბარიერის გარეშე.

დაბოლოს, იმისდა მიუხედავად, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა, ფრანგული ენის შემსწავლელ ჯგუფურ კურსებს დასწრებოდა, მას შესთავაზეს ინდივიდუალური კურსები, რაზეც ასევე უარი თქვა.

104. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1994 წლის 18 იანვრის კანონის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს გადაეცა და ყველა პატიმრისათვის ხელმისაწვდომია.

105. გარდა ნებისმიერი სახის კონსულტაციისა, რაც გაეწევა პატიმრის ან დაწესებულების პერსონალის მოთხოვნისთანავე, სამედიცინო მომსახურება სავალდებულო სამედიცინო შემოწმებას მოიცავდა (დაწესებულებაში ახალი პატიმრის შემოსვლისთანავე ან პატიმრებს დისციპლინურ განყოფილებაში). სამართლო პატიმრობაში მყოფ პატიმრებს ექიმი სისტემატურად, კვირაში ორჯერ ამოწმებდა.

ექიმებსა და მსჯავრდებულებებს შორის ურთიერთობაზე სამედიცინო კონფიდენციალურობა ვრცელდება. შესაბამისად, მთავრობის მიერ მოწოდებული სამედიცინო ინფორმაცია არის არაკონფიდენციალური და განმცხადებლის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელმა ექიმებმა საფრანგეთის ხელისუფლებას მიაწოდეს.

106. განმცხადებელმა ამბულატორული კონსულტაციისა და მკურნალობის განყოფილების სტომატოლოგსა და ოფთალმოლოგს მიმართა. მას არასოდეს დაუწივლია, რომ მხედველობის დაქვეითება სამართლო პატიმრობის შედეგი ყოფილიყოს.

ფსიქიატრიული თვალსაზრისით, მედიკოსთა ჯგუფს განმცხადებლის რვაწლიანი სამართლო პატიმრობის მანძილზე რაიმე ფსიქიკური დარღვევა არასოდეს დაუფიქსირებია. თავად განმცხადებელი კი ამბობდა, რომ ფსიქიკურად თავს კარგად გრძნობდა.

107. სამედიცინო დასკვნებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი გაცემა რეგულარულად, სამართლო პატიმრობის ყოველი განახლებისას, ხდებოდა და, რომ ექიმებს რაიმე წინააღმდეგობა ღონისძიებასთან არ დაუფიქსირებიათ.

108. სამედიცინო დასკვნის დიდი უმრავლესობა, რომელიც გაცემულია 1994 წლის აგვისტოდან 2000 წლის ივლისამდე, ნათლად მიუთითებენ, რომ სამარტო პატიმრობა განმცხადებლის ჯანმრთელობის შერყევას არ გამოიწვევს. ბევრ შემთხვევაში სამედიცინო დასკვნას ხელს სხვადასხვა ექიმები აწერენ. და ბოლოს, 2000 წლის 13 ივლისის დასკვნა ამატებს კიდევ, რომ განმცხადებელი “არის საოცრად კარგ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაში ექვსი წლის სამარტო პატიმრობის შემდეგ”.

109. რაც შეეხება 2000 წლის ივლისიდან 2002 წლის სექტემბრამდე პერიოდს, მთავრობა არ უარყოფს, რომ ზოგიერთ სამედიცინო დასკვნაში აღნიშნულია: რომ ხანგრძლივმა სამარტო პირობებმა შესაძლოა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს. ამისდა მიუხედავად, არც ერთ სამედიცინო დასკვნაში არ არის დადგენილი, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობისთვის სამარტო პატიმრობას რაიმე კონკრეტული ზიანი მიეყენებინოს. 2001 წლის 20 სექტემბრის სამედიცინო დასკვნაში აღნიშნულია, რომ განმცხადებლის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა სრულიად დამაკმაყოფილებელია შვიდი წლის სამარტო პატიმრობის შემდეგ. უფრო გვიანდელ დასკვნაში კი, რომელიც 2002 წლის 29 ივლისით თარიღდება, იგივე ექიმი წერს, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბრწყინვალეა. იგი ასევე წერს, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა რეგიონული სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურის ფსიქოლოგის კონსულტაციაზე, რადგან იგი ფსიქოლოგის დახმარებას საჭიროდ არ თვლიდა.

110. მთავრობა უარყოფს, რომ განმცხადებელს ვინმე აღვიძებდა საათობრივი ინტერვალით მთელი დამის განმავლობაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის D. 270-ე და D. 272-ე მუხლები აწესრიგებენ შემოვლას დამის საათებში და მთავრობის განცხადებით განმცხადებელი გადიოდა იგივე ზედამხედველობასა და შემოწმებას, რასაც სამარტო პატიმრობაში მყოფი სხვა პატიმრები. ასე რომ, მის შემთხვევაში არანაირი სპეციალური ინსტრუქციები არ გაცემულა. კერძოდ, როდესაც დამის შემოვლას ახორციელებენ, ზედამხედველებს არ ევალებათ საკნის გაღება, თუ არ არსებობს სათანადო მიზეზი ან გარდაუვალი საშიშროება. ამიტომაც განმცხადებელს არ შეუძლია ამტკიცოს, რომ დამის საათებში, ყოველ ერთ საათში, მას ხმაურით აღვიძებდნენ. უფრო სავარაუდოა, რომ ზედამხედველები მის საკანს ფანრით ხანმოკლედ ანათებდნენ, რათა შეემოწმებინათ მისი იქ ყოფნა და თუ რას აკეთებდა. ამას გარდა, განმცხადებელს არასოდეს უჩივლია ადგილობრივ ხელისუფლებასთან დამის შემოწმებასთან დაკავშირებით, მაშინ როცა სამარტო პატიმრობაში ყოფნის პირობების შესახებ ბევრი საჩივარი დაწერა.

111. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მთავრობა ასკვნის, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობა სამარტო პატიმრობით არ შერყეულა და რომ დაწესებულებაში მისი ცხოვრების პირობებს არ მიუღწევია სიმკაცრის იმ მინიმალურ დონისთვის, რომ არღვევდეს კონვენციის მე-3 მუხლს, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) დასკვნის მიუხედავად, რომ საფრანგეთის სამარტო საკნებში პატიმართა და მსჯავრდებულთა ყოფნის პირობები არ არის დამაკმაყოფილებელი.

## **გ. სასამართლოს შეფასება**

112. სასამართლომ თავდაპირველად მხედველობაში უნდა მიიღოს პატიმრობის ვადა, რათა განაცხადი მე-3 მუხლის შესაბამისად შეისწავლოს. იგი მიუთითებს, რომ საქმე, რომელიც დიდ პალატას გადაეცა, პრინციპში, პალატის მიერ უკვე განხილული საქმის ყველა ასპექტს მოიცავს, რომლის იურისდიქციის ფარგლები შეზღუდულია პალატის მიერ მიღებული საქმის წარმოებაში მიღების გადაწყვეტილებით (იხ., *mutatis mutandis*, *K. and T. v. Finland* [GC], no. 25702/94, §§ 139-41, ECHR 2001-VII; *Kingsley v. the United Kingdom* [GC], no. 35605/97, § 34, ECHR 2002-IV; *Göç v. Turkey* [GC], no. 36590/97, §§

35-37, ECHR 2002-V; *Refah Partisi (the Welfare Party) and Others v. Turkey* [GC], nos. 41340/98, 41342/98, 41343/98 and 41344/98, ECHR 2003-II; and *Öcalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, ECHR 2005-IV). უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, გადაწყვეტილების წარმოებაში მიღების გადაწყვეტილების ფარგლებში, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ფაქტთან ან კანონთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქმის განხილვის პროცესში წარმოიშობა (იხილეთ, *uerra and Others v. Italy*, 19 February 1998, § 44, *Reports of Judgments and Decisions* 1998-I; *Chahal v. the United Kingdom*, 15 November 1996, § 86, *Reports* 1996-V; and *Ahmed v. Austria*, 17 December 1996, § 43, *Reports* 1996-VI).

113. წინამდებარე საქმეში განმცხადებლის სამართლო პატიმრობაში წყვეტა იყო 2002 წლის 17 ოქტომბრიდან 2004 წლის 18 მარტამდე, როდესაც იგი შატრუსთან მდებარე სენ-მორის საერთო რეჟიმის დაწესებულებაში წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. შემდეგ იგი სამართლო პატიმრობაში ფრესნეს, ფლერი-მეროჟის და ლა სანტეს დაწესებულებებში იმყოფებოდა. 2006 წლის 6 იანვრიდან იგი კლერვოს დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც მას სასჯელის მოხდის ნორმალური პირობები აღუდგინეს.

მხარეებმა არ წარმოადგინეს ინფორმაცია სამართლო პატიმრობაში ყოფნის იმ პირობების შესახებ, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა სხვადასხვა დაწესებულებებში გადაყვანისას 2004 წლის მარტიდან 2006 წლის იანვრამდე. განმცხადებელს ასევე, არსებითად, არასოდეს გაუსაჩივრებია სამართლო პატიმრობა, ვიდრე ეს 2003 წლის 30 ივლისს შესაძლებელი არ გახდა. კერძოდ, არსებითად არც ერთი სამართლებრივი საშუალება უკანასკნელ პერიოდამდე მას არ გამოუყენებია (2004 წლის მარტიდან 2006 წლის იანვრამდე), თუმცა ამის გაკეთება შეეძლო მას შემდეგ, რაც სამართლო პატიმრობაში დააბრუნეს. სასამართლო ამ საკითხს დაუბრუნდება, როდესაც საქმეს მე-13 მუხლის შესაბამისად განიხილავს.

114. ამ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პალატის ანალოგიურად, დიდი პალატაც საჭიროდ მიიჩნევს, რომ საქმის განხილვა შემოფარგლოს მხოლოდ იმ პირობების შესწავლით, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა 1994 წლის 15 აგვისტოდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე (შეადარე ცალან, ციტედ აბოვე, § 190).

### **1. მთავარი პინციპები**

115. კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას შეიცავს. ისეთ მძიმე ვითარებაშიც კი, როგორცაა ტერორიზმთან ან დანაშაულთან ბრძოლა, კონვენცია წამებას, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას კრძალავს.

116. თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოები რეალური სირთულის წინაშე დგანან მათი მოსახლეობის ტერორისტთა ძალადობისგან დაცვის საქმეში. კონვენციისა და №1 და №4 ოქმების ძირითადი დებულებებისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ უშვებს არანაირ გამონაკლისს და არანაირი დათქმა არის დაშვებული მე-15.2 მუხლის შესაბამისად, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც საზოგადოების უსაფრთხოებას საფრთხე ექმნება (იხილეთ *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 119, ECHR 2000-IV; *Selmouni v. France* [GC], no. 25803/94, § 95, ECHR 1999-V; and *Assenov and Others v. Bulgaria*, 28 October 1998, § 93, *Reports* 1998-VIII). კონვენცია კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელს მიუხედავად პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაულისა (იხ., *Chahal*, § 79). შესაბამისად, დანაშაულის ხასიათი, რომელიც სავარაუდოდ ჩაიდინა განმცხადებელმა, შეუსაბამოა მე-3 მუხლის მიზნებთან (იხ., *Indelicato v. Italy*, no. 31143/96, § 30, 18 October 2001).

117. “ცუდმა მოპყრობამ” სიმკაცრის მინიმალურ დონეს უნდა მიაღწიოს, რომ იგი მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცეს. ამ მინიმუმის განსაზღვრა დამოკიდებულია საქმის ისეთ გარემოებებზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები და, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხილეთ, მაგალითად, *Ireland v. the United Kingdom*, 18 January 1978, § 162, Series A no. 25). მტკიცებულებების შეფასებისას, რასაც უნდა დაეფუძნოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით მე-3 მუხლის დარღვევას ჰქონდა თუ არა ადგილი, სასამართლომ უნდა მიიღოს “მტკიცებულება საფუძვლიანი ეჭვის გარეშე” (proof beyond a reasonable doubt). ამისდა მიუხედავად, ამგვარი მტკიცებულება შეიძლება საკმარისად ძლიერი, აშკარა და ერთსულოვანი დასკვნების ერთობლიობიდან გამომდინარეობდეს.

118. სასამართლო მოპყრობას თვლის “არაადამიანურად”, რადგან, *inter alia*, ის იყო წინასწარ განზრახული, გამოიყენებოდა უწყვეტლივ, ხანგრძლივად და რეალურად იწვევდა სხეულის დაზიანებას და ინტენსიურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვას. სასამართლო მოპყრობას აძლევს “დამამცირებლის” კვალიფიკაციას, რადგან მსხვერპლში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების კომპლექსის განცდას იწვევდა (იხ., *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 92, ECHR 2000-XI). იმის განხილვისას, არის თუ არა სასჯელი ან მოპყრობა “დამამცირებელი” კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, სასამართლო მხედველობაში მიიღებს იმ გარემოებას, არის თუ არა სასჯელის მიზანი პიროვნების შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა, ხოლო რაც შეეხება შედეგებს, უარყოფითად იმოქმედა თუ არა ამგვარმა მოპყრობამ მის პიროვნებაზე კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ (იხ. აგრეთვე *Raninen v. Finland*, 16 December 1997, § 55, Reports 1997-VIII). ამისდა მიუხედავად, ნებისმიერი ამგვარი მიზნის არარსებობა, საბოლოოდ დასკვნას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის თაობაზე მაინც ვერ გამორიცხავს (იხ. აგრეთვე *Peers v. Greece*, no. 28524/95, § 74, ECHR 2001-III).

119. იმისათვის, რომ სასჯელი ან მასთან დაკავშირებული მოპყრობა მიჩნეულ იქნეს “არაადამიანურად” ან “დამამცირებლად”, ტანჯვა ან შეურაცხყოფა, ნებისმიერ შემთხვევაში, კანონით დადგენილ მოპყრობასა და სასჯელს ტანჯვისა და ღირსების შელახვის ნიშნებით უნდა აღემატებოდეს (იხ., *V. v. the United Kingdom* [GC], no. 24888/94, § 71, ECHR 1999-IX; *Indelicato*, cited above, § 32; *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, § 428, ECHR 2004-VII; and *Lorsé and Others v. the Netherlands*, no. 52750/99, § 62, 4 February 2003).

ამ კონტექსტში სასამართლო შენიშნავს, რომ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა ამ ნიშნებს ხშირად შეიძლება შეიცავდეს. და მაინც, კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, მთავრობამ უზრუნველყოს, რომ პატიმრები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფებოდნენ ადამიანის ღირსებისათვის შესაფერის პირობებში, და რომ სასჯელის აღსრულების მეთოდებმა და საშუალებებმა არ დაუქვემდებარონ ისინი სულიერ ტანჯვასა და წამებას იმაზე მეტად, ვიდრე ამას თავისუფლების აღკვეთა ისედაც იწვევს, ხოლო მათი ჯანმრთელობა შესაბამისად იყოს დაცული (იხ., *Kudła*, cited above, §§ 92-94, and *Kalashnikov v. Russia*, no. 47095/99, § 95, ECHR 2002-VI). სასამართლო დამატებით აცხადებს, რომ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად შესაბამისი ზომების გატარება აუცილებელია.

ამასთანავე, როდესაც პატიმრობაში ყოფნის პირობებს ვაფასებთ, მხედველობაში მისაღებია ამ პირობების საერთო ეფექტი, ასევე – განმცხადებლის მიერ გამოთქმული სავარაუდო ბრალდებები (იხილეთ *Dougoz v. Greece*, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II).

120. განმცხადებლის საჩივარი წინამდებარე საქმეში კონკრეტულად სამართლო პატიმრობაში გატარებული ვადის ხანგრძლივობას ეხება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ შემდეგი თვალსაზრისი გამოთქვა პატიმრობის ამ კონკრეტულ ასპექტზე საქმეზე *Ensslin, Baader and Raspe v. Germany* (nos. 7572/76, 7586/76 and 7587/76, 1978 წლის 8 ივლისის კომისიის გადაწყვეტილება, Decisions and Reports (DR) 14, p. 64):

“კომისია ამ ტიპის იზოლაციის საქმეებს უკვე რამდენჯერმე შეეხო (cf. Decisions on Applications No. 1392/62 v. FRG, Coll. 17, p. 1; No. 5006/71 v. UK, Coll. 39, p. 91; No. 2749/66 v. UK, Yearbook X, p. 382; No. 6038/73 v. FRG, Coll. 44, p. 155; No. 4448/70 “Second Greek Case” Coll. 34, p. 70). კომისია ასევე, რომ სამართლო პატიმრობა არასასურველია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წინასწარ პატიმრობაში იმყოფება (cf. Decision on Application No. 6038/73 v. FRG, Coll. 44, p. 151). ამისდა მიუხედავად, როდესაც ხდება იმისი განსაზღვრა, ამგვარი ღონისძიება შეიძლება თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცეს, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ კონკრეტულ პირობებს, როგორცაა, ღონისძიების სიმკაცრე, ხანგრძლივობა, მიზანი და თუ რაიმე მძიმე შედეგები მოჰყვა. სოციალურ იზოლაციასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სრულ სენსორული იზოლაციას უსათუოდ შეუძლია პიროვნების საბოლოო განადგურება; ამდენად, იგი არაადამიანური მოპყრობის ფორმას წარმოადგენს, რისი გამართლებაც უსაფრთხოების დაცვის მოტივით არ შეიძლება. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მოთხოვნა, რომელსაც კონვენციის მე-3 მუხლი შეიცავს, აბსოლუტურია თავისი ხასიათით (cf. the Report of the Commission on Application No. 5310/71, *Ireland v. the United Kingdom*; Opinion, p. 379)”.

121. საქმეში *Kröcher and Möller v. Switzerland* (no. 8463/78, Commission’s report of 16 December 1982, DR 34, p. 24), კომისიამ ასევე შეისწავლა სამართლო პატიმრობის ხანგრძლივობის საკითხი, რომელიც დაახლოებით ათ თვენახევარს გრძელდებოდა. კომისიამ აღნიშნა:

“რაც შეეხება მათი პატიმრობის ხანგრძლივობას წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, კომისია ასევე, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თითოეული ასეთი პერიოდი იყო საკმაოდ ხანმოკლე. რაც შეეხება იზოლაციის სპეციალურ ზომებს, რომელშიც განმცხადებლები იმყოფებოდნენ, არც ხანგრძლივობა, არც პირობების სიმკაცრე უსაფრთხოების ლეგიტიმურ მოთხოვნებს არ აღემატებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, განცხადებლის გარიყვა ციხის საზოგადოებისგან დიდ ხანს არ გაგრძელდებულა”.

122. უფრო გვიანდელ საქმესთან დაკავშირებით, კომისიამ გაიმეორა, რომ ხანგრძლივი სამართლო პატიმრობა არასასურველია (იხ., *Natoli v. Italy*, no. 26161/95, Commission decision of 18 May 1998, unreported).

123. ანალოგიურად, სასამართლომ თავის მხრივ დაადგინა გარემოებები, როდესაც თუნდაც ყველაზე საშიში პატიმრის სამართლო პატიმრობა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას (ზოგიერთ შემთხვევაში, წამებასაც) წარმოადგენს.

124. ანალოგიურად, *Ilaşcu and Others* საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა:

“რაც შეეხება განმცხადებლის სიკვდილმისჯითა საკანში ყოფნის პირობებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი ილაშკუ პატიმრობის რვა წლის განმავლობაში, 1993 წლიდან განთავისუფლებამდე – 2001 წლის მაისამდე, განსაკუთრებით მკაცრ იზოლაციაში იმყოფებოდა: მას არ ჰქონდა ურთიერთობა სხვა პატიმრებთან, არ გეგულობდა ახალ ამბებს გარესამყაროდან, რადგან მიმოწერის უფლება არ ჰქონდა, არც ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან რეგულარული ურთიერთობის უფლება

ჰქონდა. მისი საკანი არ თბებოდა ყველაზე ცივ ზამთარშიც კი. არც ბუნებრივი განათება ჰქონდა და არც – ვენტილაცია. არსებობს მტკიცებულებები, რომ ბ-ნ ილაშკუს სასჯელის ნიშნად საკვებს არ აძლევდნენ და რომ ის საკვები, რასაც ამანათით ღებულობდა, მოხმარებისთვის გამოუსადეგარი იყო. განმცხადებელი შხაპს ძალზე იშვიათად ღებულობდა, ხშირად ლოდინი თვეობით უწევდა. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო ეყრდნობა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) 2000 წელს დნესტრისპირეთში ვიზიტის შედეგებზე დაწერილი მოხსენების დასკვნებს, რომელშიც მრავალწლოვანი იზოლაცია დახასიათებულია, როგორც გაუმართლებელი.

განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის პირობებმა მის ჯანმრთელობაზე უმძიმესი შედეგები იქონია. იგი სათანადო სამედიცინო დახმარებას არ ღებულობდა, რაკი ჩამორთმეული ჰქონდა რეგულარული სამედიცინო შემოწმებისა და მკურნალობის საშუალება ... არ ჰქონდა შესაფერისი კვება. გარდა ამისა, რადგან ამანათის მიღების უფლება შეზღუდული ჰქონდა, მას ვერ უზაენიდენ წამლებსა და საკვებს, ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით” (იხ., *Ilaşcu and Others*, cited above, § 438; contrast *Rohde v. Denmark*, no. 69332/01, § 97, 21 July 2005).

## **2. პრინციპების გამოყენება ამ საქმის მიმართ**

125. რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლო აცხადებს, რომ განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის პირობებმა საფრანგეთის ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. განმცხადებელი, რომელიც 1970-იან წლებში ჩართული იყო სხვადასხვა ტერორისტულ აქტებში, იმავდროულად მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ტერორისტად მიიჩნეოდა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამის შემდეგ მას ბევრჯერ გამოთქვა (თავის წიგნში, საგაზეთო სტატიებსა და ინტერვიუებში) თავისი თვალსაზრისი. იგი არასოდეს უარყოფდა ან სინანულს გამოხატავდა, მის მიერ ჩადენილ აქტებთან დაკავშირებით. შესაბამისად, გასაგებია, რომ ხელისუფლებას აუცილებლობად უნდა მიეჩნია მისი პატიმრობის დაკავშირება უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებთან.

### **ა) განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის პირობები**

#### **(i) ფიზიკური მდგომარეობა**

126. განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის ფიზიკური პირობები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როდესაც სამართლო პატიმრობის ხანგრძლივობასა და არსს ვსწავლობთ.

127. სასამართლო შენიშნავს, რომ საკანი, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა ღა სანტეს დაწესებულებაში, საკმაოდ დიდი ფართის იყო პატიმრის მოსათავსებლად საწოლით, მაგილითა და სკამით: ჰქონდა სანიტარული მოწყობილობა და ფანჯარა – ბუნებრივი სინათლისათვის.

128. ამას გარდა, განმცხადებელს წიგნები, გაზეთები, ღამის სანათი და ტელევიზორი ჰქონდა. მისთვის ხელმისაწვდომი იყო სავარჯიშო ეზო ღღეში ორი საათით და კარდიო-სავარჯიშო დარბაზი, ყოველღღე საათნახევრით.

129. პატიმრობის ეს პირობები განსხვავდება იმ პირობებისგან, რაც პატიმარს ჰქონდა მეტიუს საქმეში და რომელშიც სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაადგინა. განმცხადებელი ამ საქმეში იმყოფებოდა პატიმრობის ისეთ პირობებში, რაც სამართლო პატიმრობას ორ წელზე მეტი დროის განმავლობაში ემსგავსება. იგი იმყოფებოდა დაწესებულების უკანასკნელ (მეორე) სართულზე მდებარე საკანში, რომელშიც, 7 თუ 8 თვის განმავლობაში ჰქერში არსებული დიდი ხერეღღიდან წვიმა

ჩამოდიოდა. ამას გარდა, იმიტომ, რომ საკნის ჭერი უშუალოდ სახურავქვეშ მდებარეობდა, განმცხადებელს ტროპიკული სიცხის გადატანა უხდებოდა. და ბოლოს, რაკი მას კიბის საფეხურებზე ასვლა-ჩამოსვლა უჭირდა, იგი ხშირად სავარჯიშო ეზოში და გარეთაც კი გასვლას ვერ ახერხებდა (იხ., *Mathew v. the Netherlands*, no. 24919/03, ECHR 2005-IX).

130. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ პატიმრობის ფიზიკური პირობები, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ ევროპული ციხის წესებს შეესაბამება. ეს პირობები წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (ჩ თ) მიერაც მიხნეული იყო “გლობალურად მისაღებად” (იხილეთ 2000 წლის 14 – 26 მაისის ვიზიტის ანგარიში, პუნქტი 83). შესაბამისად, ამ კუთხით სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ვერ დაადგინა.

(ii) განმცხადებლის სამართლო პატიმრობის არსი

131. წინამდებარე საქმის მასალების თანახმად, განმცხადებელი კვირაში ორჯერ იღებდა ექიმის ვიზიტს, თვეში ერთხელ – სასულიერო პირის ვიზიტს და ხშირი ვიზიტები ჰქონდა 58 ადვოკატისგან, მათ შორის, 4 წლისა და 10 თვის პერიოდში 640-ზე მეტი ვიზიტი მიიღო სასამართლოში მისი წარმომადგენლისგან, რომელიც ამჟამად მისი მეუღლეა ისლამის სჯულის მიხედვით, და 860-ზე მეტი ვიზიტი – 7 წლისა და 8 თვის მანძილზე, მისი სხვა ადვოკატისგან (იხილეთ პუნქტი 14 და 92 ზემოთ).

ამასთანავე, განმცხადებლის ოჯახის წევრებს, რომლებიც პაემნის უფლებით არ იზღუდებიან, არასოდეს მიუმართავთ პაემნის ნებართვისათვის და ორადორი უარი პაემანზე მხოლოდ ჟურნალისტებს ეთქვათ. განმცხადებელმა ასევე ვერ მოიტანა მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ მისი ოჯახის წევრები დაპატიმრების საფრთხის წინაშე იდგნენ, თუკი საფრანგეთში ჩამოვიდოდნენ. რაც შეეხება განმცხადებლის ბრალდებას იმის თაობაზე, რომ თითქოსდა მისი ოჯახის წევრებისათვის ოფიციალურად არ უცნობებიათ განმცხადებლის დაპატიმრებისა და ადგილმდებარეობის შესახებ, სასამართლო შენიშნავს, რომ მისთვის არ არის ცნობილი, საფრანგეთის ხელისუფლებამ განმცხადებლის ოჯახის წევრების გვარები იცოდა თუ არა და მათი მისამართები ჰქონდა თუ არა. სასამართლო მიიჩნევს, რომ საკონსულოს წარმომადგენლებს, თავად განმცხადებელსა და მის ადვოკატებს ამის შესახებ მათთვის შეტყობინება შეეძლოთ.

132. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლო პატიმრობის პირობები, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, არ იყო ისეთი სასტიკი და მკაცრი, როგორც ეს სხვა განმცხადებლებში დაადასტურა. მაგალითად, მესინას (№2) და არგენტის საქმეებში განმცხადებლები, რომლებიც სამართლო პატიმრობაში იმყოფებოდნენ ოთხნახევარ წელსა და მეორე შემთხვევაში – თორმეტი წლის განმავლობაში, მესამე მხარესთან კომუნიკაციის უფლება აკრძალული ჰქონდათ; ოჯახის წევრებთან პაემნის უფლება შეზღუდული ჰქონდათ და მინის სარკმლის მიღმა ხორციელდებოდა (მაქსიმუმ ერთ-საათიანი ვიზიტი თვეში), ასევე აკრძალული ჰქონდათ გარკვეული თანხის ზემოთ ფულის მიღებისა და გაგზავნის უფლება, ამანათის მიღების შემთხვევაში – თერთმეტის გარდა სხვა რაიმეს მიღების უფლება, ხოლო კვების პროდუქტების შეძენის შემთხვევაში – იმის, რაც მომზადებას საჭიროებდა (იხ., *Messina (no. 2)*, cited above, and *Argenti v. Italy*, no. 56317/00, § 7, 10 November 2005).

133. ანალოგიურად, *Öcalan*-ის საქმეში, რომელშიც იზოლაცია უფრო მკაცრი და სასტიკი იყო, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა, რომელიც კუნძულზე მდებარე დაწესებულებაში ექვსი წლის განმავლობაში სამართლო პატიმრობაში იმ-

ყოფებოდა, არ ჰქონდა ტელევიზორის ქონის უფლება და რომ მისი ადვოკატები, რომელთაც უფლება ჰქონდათ მხოლოდ კვირაში ერთხელ შეხვედროდნენ მას, ხშირად ამის საშუალებაც არ ეძლეოდათ – ამინდის გაუარესების გამო. ეს კი იმით გამოიხატებოდა, რომ გემს არ შეეძლო კუნძულთან მიახლოება. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პატიმრობის პირობები კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამობაში არ იყო (იხ., *Ocalan*, cited above, in particular §§ 190-96).

134. სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის პირობები უფრო ახლოსაა იმ პირობებთან, რომელიც შეისწავლა საქმეში ღოჰდე ვ. ენმარკ და სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. განმცხადებელი, ამ შემთხვევაში, თერთმეტნახევარი თვის განმავლობაში სამარტო პატიმრობაში იმყოფებოდა. მას ჰქონდა ტელევიზორი და გაზეთები, ენის გაკვეთილები, უფლება ჰქონდა შეხვედროდა ციხის კაპელანს და ჰქონდა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან კვირაში ერთხელ შეხვედრის უფლება (*Rohde*, cited above, § 97).

135. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, არ შეიძლება მიხნეულ იქნეს, რომ განმცხადებელი სრულ სენსორულ და სოციალურ იზოლაციაში იმყოფებოდა. მისი იზოლაცია იყო ნაწილობრივი და რელევანტური.

### **ბ) სამარტო პატიმრობის ხანგრძლივობა**

136. მართალია, რომ განმცხადებლის მდგომარეობა შორს დგას *Ilaşcu and Others* საქმისგან და რომ იგი არ იმყოფებოდა სრულ სენსორულ ან სოციალურ იზოლაციაში, არამედ რელევანტურ სოციალურ იზოლაციაში (ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე *Messina (no. 2)*, cited above).

ამისდა მიუხედავად, სასამართლო წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ წინამდებარე საქმეში იგი სამარტო პატიმრობაში 1994 წლის 15 აგვისტოდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე, რვა წლისა და 2 თვის მანძილზე იმყოფებოდა.

137. განმცხადებლის სამარტო პატიმრობაში ყოფნის საფუძვლები მოცემულია 1998 წლის 8 დეკემბრის ცირკულარში, რომელიც ეყრდნობა “ნამდვილ საფუძვლებს” და “ობიექტურ მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ პატიმარი ... სერიოზულ ზიანს გამოიწვევს”. ამ კონკრეტულ საქმეში, ყოველ სამ თვეში ღონისძიების განახლების მოტივს განმცხადებლის საშიშროება, დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საჭიროება და მისი დაწესებულებიდან გაქცევის საფრთხე წარმოადგენდა, რადგან ამ დაწესებულებაში საერთო უსაფრთხოების ზომები შედარებით სუსტია, ვიდრე – მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში.

ცირკულარი ასევე მიუთითებს, რომ სამარტო პატიმრობა ერთი წლის შემდეგ უნდა გაგრძელდეს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. სამწუხაროდ, სამარტო პატიმრობის ვადის დაწესების ზედა ზღვარი არ არსებობს.

138. პატიმრის მოწვევება დაწესებულების საზოგადოებისაგან თავისთავად არ ნიშნავს არაადამიანურ მოპყრობას. კონვენციის ბევრ წევრ ქვეყანაში საშიში პატიმრებისთვის უფრო მკაცრი რეჟიმი არსებობს. ეს ღონისძიება, რაც მიზნად ისახავს გაქცევის საფრთხის, დაწესებულებაში მასობრივი არეულობის ან თავდასხმის მოწყობის პრევენციას, ეფუძნება პატიმართა გათიშვას მკაცრ კონტროლთან ერთად (*Kröcher and Möller*, cited above).

139. ამისდა მიუხედავად, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ თვითნებობის საფრთხე, სამარტო პატიმრობის გაგრძელებისას არსებითი საფუძვლები უნდა იქნეს მოყვანილი. გადაწყვეტილების საფუძვლები დაწვრილებითი და დამაჯერებელი უნდა იყოს.

ამასთანავე, ამგვარ ზომებს, რაც წარმოადგენს “პატიმრობას ციხის შიგნით”, უნდა მიმართონ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც ამას ითხოვს ციხის ევროპული წესების მუხლი 53.1 (მიღებული 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა კომიტეტის მიერ). პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის მონიტორინგი რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს.

140. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს ექიმები რეგულარულად მონახულებდნენ, 1998 წლის 8 დეკემბრის ცირკულარის ინსტრუქციების შესაბამისად.

141. თუმცა ისიც მართალია, რომ 2000 წლის 13 ივლისის შემდეგ ექიმებს სამართლო პატიმრობა მეტი აღარ დაუმოწმებიათ. არც ერთ სამედიცინო დასკვნაში, რომელიც გაცემულია განმცხადებლის სამართლო პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, არ წერია, რომ მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა შეირყა, ან მოეთხოვოს ფსიქიატრის დასკვნა.

142. უფრო მეტიც, 2002 წლის 29 ივლისის სამედიცინო დასკვნაში ლა სანტეს დაწესებულების ექიმი წერს, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა “რაიმე სახის ფსიქოლოგიურ დახმარებაზე”.

143. ანალოგიურად, სენ-მორის დაწესებულებაში გადაყვანისას 2002 წლის 17 ოქტომბერს განმცხადებელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა და ინდრეს ჯანდაცვის ინსპექტორმა სამედიცინო დასკვნაში აღნიშნა, რომ განმცხადებელი შეამოწმა რა ფსიქიატრმა, არავითარი შემგომი მკურნალობა არ დაუნუშნავს და ფსიქიატრის დახმარების სურვილი არც განმცხადებელს გამოუხატავს. განმცხადებელი კვლავ შეამოწმეს 2003 წლის 26 აგვისტოს, მაგრამ არავითარი რეკომენდაცია მკურნალობის საჭიროებაზე არ გაცემულა.

144. სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა შეთავაზებულ ფსიქოლოგიურ კონსულტაციაზე და არ განაცხადა, რომ დიაბეტთან დაკავშირებული მკურნალობა შეუსაბამო იყო. ვერც ის დაასაბუთა, რომ ხანგრძლივ სამართლო პატიმრობას მისი ჯანმრთელობის შეერყოს.

პირიქით, განმცხადებელი თავადვე აღსტურებდა მის მიერ დაწერილ შენიშვნებში, რომ იგი ბრწყინვალე ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

145. ამისდა მუხედავად, სასამართლოს სურს, ხაზგასმით აღნიშნოს, რომ სამართლო პატიმრობა, თუნდაც იგი იწვევდეს მხოლოდ შედარებით იზოლაციას, არ შეიძლება, ბრალდებულს (მსჯავრდებულს) განუსაზღვრელი ვადით დაუწესდეს. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ბრალდებულს (მსჯავრდებულს) ჰქონდეს იმისი საშუალება, რომ დამოუკიდებელმა სასამართლო ორგანომ დონისძიების გახანგრძლივების მოტივი და საფუძვლები განიხილოს. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2003 წლის ივლისში. სასამართლო ამ საკითხს მოუბრუნდება, როდესაც განიხილავს საჩივარს კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად. ის ასევე დაეყრდნობა წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა (ჩ თ) და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის დასკვნებს ამ საკითხთან დაკავშირებით (იხილეთ ზემოთ პუნქტი 83 და 85).

146. ასევე სასურველი იქნებოდა სამართლო პატიმრობის ალტერნატივის შერჩევა იმ პირებისათვის, რომლებიც საშიშად ითვლებიან და რომელთათვისაც საერთო რეჟიმის დაწესებულებაში მოთავსება მიუღებლად ითვლება.

147. სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებით შენიშნავს, რომ ხელისუფლებამ განმცხადებელი ორჯერ გადაიყვანა დაწესებულებებში, სადაც იგი

ჩვეულებრივ პირობებში იმყოფებოდა. როგორც მთავრობამ განაცხადა, განმცხადებლის დაბრუნება სამარტო პატიმრობაში განაპირობა მისმა სატელეფონო ინტერვიუმ ერთ-ერთ ტელეარხთან, რომელშიც მას არ გამოუხატავს მწუხარება მისი დანაშაულის მსხვერპლთა გამო (დაღუპულთა რაოდენობა დაახლოებით 1 500-დან 2 000-მდე). ამიტომაც ხელისუფლება იმას კი არ ცდილობდა, რომ სამარტო პატიმრობის სისტემატური გაგრძელებით შეერაცხყო ან დაემცილებინა იგი, არამედ ხელისუფლება ეძებდა გადაწყვეტილებას, რითაც გაანეიტრალებდა იმ საფრთხეს, რასაც განმცხადებელი წარმოადგენდა.

148. სასამართლო ასევე შენიშნავს, რომ როდესაც განმცხადებელი იმყოფებოდა სენ-მორის დაწესებულებაში, მისმა ადვოკატმა სასამართლოს კანცელარიაში გააგზავნა წერილი, რომელშიც იგი ჩიოდა, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა “სახიფათო კომპანიაში, კერძოდ, ნარკომანების, ალკოჰოლიკების და სექსუალურ მოძალადეთა შორის, რომელთაც არ ძალუძთ თავიანთი ქცევის კონტროლი” და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ჩიოდა.

ამასთანავე, განმცხადებელი ჩიოდა, რომ იმყოფებოდა რა პარიზიდან ძალიან შორს, ეს მის ადვოკატს ურთულებდა ვიზიტებს, რომელიც სიძვირის გამო იშვიათი გახდა, და ყოველივე ეს იზოლაციის ახალ სახეს იძენდა.

149. და ბოლოს, მთავრობის შემფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს დაწესებულების შიგნით ან დაწესებულების გარეთ ურთიერთობები შესაძლო იყო გამოეყენებინა მისი ტერორისტული ქსელის წევრებთან კონტაქტების აღსადგენად, ეცადა სხვა ბრალდებულების (მსჯავრდებულთა) გადაბირებას ანდა მოემზადებინა გაქცევა, მხედველობაში მისაღებია. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს შემფოთება უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ., *Messina (no. 2)*, რომელშიც სასამართლომ შენიშნა, რომ “განმცხადებელი იმყოფებოდა სპციალურ რეჟიმში იმის გამო, რომ იგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო იყო მსჯავრდებული”. ეს განცხადება ასევე მიესადაგება წინამდებარე საქმეს (იხ., *Gallico v. Italy*, no. 53723/00, 28 June 2005).

150. ამისდა მიუხედავად, სასამართლო ითვალისწინებს რა განმცხადებლის პატიმრობის ფიზიკურ პირობებს, ფაქტს, რომ მისი იზოლაცია იყო “რელატიური”, ხელისუფლების სურვილს, რომ იგი მოეთავსებინა საერთო რეჟიმის პირობებში, ასევე – დამნაშავის პიროვნებასა და იმ საფრთხეს, რომელსაც იგი ქმნიდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებს, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, არ მიუღწევია სიმკაცრის იმ აუცილებელი მინიმალური დონისათვის, რომ იგი წარმოადგენდეს არაადამიანურ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით. მიუხედავად ძალიან განსაკუთრებული გარემოებებისა, რაც წინამდებარე საქმეში შეიქმნა, სასამართლო შემფოთებუელია განსაკუთრებულად ხანგრძლივი პერიოდით, რომელიც განმცხადებელმა გაატარა სამარტო პატიმრობაში და სათანადოდ აღნიშნავს, რომ 2006 წლის 5 იანვრიდან იგი იმყოფება საერთო რეჟიმის პირობებში (იხილეთ ზემოთ პუნქტი 76), სიტუაცია, რომელიც სასამართლოს აზრით, მომავალში. არ უნდა შეიცვალოს. საერთო ჯამში, ყველა ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

## II. კონვენციის მე-13 მუხლის საზარაულო დარღვევა

151. განმცხადებელმა საჩივარი აღძრა იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ გააჩნდა ეფექტური სასამართლო დაცვის საშუალება, გაესაჩივრებინა ხანგრძლივი სამარტო პატიმრობა. ის მიუთითებდა კონვენციის მე-13 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს:

“ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

#### **ა. პალატის გადაწყვეტილება**

152. პალატამ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფ პირებს არანაირი სამართლებრივი საშუალება არ გააჩნიათ, თავდაპირველ ან შემდეგ ეტაპებზე გაასაჩივრონ ეს ღონისძიება.

#### **ბ. მხარეთა არგუმენტები**

153. განმცხადებელმა მიმართა დიდ პალატას, რომ კონვენციის დარღვევის შესახებ პალატის გადაწყვეტილება დაამოწმოს. ის ასევე აცხადებდა, რომ ხელისუფლებამ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის D. 283.1 მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, სამართლო პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით, არ შეასრულა. მან დამატებით განაცხადა, რომ რამდენჯერმე იძულებული გახდა, საჩივრით მიემართა იმის გამო, რომ მას აუცილებელი სამედიცინო შემოწმება სამართლო პატიმრობის გაგრძელების წინ არ ჩატარდა. და ბოლოს, მან თქვა, რომ წინადადება და გადაწყვეტილება სამართლო პატიმრობის გაგრძელების შესახებ, თითქმის ყოველთვის ეფუძნებოდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს. ხელისუფლება უძღური აღმოჩნდა, ნამდვილი საფუძვლები ან მტკიცებულებები მოეტანა, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

154. მთავრობის განცხადებით, 2003 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაში *Conseil d'Etat*-მა დაადგინა, რომ გადაწყვეტილება პირის სამართლო პატიმრობაში მოთავსების შესახებ შეიძლებოდა, გამხდარიყო სასამართლო განხილვის საგანი იმ შედეგების გათვალისწინებით, რაც შეიძლება სამართლო პატიმრობამ მოიტანოს.

155. მთავრობამ დამატებით განაცხადა, რომ განმცხადებელს არასოდეს უცდია, ღონისძიება გაესაჩივრებინა ადმინისტრაციულ სასამართლოებში არსებითად იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ირღვეოდა.

156. და ბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სასამართლოს უტოვებს დისკრეციულ უფლებას, გადაწყვიტოს, არსებობდა თუ არა ეფექტური სასამართლო საშუალება 2003 წლის 30 ივლისის *Conseil d'Etat*-ს გადაწყვეტილებამდე.

#### **გ. სასამართლოს შეფასებები**

157. როგორც სასამართლომ უკვე არაერთ საქმეზე დაადგინა, კონვენციის მე-13 მუხლი, კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელების მიზნით, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე უზრუნველყოფს სასამართლო დაცვის ხელმისაწვდომობას, რაც, ნებისმიერი ფორმით, შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ წესრიგში უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ამრიგად, კონვენციის მე-13 მუხლის არსი სასამართლო დაცვის მოთხოვნასა და შესაბამისი დახმარების გაწევაში მდგომარეობს (იხ., *Kudla*, cited above, § 157).

158. კონვენციის მე-13 მუხლთან დაკავშირებით, ხელმშემკვრელი სახელმწიფოების მოვალეობების ფარგლები განსხვავდება და განმცხადებლის საჩივრის ხასიათზე დამოკიდებული. ამისდა მიუხედავად, სასამართლო დაცვის საშუალება უნდა იყოს “ეფექტური” როგორც პრაქტიკაში, ისე კანონმდებლობაშიც (იხ., *Ilhan v. Turkey* [GC], no. 22277/93, § 97, ECHR 2000-VII).

159. “სასამართლო დაცვის” “ეფექტურობა”, მე-13 მუხლის თვალსაზრისით განმცხადებლის უდავოდ სასარგებლო შედეგზე არ არის დამოკიდებული. არც “ხელისუფლების ორგანო”, რომელიც მოხსენიებულია ამ მუხლში, ასევე არ არის აუცილებელი, რომ იყოს სასამართლო ორგანო. მაგრამ თუ ის არ არის სასამართლო ორგანო, მისი უფლებამოსილება და გარანტიები, რომელსაც იძლევა, უნდა იყოს არსებითი იმის განსაზღვრავად, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება არის ეფექტური. ამასთანავე, თუ მხოლოდ ერთი საშუალება სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს მე-13 მუხლის მოთხოვნებს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სამართლებრივი დაცვის კომპლექსური საშუალებების არსებობას უნდა უზრუნველყოფდეს (იხ., *Silver and Others v. the United Kingdom*, 25 March 1983, § 113, Series A no. 61, and *Chahal*, cited above, § 145).

160. სასამართლომ, ამჯერად, უნდა დაადგინოს, შესაძლებელი იყო თუ არა, რომ განმცხადებელს, საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, მისთვის სამარტო პატიმრობის გახანგრძლივების გადაწყვეტილებები და პროცედურული შეუსაბამობები გაესაჩივრებინა. ასევე ის, რომ სასამართლო დაცვის საშუალება იყო თუ არა “ეფექტური” იმ გაგებით, თუ რამდენად შეეძლო, სავარაუდო ძალადობა თავიდან აეცილებინა.

161. მთავრობამ აღიარა, რომ *Conseil d'Etat*-ს მიერ მიღებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, 2003 წლის 30 ივლისამდე, პირის სამარტო პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებები შიდაუწყებრივ ადმინისტრაციულ დონისძიებას წარმოადგენდა, რომელზეც ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობა არ ვრცელდებოდა.

162. განმცხადებელმა ადმინისტრაციულ სასამართლოში 1996 წლის 14 სექტემბერს საჩივარი შეიტანა. ამისდა მიუხედავად, ეს საჩივარი არ იქნა მიღებული განსახილველად იმ მოტივით, რომ ეს შიდაუწყებრივი დონისძიება იყო და არ შეიძლებოდა, იგი ადმინისტრაციულ სასამართლოს განეხილა.

163. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო შენიშნავს, რომ გადაწყვეტილება *Conseil d'Etat*-ს პრეცედენტს შეესაბამებოდა.

164. და მხოლოდ 2003 წლის 30 ივლისს, როდესაც *Conseil d'Etat*-მ თავისი იურისდიქცია შეცვალა, დადგენილ იქნა, რომ სასამართლოში სამარტო პატიმრობის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, შესაძლებელი იყო საჩივრის შეტანა.

165. სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელმა, ადმინისტრაციულ სასამართლოში პრეცედენტული სამართლის დაშვების შემდეგ, მხოლოდ ერთი საჩივარი შეიტანა. იგი 2005 წლის 17 თებერვალს დადგენილი დონისძიების კანონიერებას ასაჩივრებდა, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ იმის გათვალისწინებით, რამდენად მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება იყოს სამარტო პატიმრობა, საციცოხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტური სასამართლო დაცვის საშუალების არსებობა. აღნიშნული სასამართლო პრეცედენტს უკუქმედების ძალა არა აქვს.

166. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას, რადგან შიდასახელმწიფო კანონმდებლობა სასამართლო დაცვის საშუალებას არ ითვალისწინებდა. ეს უკანასკნელი კი განმცხადებელს საშუალებას მისცემდა, გაესაჩივრებინა გადაწყვეტილებები მის მიმართ სამარტო პატიმრობის გაგრძელების შესახებ, 1994 წლის 15 აგვისტოდან 2002 წლის 17 ოქტომბრამდე.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

167. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

“თუ სასამართლო დაასკვნის, რომ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება დაირღვა, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

#### ა. ზიანი

168. განმცხადებელს განცხადება კომპენსაციის შესახებ არ გაუკეთებია.

#### ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

169. განმცხადებლის ადვოკატმა 1997 წლის ივნისიდან 2002 წლის ოქტომბრამდე მის ვიზიტებთან დაკავშირებული ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების სრული ანგარიში წარმოადგინა. იგი ვიზიტის საათობრივ ანაზღაურებას, მგზავრობის ხარჯებს და პროცედურულ დანახარჯებს მოიცავდა. ანგარიში, საერთო ჯამში, 426 852. 40 ევროს შეადგენდა.

მეორე ადვოკატმა, რომელიც განმცხადებელს სასამართლოზე წარმოადგენდა, მოამზადა განაცხადი, რომელშიც წარმოდგენილი იყო განმცხადებელთან ვიზიტის ხარჯები 1998 წლის 22 მაისიდან 2002 წლის 7 ოქტომბრამდე 87 308 ევროს მოცულობით: 69 846.40 ევრო ვიზიტების ანაზღაურებას შეადგენდა, ხოლო 17 461.60 ევრო – მგზავრობისა და ფორმალური მხარის ხარჯებს.

170. სასამართლოში განცხადების წარდგენის ხარჯების ანგარიშმა 41 860 ევრო შეადგინა, რომელსაც უნდა დამატებოდა 800 ევრო სტრასბურგში სასამართლოზე დასასწრებად ორი ადვოკატის მგზავრობისა და სასტუმროში მოთავსების ხარჯებად.

171. მთავრობამ წარდგენილი მასალების საფუძველზე განაცხადა, რომ განმცხადებლის პრეტენზიები უსაფუძვლო იყო.

172. მთავრობამ თავდაპირველად აღნიშნა, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია მასალები, რომ ეს ხარჯები ნამდვილად გაიღო.

173. მთავრობამ დამატებით მიუთითა, რომ ვიზიტთან დაკავშირებით წარმოდგენილი ხარჯები განეკუთვნება 1997 წლიდან 2002 წლამდე პერიოდს, ხოლო საჩივარი 2000 წლის 20 ივლისს აღიძრა. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი მიზეზობრივი კავშირი განცხადებასთან დაკავშირებულ საქმესა და იმ ვიზიტებს შორის, რომელიც ამ თარიღამდე ხდებოდა.

174. მთავრობამ ასევე მიუთითა, რომ ვიზიტის საათების დიდი რაოდენობის (1 830 საათი) გათვალისწინებით, შეუძლებელია იმისი განსაზღვრა, თუ ვიზიტის რა დროს იყენებდა ქნმა კუტან პერი როგორც ადვოკატმა და შეხვედრის რა დრო გამოიყენა პირადად, როგორც მისმა მეუღლემ. ამიტომ მთავრობა ასკვნიდა, რომ უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

175. რაც შეეხება დანახარჯების ანაზღაურებას, მთავრობამ განაცხადა, რომ დანახარჯების ანგარიში აუცილებლად უნდა შეიცავდეს მხოლოდ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს. რადგან განცხადებაში მოტანილი კალკულაციის გადამოწმება შეუძლებელია, მთავრობა მიიჩნევს, რომ მას მხარს არ დაუჭერს.

საბოლოოდ, მთავრობამ განმცხადებელს შესთავაზა 6 000 ევროს გადახდა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმეში დარღვევას დაადგენდა.

176. სასამართლო იმეორებს, რომ თუ იგი დაადგენს კონვენციის დარღვევას, მან შეიძლება განმცხადებელს მიანიჭოს არა მხოლოდ მის მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურება, არამედ იმ დანახარჯებისაც, რაც გაწეული იქნა ეროვნული სა-სამართლოების წინაშე დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით (იხ., *Hertel v. Switzerland*, 25 August 1998, *Reports* 1998-VI, and *Yvon v. France*, no. 44962/98, ECHR 2003-V), იმ პირობით, თუ ასეთი ხარჯები ნამდვილად იქნა გაწეული და შესაბამისი ანგარიშები იქნება წარმოდგენილი (იხ., *Kress v. France* [GC], no. 39594/98, ECHR 2001-VI).

177. სასამართლომ აღნიშნა, რომ არანაირი განმარტება ან მტკიცებულება იყო წარმოდგენილი, რაც ვიზიტის ხარჯების ანაზღაურებას მხარს დაუჭერს. შესაბამისად, კომპენსაციას ამ საკითხთან დაკავშირებით, ვერ დააწესებს.

178. სასამართლო აღნიშნავს, რომ დანახარჯებთან დაკავშირებით, არანაირი დაწვრილებითი ინფორმაცია ან საბუთები არ წარმოდგენილა.

ამისდა მიუხედავად, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ განმცხადებელს აუნაზღაურდეს 10 000 ევრო ყველა იმ დანახარჯის დასაფარავად, რაც მან სასამართლო პროცესზე გასწია.

### **ზემოსენეაშულის ბათგალისწინებით, სასამართლო**

1. ადგენს თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა;
2. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დადგენას;
3. ადგენს ერთხმად, რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს, სამი თვის ვადაში, უნდა გადაუხადოს 10 000 ევრო ხარჯებისათვის და დამატებით ნებისმიერი გადასახადებისათვის, რაც განმცხადებელს დაეკისრება;
4. წყვეტს თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ საჩივრის დანარჩენ ნაწილს სამართლიან კომპენსაციასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოცხადებულია სასამართლოს საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა სახელში, სტრასბურგში, 2006 წლის 4 ივლისს.

ლორენს ერლი  
რეგისტრატორი

ლუზიუს ვილდჰაბერი  
პრეზიდენტი

**CONSEIL  
DE L' EUROPE**



**COUNCIL  
OF EUROPE**

**COURE EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS**

**მერთხე სექცია**

**ბოიჩენკო მოლდოვას წინააღმდეგ**

**CASE OF BOICHENKO v. MOLDOVA**

(ბანაცხალი № 41088/05)

**ბაღაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**11 ივლისი, 2006**

**საბოლოო**

**11 ოქტომბერი 2006**

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში. იგი შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.



## საქმე ბოიჩენკო მოლდოვას წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), რომლის პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავჯდომარე: სერ ნიკოლას ბრატცა,  
მოსამართლეები:  
ბ-ნი ჯ. კასადევალი,  
ბ-ნი ჯ. ბონელი,  
ბ-ნი მ. პენლონპაა,  
ბ-ნი კ. ტრაია,  
ბ-ნი ს. პავლოვიჩი,  
ბ-ნი ჯ. სიკუტა და სექციის რეგისტრატორი  
იმჯგელა რა განმარტოებით, 2006 წლის 20 ივნისს,

გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა ამავე დღეს:

### პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო განაცხადი (№ 41088/05) მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც 2005 წლის 16 ნოემბერს სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის შესაბამისად ნიკოლაე ბოიჩენკომ შეიტანა (“განმცხადებელი”).
2. განმცხადებელს წარმოადგენს ბ-ნი ვიტალი ნაგაცევიჩი და ბ-ნი ვლადისლავ გრიბინცუა, ადვოკატები, რომლებიც ეწევიან პრაქტიკას ჩიშინაუში და რომლებიც არიან არასამთავრობო ორგანიზაციის “ადვოკატები ადამიანის უფლებებისათვის” წევრები. მოლდოვას მთავრობას წარმოადგენს მისი აგენტი: ბ-ნი ვიტალი პარლოგი.
3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ის პოლიციის მხრიდან სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა, ხოლო ხელისუფლებას ამ შემთხვევის ადეკვატური გამოძიება არ ჩაუტარებია, რაც მე-3 მუხლს არღვევს. ის, აგრეთვე, ჩივის პატიმრობის დროს სათანადო სამედიცინო მომსახურების არარსებობაზე და თავისუფლების უფლების დარღვევაზე, რაც განმტკიცებულია კონვენციის მე-5 მუხლით. ის ასევე ჩივის, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ მას ხელი შეუშალა ევროპულ სასამართლოში საქმის შეტანაში, რაც გათვალისწინებულია 34-ე მუხლით.
4. განაცხადი გადაეცა მეოთხე სექციას. 2005 წლის 13 დეკემბერს ამ სექციის პალატამ გადაწყვიტა, რომ მთავრობისათვის განაცხადის შესახებ შეეცდებინა. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად, მან გადაწყვიტა, განეხილა განაცხადის არსებითი მხარე მის დასაშვებობასთან ერთად. განმცხადებლის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, მან ასევე გადაწყვიტა, საქმისათვის მიენიჭებინა პრიორიტეტი, რაც განმტკიცებულია სასამართლოს რეგლამენტის 41-ე წესით.
5. როგორც განმცხადებელმა, ასევე მთავრობამ წარადგინა მოსაზრებები არსებით მხარესთან მიმართებით (59-ე წესის 1-ლი პუნქტი).

## ფაქტები

### 1. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1961 წელს და ცხოვრობს ჩიშინაუში.

#### 1. განმცხადებლის დაკავება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა

7. 2005 წლის 20 მაისს განმცხადებელი, თაღლითობის ჩადენისათვის ეჭვის გამო, ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლმა ცენტრმა დააკავა (edkmc).
8. დაკავების დროს მას რაიმე აშკარა ფიზიკური ანომალია არ ეტყობოდა სამედიცინო საქმის თანახმად, რომელიც დათარიღებულია 2005 წლის მარტით, განმცხადებელი 133 კილოგრამს იწონიდა.
9. იმ პოლიციელთა მიერ 2005 წლის 21 მაისს შედგენილი ანგარიშების მიხედვით, რომლებმაც იგი დააკავეს, განმცხადებელი შეეცადა გაქცევას. მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. წინააღმდეგობის გაწევასაც კი შეეცადა პისტოლეტზე (რომელიც მას ჰქონდა) ხელის დავლების მცდელობით და მისთვის წარდგენილი დაკავების ორდერის გადაგებით. ამ ანგარიშებიდან არ ჩანს, რომ განმცხადებლის მიმართ რაიმე ძალა იქნა გამოყენებული ან დაკავების დროს რაიმენაირად დაზიანდა. განმცხადებელი უარყოფს, რომ მან დაკავებისას წინააღმდეგობა გასწია.
10. პოლიციის ანგარიშებიდან ჩანს, რომ განმცხადებელი, დაახლოებით, საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე დააკავეს. განმცხადებელი კი ამტკიცებს, რომ იგი საღამოს 4 საათსა და 30 წუთზე დააკავეს.
11. განმცხადებლის მხარე ამტკიცებს, რომ ედემც-ს, შენობაში მისი მიყვანის შემდეგ, იგი პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს, რის შედეგადაც მან გონება დაკარგა. მთავრობა ამას უარყოფს.
12. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, რომელიც ამავე დღეს საღამოს 8 საათზე და 34-ე წუთზე ედემც-ს ექიმმა შეადგინა, განმცხადებელი უგონო მდგომარეობაში იყო. დასკვნაში ექიმმა აღნიშნა, რომ პოლიციის თანამშრომლების თქმით, მან “ძლიერი სულიერი აღელვების” გამო გონება დაკარგა და რეკომენდაცია გაუწია, რომ განმცხადებელი კარდიოლოგს მოენახულებინა. დასკვნიდან არ ჩანს, რომ განმცხადებელი დაკავების დროს რაიმენაირად დაზიანდა.
13. ერთ-ერთმა მისმა ადვოკატმა განმცხადებელი ედემც-ში 10 საათსა და 20 წუთზე იხილა, დაკავების ოქმში (*proces verbal de reținere*), რომელიც მისი თანდასწრებით პოლიციის თანამშრომლებმა შეადგინეს, აღნიშნა, რომ განმცხადებელი უგონო მდგომარეობაში იყო. ადვოკატის თხოვნით, სასწრაფო დახმარება საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე გამოიძახეს. ხოლო 2005 წლის 21 მაისს დილის 1 საათსა და 37 წუთზე განმცხადებელი, ჯერ კიდევ უგონო მდგომარეობაში, კარდიოლოგიურ საავადმყოფოში წაიყვანეს.
14. კარდიოლოგიური საავადმყოფოს სამედიცინო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ განმცხადებელი გონებაზე მას შემდეგ მოვიდა, რაც იქ მოათავსეს, მაგრამ არ არის ნათელი, ეს როდის მოხდა. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, მას მაღალი არტერიული წნევა და გაურკვეველი წარმომავლობის შფოთვის სინდრომი არ აწუხებდა. განმცხადებელი კითხვებს არ პასუხობდა და არაფერზე რეაგირებდა. მას ასევე თავის ტკივილი და ღებინება აწუხებდა. სამედიცინო საქმეში ჰოსპიტალიზაციის დროს მისი წონის თაობაზე ინფორმაცია არ არის. ექიმებმა რეკომენდაცია მისცეს, *inter alia*,

რომ განმცხადებელს თავის ტვინის სკანირება ჩაუტარდეს, რათა განმცხადებლის ცერებრალური დამბლის შესაძლებლობა გამოირიცხოს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ საბოლოო დიაგნოზის დასმა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც ჩატარდება მოხსენებული გამოკვლევები.

15. 2005 წლის 24 მაისს განმცხადებელი ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. 2005 წლის 25 მაისს განმცხადებელი მონახულა ნევროლოგმა, რომელმაც სამედიცინო საქმეში აღნიშნა, რომ 2005 წლის 20 მაისს მას აწუხებდა თავის ტრავმა, რამაც გონების დაკარგვა გამოიწვია. ნევროლოგმა რეკომენდაცია გასცა, სამედიცინო მკურნალობის სხვადასხვა ფორმა ჩატარებულიყო. მაგრამ არ გაუწია რეკომენდაცია თავის ტვინის სკანირების ჩასატარებლად. 2005 წლის 26 მაისს ექიმმა სამედიცინო საქმეში მიუთითა, რომ განმცხადებელს ფილტვების მიდამოებში ტკივილი და წითელი ფერის შარდი ჰქონდა. 2005 წლის 2 ივნისს განმცხადებელი საავადმყოფოს უფროსი ექიმებისაგან შემდგარმა კომისიამ შეამოწმა, რომელმაც დაადგინა, *inter alia*, თავის ძლიერი ტრამვის და შერყევის დიაგნოზი და რეკომენდაცია გაუწია, *inter alia*, რომ განმცხადებელს ფსიქიატრიული გამოკვლევა გაეკლო. 2005 წლის 7 ივნისს ექიმმა სამედიცინო საქმეში შესაბამისი ჩანაწერი გააკეთა რომ განმცხადებელი მკურნალობას დაუყონებლივ საჭიროებდა, მაგრამ არცერთი არ განხორციელებულა.
16. 2005 წლის 1 სექტემბრამდე განმცხადებელი ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა, როდესაც იგი ციხეში თხუთმეტი დღით გადაიყვანეს: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შემდგომი გადაყვანის მიზნით. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, ციხის საავადმყოფოში ყოფნისას, იგი საწოლიდან არასოდეს ამდგარა. იგი დამოუკიდებლად ვერ იკვებებოდა და მას მომსახურე სამედიცინო პერსონალი თხევადი საკვებით კოვზით კვებავდა. ასევე ვერ გადიოდა საპირფარეშოში, იყენებდა ჰიგიენურ ბალიშს, რომელსაც განავლის მძაფრი სუნი ჰქონდა. იშვიათ შემთხვევებში ის ექიმის კითხვებს ძალიან დაბალ ხმაზე პასუხობდა ან იყენებდა ჟესტებს, რომლითაც თავის ტკივილებზე და ფილტვების არეში ტკივილზე მიუთითებდა. მისი შარდი წითელი ფერის იყო. ძირითადად, იგი კითხვებზე არ რეაგირებდა და თვალები დახუჭული ჰქონდა. ხუთჯერ მაინც, 2005 წლის მაისისა და აგვისტოს განმავლობაში, ხელმძღვანელებს სამედიცინო პერსონალმა წერილობითი ინფორმაცია წარუდგინა, რომ განმცხადებელს, მისი მდგომარეობის გამო, წამლების ყლაპვა არ შეეძლო. შვიდჯერ მაინც ექიმებმა სამედიცინო საქმეში მიუთითეს, რომ განმცხადებლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. რამდენჯერმე ექიმებმა სამედიცინო საქმეში დაუშვეს, რომ განმცხადებლის მდგომარეობა ყალბი იყო.
17. რამდენჯერმე 2005 წლის მაისსა და სექტემბერს შორის განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა და მისმა მეუღლემ მოითხოვა, რომ შეეშვათ დამოუკიდებელი ექიმი განმცხადებელთან, მაგრამ მათ ვერ მიიღეს პასუხი.
18. ციხის საავადმყოფოში განმცხადებლის ყოფნისას, მისმა მეუღლემ მხოლოდ ერთხელ შეძლო მისი მონახულება, 2005 წლის 5 ივლისს, 10 წუთის განმავლობაში. ხოლო მის დედას კი არ მიეცა ნება მონახულებინა იგი. ერთხელ მან მიწერა წერილი ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს და ციხის საავადმყოფოს და თხოვა, *inter alia*, მისი სურათი; თუმცა მას არ მიუღია პასუხი.
19. 2005 წლის 1 აგვისტოს, ციხის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გასცა რეკომენდაცია, რომ განმცხადებლის ფსიქიატრიული შემოწმება ჩატარებულიყო, რათა “დაედანტურებინათ ან გამოერიცხათ სიმულაცია”. 2005 წლის 3 აგვისტოს ბუი-

უკანის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სასამართლო-სამედიცინო და ფსიქიატრიულ გამოკვლევაზე ბრძანება გასცა.

20. 2005 წლის 18 და 30 აგვისტოს და 6 და 13 სექტემბერს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა და მისმა მეუღლემ ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს თხოვნით მიმართა, რომ განმცხადებელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაეყვანათ და ფსიქიატრიული გამოკვლევა დაეჩქარებინათ. ისინი ამტკიცებდნენ, ინტერ აღია, რომ მკაფიო დიაგნოზის არარსებობის გამო, ამ დროისათვის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა შეუძლებელი იყო. განმცხადებლის მეუღლემ ასევე შესთავაზა ტრანსპორტირებასა და სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დაფარვა. პასუხი ამ თხოვნებზეც არ მიღებულა.

21. სასამართლოს 2005 წლის 3 აგვისტოს ბრძანების შედეგად, განმცხადებელს სამი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა 2005 წლის 28 აგვისტოს ჩატარდა და ექიმები დასკვნაში მიუთითებდნენ, *inter alia*,

“2005 წლის 20 მაისს განმცხადებელს აწუხებდა თავის ტვინის ტრამვა გონების დაკარგვით.

ჰოსპიტალიზაციის დროს მას აწუხებდა თავის ტკივილები, თავბრუსხვევები და შუილები, დაღლილობა, ღებინება და ტკივილი წელის არეში.

დიაგნოზი: თავის მწვავე ტრავმა, საშუალო სიმძიმის შერყევა. განმცხადებლის სხეულზე ხილვადი დაზიანებები არც კარდიოლოგიურ საავადმყოფოში და არც ციხის საავადმყოფოში მისი ყოფნის განმავლობაში აღმოჩენილი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, დადგინდა, რომ მას თავის ტვინის ტრავმა აწუხებდა.

2005 წლის 23 მაისს კარდიოლოგიური საავადმყოფოს ექიმებმა დაადგინეს ცენტრალური ნერვული სისტემის აშლილობა, რომლის წარმომავლობა თანამედროვე კლინიკური გამოკვლევების გამოკვლევების შეუძლებლობის გამო (მაგნიტური რეზონანსი, ტვინის სკანირება) ვერ დადგინდა. შედეგად, ადეკვატური მკურნალობის დანიშვნა შეუძლებელი იყო.

2005 წლის 20 მაისს და 2005 წლის 1 სექტემბერს შორის ექიმების მიერ გაკეთებული სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით, აშკარაა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს არ შეეძლო, აქტიური მონაწილეობა მიეღო სისხლისსამართლებრივ გამოძიებაში”.

22. 2005 წლის 20 სექტემბერს ფსიქიატრიული გამოკვლევა ჩატარდა. თუმცა ბუიუკანის რაიონულმა სასამართლომ დასკვნა არასრულყოფილად მიიჩნია და ბრძანება გასცა დამატებითი გამოკვლევის ჩატარების შესახებ, რომელიც 2005 წლის 15 ნოემბერს შედგა. 2005 წლის 20 სექტემბრისა და 15 ნოემბრის დასკვნები ითვალისწინებს, *inter alia*:

“კომისია ასკვნის, რომ განმცხადებელს რაიმე ქრონიკული გონებრივი ავადმყოფობა არ აწუხებს, მაგრამ აწუხებს თავის ტრავმა და მაღალი არტერიული წნევა.

2005 წლის 25 მაისიდან განმცხადებელმა შეწყვიტა კითხვებზე პასუხის გაცემა. იგი საწოლიდან არასოდეს ამდგარა; ჭუჭყიანია და მხოლოდ თხევადი საკვებით იკვებება. იგი საავადმყოფოში საკაცით მოიყვანეს. ის არ მოძრაობს, არ რეაგირებს, წევს დახუჭული თვალებით და ხელი მკერდზე უდევს. მას აქვს ფერმკრთალი და ანემიური სახე, ნამიანი კანით. იგი სამედიცინო გამოკვლევას არ უწევს წინააღმდეგობას, არის ინდიფერენტული, პასიური და ექიმებთან არ თანამშრომლობს. ის წინააღმდეგობას

არ უწევს, როდესაც მას პირს უღებენ, მაგრამ ენას არ ყოფს. მისი ხელები და ფეხები უსიცოცხლოდ ეცემა, როდესაც მათ ზემოთ წევენ. როდესაც ექიმები ცდილობენ, მისი გუგები შეამოწმონ, ის თვალებს მადლა აბრუნებს. მისი ტანსაცმელი ჭუჭყიანია; ის იყენებს ჰიგიენურ ბალიშს, რომელსაც შარდის მძაფრი სუნი აქვს. ის თავს არ უგლის. მას სამედიცინო პერსონალი ხელით კვებას და უცვლის

სტრესმა გამოიწვია (დაკავება, სისხლისსამართლებრივი გამოძიება) რეაქციული ფსიქოზი, ფსიქიკური აშლილობის სინდრომით (დაქვეითებულის გონებრივი რეაგირების უნარი არც ისეთი მძიმეა, როგორც კომა, რაც იმით ვლინდება, რომ პირს მაინც შეუძლია ნაწილობრივ რეაგირების მოხდენა რაიმე გამაღიზიანებელზე, როგორცაა ტკივილი), რამაც მოუსპო აზროვნების უნარი და მას მკურნალობა სჭირდება მკაცრი ზედმხედველობის ქვეშ.”

23. 2005 წლის 15 სექტემბერს განმცხადებელი ჰოსპიტალიზირებული იყო ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოს სასამართლო გამოძიების დეპარტამენტში, სადაც ის დღესაც იმყოფება.

24. 2005 წლის დეკემბერში მთავრობის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო საქმიდან აშკარად ჩანს, რომ ამ დროისათვის, დროის უმრავლესობა განმცხადებელი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის სამი კვირის განმავლობაში გონზე მოვიდა, 2005 წლის 2-დან 24 ოქტომბრამდე, მაგრამ წინანდელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოს კაფეტერიაშისხეულებრივ ჩხრეკას დაექვემდებარა. მთავრობამ 2005 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში განმცხადებლის მედიკამენტებისათვის გაწეული დანახარჯების ქვითრების ასლები წარმოადგინა.

25. სასამართლოს არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, გამოსულა თუ არა ოდესმე განმცხადებელი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობიდან. ნათელია, რომ 2003 წლის 23 დეკემბერს ბუიუკანის რაიონულმა სასამართლომ ბრძანება გასცა, რომ განმცხადებელი ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ, მის სრულ გამოჯანმრთელებამდე დაეტოვებინათ.

26. განმცხადებლის ერთ-ერთი ადვოკატის თხოვნით, ფსიქიატრმა, დოქტორმა ი. ბერგიმ, 2005 წლის 5 დეკემბერს გასცა სამედიცინო დასკვნა: მკურნალობის გარეშე დატოვებულმა ფსიქოზურმა მდგომარეობამ დეპრესიულობისა და ფსიქიკური აშლილობის სინდრომით, რაც ტრავმატულ მდგომარეობაში რჩება, შეიძლება ქრონიკული ფსიქიატრიული დაავადებების განვითარება გამოიწვიოს.

27. ერთ-ერთი ადვოკატის თხოვნით, განმცხადებლის ოჯახის ექიმის, დოქტორ ტ. მორარუს მიერ 2005 წლის 6 თებერვალს გაცემული სამედიცინო დასკვნის მიხედვით, განმცხადებელს დიდი ხნით ადრე, ვიდრე 2005 წლის 20 მაისს თავის ტრავმას მიიღებდა, დიაბეტი და მაღალი არტერიული წნევა აწუხებდა. ციხის საავადმყოფოში მისი ყოფნის განმავლობაში ის არასაკმარისად იკვებებოდა და 30-35 კილოგრამი დაკარგა. ფსიქიკური აშლილობის გამო, ის ვერ იკვებებოდა და, შესაბამისად, გლუკოზის, ამინომჟავების, C, D და სხვა ვიტამინების გადასხმას საჭიროებდა. მისი მდგომარეობის გამო ის დიაბეტური კომის, ინსულტისა და გულის შეტევის განვითარების დიდი რისკის წინაშე იდგა. ციხის საავადმყოფოს სამედიცინო საქმიდან ნათელია, რომ იგი საკმარისი სამედიცინო მომსახურებით და სამედიცინო გამოკვლევით არ იყო უზრუნველყოფილი. მას ფსიქიკური აშლილობის სინდრომი 4-5 თვის შემდეგ აღმოუჩინეს.

28. 2005 წლის 28 მარტს განმცხადებლის ადვოკატი ბ-ნი გრიბინცვა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ, ბ-მა ი. კატრინიცმა მიიღო. მან ბ-ნ გრიბინცვას აცნობა, ინტერ აღია, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჰოსპიტალიზაციის დროისათვის, განმცხადებელი 100 კილოგრამზე ნაკლებს იწონიდა. მოგვიანებით, წონის მომატების შემდეგ, ის, დაახლოებით, 100 კილოგრამს იწონის. ბ-მა კატრინიცმა ადვოკატს ასევე აცნობა, რომ განმცხადებელს ორი კვირის წინ ტვინის სკანირება ჩაუტარდა. მთავარობას ეს სადავოდ არ გაუხდია.

## **2. განმცხადებლის საჩივარი სასტიკი მოპყრობის შესახებ**

29. 2005 წლის 27 მაისს, როდესაც განმცხადებელს დროებით გონებაზე მოვიდა, მან ექიმის თანდასწრებით თავის ერთ-ერთ ადვოკატს უთხრა, რომ ის სცემა პოლიციამ და თავისა და ფილტვების არეში ძლიერი ტკივილები აქვს. ექიმმა ადვოკატს აცნობა, რომ განმცხადებელს აწუხებდა თავის ტრავმა და გარკვეული ტკივილი ფილტვებში.

30. 2005 წლის 31 მაისს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა შეიტანა საჩივარი გენერალურ პროკურატურაში ედემც-ის წარმომადგენელთა მიერ განმცხადებლის მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ და მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. მან პროკურატურას იმის შესახებ შეატყობინა, რაც განმცხადებელმა და ექიმმა განუცხადეს..

31. მსგავსი საჩივრები შეიტანა განმცხადებლის მეუღლემ ოთხჯერ, 2005 წლის ივნისსა და აგვისტოში.

32. 2005 წლის 10 აგვისტოსა და 10 ოქტომბერს, განმცხადებლის ადვოკატმა გენერალურ პროკურატურას მიმართა კითხვით, განიხილეს თუ არა მისი 2005 წლის 31 მაისის საჩივარი. მას პასუხი არ მიუღია.

33. მხოლოდ 2005 წლის 23 დეკემბერს, განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმეორებითი თხოვნის შემდეგ, განმცხადებლის ადვოკატმა გადასცა 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც მის 2005 წლის 31 მაისის საჩივარზე უარი ეთქვა. გადაწყვეტილებას ხელს აწერდა ბ-ნი ნიკოლაე კატანა, იგივე პროკურორი, რომელმაც განმცხადებელს ბრალი წაუყენა და სასამართლოს მისი დაპატიმრების შესახებ მიმართა (იხ. ქვემოთ მოყვანილი 45-ე და 46-ე პუნქტები).

34. ბ-მა კატანამ სადავოდ გახადა, *inter alia*, შემოხსენებული გადაწყვეტილება, რომ ვინაიდან ადვოკატის 2005 წლის 31 მაისის საჩივარი არ შეიცავდა რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას სასტიკი მოპყრობის გარემოებებთან დაკავშირებით, ის შეეცადა, პირადად შეხვედროდა განმცხადებელს 2005 წლის 25 და 30 მაისს სიტუაციის გასარკვევად. თუმცა განმცხადებელი მასთან საუბრის კატეგორიულ უარზე იყო. უფრო მეტიც, ექიმებმაც კი დაადასტურეს, რომ განმცხადებელი უარს იტყოდა გასაუბრებლად გამომძიებლებს და პროკურორებს, მხოლოდ თავის ადვოკატებს და ექიმებს დაელაპარაკებოდა და რომ ის თავისი სიმპტომების სიმუღირებას ახდენდა. ბ-მა კატანამ დაასკვნა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, დასაშვები იყო, რომ განმცხადებელს დაკავების დროს პისტოლეტის გამოყენება განეზრახა. ასეთ გარემოებებში, პოლიციის თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ, ძალა გამოეყენებინათ და მათ მიერ ძალის გამოყენება შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც კანონიერი თავდაცვა.

35. დაზუსტებულ დღეს განმცხადებლის ადვოკატმა 2005 წლის 8 ივნისით დათარიღებული გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

36. 2006 წლის 23 თებერვალს რასკანის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გეორგ მოროზიანმა გასაჩივრებაზე უარი განაცხადა. ის ამტკიცებდა, ინტერ ალია, რომ გამოძიება სრულყოფილად და ობიექტურად, კანონის რაიმე დარღვევის გარეშე ჩატარდა. მან დაადგინა, რომ განმცხადებელმა 2005 წლის 25 და 30 მაისს პროკურორთან გასაუბრებაზე უარი განაცხადა. უფრო მეტიც, განმცხადებელს პროკურორისათვის წამებასა ფიზიკურ ძალადობასთან დაკავშირებით საჩივრით არ მიუმართავს. არც ექიმებს უთქვამთ რაიმე პროკურორისათვის სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვალდებული არიან, ასეთი შემთხვევების შესახებ შეატყობინონ. სამედიცინო საქმიდან განმცხადებლის სხეულზე ძალადობის რაიმე ხილვადი ნიშნები არ ჩანს.

### **3. საჩივრები სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო**

37. 2005 წლის 1 ივლისს განმცხადებლის მეუღლემ საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურატურას, *inter alia*, რომ მას არ დართეს ნება, თავისი მეუღლე მოენახულებინა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყო. ციხის საავადმყოფოს ექიმები და პოლიციელები განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობას საიდუმლოდ ინახავდნენ, რათა წამების ნიშნები დაემალათ. ის ასევე ასაჩივრებდა, რომ მას თხოვნაზე, დამოუკიდებელი ექიმისათვის დაერთოთ ნება, კონსულტაცია გაეწია განმცხადებლისათვის, უარი განუცხადეს. პროკურატურას ამ წერილზე პასუხიარ გაუცია.

38. 2005 წლის 18 აგვისტოს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა საჩივრით მიმართა ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს, რომ ფსიქიატრიული გამოკვლევა, რომელზეც მან 2005 წლის 3 აგვისტოს მიიღო ბრძანება, გაურკვეველი მიზეზების გამო არ ჩატარებულა. განმცხადებლისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად, სასამართლოს ეთხოვა, შესაბამისი ორგანოებისათვის ბრძანება გაეცა, რათა კერძო ექიმისათვის დაერთოთ კონსულტაციის გაწევის ნებართვა განმცხადებლისათვის და ფსიქიატრიული გამოკვლევა დაეჩქარებინათ. ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს ეს თხოვნა არასოდეს განუხილავს.

39. 2005 წლის 6 სექტემბერს განმცხადებლის მეუღლემ ბუიუკანის რაიონულ სასამართლოში გაასაჩივრა, რომ ფსიქიატრიული გამოკვლევა არ ტარდებოდა. მან სასამართლოს აცნობა, რომ დაადგინა, განმცხადებელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გონებადაკარგული პირების ტრანსპორტირებისათვის საჭირო აღჭურვილობის არარსებობის გამო გადაყვანილი ვერ იქნებოდა. ის ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდებოდა და შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა დიაგნოზის არარსებობის გამო შეუძლებელი იქნებოდა. მან განმცხადებლის სამედიცინო გამოკვლევასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა შესთავაზა. ეს საჩივარი ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს არასოდეს განუხილავს.

40. 2005 წლის 6 სექტემბერს განმცხადებლის დედამ ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს წერილი მიწერა და თხოვა, რომ, ინტერ ალია, მიეღო ბრძანება, მისი შვილისათვის დაჩქარებული ფსიქიატრიული შეფასების, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთის და ადამიანისთვის შესაფერისი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ. ეს საჩივარი ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს არასოდეს განუხილავს.

41. 2005 წლის 13 სექტემბერს განმცხადებლის მეუღლემ ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს, გენერალურ პროკურატურას და ციხის საავადმყოფოს დირექტორს წერილი მისწერა. ის ჩიოდა, *inter alia*, რომ მისი მეუღლის ფსიქიატრიული შეფასება,

პოლიციის მიერ შეგნებულად გაიწვლა და რამაც მისთვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა შეუძლებელი გახადა. განმცხადებლის მეუღლეს რაიმე პასუხი ამ საჩივარზე არ მიუღია.

- 42. 2005 წლის 5 ოქტომბერს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს წერილი მიწერა: 2005 წლის 20 სექტემბრის ფსიქიატრიული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ განმცხადებელს სერიოზული ფსიქიატრიული მდგომარეობა დაუდგინდა. ვინაიდან ციხის საავადმყოფომ, სადაც განმცხადებელი 2005 წლის 1 სექტემბრამდე დაპატიმრებული იყო, ფსიქიატრიულ დაავადებებს არ უმკურნალა, დიაგნოზის დასმა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარებაც შეუძლებელი იყო. შესაბამისად, მას სამედიცინო მომსახურების საშუალება არ მიეცა, რაც ადამიანისათვის საჭირო იყო და სასტიკ ტანჯვას დაექვემდებარა. ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს ამ წერილისათვის არასოდეს უპასუხია.
- 43. 2005 წლის 6 ოქტომბერს განმცხადებლის მეუღლემ საჩივარი შეიტანა ბუიუკანის რაიონულ სასამართლოში, *inter alia*, რომ მისი მეუღლე შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით ციხის საავადმყოფოში ყოფნისას უზრუნველყოფილი არ იყო. სასამართლოს რეაგირება არც ამ საჩივარზე მოუხდენია.
- 44. 2005 წლის 24 ნოემბერს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა მიმართა ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს ნებართვის თხოვნით, რომ მომხდარიყო კერძო ექიმის ვიზიტი განმცხადებელთან. მან სასამართლოს შეატყობინა, რომ ექვს თვეზე მეტი დროის განმავლობაში განმცხადებელი გონს არ მოსულა და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მკურნალობა ეფექტური არ ყოფილა. მან ასევე აცნობა სასამართლოს, რომ მის თხოვნაზე პასუხის დაგვიანება შეადგენდა განმცხადებლის არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას მისი გამოჯანმრთელებისათვის ხელის შეშლის გამო. მან სასამართლოს ასევე აცნობა, რომ ყველა ხარჯი განმცხადებლის ოჯახის მიერ დაიფარება. სასამართლოს ეს თხოვნა არასოდეს განუხილავს.

**4. განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავშირებული სამართალწარმოება**

- 45. 2005 წლის 23 მაისს პროკურორის ნიკოლაე კატანას მოთხოვნის შედეგად, ბუიუკანის რაიონილმა სასამართლომ განმცხადებლის 10 დღის დაპატიმრების შესახებ ბრძანება გასცა. ბრძანების გაცემასთან დაკავშირებული მიზეზები, რომლებზეც სასამართლომ მიუთითა, შემდეგია:  

“[განმცხადებელი] ეჭვმიტანილია ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც კანონმდებლობა ორ წელიწადზე მეტი ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულება მოპოვებულია კანონიერად. აუცილებელია ეჭვმიტანილის იზოლირება საზოგადოებისაგან: ის შეიძლება გაექცეს სამართალდამცავ ორგანოებს ან სასამართლოს; მან შეიძლება ხელი შეუშალოს გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში ან ხელახლა ჩაიდინოს დანაშაული”.
- 46. 2005 წლის 25 მაისს პროკურორმა ნიკოლაე კატანამ განმცხადებელს ბრალდება ოფიციალურად წარუდგინა.
- 47. 2005 წლის 25 მაისს განმცხადებელმა ბრძანება პატიმრობის შესახებ გაასაჩივრა და ამტკიცებდა, *inter alia*, რომ მისი მიმადლის, გამოძიებისათვის ხელის შეშლის ან დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკის მტკიცებულება არ არსებობდა. ან მიუთითა, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება 2004 წლის თებერვლიდან მიმდინარეობდა და ამ პერიოდიდან მისი საქციელი ამგვარი განზრახვის

საფუძველს არ იძლეოდა. უფრო მეტიც, მისი სამედიცინო მდგომარეობა, გათავისუფლების სასარგებლოდ, მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო.

48. 2005 წლის 27 მაისს ჩიშინაუს სააპელაციო სასამართლომ რაიმე მიზეზების გარეშე აპელაციაზე უარი განაცხადა, რომელიც განმცხადებლის ადვოკატებმა შეიტანეს.
49. 2005 წლის 30 მაისსა და 22 ივნისს იმავე საფუძველით ბუიუკანის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობის ვადა გააგრძელა. ჩიშინაუს სასამართლომ პატიმრობის გაგრძელების შესახებ აპელაციაზე განმცხადებელს უარი უთხრა, შესაბამისად, 2005 წლის 3 და 30 ივნისს.
50. ბრძანებას პატიმრობის შესახებ ვადა 2005 წლის 23 ივლისს გაუვიდა, მაგრამ განმცხადებელი არ განთავისუფლებულა.
51. 2005 წლის 25 ივლისს პროკურატურამ კომპეტენტურ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე წარუდგინა.
52. 2005 წლის 26 ივლისს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს თხოვნით მიმართა, გაეთავისუფლებინათ განმცხადებელი პატიმრობიდან, რადგან, ინტერ ალია, ბრძანებას პატიმრობის შესახებ რამდენიმე დღის წინ ვადა გაუვიდა. ამ თხოვნაზე მას 2005 წლის 3 აგვისტოს უარი განეცხადა.

**5. კერძო ექიმის მიერ განმცხადებლისა და მისი სამედიცინო საქმის შემოწმება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ**

53. ამ თავის ქვეშ წარმოდგენილი ფაქტები განმცხადებლის მტკიცებებს და მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს ეფუძნება. მთავრობას ისინი არ უარყვია.
54. 2005 წლის 16 ნოემბრის შემდეგ, კერძო ექიმმა განმცხადებელი მხოლოდ ერთხელ, 2006 წლის იანვრის დასაწყისში, მონახულა. განმცხადებლის ინფორმაციით, ექიმის ვიზიტის მიზანი მისი სამედიცინო მდგომარეობისა და მომავალი მკურნალობის ხარჯების შეფასება იყო.
55. განმცხადებელთან კონსულტაციის შემდეგ, ექიმმა ტ. მორარუმ დაასკვნა, რომ რიგი გამოკვლევის ჩატარება აუცილებელი იქნებოდა, რათა მას საბოლოო დასკვნა მიეღო. მისი წერილობითი დასკვნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს გაეგზავნა. განმცხადებლის მეუღლემ ყველა სამედიცინო ხარჯების დაფარვა შესთავაზა.
56. 2006 წლის თებერვალში ექიმი ტ. მორარუ შეეცადა, განმცხადებელი კიდევ ერთხელ მოენახულებინა, რათა მისთვის გამოკვლევა ჩატარებინა, მაგრამ მას ამის ნება არ დართეს.
57. 2006 წლის 8 თებერვალს განმცხადებლის მეუღლემ, ბუიუკანის რაიონულ სასამართლოში ფსიქიატრიული საავადმყოფოს უარის გამო სარჩელი შეიტანა, რომ ექიმი ტ. მორარუსათვის განმცხადებლის მონახულების ნება დაერთოთ. მაგრამ 2006 წლის 10 თებერვალს სასამართლომ უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, განმცხადებლის სამედიცინო მკურნალობის პროცესში საავადმყოფოს ექიმებისათვის ინსტრუქციების მიცემის გზით ჩარეულიყო. მსგავს განმეორებით თხოვნებზე განმცხადებლის მეუღლისა და ადვოკატის მიერ უარი 2006 წლის 16 და 19 თებერვალს გაცხადდა. ხოლო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ვინაიდან სისხლის სამართლის დევნა განმცხადებლის

მიმართ შეჩერებულია, ის შეძლებს გამოსცეს ბრძანება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამართალწარმოება განახლდება.

58. დაზუსტებულ დღეს განმცხადებლის მეუღლემ ითხოვა ნებართვა ფსიქიატრიული საავადმყოფოსგან, რომ მისი მეუღლე კერძო ექიმს გამოეკვლია. 2006 წლის 16 თებერვალს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ განმცხადებლის მეუღლეს წერილი მისწერა, რომ განმცხადებელი ექიმი ტ. მორარუს მონახულებას არ საჭიროებს, რადგან ის საავადმყოფოს ექიმებისგან ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურებას იღებს.
59. განმცხადებლის მეუღლემ მსგავსი წარუმტებელი თხოვნით 2006 წლის 22 თებერვალს მიმართა.
60. 2006 წლის 14 და 22 მარტს განმცხადებლის ერთ-ერთმა ადვოკატმა (ბ-ნი გრიბინცეა) სახელმწიფო აგენტის სამსახურს დაურეკა და სთხოვა ქ-ნ ლილია გრიმაშის დახმარება, რათა მოენახულებინათ განმცხადებელი და სამედიცინო საქმე მისთვის და კერძო ექიმისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. მისი თხოვნა წარუმატებელი იყო.
61. 2006 წლის 20 და 28 მარტს განმცხადებლის ადვოკატებმა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმს ორი თხოვნით მიმართეს: ბ-ნ ტ. მორარუს მიერ განმცხადებლის მონახულებასა და მისი სამედიცინო საქმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ისინი თავიანთ მოთხოვნებში ამტკიცებდნენ, რომ ეს საჭირო იყო, რათა საქმე ევროპულ სასამართლოს განეხილა და მოიშველიეს, *inter alia*, კონვენციის 34-ე მუხლი.
62. იმავე დღეს განმცხადებლის ადვოკატს, ბ-ნ გრიბინცეას შეხვედრა ჰქონდა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმთან, ბ-ნ ი. კატრინიტთან, რომელმაც მის თხოვნაზე ზეპირად უარი განაცხადა და ამტკიცებდა, რომ სასამართლოს ბრძანების გარეშე განმცხადებლის მონახულება შეუძლებელი იყო.
63. 2006 წლის 31 მარტს ბ-მა ი. კატრინიტმა წერილობითი პასუხი გასცა 2006 წლის 28 მარტის წერილს, რომელშიც არაფერი იყო მითითებული, გარდა ორ ენაზე, რუმინულად და რუსულად, ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის მე-9 მუხლისა (იხ. ქვემოთ მითითებული 69-ე პუნქტი).

## II. შსსაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### ა. პატიმრობა

64. მოლდოვის რესპუბლიკის კონსტიტუციის 25-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს შემდეგს:

“(4) დაპატიმრება ხდება მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, 30 დღიანი მაქსიმალური ვადით. ბრძანების კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს კანონის შესაბამისად, ზემდგომ სასამართლოში. პატიმრობა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ, კანონის შესაბამისად, მაქსიმუმ თორმეტ თვემდე.”

65. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (“სსსკ”) შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით

### 176-ე მუხლი

“(1) პრევენციული ღონისძიებები შეიძლება გამოიყენოს პროკურატურის ორგანომ ან სასამართლომ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს სერი-

ოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ ბრალდებული მიიმალება, ხელს შეუშლის სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დროს ჭეშმარიტების დადგენას ან ხელახლა ჩაიდენს დანაშაულს, ან ისინი შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასჯელის აღსრულება.

(2) პატიმრობა და ალტერნატიული პრევენციული ღონისძიებები შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომელთა მიმართ კანონმდებლობა ორ წელზე მეტი დროით პატიმრობას ითვალისწინებს. ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომელთა მიმართ კანონმდებლობა ორ წელზე ნაკლები დროით პატიმრობას ითვალისწინებს, ისინი შეიძლება შეფარდებულ იქნეს, თუ ბრალდებულს 1-ლ პუნქტში მოხსენებული დანაშაული უკვე ჩადენილი აქვს.

(3) პრევენციული ღონისძიების აუცილებლობის გადაწყვეტისას, პროკურატურის ორგანო და სასამართლო, მხედველობაში მიიღებს შემდეგ დამატებით კრიტერიუმებს:

- 1) დანაშაულით მიყენებული ზიანის ხასიათი და ხარისხი,
- 2) ბრალდებულის . . . პიროვნება,
- 3) მისი ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა,
- 4) მისი საქმიანობა,
- 5) მისი ოჯახური მდგომარეობა და მასზე დამოკიდებული პირების არსებობა,
- 6) მისი ეკონომიკური მდგომარეობა,
- 7) მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი,
- 8) სხვა არსებითი გარემოებები

...

#### **177-ე მუხლი**

...

(2) პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

#### **185-ე მუხლი**

- (1) პატიმრობა ნიშნავს ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან მსჯავრდებული პირის დაკავებულ მდგომარეობას კანონით გათვალისწინებულ ადგილებსა და პირობებში.
- (2) პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს პირს იმ გარემოებებსა და პირობებში, რაც გათვალისწინებულია 177-ე მუხლით, როდესაც:
  - 1) ეჭვმიტანილს, ბრალდებულს ან მსჯავრდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აქვს.
  - 2) ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან მსჯავრდებული პირის ვინაობა უცნობია.
  - 3) ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა ან მსჯავრდებულმა პირმა მისთვის შეფარდებული პირობები, სხვა პრევენციულ ღონისძიებასთან დაკავშირებით დაარღვია.
  - 4) გადაწყვეტილება, რომლითაც პატიმრობაზე ბრძანება გაიცა, შეიძლება ზემდგომ სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით გასაჩივრდეს.

## 186-ე მუხლი. პატიმრობის ხანგრძლივობა და მისი გაგრძელება

- (1) პირის პატიმრობის დროის ათვლა იწყება მისი დაკავების მომენტიდან, ან თუ პირი არ არის დაკავებული, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მომენტიდან, რომელიც პატიმრობის შესახებ ბრძანებას ეხება.
- (2) პატიმრობა სამართალწარმოების გამოძების ეტაპზე, ვიდრე საქმის მასალები გადაიგზავნება კომპეტენტურ სასამართლოში (პროკურორის მიერ) არ გასტანს 30 დღეზე მეტი ვადით, გარდა წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სამართალწარმოების გამოძების ეტაპზე პატიმრობის ვადის ათვლა იწყება იმ დღეს, როდესაც პროკურორი საქმის მასალებს სასამართლოს უგზავნის და როდესაც პატიმრობა გაუქმდა ან შეიცვალა სხვა პრევენციული ღონისძიებით, რაც თავისფლების აღკვეთას არ საჭიროებს.
- ...
- (5) პატიმრობის გახანგრძლივება 30 დღეზე მეტი ვადით არ დაიშვება.
- (6) თუ აუცილებელია ბრალდებულის პირის პატიმრობის ვადის გახანგრძლივება, პროკურორი, პატიმრობის ბრძანების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 დღისა, ასეთი თხოვნით გამომძიებელ მოსამართლეს მიმართავს.
- (7) როდესაც გადაწყვეტილება მიიღება გამომძიებლის თხოვნაზე პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ, გამომძიებელ მოსამართლეს ან შემთხვევიდან გამომდინარე, სასამართლოს, უფლება აქვს შეცვალოს პატიმრობა შინა პატიმრობით, გათავისუფლებით სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ ან გირაოთი.
- (8) სასამართლოსათვის საბრალდებო დასკვნის წარდგენის შემდეგ, პატიმრობასთან დაკავშირებულ ყველა თხოვნას განიხილავს სასამართლო, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს იხილავს.
- (9) პატიმრობის ვადის გაგრძელება 6 თვემდე გამომძიებელი მოსამართლის მიერ რაიონის პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე გადაწყდება. 6 თვეზე მეტი ვადით პატიმრობის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნას რაიონის პროკურორი, გენერალური პროკურორისა ან მისი მოადგილის თანხმობით, წარადგენს.
- (10) გადაწყვეტილება პატიმრობის გაგრძელების შესახებ შეიძლება ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრდეს.

## 190-ე მუხლი

პირს, რომელიც დაპატიმრებულია 185-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, შეუძლია, სისხლის სამართლის საქმის გამოძების ნებისმიერ ეტაპზე, დროებითი გათავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის ან გირაოს საფუძველზე მოითხოვის.

## 191-ე მუხლი. დაპატიმრებული პირის დროებითი განთავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ

- (1) დაპატიმრებული პირის ან იმ პირის, რომლის მიმართ მოთხოვნა დაპატიმრების შესახებ გაკეთდა, განთავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ, შეიძლება დაკმაყოფილდეს გამომძიებელი მოსამართლის ან სასამართლოს მიერ მხოლოდ ისეთი დანაშაულის შემთხვევაში, რომელიც ჩადენილია გაუ-

ფრთხილებლობით ან რომელიც ეხება განზრახ ჩადენილ დანაშაულს, რისთვისაც სასჯელი გათვალისწინებულია 10 წელზე ნაკლები დროით პატიმრობის სახით.

- (2) დროებითი განთავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ არ შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც მოუხდელი აქვს სისხლის სამართლებრივი სასჯელი მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დანაშაულისთვის ან თუ არსებობს ინფორმაცია, რომ ის ჩაიდენს სხვა დანაშაულს, შეეცდება გავლენა მოახდინოს მოწმეებზე, შეეცდება გაანადგუროს მტკიცებულება ან მიიმალება
- (3) დაპატიმრებული პირის დროებითი განთავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ მოხდება ერთი ან რამდენიმე ქვემოთმოყვანილი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში:
  - 1) არ დატოვოს თავისი საცხოვრებელი ქალაქი, გარდა ისეთი პირობებისა, რომელიც განსაზღვრულია გამომძიებელი მოსამართლის ან სასამართლოს მიერ;
  - 2) შეატყობინოს საგამომძიებო ორგანოს ან სასამართლოს მისამართის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;
  - 3) არ ეწვიოს გარკვეულ ადგილებს;
  - 4) წარსდგეს საგამომძიებო ორგანოს ან სასამართლოს წინაშე, გამოძახების შემთხვევაში;
  - 5) არ დაამყაროს კავშირი გარკვეულ პირებთან;
  - 6) არ მართოს ავტომობილი ან არ მისდოს რაიმე პროექსიას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დანაშაულის ჩასადენად.

...

### 195-ე მუხლი

- (1) გამოყენებული პრევენციული ღონისძიება შეიძლება შეიცვალოს უფრო მკაცრი ღონისძიებით, თუ მისი საჭიროება დადასტურებულია მტკიცებულებით ან უფრო მსუბუქი ღონისძიებით, თუ მისი გამოყენებით უზრუნველყოფილია ბრალდებულის სათანადო ქცევა, რაც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის გამოძიების ნორმალურ მიმდინარეობას და შეფარდებული სასჯელის აღსრულებას.

### 329-ე მუხლი

- 1) სასამართლო საქმის განხილვისას, ex-officio ან მხარეთა მოთხოვნისა და მათი აზრის მოსმენის შემდეგ, უფლებამოსილია გამოიყენოს, გააუქმოს ან შეწყვიტოს პრევენციული ღონისძიების გამოყენება ბრალდებულის მიმართ. ახალი მოთხოვნა პრევენციული ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, შეიძლება წარდგენილ იქნეს თუ არსებობს ისეთი მოთხოვნის საფუძველი, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს ერთ თვეზე უფრო ადრე უკანასკნელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღიდან ან ახალი გარემოებები თუ არ წარმოიშვა.

### 345-ე მუხლი

1) მას შემდეგ რაც საქმე ათი დღის ვადაში გადაწყვეტილების მისაღებად დარიგდა, მოსამართლეები ან მოსამართლე, საქმის განხილვის შედეგად, საქმის წინასწარი მოსმენის თარიღს ადგენს. წინასწარი მოსმენა ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი დაკავებულია, დაუყოვნებლივ და პრიორიტეტული წესით ჩატარდება.

... (4) წინასწარ მოსმენაზე განიხილება შემდეგი საკითხები:

... (6) პრევენციული და დაცვითი ღონისძიებები.

### 351-ე მუხლი

... (7) საქმის განხილვის თარიღის დადგენის დროს, სასამართლო გასცემს ბრძანებას პრევენციული ღონისძიების შენარჩუნების, გაუქმების ან შეწყვეტის შესახებ, წინამდებარე კოდექსის შესაბამისად.

66. უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომის 2005 წლის 28 მარტის განმარტებითი განაჩენი ადგენს, *inter alia*, რომ განთავისუფლება სასამართლო ზედამხედველობის პირობით შეიძლება დაკმაყოფილდეს გამომძიებელი მოსამართლის მიერ ან საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებსაც დანაშაული გაუფრთხილებლობით აქვთ ჩადენილი ან რომელიც განზრახ ჩადენილ დანაშაულს ეხება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სასჯელი 10 წელზე ნაკლები ვადით პატიმრობის სახით.

67. 2005 წელს გამოცემული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რომლის ავტორები სხვებთან ერთად უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე, რამდენიმე მოსამართლე და სამართლის რამდენიმე დეპუტატი პროფესორი არიან, 191-ე მუხლთან მიმართებით უთითებს შემდეგს:

“191-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს პირველ პირობას სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ გათავისუფლების დასაშვებობასთან დაკავშირებით, რაც განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმით, რომელშიც ბრალდებულს ბრალი აქვს წაყენებული. ეს პირობა (დანაშაულის სიმძიმე) განისაზღვრება დოკუმენტებში, რომლებიც გაცემულია საგამომძიებო ორგანოს ან პროკურორის მიერ და დანაშაულის კვალიფიკაციას ახდენს. . .

გამომძიებელი მოსამართლე არ არის უფლებამოსილი შეაფასოს, არის თუ არა დანაშაულის სამართლებრივი კვალიფიკაცია სწორი, ვინაიდან ის არ იხილავს იმ მტკიცებულებას, რომელზეც კვალიფიკაცია კეთდება. . .

სასამართლო განხილვის ეტაპზე, საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია ახალი კვალიფიკაცია იმ დანაშაულს მისცეს, რომელიც ბრალდებულს აქვს წაყენებული”.

### ბ. შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებები, რომელსაც მთავრობა ეყრდნობა

68. საქმეზე დრუგალევი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ (ჩიშინაუს სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის საბოლოო განაჩენი) განთავისუფლების შემდეგ, განმცხადებელმა მოითხოვა და მიიღო კომპენსაცია არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში მოთავსებისათვის წინასწარი დაკავების ეტაპზე, რაც, დაახლოებით, 950 ევროს (eur) შეადგენდა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება კომპენსაციის შესახებ უშუალოდ კონვენციის მე-3 მუხლზე დააფუძნა.

69. კონსტიტუციის 53-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

“(1) პირს, რომლის უფლებები დაარღვია საჯარო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული აქტით ან კანონმდებლობით დადგენილ დროში მოთხოვნის განუხილველობით, აქვს უფლება მიიღოს მოთხოვნილი უფლების აღიარება, აქტის გაუქმება და კომპენსაციის მიღების უფლება მიყენებული ზიანისათვის.

(2) სახელმწიფო კისრულობს მატერიალურ პასუხისმგებლობას, კანონის შესაბამისად, იმ ზიანისათვის რომელიც პირს საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის სამართალწარმოების დროს დაშვებული შეცდომისათვის მიადგა”.

70. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებები ითვალისწინებს შემდეგს:

“1405-ემუხლი. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს მიერ მიყენებული ზიანისათვის.

(1) ზიანი, რომელიც ფიზიკურ პირს მიადგა უკანონო მსჯავრდების, უკანონო დევნის, პრევენციული ზომების უკანონო გამოყენების შედეგად, რაც გამოიხატა პატიმრობით ან ქალაქის არდატოვების შესახებ წერილობითი ვალდებულებით და ადმინისტრაციული დაკავების უკანონო გამოყენებით ან საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულებით, უნდა იქნეს სრულად კომპენსირებული სახელმწიფოს მიერ – მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ეს საგამოძიებო ორგანოების თანამშრომელთა, პროკურატურის თანამშრომელთა თუ მოსამართლეთა ბრალით.”.

71. საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის კომპენსაციის შესახებ №1545 კანონის შესაბამისი დებულებები ითვალისწინებს შემდეგს:

#### **“1-ლი მუხლი**

(1) წინამდებარე კანონის შესაბამისად, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს აქვთ 24 უფლება კომპენსაციაზე, მორალური და მატერიალური ზიანისათვის, რაც გამოიწვია:

ა) უკანონო პატიმრობამ, უკანონო დაკავებამ, უკანონო მსჯავრდებამ, უკანონო ბრალდებამ;

ბ) გამოძიების ან სასამართლო განხილვის ეტაპზე განხორციელებულმა უკანონო ჩხრეკამ, კონფისკაციამ, საკუთრებაზე ყადაღის დადება, სამსახურიდან უკანონო დათხოვნამ ისევე, როგორც პროცესუალურმა მოქმედებებმა, რომლებმაც შეზღუდა პირის უფლებები;

გ) უკანონო ადმინისტრაციულმა დაკავებამ ან ბრძანებამ საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულების შესახებ, საკუთრების უკანონო კონფისკაციამ, უკანონო ჯარიმის დაკისრებამ

დ) უკანონო საგამოძიებო მოქმედების გატარებამ;

ე) საბუღალტრო დოკუმენტის, სხვა დოკუმენტის, ფულის ან ბეჭდის უკანონო ამოღებამ ისევე, როგორც საბანკო ანგარიშების ბლოკირებამ;

(2) მიყენებული ზიანი სრულად ანაზღაურდება, მიუხედავად საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურის ორგანოების ან სასამართლოების ბრალის ხარისხისა.

#### მე-4 მუხლი

პირს აქვს კომპენსაციის უფლება წინამდებარე კანონის შესაბამისად, თუ დაკმაყოფილდა ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) გამამართლებელი განაჩენის გამოცხადება;
- ბ) ბრალდების მოხსნა ან გამოძიების შეწყვეტა მარეაბილიტირებელ საფუძველზე;
- გ) გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ადმინისტრაციული პატიმრობა გაუქმებულია მარეაბილიტირებელ საფუძველზე;
- დ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება ზიანთან დაკავშირებით ან მსხვერპლსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოლდოვის რესპუბლიკის წარმომადგენელს შორის მორიგების შესახებ შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებით. მორიგების შესახებ შეთანხმების მიღწევა მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობამ უნდა მოიწონოს;

#### გ. სამედიცინო საიდუმლოება და სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის თავისუფლება

72. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ კანონის მე-9 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

“ნებისმიერი ინფორმაცია გონებრივი ავადმყოფობის შესახებ, რომლითაც პირი დაავადებულია, მისი თხოვნა ფსიქიატრიული სამედიცინო დახმარების და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის შესახებ, ასევე რაიმე სხვა ინფორმაცია მისი გონებრივი ჯანმრთელობის შესახებ, არის სამედიცინო საიდუმლოება. თავისი უფლებებისა და ინტერესების განხორციელების მიზნით პირს, რომელიც დაავადებულია გონებრივი ავადმყოფობით ან მის იურიდიულ წარმომადგენელს, შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია თავისი ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და მიღებული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ.”

#### კანონმდებლობა

73. კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, განმცხადებელმა გაასაჩივრა პოლიციის მხრიდან 2005 წლის 20 მაისს მის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამოყენება, თავის ტრავმის მიყენება და, ამის შედეგად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოწვეული ფსიქიკური აშლილობა. ის ასევე ასაჩივრებს პატიმრობის პერიოდში შესაფერისი სამედიცინო მომსახურებას და სასტიკი მოპყრობის შესახებ სათანადოდ გამოუძიებლობას.

კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.”

74. განმცხადებელი ასევე ასაჩივრებს, რომ მისი პატიმრობა 2005 წლის 23 მაისიდან 2006 წლის 23 ივლისამდე “შესაბამის და საკმარის” მიზეზებს არ ემყარებოდა. სასამართლომ ასევე საჭიროდ მიიჩნია, განეხილა ex officio: შეესაბამებოდა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის დებულებები კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისი ნაწილი ადგენს:

“ამ მუხლის 1-ლი c პუნქტის დებულების თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყველა პირს, უნდა ჰქონდეს უფლება, მისი საქმე სასამართლომ გონივრულ ვადაში განიხილოს ან განთავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში.”

75. განმცხადებელი ასევე ამტკიცებს, რომ მისი პატიმრობა 2005 წლის 23 მაისიდან 25 ივლისამდე, როდესაც ბრძანებას დაპატიმრების შესახებ ვადა გასული ჰქონდა, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის გაგებით “კანონიერი” არ იყო. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ის არ ასაჩივრებს, რომ დაპატიმრების შესახებ ბრძანების ვადის გასვლის შემდეგ, პირი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. სასამართლომ გადაწყვიტა ex officio, განიხილოს მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, საქმის *Ranovski V. Poland* (#28358/95, ECHR 2000-III) გათვალისწინებით და ამ საკითხზე მხარეთა არგუმენტები განიხილოს მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს:

“1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

...

(გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

...”

76. საბოლოოდ, კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებელი ასაჩივრებს, რომ მის აღვოკატებს მისი სამედიცინო საქმის გაცნობის საშუალება არ მიეცათ და დამოუკიდებელ ექიმს მისი მონახულების საშუალება არ ჰქონდა, რათა შეეფასებინა მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი და ამ საქმეზე ევროპულ სასამართლოში მოსაზრებები წარედგინა. 43-ე მუხლის შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს:

“... მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას არაფრით შეუშალონ ხელი.”

### 1. საჩივრების დასაშვებობა

ა) საჩივარი სისხლის სამართლის საქმის ხელმისწვდომობის არარსებობის შესახებ პატიმრობასთან დაკავშირებით სამართალწარმოების დროს

77. თავის პირველად განაცხადში კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელი არ მიუწვდებოდა სისხლის სამართლის საქმის იმ ნაწილზე, რომელიც შეიცავდა მტკიცებულებებს, რასაც დევნის მხარე ეყრდნობოდა, განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ თავისი გადაწყვეტილების გასამყარებლად. თუმცა, თავის კომენტარებში განაცხადის დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით, განმცხადებელმა აღწოხა სასამართლოს, რომ სისხლის სამართლებრივი სამართალწარმოების მომდევნო ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მისთვის სისხლის სამართლებრივი საქმის მასალები ხელმისაწვდომი გახდა, მან აღმოაჩინა, რომ ის რაიმე ისეთ მტკიცებულებას არ შეიცავდა. შესაბამისად, მან ევროპულ სასამართლოს თხოვნით მიმართა,

შეეწვიტა მისი საჩივრის განხილვა. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მას არ განიხილავს.

## **ბ. შიდა სახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურველობა**

78. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებელმა არ ამოწურა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა შიდა სახელმწიფოებრივი საშუალება, შესაბამისი დეტალების დასუსტების გარეშე. კერძოდ, მთავრობამ ეს დაასაბუთა იმით, რომ განმცხადებელს შეძლო, მაგრამ არ ისარგებლა კონსტიტუციის 53-ე მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 1405-ე მუხლის დებულებებით (იხ. ზემოთ ხსენებული 69-ე-71-ე პუნქტები). უფრო მეტიც, მას შეეძლო მოეშველიებინა უშუალოდ კონვენციის მე-3 მუხლი, როგორც ეს განმცხადებელმა დრუგალევის საქმეზე გააკეთა (იხ. ზემოთ ხსენებული 69-ე პუნქტი).
79. განმცხადებელი მთავრობას არ დაეთანხმა და ის ამტკიცებდა, რომ მან მისთვის ხელმისაწვდომი შიდა სახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება ამოწურა. ის ასევე ამტკიცებდა, რომ მთავრობის მიერ მითითებული დაცვის საშუალებებ ყველა შემთხვევაში ამ საქმისათვის უადგილო იყო.
80. სასამართლო იხსენიებს, რომ ინდივიდს არ მოეთხოვება, სცადოს უფლებების აღდგენის ერთზე მეტი საშუალება, როდესაც ხელმისაწვდომია რამდენიმე (სხვა საქმეებთან ერთად იხ. *Yagiz v. Turkey*, App.#19092, 75 D.R. 207). ევროპული სასამართლოსათვის წარდგენილი დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს და მთავრობა ამას არ ეწინააღმდეგება, რომ განმცხადებელმა გაასაჩივრა 2005 წლის 20 მაისის სასტიკი მოპყრობა პროკურატურისა და/ან ეროვნული სასამართლოების წინაშე (იხ. ზემოთხსენებული 29-ე-36-ე პუნქტები), შესაფერისი სამედიცინო მომსახურების არარსებობა (იხ. ზემოთხსენებული 37-ე - 44-ე პუნქტები) და მისი უკანონო პატიმრობა (იხ. ზემოთხსენებული 45-ე - 52-ე პუნქტები). მთავრობას არ უმტკიცებია, რომ დაცვის ის საშუალებები, რომელთა გამოყენების მცდელობა ჰქონდა განმცხადებელს, არაეფექტური იყო და რომ მას არ უნდა ამოეწურა.
81. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ასკვნის, რომ განაცხადი არ შეიძლება გამოცხადდეს დაუშვებლად შიდა სახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ამოწურველობის გამო და რომ შესაბამისად, მთავრობის შეპასუხებას უარი უნდა ეთქვას.

## **გ. დასკვნა დასაშვებობის შესახებ**

82. სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-3, მე-5 და 34-ე მუხლების საფუძველზე განმცხადებლის საჩივარი წარმოშობს ფაქტებთან და სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც საკმარისად მნიშვნელოვანია, რომ მათი განსაზღვრა დამოკიდებული იქნეს საქმის არსებითი მხარის განხილვაზე. მათი დაუშვებლად გამოცხადების სხვა საფუძველი ვერ დადგინდა. შესაბამისად, ამ საჩივრებს სასამართლო დასაშვებად აცხადებს. 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების შესახებ თავისი გადაწყვეტილების შესაბამისად (იხ. ზემოთხსენებული მე-4 პუნქტი), სასამართლო ამ საჩივრების არსებით მხარეს დაუყონებლივ განიხილავს.

## II. კონვენციის მე-3 მუხლის საგარაუდო დარღვევა

### ა. მხარეთა არგუმენტები

#### 1. საგარაუდო სასტიკი მოპყრობის შესახებ

83. მთავრობა ამტკიცებს, რომ 2005 წლის 20 მაისს, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, მან გონება დაკარგა. მის მიერ გონების გაკარგვა პოლიციის მოქმედებით გამოწვეული არ იყო, რადგან მისთვის არავის დაურტყამს. ის ფაქტი, რომ მის მიმართ სასტიკი მოპყრობა არ გამოყენებულა, მტკიცდება ციხის საავადმყოფოს ექიმების დასკვნებით, რომელთა მიხედვით მას სხეულზე სისხლჩაქცევები არ აღენიშნებოდა. თავის მწვავე ტრამვისა და საავადმყოფოს ექიმების მიერ დადგენილი ტვინის შერყევის დიაგნოზი სუბიექტურია: მხოლოდ განმცხადებლის ჩვილის საფუძველზე დადგინდა, რომ მას აწუხებდა თავის ტკივილები, თავბრუსხვევები, ღებინება, ტკივილი ზურგის მიდამოებში და სხვა. უფრო მეტიც, განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რითაც წარმოაჩენდა, რომ მას სასტიკად მოეპყრნენ და საგარაუდო ცუდი მოპყრობა დეტალურად არ აღწერა.
84. მთავრობა ამტკიცებს, რომ ექიმების, ბერგის და მორარუს, დასკვნები (იხ. ზემოთსენებული 26-ე და 17-ე პუნქტები) არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რადგან ამ ექიმებს სამედიცინო საქმეზე 2005 წლის 15 სექტემბრის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ხელი არ მიუწვდებოდათ. მათ არ უნახავთ განმცხადებელი. რაც შეეხება განმცხადებლის მტკიცებას, რომ მის შარდში იყო სისხლი, მთავრობა აღნიშნავს, რომ ლაბორატორიული შემოწმებისას სისხლი აღმოჩენილი არ იყო. მთავრობას არ დაუზუსტებია, შემოწმება როდის ჩატარდა და მას შესაბამისი სამედიცინო დასკვნების ასლები არ წარუდგენია.
85. განმცხადებელი მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ მთავრობა სადავოდ არ ხდის მის ჯანმრთელობას დაკავების მომენტისათვის 2005 წლის 20 მაისს და გონება პატიმრობაში ყოფნის დროს დაკარგა. ის ციხის საავადმყოფოს ექიმების 2005 წლის 25 მაისით დათარიღებულ დიაგნოზზე მიუთითებს, რომ მას თავის ტრავმა აწუხებდა, რასაც 2005 წლის 20 მაისს გონების დაკარგვა მოჰყვა. ასევე მიუთითებს სამედიცინო საქმეში არსებულ ჩანაწერზე, რომ განმცხადებელს აწუხებდა ტკივილი ფილტვების მიდამოებში და წითელი ფერის შარდი ჰქონდა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მთავრობამ არ ახსნა, თუ როგორ მიიღო მან ზემოთ სენებული დაზიანებები პატიმრობაში ყოფნის დროს. განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ მას არ აქვს სამედიცინო ისტორია, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის მოულოდნელად გონებას კარგავს ან დაავადებულია ფილტვების დაავადებით.

#### 2. პატიმრობის დროს შესაფერისი სამედიცინო მომსახურების საგარაუდო არარსებობის შესახებ

86. მთავრობის აზრით, განმცხადებელს აღმოუჩინეს ყველა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება მისი პატიმრობის ყოფნის დროს, 2005 წლის 21-დან 24 მაისამდე. კარდიოლოგიურ საავადმყოფოში ყოფნის დროს ის ნევროლოგმა მოინახულა, რომელმაც რეკომენდაცია მისცა ტვინის სკანირების ჩასატარებლად, რათა საბოლოო დიაგნოზი დადგენილიყო. თუმცა, ამ პროცედურის ჩატარება შეუძლებელი გახდა: განმცხადებლის სხეულის წონამ, რომელიც 147 კილოგრამი იყო, გადააჭარბა სკანირების აპარატისათვის დასაშვებ მაქსიმალურ წონას, რაც 135 კილოგრამი იყო. მთავრობამ წარმოადგინა სკანირების აპარატის ბროშურის

ასლი შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით. რეკომენდაცია ტვინის სკანირების შესახებ არ დადასტურდა სხვა ნევროლოგის მიერ, რომელმაც განმცხადებელთან 2005 წლის 25 მაისს ციხის საავადმყოფოში კონსულტაცია ჩაატარა. სკანირების ჩატარება ფსიქიატრიული საავადმყოფოს არც მესამე ნევროლოგს მოუთხოვია.

87. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო სრული სამედიცინო მომსახურებით 2005 წლის 24 მაისიდან 2005 წლის 1 სექტემბრამდე ციხის საავადმყოფოში მისი ყოფნის განმავლობაში. მთავრობამ წარმოადგინა განმცხადებლის მედიკამენტებისათვის გაწეული დანახარჯების ქვითრების ასლები 2005 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებისათვის და ამტკიცებდა, რომ სამედიცინო საქმიდან აშკარად ჩანს, რომ განმცხადებელი შესაფერისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი იყო. განმცხადებელი ვერ დაამტკიცებს, რომ შესაფერის სამედიცინო მომსახურებაზე უარი ეთქვა, რადგან ის წამლების გადაყლაპვაზე უარს აცხადებდა. მას შეეძლო წამლები სრულად მიეღო რადგან სამედიცინო საქმე ადასტურებს, რომ 2005 წელს ერთხელ მაისში, ოთხჯერ ივნისში, ერთხელ ივლისში და ერთხელ აგვისტოში, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვადა.
88. მთავრობა ამტკიცებს, რომ მისი აზრით, ფსიქიატრიული გამოკვლევა, რომლის ჩატარებაზე ბრძანება გაიცა 2005 წლის 3 აგვისტოს, გონივრულ ვადაში განხორციელდა. ის ფაქტი, რომ გამოკვლევა 2005 წლის 20 სექტემბრამდე ვერ ჩატარდა, განპირობებული იყო დადგენილი აუცილებელი წინასწარი ადმინისტრაციული პროცედურებით, როგორცაა სასამართლო ბრძანების შესახებ შეტყობინება, გამოკვლევის ჩატარებისათვის ყველა აუცილებელი ელემენტის მომზადება, ფსიქიატრიული საავადმყოფოსადმი შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, ციხის ადმინისტრაციისათვის თხოვნით მიმართვა, რომ განმცხადებელი საავადმყოფოში გადმოყვანათ და განმცხადებლის საავადმყოფოში გადმოყვანა. 2005 წლის 8 ოქტომბერს შედეგების მიღების შემდეგ, სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოკვლევა არასრულყოფილი იყო და დამატებითი გამოკვლევის შესახებ ბრძანება გასცა. დამატებითი გამოკვლევა 2005 წლის 15 ნოემბერს და მისი შედეგების საფუძველზე ჩატარდა. 2005 წლის 23 დეკემბერს სასამართლომ ბრძანება გასცა განმცხადებლის ჰოსპიტალიზაციის შესახებ სპეციალიზებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მის სრულ გამოჯანმრთელებამდე.
89. განმცხადებელი პირველ რიგში ამტკიცებს, რომ პოლიციის თანამშრომლები გონების დაკარგვაზე ადეკვატურად არ რეაგირებდნენ. მიუხედავად იმის, რომ მან გონება დაკარგა საღამოს 8 საათსა და 34 წუთზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარება სამი საათის განმავლობაში გამოძახებული არ ყოფილა. მისი ადვოკატი დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში დაჟინებით ცდილობდა, დაერწმუნებინა პოლიციის თანამშრომლები, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოეძახათ. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მთავრობამ ვერ შეძლო, წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა პოლიციის მხრიდან დაუყოვნებლივი რეაგირების არარსებობის გამო.
90. განმცხადებლის აზრით, მთავრობამ ასევე ვერ დაასახელა მიზეზები, რატომ არ მოხდა მისი ტვინის სკანირება, როგორც ეს კარდიოლოგიური საავადმყოფოს ექიმების მიერ რეკომენდირებული იყო. მან უარყო მთავრობის მტკიცება, რომ ის 147 კოლოგრამს იწონიდა და ამტკიცებდა, რომ ეს არგუმენტი მთავრობამ გამოიგონა და არ დასტურდება. მან თავისი სამედიცინო საქმიდან წარმოადგინა ამონარიდი, რომლის მიხედვითაც 2005 წლის 4 მარტს ის 133 კილოგრამს იწო-

ნიდა. ასეა თუ ისე, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავებიდან 2005 წლის 20 მაისიდან 2005 წლის 15 სექტემბრამდე მან წონაში 30-35 კილოგრამი დაიკლო; თუმცა მას ტვინის სკანირება მხოლოდ 2006 წლის მარტში გაუკეთდა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ტვინის სკანირება მისი მკურნალობისა და მდგომარეობის მიზეზების დასადგენად მნიშვნელოვანი იყო.

91. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ციხის საავადმყოფოში ყოფნისას ის მუდმივად ფილტვების მიდამოებში ტკივილებზე ჩიოდა, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევა არ ჩატარებია.
92. ის ასევე ამტკიცებდა, რომ 2005 წლის 2 ივნისს ციხის საავადმყოფოს ექიმებმა ფსიქიატრიული გამოკვლევის შესახებ რეკომენდაცია გასცეს, მაგრამ მათი რეკომენდაცია უგულვებელყოფილ იქნა.
93. ციხის საავადმყოფოში განმცხადებლის ყოფნის პერიოდში საკმარისი სამედიცინო მომსახურების არარსებობა დადასტურდა 2005 წლის 28 ოქტომბრის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის დასკვნით და სამედიცინო საქმის ჩანაწერით, რომელიც ექიმმა 2005 წლის 7 ივნისს გააკეთა.
94. განმცხადებელი უკვე უჩიოდა არსაკმარის კვებას ციხის საავადმყოფოში მისი ყოფნის განმავლობაში, რაც 99 დღის განმავლობაში 35 კილოგრამის დაკლებით დასტურდება. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მასზე მომსახურე სამედიცინო პერსონალი სათანადოდ არ ზრუნავდა. მან მიუთითა ექიმების მიერ გაკეთებულ სამედიცინო საქმის ჩანაწერებზე, რომლის მიხედვით ოთახში, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, განავლის მძაფრი სუნი იდგა, მისი ზეწარი ჭუჭყიანი იყო და მას სხვა პატიმრები უვლიდნენ.
95. 2005 წლის 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე განმცხადებელი იმყოფებოდა ციხის №3 სამედიცინო განყოფილებაში, რომლის პირობები ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის მისაღები არ იყო.
96. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მას ციხის საავადმყოფოში შეგნებულად ამყოფებდნენ, რათა სასტიკი მოპყრობის კვალი დაემაღათ. იმ სასტიკი მოპყრობისა (რომელსაც განმცხადებელი სავარაუდოდ დაექვემდებარა) და აღმოჩენილი სამედიცინო მომსახურების არაადეკვატურობის საფუძველზე, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ისინი შეადგენს წამებას, კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით.

### **3. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობის შესახებ**

98. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის განცხადებები *prima facie* მტკიცებულებით არ დასტურდება. ნებისმიერ შემთხვევაში, პროკურატურამ ჩაატარა სრული გამოძიება, რის შედეგად მან 2005 წლის 8 ივნისს გადაწყვიტა, სისხლის სამართლის საქმე არ აღეძრა. 2005 წლის 1 ივნისს განმცხადებლის ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანის შედეგად, პროკურატურამ დაკითხა პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც განმცხადებელი დააკავეს; ასევე შეეცადა, დაეკითხა განმცხადებელი 2005 წლის 25 და 30 მაისს, მაგრამ ამ უკანასკნელმა პროკურორთან საუბარზე უარი განაცხადა. უფრო მეტიც, სამედიცინო საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომ განმცხადებელი სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა და იმ დროისათვის ექიმები ეჭვობდნენ, რომ განმცხადებელი თავის სიმპტომებს აზვიადებდა. არც განმცხადებელს და არც მის ადვოკატს სავარაუდო ცუდი მოპყრობა დეტალურად არ აღუწერიათ.

99. განმცხადებელი ამტკიცებდა, *inter alia*, რომ სასტიკი მოპყრობის შესახებ მისი საჩივრის გამოძიებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის მასალები არ შეიცავდა იმ ექიმების ან პოლიციის თანამშრომლების მტკიცებულებას, რომლებიც მისი მდგომარეობისა და 2005 წლის 20 მაისის მოვლენების შესახებ დაიკითხნენ. ის ასევე ამტკიცებდა, რომ 2005 წლის 25 და 26 მაისს ექიმებმა გააკეთეს ჩანაწერები სამედიცინო საქმეში, რომ განმცხადებელს 2005 წლის 20 მაისს აწუხებდა თავის ტრავმა, რასაც მოჰყვა გონების დაკარგვა. ასევე მას ფილტვების მიდამოებში ტკივილი აწუხებდა და მისი შარდი წითელი ფერის იყო. მიუხედავად ამისა, პროკურორმა დაადგინა, რომ სამედიცინო საქმე არ შეიცავს მტკიცებულებას სასტიკი მოპყრობის რაიმე ფორმის შესახებ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პროკურორი სამედიცინო საქმის მასალებს არც კი გაცნობია. ის ფაქტი, რომ მან პროკურორთან საუბარზე 2005 წლის 25 და 26 მაისს უარი თქვა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო განპირობებული. თუმცა ამ ფაქტის მიუხედავად, პროკურორს გამოძიების ვალდებულება ეკისრებოდა.
100. უფრო მეტიც, განმცხადებლისათვის გამოძიების შედეგები ცნობილი გახდა 2005 წლის 23 დეკემბერს, რაც არ შეიძლება, გონივრულ ვადად მიიჩნეოდეს.
101. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ის პროკურორი, რომელმაც მისი საჩივარი სასტიკი მოპყრობის შესახებ გამოიძია დამოუკიდებელი არ იყო: ის იყო იგივე პროკურორი, რომელიც განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისმგებელი იყო.

## ბ. სასამართლოს შეფასება

### 1. საგარეულო სასტიკი მოპყრობის შესახებ

102. როგორც სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფასეულობას განამტკიცებს. ძალიან რთულ სიტუაციაშიც კი, როგორცაა ტერორიზმისა და ორგანიზაციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია წამებას და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას აბსოლუტურად კრძალავს. კონვენციისა და მისი №1 და №4 ოქმების მატერიალური დებულებებისაგან განსხვავებით, მე-3 მუხლი არ უშვებს რაიმე გამონაკლისს. მისგან გადახვევა დაუშვებელია მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საგანგები მდგომარეობის დროსაც კი, როდესაც საფრთხე ხალხის სიცოცხლეს ემუქრება (იხ. *Selmouni v. France* [GC], #258003/94, 95-ე პუნქტი, ECHR 1999-V Bulgaria, 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, *Report of Judgments and Decisions* 1998-VIII, გვ. 3288, 93-ე პუნქტი).
103. თუ პირი დაზიანდა პატიმრობის ან სხვა ისეთ დროს, როდესაც იმყოფებოდა პოლიციის კონტროლის ქვეშ, ნებისმიერი ასეთი დაზიანება წარმოშობს მტკიცე პრეზუმფციას, რომ პირი სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა (იხ. *Bursuk V. Romania*, №42066/98, მე-80 პუნქტი, 2004 წლის 12 ოქტომბერი). სახელმწიფოს ვალდებულება ეკისრება, წარმოადგინოს დამაჯერებელი ახსნა, რამ გამოიწვია დაზიანებები. თუ სახელმწიფო ამის ახსნას ვერ წარმოადგენს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი აშკარად წამოიჭრება (*Selmouni V. France*, 87-ე პუნქტი).
104. მტკიცებულების შეფასებისას, სასამართლო ზოგადად იყენებს მტკიცების სტან-დარტს “გონივრული ეჭვის გარეშე”(იხ. *Ireland V. United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, Series A №25, გვ 64-65, 161-ე პუნქტი). თუმცა ასეთი

მტკიცებულება საკმარისად მტკიცე, ნათელი და თავსებადი დასკვნებიდან ან მსგავსი ფაქტის გაუქარწყლებელი პრეზუმფციიდან უნდა გამომდინარეობდეს. როდესაც შესაბამისი მოვლენები ხდებოდა მთლიანად, ან ნაწილობრივ, ხელისუფლების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ, წარმოიშობა ფაქტის მტკიცე პრეზუმფცია იმ დაზიანებებთან მიმართებით, რომლებიც პატიმრობის პერიოდში მოხდა. მიიჩნევა, რომ მტკიცების ტვირთი ხელისუფლებას ეკისრება, რომ მან ამის დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა წარმოადგინოს (იხ. *Salman V. Turkey* [GC], №21986/93, მე-100 პუნქტი, ECHR 2000-VII).

105. საქმეში არ გამხდარა სადავოდ ის, რომ 2005 წლის 20 მაისს დღის მეორე ნახევარში განმცხადებლის დაკავებიდან საღამოს 11 საათსა და 37 წუთზე საავადმყოფოში მის მოთავსებამდე, განმცხადებელი დაკავებული იყო ედემც-ში. არც ის გახდა სადავოდ, რომ მის დაკავებამდე განმცხადებელს რაიმე განსაკუთრებული გარეგნული ნაკლი მის ჩვეულებრივ ფიზიკურ მდგომარეობასთან შედარებით არ აღენიშნებოდა (იხ. ზემოთხსენებული მე-8 პუნქტი), მაგრამ, პოლიციის განყოფილების დატოვების შემდეგ, ის ოთხ საათზე მეტი დროით უგონოდ იყო (იხ. ზემოთხსენებული მე-12 და მე-13 პუნქტები).
106. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა გონება სტრესის გამო დაკარგა. ის სასტიკ მოპყრობას არ დაექვემდებარა, რაც მის სხეულზე დაბეჭედების არარსებობით დასტურდება. უფრო მეტიც, მთავრობამ განმცხადებლის თავის მწვავე ტრამვისა და შერყევის შესახებ ციხის საავადმყოფოს ექიმების მიერ დასმული დიაგნოზის მიმართ ეჭვი გამოთქვა.
107. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, არ ენდოს ამ დიაგნოზს. ამ თვალსაზრისით ის აღნიშნავს, რომ დიაგნოზი ციხის საავადმყოფოს ექიმების მიერ დაისვა. მთავრობას საწინააღმდეგო სამედიცინო დასკვნა არ წარმოუდგენია. ნებისმიერ შემთხვევაში, დიაგნოზი მოგვიანებით დადასტურდა 2005 წლის 28 ოქტომბრის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით და 2005 წლის 20 სექტემბრისა და 15 ნოემბრის ფსიქიატრიული გამოკვლევების დასკვნებით, რომელთა ჩატარების შესახებ ეროვნულმა სასამართლომ ბრძანება გასცა (იხ. ზემოთხსენებული 21-ე-22-ე პუნქტები).
108. უფრო მეტიც, თავის ტრავმა არ არის განმცხადებლის ერთადერთი დაზიანება, რაც წარმოშობს პასუხისმგებლობას. ციხის საავადმყოფოს სამედიცინო საქმის მიხედვით, განმცხადებელს ასევე აწუხებდა ტკივილი ფილტვების მიდამოებში და წითელი ფერის შარდი ჰქონდა (იხ. ზემოთხსენებული მე-15 და მე-16 პუნქტები). მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ ამ სიმპტომების მიზეზები 2005 წლის 20 მაისს განმცხადებლის მიმართ გამოყენებული სავარაუდო სასტიკი მოპყრობით არ იყო გამოწვეული.
109. ის ფაქტი, რომ განმცხადებელს სხეულზე სისხლჩაქცევები ან სასტიკი მოპყრობის სხვა ხილვადი ნიშნები არ ჰქონდა, სასამართლოს აზრით, გადამწყვეტი არ არის. სასამართლოსათვის კარგად არის ცნობილი, რომ არსებობს ძალის გამოყენების მეთოდები, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არანაირ კვალს არ ტოვებს.
110. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ 2005 წლის 20 მაისს მისი მისი ფსიქიკური აშლის მდგომარეობა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ სასტიკმა მოპყრობამ გამოიწვია. მთავრობა ამ მტკიცებას უარყოფს. სასამართლო შემოფოთებით აღნიშნავს განმცხადებლის მდგომარეობას, პოლიციასთან მისი ურთიერთობის შემდეგ. თუმცა, მის ხელს არსებული მწირი მტკიცებულების, კერძოდ,

აღტერნატიული სამედიცინო დასკვნის არარსებობის გამო, სასამართლოს არ შეუძლია, დაადგინოს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი სასტიკ მოპყრობასა და ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობას შორის.

111. მის წინაშე არსებული ყველა მასალის საფუძველზე, სასამართლო ასკვნის, რომ მთავრობამ არ დააკმაყოფილა მასზე დაკისრებული ვალდებულება, დაერწმუნებინა სასამართლო, რომ განმცხადებლის დაზიანებები არ გამოუწვევია მის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამოყენებას პოლიციაში პატიმრობის დროს, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებელი არაა დამიანურ და სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა.

## **2. პატიმრობის დროს შესაფერისი მომსახურების სავარაუდო არარსებობის შესახებ**

112. სასამართლო იხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ უნდა იქნეს გაგებულად, თითქოს ის ადგენს ზოგად ვალდებულებას – გაანთავისუფლოს დაკავებული ჯანმრთელობის მიზეზით – ის მაინც აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლებაადკვეთილი პირების ფიზიკური კეთილდღეობა, მაგალითად მათთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გზით (იხ. *Sarban v. Moldova*, 77-ე პუნქტი).

113. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, საჭიროებდა თუ არა განმცხადებელი მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, ჰქონდა თუ არა მას ეს უფლება ჩამორთმეული, როგორც ის ამტკიცებს და თუ ჰქონდა, შეადგენს თუ არა ეს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოქმედებას (*cf. Farbutuhs V. Latvia*, №4672/02, 53-ე პუნქტი, 2004 წლის 2 დეკემბერი).

114. ორივე მხარის მიერ მტკიცებულება ადასტურებს, რომ თავის მწვავე ტრავმისა და ფილტვების მიდამოებში ტკივილთან ერთად, განმცხადებელი, როგორც ჩანს, იმყოფებოდა ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში. ეს ძალზე სავალალო სამედიცინო მდგომარეობაა, რომელიც მუდმივ სამედიცინო მომსახურებას და მკაცრ ზედამხედველობას საჭიროებდა (იხ. ზემოთხსენებული 22-ე პუნქტი). ამკარაა, რომ განმცხადებელი ამ მდგომარეობაში 2005 წლის 20 მაისს, პოლიციასთან მისი ურთიერთობიდან მოკლე დროში, აღმოჩნდა და ასეთ მდგომარეობაში 2005 წლის 2 ოქტომბრამდე იმყოფებოდა. 24 ოქტომბერს ის ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში ხელახლა აღმოჩნდა, ხოლო განმცხადებლის ამჟამინდელი სამედიცინო მდგომარეობა მხარეთა კომენტარებიდან ნათელი არ არის.

115. სასამართლო მიიჩნევს, რომ ექიმების, ბერგისა და მორარუს, დასკვნები (იხ. ზემოთხსენებული 26-ე და 27-ე პუნქტები) არსებითია, რადგან მთავრობის განცხადებების საწინააღმდეგოდ, ისინი ციხის საავადმყოფოს სამედიცინო საქმის შემოწმებას და ზოგადი მედიცინის ცონდას ემყარება.

116. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელს ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი მხოლოდ 2005 წლის 20 სექტემბერს დაუსვეს, როდესაც ფსიქიატრიული გამოკვლევა პირველად ჩატარდა (იხ. ზემოთხსენებული 22-ე პუნქტი). ამ დრომდე კარდიოლოგიური საავადმყოფოსა და ციხის საავადმყოფოს სამედიცინო საქმეები უთითებდნენ მის მდგომარეობაზე, როგორც “გაურკვეველი წარმოშობის აშლილობის სინდრომი”-ან როგორც სავარაუდო სიმულაცია (იხ. ზემოთხსენებული მე-14 და მე-16 პუნქტები).

117. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ფსიქიატრიული გამოკვლევა დროულად განხორციელდა და მან მიუთითა იმ ადმინისტრაციულ ბარიერებზე, რაც დაკავშირებული

იყო, *inter alia*, ციხის საავადმყოფოდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განმცხადებლის გადაყვანასთან. თუმცა, სასამართლოს არ შეუძლია ასეთი არგუმენტის მიღება განმცხადებლის კრიტიკული მდგომარეობისა და იმ ფაქტის გამო, რომ ფსიქიატრიულ გამოკვლევაზე პირველად ბრძანება გაიცა არა 2005 წლის 3 აგვისტოს, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებს, არამედ 2005 წლის 2 ივნისს, რაც ციხის სამედიცინო საქმიდან ამკარაა (იხ. ზემოთხსენებული მე-15 პუნქტი).

118. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ 2005 წლის 20 მაისსა და 2005 წლის 20 სექტემბერს შორის, განმცხადებლის მდგომარეობის რაიმე მკაფიო დიაგნოზის არარსებობის გამო, ერთადერთი სამედიცინო დახმარება, რომელიც შეიძლება აღმოეჩინათ განმცხადებლისათვის, მისი სიცოცხლის შენარჩუნება იყო. თუმცა ეს დაკვნაც კი საეჭვოა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2005 წლის 1-დან 15 სექტემბრამდე განმცხადებელი მთავრებული იყო ჩვეულებრივ ციხეში. არ არსებობს მტკიცებულება, რომ მას რაიმე სამედიცინო მომსახურება აღმოუჩინეს. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელი შესაფერისი სამედიცინო მომსახურებით 2005 წლის 20 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი არ იყო. სასამართლოს მის წინაშე არსებული მასალების საფუძველზე (იხ. ზემოთხსენებული 158-ე პუნქტი) არ შეუძლია, განსაზღვროს, იყო თუ არა 2005 წლის 20 სექტემბერს დადგენილი დიაგნოზის შედეგად ჩატარებული მკურნალობა შესაფერისი და ადეკვატური.

119. დასკვნისას, სასამართლო მიიჩნევს, რომ ადეკვატური სამედიცინო მომსახურების არარსებობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას შეადგენს.

### 3. გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობის შესახებ

120. სასამართლო იხსენიებს, როდესაც ინდივიდი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ პოლიციისა და სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ის დაექვემდებარა მოპყრობას, რომელიც მე-3 მუხლს არღვევს, ეს დებულება, რომელიც უნდა განიხილებოდეს კონვენციის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებიდან, რომ “თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები”, არაპირდაპირ მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. როგორც ეს არის მე-2 მუხლიდან გამომდინარე გამოძიების შემთხვევაში, ასეთ გამოძიებას უნდა ჰქონდეს უნარი, ამგვარი პირების იდენტიფიცირება და დასჯა შესაძლებელი გახადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკაში არაეფექტიანი გახდება. ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენლობისათვის შესაძლებელი გახდება, ფაქტობრივად, დაუსჯელად შებღალონ იმ პირთა უფლებები, რომლებიც მათი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან (სხვა საქმეებთან ერთად, იხ. *Labita V. Italy* [GC], №26772/95, 131-ე პუნქტი, ECHR 2000-IV).

121. გამოძიება ეფექტიანი რომ იყოს, ის, ზოგადად, აუცილებლად უნდა მიიჩნეოდეს იმ პირების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან და გამოძიებას იმ ადამიანებისაგან დამოუკიდებლად ატარებენ, რომლებსაც ეს მოვლენები უკავშირდება (იხ. *e.g. Barbu Anghelescu V. Romania*, №46430/99, 66-ე პუნქტი, 2004 წლის 5 ოქტომბერი). ეს ნიშნავს არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არსებობას, არამედ ასევე – პრაქტიკულ დამოუკიდებლობას (იხ. მაგალითად საქმე *Ergi V. Turkey*, 1998 წლის 28 ივლისს გადაწყვეტილება, Reports 1998-IV, 83-ე

პუნქტები, რომელშიც პროკურორი გოგონას გარდაცვალების საქმეს სავარაუდო შეტაკების დროს იძიებდა, არ წარმოჩინდა დამოუკიდებლად იმის გამო, რომ ის მეტისმეტად დაეყრდნო იმ ჟანდარმების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომლებსაც ამ შემთხვევასთან კავშირი ჰქონდათ).

122. გამოძიება ასევე ეფუძნება უნდა იყოს იმ გაგებით, რომ მას უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა შესაბამის ვითარებაში გამართლებული იყო თუ არა (იხ. *Kaya V. Turkey*, 1998 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, Reports 1998-I, 87-ე პუნქტი)
123. სერიოზული მტკიცებები სასტიკი მოპყრობის შესახებ დეტალური უნდა იყოს. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ყოველთვის სერიოზულად უნდა შეეცადოს, დაადგინოს, რა მოხდა, არ დაეყრდნოს ნაუცბათევ და დაუსაბუთებელ დასკვნას, რათა გამოძიება დაასრულოს ან გამოიყენოს თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად (იხ. ზემოთხსენებული გადაწყვეტილება საქმეზე *Assenov end Others V. Bulgaria*, 103-ე პუნქტი et seq.). მან მისთვის ხელმისაწვდომი ყველა გონივრული ნაბიჯი უნდა გადადგას, რათა შემთხვევის შესახებ მტკიცებულების მოპოვება უზრუნველყოს, თვითმხილველის ჩვენებისა და სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულების ჩათვლით (იხ. *Tanrikulu V. Turkey [GC] №23763/93*, 89-ე პუნქტი, 2000 წლის 12 დეკემბერი). გამოძიების რაიმე ხარვეზი, რომელიც საფრთხეს უქმნის მის უნარს, დაადგინოს დაზიანებების მიზეზი ან პასუხისმგებელი პირის ვინაობა, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას რისკის ქვეშ აყენებს.
124. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეჭვს იწვევს პროკურორის, ბ-ნი კატანას დამოუკიდებლობა, რომელმაც გამოძიება აწარმოა. სასამართლო აღნიშნავს რომ ის იგივე პროკურორი იყო, ვინც განმცხადებელს სისხლის სამართლებრივი ბრალდება ოფიციალურად წარუდგინა, ვინც მიმართა ბუიუკანის რაიონულ სასამართლოს განმცხადებლისათვის პატიმრობის შეფარდებისა და პატიმრობის გახანგრძლივების თაობაზე (იხ. ზემოთხსენებული 33-ე პუნქტი).
125. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ბ-ნი კატანას რაიმე საგამოძიებო ღონისძიება განმცხადებლის ადვოკატისაგან საჩივრის მიღების შემდეგ არ გაუტარებია. ეს აშკარად გამომდინარეობს მისი 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებიდან, რომელშიც ის აცხადებს, რომ 2005 წლის 31 მაისის საჩივრის გამოსაძიებლად, მას ჰქონდა წარუმატებელი მცდელობა, პირადად გასაუბრებოდა განმცხადებელს 2005 წლის 25 და 30 მაისს. ეს განცხადებები დაადასტურა რასკანის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ გეორგ მოროზანმა თავის 2006 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებაში, რომლითაც განმცხადებელს გასაჩივრებაზე უარი უთხრა.
126. უფრო მეტიც, 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებაში არ არის მითითება იმაზე, რომ ბ-მა კატანამ განიხილა განმცხადებლის სამედიცინო საქმე, ან მითითება იმაზე, რომ პროკურორმა თავის მწვავე ტრამვის დიაგნოზი თუნდაც მოიხსენია. ასევე არ არის მითითება მასზე, რომ განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობასთან დაკავშირებით რომელიმე ექიმი დაიკითხა. აშკარაა, რომ ბ-ნი კატანას მიერ გატარებული საგამოძიებო ღონისძიებები მოიცავს მხოლოდ ორ წარუმატებელ მცდელობას: გასაუბრებოდა განმცხადებელს, ამ უკანასკნელის მიერ სასტიკი მოპყრობაზე საჩივრის შეტანამდე. სასამართლოს ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, განმცხადებელი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში იმყოფებოდა და მას საუბარი არ შეეძლო. სასამართლო განსაკუთრებით განსაცვიფრებლად მიიჩნევს ბ-ნი კატანას დასკვნას, რომ განმცხადებლის მიმართ სასტიკი მოპყრობა ნებისმიერ შემთხვევაში გამართლე-

ბულია, რადგან არსებობდა პრეზუმფცია – ის მოისურვებდა, მისი დაკავების მომენტში იარაღი გამოეყენებინა.

127. ასეთ სიტუაციაში სასამართლო ასკენის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ ვერ შეძლო, სასტიკი მოპყრობის შესახებ განმცხადებლის მტკიცებებთან დაკავშირებით შესაფერისი გამოძიება ჩაეტარებინა. შესაბამისად, ამის გამო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა.

### III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საგარაუდო დარღვევა.

#### ა. მხარეთა არგუმენტები

128. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან სისხლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით, მთავრობა ამტკიცებდა, მართლაც შეუძლებელი იყო, რომ პირი, რომელსაც ედება ბრალი ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 10 წელზე მეტი ვადით, სასამართლოში საქმის განხილვამდე განთავისუფლდეს. თუმცა, განთავისუფლება შესაძლებელი იქნება, თუ საქმის განმხილველი სასამართლო, გადაწყვეტს, შეცვალოს ბრალდებისათვის წაყენებული ბრალი ისეთი დანაშაულით, რომელიც პატიმრობას 10 წელზე ნაკლები ვადით ითვალისწინებს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად გათავისუფლების გარდა, არსებობს გირაოთი განთავისუფლების შესაძლებლობა 192-ე მუხლის შესაბამისად ან განთავისუფლება პირადი ან ორგანიზაციის თავდებობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად.
129. რაც შეეხება განმცხადებლის პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პატიმრობა აუცილებელი გახდა, რადგან ის იყო ეჭვმიტანილი ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულის ჩადენაში, რაც ითვალისწინებს პატიმრობას 10-დან 25 წლამდე. ის შეიძებოდა მიმალულიყო, გავლენა მოეხდინა მოწმეებზე, ხელი შეეშალა ჭეშმარიტების დადგენისათვის ან ხელახლა ჩაედინა დანაშაული. უფრო მეტიც, მისი ჯანმრთელობის პრობლემების გათვალისწინებით, მას შეიძლება უპირატესობა მიენიჭებინა მიმალვისთვის სასჯელის მოხდის რისკთან შედარებით.
130. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე ვალდებული იყო, ბრძანება გაეცა პატიმრობის შესახებ, პატიმრობის მიზეზების არსებობის მიუხედავად – თუ ბრალდებულს წაყენებული ჰქონდა ბრალი ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 10 წელზე მეტი ვადით და პატიმრობის მიზეზების რეალური სასამართლო კონტროლი შეუძლებელი იყო. განმცხადებელმა მიუთითა უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომის განმარტებით განაჩენზე, რომელმაც მისი პოზიცია დაადასტურა.
131. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეროვნულ სასამართლოებს მისი პატიმრობის მიზეზები არ დაუსაბუთებიათ. თავიანთ გადაწყვეტილებებში პატიმრობის შესახებ სამართლებრივი ნორმების ფორმულირებები მხოლოდ გაიმეორეს. მათ ასევე ვერ შეძლეს, გაეზიარებინათ განმცხადებლის დაცვის მიერ წამოყენებული არგუმენტები გაეზიარებინათ.
132. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ პატიმრობის მიზეზებთან დაკავშირებით, ამ საქმის გარემოებები იყო იდენტური საქმეების *Sarban* (ზემოთ ციტირებული) და

*Basiev v. moldova*, №9190/03, 2005 წლის 4 ოქტომბერი, რომლებშიც სასამართლომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა დაადგინა.

133. უფრო მეტიც, განმცხადებლის პატიმრობა აუცილებელი არ იყო, რადგან მისი პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში, იგი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში იმყოფებოდა და საწოლიდან ადგომაც კი არ შეეძლო. მითუმეტეს, იგი ვერ შეძლებდა მიმალვას ან გამოძიებაზე გავლენის მოხდენას.

## **ბ. სასამართლოს შეფასება**

### **1. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისობის შესახებ.**

134. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე ს.ბ.ც წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფო (№39360/98, 2001 წლის 19 ივნისი), მან დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, რადგან ინგლისის კანონმდებლობა მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორიის მიმართ გირაოს გამოყენების უფლებას არ უშვებდა. სასამართლო ამ საქმეზე დაადგინა, რომ კანონმდებელმა რაიმე მოსაზრებით სასამართლო განხილვამდე პირის განთავისუფლების შესაძლებლობა თავიდანვე გამორიცხა.
135. წინამდებარე საქმე ს.ბ.ც. მსგავსია იმით, რომ მოლდოვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი არ ითვალისწინებს სასამართლო განხილვამდე განთავისუფლების შესაძლებლობას იმ პირების მიმართ, ვისაც ბრალი ედება განზრახი დანაშაულისთვის, რაც ითვალისწინებს 10 წელზე მეტი ვადით პატიმრობას. ნათელია, რომ წინამდებარე საქმეში განმცხადებელს ასეთი დანაშაულისთვის ბრალი წაეყენა.
136. მთავრობის არგუმენტს, რომ ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალი შეიძლება თეორიულად შეიცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით და, შესაბამისად, უშვებდა განმცხადებლისათვის იმის შესაძლებლობას, რომ განთავისუფლებულიყო სასამართლო პროცესის განმავლობაში, ევროპული სასამართლო ვერ მიიღებს. პირველ რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი შეცვლა შეიძლება მოახდინოს გამომძიებელმა მოსამართლემ მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საქმის მასალები გადაეგზავნება სასამართლოს საქმის არსებითი საქმის განსახილველად (იხ. ზემოთხსენებული 67-ე პუნქტი). მეორე საკითხი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამომდინარეობს საქმიდან S.B.C. არის ის, რომ სასამართლო განხილვის განმავლობაში გათავისუფლების უფლება, პრინციპში, არ შეიძლება, კანონმდებელმა წინასწარ გამორიცხოს.
137. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებელს შეეძლო განთავისუფლება მოეთხოვა გირაოს საფუძველზე მოეთხოვა ან პირადი, ან ორგანიზაციის თავდებობით, სასამართლოს ის ამ საქმისათვის მიუღებლად მიაჩნია, რადგან შესაბამისმა ეროვნულმა სამართალწარმოებამ მიუთითა მხოლოდ სასამართლო პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე.
138. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი იმით, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, შეუძლებელი იყო განმცხადებელს განთავისუფლება სასამართლო პროცესის განმავლობაში.

## 2. განმცხადებლის პატიმრობის საკმარისი მიზეზების არარსებობის შესახებ

139. სასამართლო იხსენიებს, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილის მიხედვით, პირი, რომელიც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში, ყოველთვის უნდა გათავისუფლდეს სასამართლო განხილვის განმავლობაში, თუ სახელმწიფომ ვერ დაამტკიცა, რომ არსებობს “მნიშვნელოვანი და საკმარისი” მიზეზები, რომ მისი პატიმრობაში დატოვება გამართლდეს (*Yagci and Sargin V. Turkey*, 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, Series A №319-, 52-ე პუნქტი).
140. უფრო მეტიც, ეროვნულმა სასამართლოებმა “უნდა განიხილონ ყველა ფაქტი, რომელიც საჯარო ინტერესის ჭეშმარიტი მოთხოვნის არსებობას ემხრობა ან ეწინააღმდეგება და რომლის არსებობა, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით, ამართლებს პიროვნული თავისუფლების პატივისცემის წესისაგან გადახვევას და ადგენს მათ თავიანთ გადაწყვეტილებებში გათავისუფლების შესახებ მიმართებთან დაკავშირებით” (*Letellier v. France*, 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, Series A №207, 35-ე პუნქტი).
141. გონივრული ეჭვის ურყეობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, არის მისი პატიმრობაში დატოვების კანონიერების sine qua non პირობა, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ის საკმარისი აღარ არის. ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, თავისუფლების აღკვეთას სასამართლო ორგანოების მიერ გამოყენებული სხვა საფუძვლები კიდევ ამართლებს თუ არა. როდესაც ასეთი საფუძვლები არის “მნიშვნელოვანი” და “საკმარისი”, სასამართლომ უნდა ნათელჰყოს, კომპეტენტურმა ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოამუღაფა თუ არა “განსაკუთრებული გულმოდგინება” სამართალწარმოების წარმართვაში (იხ. *Labita V. Italy*, [GC] №26772/95, 152-ე-153-ე პუნქტები, ECHR 2000-IV).
142. მაშინ, როდესაც კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი “მოსამართლეს, რომელიც პატიმრობასთან დაკავშირებულ საჩივარს იხილავს, არ აკისრებს ვალდებულებას, იმსჯელოს განმცხადებლის შეპასუხებაში მოხსენიებული თითოეული არგუმენტის შესახებ. მისი გარანტიები იქნება აზრს მოკლებული, თუ მოსამართლეს, რომელიც ეყრდნობა შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და პრაქტიკას, შეუძლია ჩათვალოს ის უმნიშვნელოდ ან მოახდინოს იმ კონკრეტული ფაქტების იგნორირება, რომლებსაც ეყრდნობა დაკავებული და შეუძლია თავისუფლების აღკვეთის “კანონიერებისათვის” მნიშვნელოვანი პირობების არსებობა დააყენოს ეჭვის ქვეშ, კონვენციის გაგებით.” (*Nikolova v. Bulgaria* [GC], №31195/96, 61-ე პუნქტი, ECHR 1999-II). ამ კონტექსტში “არგუმენტები, რომლების ემხრობა ან ეწინააღმდეგება გათავისუფლებას არ უნდა იყოს “ზოგადი და აბს-ტრაქტული”” (*Smirnova v. Russia*, nos 46133/99 და 48183/99, 63-ე პუნქტი, ECHR 2003-IX (ამონარიდები), *Sarban v. Moldova*, ზემოთ ციტირებული, 99-ე პუნქტი).
143. წინამდებარე საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლო, განმცხადებლის პატიმრობის შესახებ ბრძანების მიღებისა და მისი გახანგრძლივებისას, შესაბამის კანონმდებლობას დაეყრდნო. მაგრამ არ მიუთითეს მტკიცებულებების დასაბუთებულად მიჩნევის მიზეზები, რატომ შეეძლო განმცხადებელს ხელი შეეშალა სამართალწარმოებისათვის მიმალვოდა ან დანაშაული ხელახლა ჩაედინა. მათ არც იმის მცდელობა ჰქონდათ, რომ განმცხადებლის დაცვის მხარის არგუმენტები უარეყოთ. ამდენად, ამ საქმის გარემოებები მსგავსია *Becciev V. Moldova*, 61-ე-62-ე და *Sarban*, მე-100-101-ე, ზემოთციტირებული საქმეების გარემოებებისა, რომლებშიც ამ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევები იმის გამო, რომ სასამართლომ განმცხადებელთა პატიმრობა არასაკმარისად

დაასაბუთა. ვინაიდან მთავრობას არ წარმოუდგენია მიზეზები, რომლებიც ამ საქმეს განასხვავებდა ზემოაღნიშნული საქმეებისაგან, სასამართლო თვლის, რომ ამ საქმეში იგივე მიდგომა უნდა არსებობდეს.

144. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ბუიუკანის რაიონულ სასამართლოსა და ჩიშინაუს სააპელაციო სასამართლოს მიერ თავიანთ გადაწყვეტილებებში მოშველიებული მიზეზები განმცხადებლის პატიმრობასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით, “მნიშვნელოვანი და საკმარისი” არ იყო.

145. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა.

#### **IV. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა**

##### **ა. მხარეთა არგუმენტები**

146. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მას შემდეგ, რაც განმცხადებლის საქმის მასალები საქმის განმხილველ სასამართლოს 2005 წლის 23 ივლისს წარედგინა, სასამართლოს უნდა განეხილა განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ეფუძნებოდა პატიმრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მკაფიო დებულებებს, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186(2)-ე და (8), 329(1)-ე, 351(7)-ე და 324(1) და (4) მუხლებს (იხ. ზემოთხსენებული 65-ე პუნქტი). ზემოაღნიშნული და ის ფაქტი, რომ განმცხადებლის პატიმრობის შესახებ ბრძანება მიიღო გამომძიებელმა მოსამართლემ და არა პროკურორმა, განასხვავებს ამ საქმეს ბარანოვსკისაგან (ზემოთ-ციტირებული). საქმის განმხილველ სასამართლოს პირდაპირ აქვს დადგენილი 10 დღიანი ვადის შეზღუდვა, რომ დაადგინოს წინასწარ მოსმენის თარიღი (სსსკ-ის 345-ე მუხლი). მან ასეთი მოსმენა 2005 წლის 3 აგვისტოს ჩაატარა. ამ საქმის შინაარსიდან ყველასათვის ნათელი იყო, რომ განმცხადებელი პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო. ამასთან ერთად, განმცხადებელს ნებისმიერ დროს მოეთხოვა მისი გათავისუფლება შეეძლო, თუ ის თავის პატიმრობას უკანონოდ ჩათვლიდა.

147. განმცხადებელი ამტკიცებს, *inter alia*, რომ 2005 წლის 23 ივლისიდან 23 დეკემბრამდე ის უკანონოდ იმყოფებოდა პატიმრობაში, რადგან ამ პერიოდთან დაკავშირებით მოსამართლეს ბრძანება პატიმრობის შესახებ არ გაუცია. მან მიუთითა კონსტიტუციის 25-ე მუხლზე, რომლის მიხედვით პირები შეიძლება დაკავებული იყვნენ მხოლოდ მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანებით მაქსიმუმ 30 დღის განმავლობაში და ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმეში არსებული მდგომარეობა ბარანოვსკი-ს საქმის მდგომარეობის მსგავსია.

##### **ბ. სასამართლოს შეფასება.**

148. სასამართლო ადასტურებს, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით პატიმრობის “კანონიერება” მთავარი, მაგრამ ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ელემენტი. ამასთან ერთად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში პატიმრობა შეესაბამება მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტს, რომლის მიზანია პირებისათვის უკანონო გზით თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილება. სასამართლომ უნდა ნათელყოფს, შეესაბამება თუ არა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციას, მასში პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზოგადი პრინციპების ჩათვლით (ბარანოვსკი, ზემოთციტირებული, 51-ე პუნქტი).

149. ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ როდესაც საქმე ეხება თავისუფლების აღკვეთას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დაკმაყოფილდეს სამართლებრივი სიცხადის ზოგადი პრინციპი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის პირობები მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული. თავად კანონმდებლობა უნდა იყოს განმჭვრეტადი თავის გამოყენებაში ისე, რომ მან კონვენციით განმტკიცებული “კანონიერების” მოთხოვნა დააკმაყოფილოს. მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს, რომ შესაბამისი კანონმდებლობა იყოს საკმარისად ზუსტი, პირს მიეცეს შესაძლებლობა თუ ამის საჭიროება არის, შესაბამისი კონსულტაციით გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში განჭვრიტოს იმ მოქმედების შედეგები, რომლებიც მან შეიძლება გამოიწვიოს (*Steel and Others V. United Kingdom*, 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, Reports 1998-VII, 54-ე პუნქტი).
150. წინამდებარე საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ 2005 წლის 23 ივლისის შემდეგ ეროვნულ სასამართლოს არ გაუცია ბრძანება პატიმრობის შესახებ, რომელიც განმცხადებლის პატიმრობის ან მისი გახანგრძლივების საფუძველად ჩაითვლებოდა.
151. მთავრობა იშველიებს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლს, რომელიც, მისი აზრით შეადგენს, განმცხადებლის პატიმრობის სამართლებრივ საფუძველს 2005 წლის 23 ივლისის პატიმრობის შესახებ ბრძანების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ (იხ. ზემოთხსენებული 146-ე პუნქტი).
152. ამ მუხლების ანალიზის შედეგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ არცერთი მათგანი არ ითვალისწინებს განმცხადებლის პატიმრობას, პატიმრობის შესახებ ბრძანების გარეშე. ფრო მეტიც, იმის გათვალისწინებითაც კი რომ მთავრობის მიერ მოშველიებული ერთ-ერთი დებულება რომ აღგენდეს ასეთ პატიმრობას, ეს დაარღვევდა კონსტიტუციის 25-ე პუნქტს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ პატიმრობა შესაძლებელია მხოლოდ ბრძანების საფუძველზე და რომ ის არ შეიძლება 30 დღეზე მეტი ვადით. ეს დადასტურებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის დებულებებით (იხ. ზემოთხსენებული 65-ე პუნქტი), რომელიც იმეორებს კონსტიტუციის 25-ე მუხლის დებულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე.
153. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ განმცხადებლის პატიმრობა 2005 წლის 23 ივლისს, პატიმრობის შესახებ ბრძანების ვადის გასვლის შემდეგ, იურიდიულ საფუძველზე დაფუძნებული არ იყო.
154. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი დაირღვა.

## V. მხარეთა არგუმენტები

155. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების უარი, ნება მიეცათ, რომ ის ადვოკატებს და კერძო ექიმს მონახულებინათ და, ასევე, ენახათ სამედიცინო საქმე, შეადგენს ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის ხელის შეშლას. ის ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელი ექიმის მონახულება საჭირო არ იყო, რათა, 2005 წლის 20 მაისის შემდეგ, მისი მდგომარეობა, მისი ამჟამინდელი მდგომარეობა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩენილი სამედიცინო მომსახურების ხარისხი დაედგინათ. ასეთი დასკვნა ასევე სასარგებლო იქნებოდა

მისი სამომავლო მკურნალობის დაახლოებითი ხარჯების შესაფასებლად, მსგავსი ფორმით, როგორც ეს შეფასდა საქმეში *Mikheyev V. Russia*, №77617/01, 2006 წლის 26 მაისი.

156. მთავრობა ამტკიცებს, რომ განმცხადებლის ადვოკატებს ფსიქიატრიული საავადმყოფოსათვის ინფორმაციის მიღების, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისთვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმერების თაობაზე არცერთი თხოვნით არ მიუმართავთ. რაც შეეხება კერძო ექიმის მიერ შემოწმებას, მთავრობა კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ განმცხადებელს ყველა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმების მიერ აღმოეჩინებოდა. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე კომენტარი საჩივრის არსებით მხარესთან დაკავშირებით, რაც განმცხადებელმა პირველად თავის 2006 წლის 31 მარტით დათარიღებულ კომენტარებში გააკეთა. მთავრობამ სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი კომენტარები გააკეთა, რომ კონვენციის 34-ე მუხლი არ დარღვეულა.

### ბ. სასამართლოს შეფასება.

157. სასამართლო იხსენიებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლი აკისრებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ვალდებულებას, ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებას ხელი არ შეუშალოს. ეს ვალდებულება, რომ ხელი არ შეუშალოს ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტიან განხორციელებას, კრძალავს ისეთ ჩარევას, რაც ინდივიდის უფლებას ხელს შეუშლის, რომ თავისი საჩივარი ევროპულ სასამართლოში ეფექტიანად წარადგინოს და მან განიხილოს ის (იხ. სხვა საქმეებთან ერთად *mutatis mutandis, Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბერი, Reports 1996-IV, გვ. 1219, 105-ე პუნქტი; *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისი, Reports 1996-III, გვ. 1191, 159-ე პუნქტი; *Tanrikulu V. Turkey* [GC] №23763/94, ECHR, *Sarli v. Turkey*, №24490/94, 85-ე-86-ე პუნქტები, 2001 წლის 22 მაისი; და *Orhan v. Turkey*, №25656/94, 2002 წლის 18 ივნისი).

158. წინამდებარე საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ თავის მიხედვით განმცხადებლის საჩივრის არსი არის, ის რომ ადვოკატებს სურდათ, განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობა, საკუთრივ, კერძო ექიმს, დამოუკიდებელი წყაროს დაედგინა. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის ადვოკატებმა სახელმწიფო ორგანოებს პირდაპირ შეატყობინეს, რომ მათთვის და ექიმისათვის განმცხადებლის მონაწილეობა და სამედიცინო საქმის გაცნობა საჭირო იყო ევროპული სასამართლოს წინაშე პოზიციის დასაცავად (იხ. ზემოთხსენებული მე-60 და 61-ე პუნქტები). სასამართლოს აზრით, ეს თხოვნა გონივრული იყო და არ ჩანს, რომ მასზე უარის თქმა განპირობებული იყო რაიმე საზოგადოებრივი ინტერესით. უფრო მეტიც, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის ადვოკატებმა ვერ შეძლეს, წარმოედგინათ თავიანთი კომენტარები მატერიალური ზიანის შესახებ, რადგან მათ განმცხადებლის მონახულებისა და სამედიცინო საქმის გაცნობის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ეს შეადგენს ინდივიდუალური სარჩელის შეტანის უფლების შეზღუდვას, რაც მოპასუხე მთავრობის მხრიდან კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს დებულება დაირღვა.

159. სასამართლომ უკვე გამოხატა თავისი სერიოზული შეშფოთება მე-3 მუხლის კონტექსტში იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის ადვოკატებმა და ექიმებმა მისი მონახულება ვერ შეძლეს. ის მიიჩნევს, რომ განგრძობადი უარი მონახულებაზე მე-3 მუხლის განსაკუთრებულ დარღვევას შეადგენს და ხაზს

უსვამს სასწრაფო აუცილებლობას, რომ მოპასუხე მთავრობამ განმცხადებლის ადვოკატებისა და ექიმების დაუფონებელი და შეუზღუდავი მონახულება, ასევე მისი სამედიცინო საქმის გაცნობა უზრუნველყოს.

## **VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

160. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ კონვენცია და მისი ოქმები დაირღვა, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

### **ა. მატერიალური ზიანი**

161. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ვინაიდან მის ადვოკატებს და დამოუკიდებელ ექიმს ნება არ მიეცათ, მოენახულებინათ და მის სამედიცინო საქმეს გაცნობოდნენ, მას შესაძლებლობა არ ჰქონდა, წარედგინა რაიმე კომენტარი კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევიდან გამომდინარე, მისი სამომავლო სამედიცინო მომსახურების ხარჯების შესახებ. შესაბამისად, განმცხადებელმა სთხოვა სასამართლოს, ამ საკითხის განხილვა გადადოს და თავის გადაწყვეტილებაში მოპასუხე სახელმწიფოს მიუთითოს, რომ ადვოკატებს და დამოუკიდებელ ექიმს მისი მონახულებისა და სამედიცინო საქმის გაცნობის საშუალება შეუზღუდავად უნდა ჰქონდეთ.

162. მთავრობა თავის პოზიციას ადასტურებს, რომ მე-3 მუხლი არ დარღვეულა და, შესაბამისად, მატერიალური ზიანის საკითხი არ წარმოიშობა.

163. სასამართლო მიიჩნევს, რომ 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებისათვის არ არის მზად. შესაბამისად, მისი განხილვა უნდა შეჩერდეს და განისაზღვროს დამატებითი პროცედურები, მოლდოვას მთავრობას და განმცხადებელს შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

### **ბ. არამატერიალური ზიანი**

164. განმცხადებელი მოითხოვდა 75.000 ევროს არამატერიალური ზიანისთვის. ის ამტკიცებდა, რომ მძაფრ გონებრივ ტკივილს განიცდიდა. ის ადასტურებდა თავის მტკიცებას, სასტიკი მოპყრობის, მისი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობით, სამედიცინო მომსახურების არარსებობით, არასაკმარისი კვებით, რომლის გამოც მან დაკარგა 35 კილოგრამი 99 დღეში, სასტიკი მოპყრობის შესახებ მისი საჩივრის გამოუძიებლობით, მისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთით და ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის ხელის შეშლით.

165. მთავრობა არ დაეთანხმა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობას და ამტკიცებდა, რომ მან შესაბამისი მაგალითები პრეცედენტული სამართლიდან თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად, ვერ წარმოადგინა. მან თხოვა სასამართლოს, რომ განმცხადებლის სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნაზე არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით უარი ეთქვა.

166. სასამართლო უთითებს იმ მრავალრიცხოვან და განსაკუთრებით სასტიკ დარღვევებზე, რომლებიც განმცხადებლის მიმართ მოხდა. მის მიმართ სასტიკი მოპყრობა და მისი მომდევნო დაპატიმრება ციხის საავადმყოფოში მნიშვნელოვნად

დაამძიმა ხელისუფლების მიერ სასტიკი მოპყრობის შესახებ მტკიცებების გამოუძიებლობამ და ევროპული სასამართლოსათვის განმცხადებლის მიმართვისათვის ხელის შეშლამ. განმცხადებელს ასევე უკანონოდ აღეკვეთა თავისუფლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ის სამითვის განმავლობაში რაიმე მიზეზის გარეშე დააპატიმრეს. სამართლიანობის საფუძველზე შეფასებისას, სასამართლო ანიჭებს 40,000 ევროს, რასაც ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს.

## გ. ხარჯები

167. განმცხადებლის ადვოკატები მოითხოვდნენ 139.8 ევროს, საფოსტო ხარჯებისათვის და 6,683.25 ევროს, წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის.
168. რაც შეეხება საფოსტო ხარჯებს, მათ გაუგზავნეს სასამართლოს DHL-ის ქვითრების ასლები, რაც ადასტურებს 139.8 ევროს, გადახდას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდან ეს საქმე განსაკუთრებული იყო სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლის მიხედვით, სწრაფი ფოსტის გამოყენება გამართლებული იყო.
169. რაც შეეხება წარმომადგენლობით ხარჯებს, ადვოკატებმა გაუგზავნეს სასამართლოს საბანკო ანგარიშების ასლები, რომლებიც განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხის 6,683.25 ევროს მათთვის გადახდას ადასტურებს.
170. მათ ასევე წარუდგინეს სასამართლოს მათსა და განმცხადებლის მეუღლეს შორის დადებული კონტრაქტის ასლი, რომლის მიხედვით თითოეული ადვოკატის საათობრივი ანაზღაურება 75 ევროს შეადგენდა. კონტრაქტს მათ საქმეზე დახარჯული დროის შესახებ დეტალური ანგარიში დაურთეს, რომლის მიხედვით ბ-ნ ნაგაცევიმ დახარჯა 25 საათი ამ საქმეზე, ხოლო ბ-მა გრიბინცემ დახარჯა 64.11 საათი. საქმეზე დახარჯული დროის შესახებ დეტალური ანგარიში არ შეიცავდა იმ დროს, რაზეც განმცხადებელმა მოგვიანებით თავისი საჩვარი მოხსნა.
171. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ საქმეზე დახარჯული დრო არ არის მეტისმეტი და მისი კომპლექსურობითა და დეტალების სინრაველით გამართლებული იყო. საქმის მასალა დაახლოებით 800 გვერდს შეიცავს. დახარჯული დრო განმეორებითი მცდელობით ასევე იმით იყო გამართლებული, რომ გაცნობოდნენ სამედინცილო საქმეს და იმ ფაქტით, რომ სასამართლოსთან თითქმის ყველა კორესპონდენცია უცხო ენაზე იყო წარმოებული.
172. რაც შეეხება საათობით ანაზღაურებას 75 ევროს ოდენობით, განმცხადებლის ადვოკატები ამტკიცებენ, რომ ის მოლდოვის ადვოკატთა ასოციაციის მიერ რეკომენდირებული ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში ხვდება, რაც 40-150 ევრო იყო. მათ წარადგინეს დოკუმენტის ასლი ადვოკატთა ასოციაციის მიერ რეკომენდირებული ანაზღაურების შესახებ, რომელიც მიღებულია 2005 წლის 29 დეკემბერს.
173. უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ საათობრივი ანაზღაურება 75 ევროს ოდენობით გონივრული იყო მათი გამოცდილებიდან და იმ საქმეებიდან გამომდინარე, რომლებიც ევროპულ სასამართლოში მანამდე მოგებული იყო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის “ადვოკატები ადამიანის უფლებებისათვის” არამომგებიანი სტატუსი არ აბრკოლებს, რომ მათ თავიანთი კლიენტებისაგან ანაზღაურება მიიღონ. ამ თვალსაზრისით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი ორგანიზაციების მიერ მიღებული გრანტი მათი ოფისის შენახვის

ხარჯების დასაფარადაც კი არ არის საკმარისი. მათ ასევე მიუთითებს ჩიშინაუში ცხოვრების სიძვირეზე და საცხოვრებლისა და საწვავის მაგალითები მოიყვანეს.

174. მთავრობას საფოსტო ხარჯებისათვის მოთხოვნილი ხარჯები სადავოდ არ გაუხდია. თუმცა ის არ დაეთანხმა წარმომადგენლობისათვის მოთხოვნილი თანხის ოდენობას. ის მეტისმეტადდა არარეალურად მიიჩნია, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობისა და საშუალო ყოველთვიური ხელფასის გათვალისწინებით. საქმის სირთულის აღიარების მიუხედავად, მთავრობა საათების იმ რაოდენობას, რაც დახარჯეს განმცხადებლის ადვოკატებმა და საათობრივ ანაზღაურებას, რომელიც მათ ჰქონდათ დაწესებული, სადავოდ ხდის. მან ასევე მიუთითა ორგანიზაციის “ადვოკატები ადამიანის უფლებებისათვის” არმომგებიან სტატუსზე და იმ ფაქტზე, რომ ბ-ნი ნაგაცევიში ასევე იყო ადვოკატი. შესაბამისად, მას შემოსავლის სხვა წყაროები ჰქონდა, გარდა ევროპულ სასამართლოში კლიენტების წარმომადგენლობისა.

175. სასამართლო იხსენიებს, რომ იმისათვის, რომ ხარჯები მოიცვას კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე გაცემულმა კომპენსაციამ, უნდა დადგინდეს, რომ ისინი ფაქტობრივი და აუცილებელი იყო და მათი ოდენობა გონივრულია (იხ. მაგალითად, *Amihalachioaie v. Moldova*, №60115/00, 47-ე პუნქტი, ECHR 2004 - . . .)

176. ამ საქმეში წარმოდგენილ პუნქტობრივ სიაზე, საქმის სირთულეზე და ადვოკატების მნიშვნელოვან წვლილზე ყურადღება უნდა გამახვილდეს. სასამართლო თვლის, რომ მოთხოვნილი ხარჯები ფაქტობრივია, მათი გაწევა აუცილებელი იყო და მათი რაოდენობა გონივრულია. შესაბამისად, მოთხოვნას ამ თანხის შესახებ მთლიანად აკმაყოფილებს.

**დ. საპროცენტო განაკვეთი**

177. სასამართლო თვლის, რომ საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

**მის საფუძველზე სასამართლო ერთსულოვნად**

1. აცხადებს განაცხადს დასაშვებად;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას 2005 წლის 20 მაისს;
3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, 2005 წლის 20 მაისიდან 2005 წლის 20 სექტემბრამდე შესაფერისი სამედიცინო მომსახურების არარსებობის გამო;
4. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი პოლიციის მიერ სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით, განცხადებლის საჩივარზე ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობის გამო;
5. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი 2005 წლის 23 ივლისიდან 2005 წლის 23 დეკემბრამდე იურიდიული საფუძვლის გარეშე განმცხადებლის პატიმრობის გამო;
6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი 2005 წლის 23 მაისიდან 23 ივლისამდე განმცხადებლის პატიმრობისათვის არასაკმარისი მიზეზების გამო;

7. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი იმით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე, განმცხადებლის გათავისუფლება სასამართლო განხილვის განმავლობაში შეუძლებელი იყო;

8. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით.

6. ადგენს,

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებლის ადვოკატები და ექიმები განმცხადებლის დაუყოვნებლივი და შეუზღუდავი მონახულებისა და სამედიცინო საქმის გაცნობის უფლებით უნდა უზრუნველყოს;

(ბ) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში 40,000 ევრო (ორმოცი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანისათვის და 6,823 ევრო (ექვსი ათას რვაასოცდასამი ევრო) მატერიალური ზიანისათვის. იმ ხარჯებისათვის, რომელიც ეროვნულ ვალუტაში უნდა გაიცეს, გაცემის დღეს არსებული კურსის მიხედვით, რასაც ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს;

(გ) რომ ზემოხსენებული სამი თვის გასვლის შემდეგ, უნდა იყოს გადახდილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

10. ადგენს, რომ 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი, მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, გადაწყვეტილებისათვის მზად არ არი.

### **შესაბამისად:**

(ა) იტოვებს უფლებას, დაუბრუნდეს ამ საკითხს;

(ბ) მიმართავს თხოვნით მოლდოვის მთავრობასა და მოსარჩელეებს, რომ უახლოესი სამი თვის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი წერილობითი კომენტარები ამ საკითხზე და შეატყობინონ სასამართლოს მათ შორის რაიმე შეთანხმების შესახებ;

(გ) იტოვებს უფლებას, განსაზღვროს დამატებითი პროცედურა და ამ უფლების დელეგირებას ახდენს პალატის თავჯდომარის სასარგებლოდ, რომელიც დაადგენს იმავეს, საჭიროების შემთხვევაში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულის 2006 წლის 11 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

**თ.ლ ერლი ნიკოლას ბრატცა, პრეზიდენტი**

**CONSEIL  
DE L' EUROPE**



**COUNCIL  
OF EUROPE**

**COURE EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS**

**პირველი სექცია**

**რეობო სლოვენის წინააღმდეგ**

**CASE OF REHBOCK v. SLOVENIA**

(ბანაცხადი № 29462/95)

**ბალაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**28 ნოემბერი, 2008**



## საქმეზე „რეპოკი სლოვენის წინააღმდეგ“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (პირველმა სექციამ), რომელიც პალატის სახით შეიკრიბა შემდეგი მოსამართლეების შემადგენლობით:

ქ-ნი ე. პალმი, თავმჯდომარე,  
ბ-ნი ლ. ფერარი ბრაუო,  
ბ-ნი გაუკურ იორუნდსონი,  
ბ-ნი რ. ტურმენი,  
ბ-ნი ბ. ზუპანჩიჩი,  
ბ-ნი თ. პანტირუ,  
ბ-ნი რ. მარუსტე, მოსამართლეები,  
აგრეთვე სექციის რეგისტრატორი ბ-ნი მ. ობოილე,

იმსჯელა რა განცალკევებით 2000 წლის 16 მაისსა და 7 ნოემბერს, 2000 წლის 7 ნოემბერს გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

### პროცედურა

1. კომისიამ საქმე სასამართლოს გადასცა 1999 წლის 11 სექტემბერს იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და კონვენციის ადრე მოქმედი 48-მუხლი).
2. საქმე მომდინარეობს განაცხადიდან (№29462/95), რომელიც წარმოდგენილი იქნა სლოვენის წინააღმდეგ კონვენციის ადრე მოქმედი 25-ე მუხლის შესაბამისად, გერმანიის მოქალაქის ბ-ნი ერნსტ რეპოკის (შემდგომში „განმცხადებელი“) მიერ, 1995 წლის 17 სექტემბერს.
3. კერძოდ, განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას დაექვემდებარა. მას არ ჰქონდა ისეთი სამართალწარმოება, რომლითაც მისი პატიმრობის კანონიერება კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სწრაფად გადაწყდებოდა. ასევე დაცული არ იქნა მისი უფლება კომპენსაციაზე, გათვალისწინებული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტითხლო მისი მიმოწერა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით ხელყოფილი იქნა.
4. 1998 წლის 20 მაისს კომისიამ განაცხადი არსებით განხილვაზე ნაწილობრივ დაშვებულად გამოაცხადა. კომისიამ თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის თაობაზე მიუთითა, რომ სლოვენის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) არ წარმოუდგენია რაიმე კომენტარი სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რასაც კონვენციის ადრე მოქმედი 26-ე მუხლი ითვალისწინებს. ამგვარად, კომისიამ დაადგინა, რომ არ შეიძლება განაცხადის შესაბამისი ნაწილის უარყოფა იმის გამო, რომ სამართ-ლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები ამოწურული არ იქნა.
5. 1999 წლის 23 აპრილის მოხსენებაში (კონვენციის ადრე მოქმედი 31-ე მუხლი) [სამდივნოს შენიშვნა: ამ მოხსენების მოპოვება შესაძლებელია სამდივნოდან] კომისიამ გამოხატა თავისი აზრი, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა და მე-8 მუხლის (კომისიასთან განმცხადებლის მიმოწერის შემოწმების თვალსაზრისით) დარღვევას. შემდგომში

კომისიამ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას განმცხადებლის სხვა კორესპონდენციის შემოწმების თვალსაზრისით.

6. განმცხადებელს მიეცა სამართლებრივი დახმარება.
7. 1999 წლის 20 სექტემბერს დიდი პალატის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმე უნდა განეხილა პალატას, რომელიც სასამართლოს ერთ-ერთი სექციის შემადგენლობაში შედიოდა (მე-11 ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რეგლამენტის მე-100 მუხლის პირველ პუნქტთან და 24-ე მუხლის მე-6 პუნქტთან ერთად). ამგვარად, განაცხადი პირველ სექციას გადაეცა (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი). აღნიშნული სექციის შემადგენლობაში შეიქმნა პალატა, რეგლამენტის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტი).
8. განმცხადებელმა და მთავრობამ თავიანთი მიმოხილვები წარმოადგინეს.
9. საქმის მოსმენა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2000 წლის 16 მაისს შედგა (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

### **სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ:**

(ა) მთავრობის სახელით

ბ-ნი ლ. ბემბისი, გენერალური პროკურორი, მთავრობის წარმომადგენელი, ქ-ნი მ. რემიკი, პროკურორი, თანაწარმომადგენელი, ქ-ნი მ. სმიტი, ევროპის საბჭოში სლოვენის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, ბ-ნი მ. გრანდა, მთავრობის უფროსი ექსპერტი-მრჩეველი, მრჩეველები;

(ბ) განმცხადებლის სახელით ბ-ნი ფ. ქ. ბრემი, როტენბურგის ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი, ბ-ნი ე. ჰიპელი, თარჯიმანი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ბრემის, ქ-ნი რემიკისა და ბ-ნი ბემბისის გამოსვლები.

### **შაჰტაბი**

#### **I. საქმის ბარემოებები**

**ა. განმცხადებლის მიმართ მოპყრობა-დაკავებისა და შემდგომი პატიმრობის დროს**

##### **1. განმცხადებლის მიმართ-მოპყრობა დაკავების დროს**

10. 1995 წლის 8 სექტემბერს, დაახლოებით დღის 2 საათზე, განმცხადებელმა ავსტრიისა და სლოვენის საზღვარი შანტილისთან ახლოს თავისი პარტნიორის კუთვნილი მანქანით გადაკვეთა. მანქანაში მას აბების შეკვრა ჰქონდა, რომლის სლოვენიაში ჩატანაც სლოვენიური წარმოშობის ნაცნობმა სთხოვა. მას ამის შესახებ საბაჟოს თანამშრომლებისთვის არ განუცხადებია. იმავე დღეს, საღამოს 4 საათსა და 55 წუთზე, განმცხადებელი დააკავა სლოვენის პოლიციამ დოლიჩში, დაახლოებით 70 კილომეტრის მოშორებით საზღვრის გადაკვეთიდან, სადაც მას აბები სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.
11. დაკავების პირობებს მხარეები სხვადასხვაგვარად წარმოადგენენ.
12. ფაქტების განმცხადებლისეული ვერსიის მიხედვით, ის ექვსმა შეიარაღებულმა მამაკაცმა ალყაში მოაქცია. თეთრ და შავნიღბიანებმა განმცხადებელზე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე იერიში მიიტანეს. შორიახლოს რამდენიმე ადამიანი იდგა. განმცხადებელი სწრაფად აიყვანეს, მას არც კი უცდია

წინააღმდეგობის გაწევა. იგი გერმანულ და ინგლისურ ენებზე ყვიროდა, რომ მათ წინააღმდეგობას არ უწევდა, თუმცა მანქანის ძრავის სახურავამდე მაინც ძალით მიათრიეს. მას ხელები ზურგსუკან ბორკილებით ჰქონდა შეკრული. იმავდროულად, სხვა ოთხი ადამიანი ხელკეტებსა და მუშტებს მას თავში ურტყამდა. სახე მძიმედ ჰქონდა დაშავებული და საშინელ ტკივილს განიცდიდა.

13. 1999 წლის 25 ნოემბრის მიმოხილვაში მთავრობამ განმარტა, რომ განმცხადებელი დაკავებული იქნა იმ ღონისძიების კონტექსტში, რომელიც დაგეგმილი იყო ხელი-სუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ ოპერატიული ინფორმაციის სა-ფუძველზე. როდესაც განსაზღვრავდნენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო იმ ჯგუფის შემადგენლობაში, ვინც დაკავების ოპერაციას განახორციელებდა, ხელისუფლებამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელი, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო ეჭვმიტანილი, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო: რამეთუ მან რამ-დენჯერმე გაიმარჯვა ათლეტიზმის სახეობაში გერმანის ჩემპიონატში.

14. როგორც მთავრობამ სასამართლოს წინაშე ზეპირი ფორმით განაცხადა, იგი ამ მიზნით შექმნილი სამი წევრისაგან შემდგარი კომისიის დასკვნას დაეყრდნო, როდესაც 1996 წლის 9 თებერვალს სლოვენის გრადეცის პოლიციის ადმინისტრაციამ მიიღო ბრძანება, რომელსაც უნდა განესაზღვრა, თუ რამდენად იყო გა-მართლებული ძალის გამოყენება განმცხადებლის დაკავებისას. დასკვნა მიღებული იქნა 1996 წლის 8 მარტს, ხოლო მთავრობამ მისი ასლი სასამართლოს 2000 წლის 23 მაისს საქმეზე არსებითი მოსმენის დროს წარუდგინა. შესაბამისი ნაწილი ასე იკითხება:

“...ოთხი გამოძიებელი იქნა გამოყოფილი ნარკოტიკებით მოვაჭრეთა დასაკავებლად ...ისინი სტანდარტულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი – ეცვათ საიდენტიფიკაციო ჟაკეტები და პირადი იარაღი ჰქონდათ, აგრეთვე – ხელბორკილები და სხვა აღჭურვილობა ეჭვმიტანილის დასაკავებლად...”

ავტოსადგომზე [ეჭვმიტანილებს] მიუახლოვდნენ გამოძიებლები, რომლებმაც იყვირეს: „სდექ! პოლიცია!“ და ეჭვმიტანილებს ადგილზე გაშეშება უბრძანეს... გამოძიებლები ბ. და კ. მიუახლოვდნენ [განმცხადებელს] და სცადეს მისი გაჩხრეკა... [განმცხადებელი] არ დაემორჩილა მათ ბრძანებას და გაქცევა სცადა. გამოძიებლებმა ბ.-მ და კ.-მ ხელი შეუშალეს და დააკავეს იგი. მათ სცადეს „იდაყვის იღეთით“ დაეჭირათ იგი ...იყო რა ფიზიკურად ძლიერი, განმცხადებელმა ხელიდან დასხლტომა სცადა. გამოძიებლები განაგრძობდნენ მის ალყაში მოქცევას [განმცხადებლის] გაქცევის აღკვეთის მიზნით. [განმცხადებლის] ფიზიკური ძალის გამო მათ ვერ შეძლეს ალყის შენარჩუნება და, ამდენად, დაუშვეს, რომ იგი [განმცხადებელი] მიწაზე დაეგდოთ. რადგან [განმცხადებელი] კვლავ თავის დადწევას ცდილობდა, გამოძიებლები იძულებულნი გახდნენ, მიწაზე თავიანთ სიახლოვეს მიეთრიათ. რადგან [განმცხადებელი] წინააღმდეგობას უწევდა და მისი გაქცევის საფრთხე არსებობდა, მათ არ შეეძლოთ უკეთესი ადგილმდებარეობის შერჩევა, სადაც მას დაზიანების საფრთხე არ შეექმნებოდა. მათ [განმცხადებელი] მიწაზე გაჩერებულ მანქანებს შორის მიაგდეს. ამ დროს [განმცხადებელმა] თავი გაჩერებული მანქანის ფრთას მიარტყა და ავტოსადგომის გუდრონით მოპირკეთებულ ზედაპირზე დაეცა. ამასობაში გამოძიებლებმა [განმცხადებელს] ხელბორკილები დაადეს. ყველა [სამივე] ეჭვმიტანილი პოლიციის განყოფილებაში სლოვენს გრადენში. წაიყვანეს დაკავების დროს [განმცხადებელს] რაიმე პრეტენზია ტკივილის ან დაზიანების თაობაზე არ გამოუთქვამს...”

8 სექტემბერს, დილის 4 საათსა და 55 წუთზე, [სამივე ექვმიტანილი] ციხეში წაიყვანეს... და 1995 წლის 10 სექტემბერს წარადგინეს ისინი სლოვენის გრადეცის რაიონულ სასამართლოში გამომძიებელი მოსამართლის წინაშე, რომელმაც დაპატიმრების შესახებ ბრძანება მიიღო... 1995 წლის 9 სექტემბერს [განმცხადებელმა] საჩივარი გამოთქვა, რომ ყბის ტკივილი აწუხებდა ... იგი წაიყვანეს სლოვენის გრადეცის სამედიცინო პუნქტში, სადაც მას ქვედა ყბის მოტეხილობა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება დაუდგინდა... სპეციალურად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ გამომძიებლების კ.-ისა და ბ.-ის ქმედება მართლზომიერი იყო და კანონს შეესაბამებოდა. [განმცხადებლისათვის] მიყენებული დაზიანება უშუალოდ დაკავების ადგილზე მოხდა, როდესაც იგი მიწაზე წააქციეს ... [განმცხადებლის] დაკავებისას გამომძიებლებმა გამოიყენეს იძულების საშუალო ფორმები: ფიზიკური ძალა და ხელბორკილები. ამით დაკავებულ პირს დანაშაულის ადგილიდან გაქცევაში ხელი შეუშალეს. დაზიანება იმან განაპირობა, რომ [განმცხადებელმა] მათ დაკავების დროს წინააღმდეგობა გაუწია. ამგვარად, გამომძიებლებს არ შეეძლოთ, მიწაზე სხვა ადგილას, შედარებით ნაკლები ძალის გამოყენებით წაექციათ. შედეგის მიუხედავად, კომისია ადგენს, რომ ძალის გამოყენება გამართლებული იყო და შესაბამებოდა „შინაგან საქმეთა ორგანოების შესახებ კანონის“ 54-ე მუხლსა და „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის მე-9 და მე-12 მუხლებს.

15. 2000 წლის 23 მაისით დათარიღებული წერილით მთავრობამ ასევე აცნობა სასამართლოს მისი მოთხოვნისამებრ, რომ ოპერაციაში მონაწილეობდა პოლიციის ცა-მეტი ოფიცერი, რომელთაგან ორს განმცხადებლისთვის ხელბორკილის დადება ევალებოდა.

## **2. განმცხადებლის მიმართ მოპყრობა პატიმრობის დროს**

16. დაკავების შემდეგ განმცხადებელი სლოვენის გრადეცის პოლიციაში წაიყვანეს. როგორც [განმცხადებელი] სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, მას თავის ტკივილი აწუხებდა და მხედველობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა ექიმმა კი იგი პირველად მხოლოდ 1995 წლის 9 სექტემბერს დილით გასინჯა. 1995 წლის 9 სექტემბერს, დღის 2 საათსა და 50 წუთზე, განმცხადებელმა დაწერა და ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც მისი თქმით, პოლიციის მითითების საფუძველზე დაწერა, თითქოს წინა დღით წაიქცა და სახე მანქანის ფრთას დაარტყა.

17. მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელმა პირველად ყბის ტკივილზე მიუთითა მხოლოდ 1995 წლის 9 სექტემბერს დილით და ექიმი დაუყოვნებლივ იქნა გამოძახებული. ექიმმა რეკომენდაცია მისცა, რომ განმცხადებელი სლოვენის გრადეცის სამედიცინო დაწესებულებაში გამოეკვლიათ, საიდანაც იგი გადაყვანილი იქნა მარიბორის საავადმყოფოში.

18. სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ განმცხადებელი მარიბორის საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების, ყელ-ყურისა და სახის ექიმმა 1995 წლის 9 სექტემბერს საფუძვლიანად გამოიკვლია. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ იგი საავადმყოფოში ყბის დაზიანებით პოლიციამ მიიყვანა. განმცხადებელმა ექიმს უთხრა, რომ მას დაზიანება პოლიციამ მიაყენა. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნა, რომ დაკავებისას განმცხადებელი მანქანის ფრთაზე დაეცა.

19. ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელს საფეთქლისა და ქვედა ყბის სახსარი ზეწოლისას მგრძობიარე იყო და მას პირის სათანადოდ გაღება. არ შეეძლო დასკვნაში შემდგომში ნათქვამი იყო, რომ განმცხადებელს არასწორი თანკბილვა

აღნიშნებოდა, რადგან მარცხენა მხარეს კბილები გადაადგილებული ჰქონდა. ექიმმა განმცხადებელი რენტგენზე გააშუქა: ყბის ორმაგი მოტეხილობა და სახის კონტუზია დაუდგინა.

20. ექიმმა დაასკვნა, რომ საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა საერთო ანესთეზიით და ზომები მომდევნო დღისთვის წინასწარ მიიღო. მან პოლიციას ნება დართო, რომ ამ ხნის განმავლობაში განმცხადებელი პატიმრობაში დაეტოვებინა.
21. 1995 წლის 10 სექტემბერს განმცხადებელი წაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა იგი ოპერაციას არ დათანხმდა. თვლიდა, რომ მალე გაათავისუფლებდნენ და ოპერაციას გერმანიაში გაიკეთებდა. შეთანხმდნენ, რომ განმცხადებელი გამოკვლევას 1995 წლის 12 სექტემბერს კვლავ ჩაიტარებდა.
22. 1995 წლის 12 სექტემბერს განმცხადებელს გამოკვლევა კვლავ ჩაუტარდა. მისი განცხადებით, იგი ცუდად გრძნობდა თავს ცუდად გრძნობდა და გული ერეოდა. იგი ექიმის რეკომენდაციას ქირურგიული ჩარევის შესახებ არ დაეთანხმა. ექიმმა ბრძანა, რომ განმცხადებლისათვის ფაფები ეჭმიათ. შემდეგი გამოკვლევა 1995 წლის 18 სექტემბრისთვის დაინიშნა.
23. 1995 წლის 18 სექტემბრის სამედიცინო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ განმცხადებელი თავს უკეთესად გრძნობდა. თუმცა შედარებით ნაკლებად, მაგრამ ტკივილი ღეჭვისა და ჭამის დროს მაინც აწუხებდა.
24. 1995 წლის 25 სექტემბერს განმცხადებელმა საავადმყოფოში შემდგომი გამოკვლევის ჩატარებაზე უარი თქვა.
25. განმცხადებელს კვლავ ჩაუტარეს გამოკვლევა მარიბორის საავადმყოფოში 1995 წლის 3 ოქტომბერს, 25 და 27 ნოემბერს. მან აღნიშნა, რომ ყბასთან დაკავშირებული პრობლემა ოდნავ გამოუსწორდა, მაგრამ უჩიოდა მუცლის ტკივილსა და სისხლს ესკრემენტში. ექიმებმა სპეციალური დიეტა გამოუწერეს და, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი გამოკვლევა დაუნიშნეს.
26. 1995 წლის 4 დეკემბერს განმცხადებელს მარიბორის საავადმყოფოში გამოკვლევა ჩაუტარდა. დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ მისი თანკბილვა შეცვლილი იყო და მას ყბა სტკიოდა.
27. 1995 წლის 7 დეკემბერს განმცხადებელს მკურნალობა ჩაუტარდა მარცხენა მტევნის ორ ზედაპირულ ჭრილობაზე, რაც საკუთარ თავს 1995 წლის 3 დეკემბერს, დეპრესიაში ყოფნისას თვითონვე მიაყენა.
28. იუსტიციის სამინისტროსათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც დათარიღებული იყო 1995 წლის 17 დეკემბრით, განმცხადებელი ჩიოდა, რომ იგი სასტიკად იყო ნაცემი და ყბის ორმაგი მოტეხილობა აწუხებდა. მან განაცხადა, რომ სათანადო სამედიცინო მკურნალობა არ ჩაუტარდა და ზიანის ასანაზღაურებლად 1 000 000 გერმანული მარკა მოითხოვა.
29. შემდეგი სამედიცინო გამოკვლევა განმცხადებელს 1996 წლის 16 იანვარს ჩაუტარდა. ექიმმა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები გამოუწერა და აღნიშნა, რომ იგი, ყბის მკურნალობასთან დაკავშირებით, სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებდა.
30. 1996 წლის 23 იანვარს სპეციალისტმა დაასკვნა, რომ განმცხადებლის ყბა პროთეზულ რეაბილიტაციას ან თუნდაც ქირურგიულ ჩარევას მოითხოვდა. რადგან

განმცხადებელს სურდა, მკურნალობა გერმანიაში ჩატარებინა, ექიმმა რეკომენდაცია მისცა, შეძლებისდაგვარად სწრაფად გაეგზავნათ გერმანიაში.

31. წლის 5 მარტს განმცხადებელმა ციხის უფროსს მიმართა საჩივრით, რომ შუა ყურის ანთების გამო ტკივილი აწუხებდა და საავადმყოფოში გადაყვანა ითხოვა.
32. 1996 წლის 7 მარტს განმცხადებელმა ექიმს განუცხადა, რომ ძლიერი თავის ტკივილი აწუხებდა და ციხეში სათანადო სამედიცინო მკურნალობა არ ჩატარებია. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ მკურნალობის კურსი რეგულარულად არ უტარდებოდა.
33. 1996 წლის 10 ივნისს განმცხადებელმა მარიბორის ციხის უფროსს მიმართა საჩივრით, რომ 8 და 9 ივნისს დაცვამ არ მისცა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები, რომლებიც ექიმმა გამოუწერა. შედეგად, იგი საშინელ ტკივილს განიცდიდა და დასუსტდა.
34. 1996 წლის 20 ივნისს განმცხადებელმა ციხის უფროსს მიმართა საჩივრით, რომ 18 და 19 ივნისს მას დანიშნული მკურნალობა არ ჩატარდა. 1996 წლის 30 ივნისსა და 3 ივლისს მან კვლავ საჩივარი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მკურნალობაზე უარი ეთქვა. თავის საჩივრებში განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას უნდოდა, ციხის თანამშრომლების წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების საქმის აღძვრა და ითხოვა, ამ მიზნით პოლიციისათვის მიმართვის ნება მიეცათ.
35. 1996 წლის 4 ივლისს განმცხადებელმა აუწყა მარიბორის უზენაეს სასამართლოს (*Višje sodišče*) მოსამართლეს, რომ იგი სერიოზულ ტკივილს განიცდიდა და მას ტკივილგამაყუჩებლები არარეგულარულად მიეწოდებოდა.

**ბ. შესაბამისი გადაწყვეტილებები განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით**

36. 1995 წლის 10 სექტემბერს სლოვენის გრადეცის საოლქო სასამართლოს (*Okrožno sodišče*) გამოძიებელმა მოსამართლემ განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.
37. 1995 წლის 3 ოქტომბერს განმცხადებელმა ადვოკატის მეშვეობით გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა შეიტანა. იგი ამტკიცებდა, რომ არ გაიქცეოდა და გირაოს სახით 50 000 გერმანული მარკა შესთავაზა. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი პატიმრობა აღარ იყო აუცილებელი, რადგან მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ყველა მოწმე დაიკითხა და ყველა სათანადო მტკიცებულება მოპოვებული იყო.
38. 1995 წლის 6 ოქტომბერს სლოვენის გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა 1995 წლის 8 დეკემბრამდე გააგრძელა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის საქმის ერთ თვეში გამოძიება შეუძლებელი იყო.
39. განმცხადებელმა შეფარდებული ზომა გაასაჩივრა. მისი მტკიცებით, პატიმრობის საფუძველი არ არსებობდა. სასამართლოს მისი გათავისუფლების თაობაზე, 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, არ უმსჯელია.

40. 1995 წლის 19 ოქტომბერს მარიბორის უზენაესმა სასამართლომ საჩივარი უარყო. მან აღნიშნა, რომ განმცხადებელი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე კავშირი სლოვენიაში და აქედან გამომდინარე, დაადგინა, რომ მისი გაქცევის საფრთხე არსებობდა. რაც შეეხება განმცხადებლის შუამდგომლობას გირაოთი გათავისუფლების თაობაზე, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საკითხი პირველ რიგში საოლქო სასამართლოს უნდა განეხილა.
41. 1995 წლის 26 ოქტომბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე არ დააკმაყოფილა. სასამართლოს არ უმსჯელია იმ გირაოს შესახებ, რაც განმცხადებელმა სასამართლო პროცესებზე დასასწრებად, საკმარისი გარანტიის სახით შესთავაზა.
42. 1995 წლის 27 ნოემბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადა გააგრძელა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
43. 1993 წლის 13 დეკემბერს მარიბორის უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი ზემოხსენებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა.
44. 1995 წლის 29 ნოემბერს განმცხადებელმა ადვოკატის მეშვეობით კვლავ მიმართა შუამდგომლობით გათავისუფლების თაობაზე. მისი მტკიცებით, საქმესთან დაკავშირებული არანაირი საფუძველი მისი პატიმრობისათვის არ არსებობდა და, გირაოს სახით, 50 000 გერმანული მარკა შესთავაზა.
45. 1995 წლის 22 დეკემბერს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებლის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

**გ. კომისიასთან განმცხადებლის მიმოწერის კონტროლი**

46. სლოვენიაში პატიმრობის დროს განმცხადებლის მიმოწერა, მათ შორის მიმოწერა კომისიასთან, კონტროლდებოდა.

**დ. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ**

47. 1996 წლის 8 იანვარს სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ განმცხადებელს მსჯავრი დასდო ნარკოტიკების უკანონო წარმოებასა და ვაჭრობაში, აგრეთვე კონტრაბანდაში. განმცხადებელს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.
48. 1996 წლის 17 აპრილს მარიბორის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი და, დაეთანხმა რა პროკურორის მოთხოვნას, სასჯელი ჩვიდმეტ თვემდე თავისუფლების აღკვეთით გაუზარდა.
49. 1996 წლის 1 სექტემბერს განმცხადებელი პირობითად გაათავისუფლეს.

**II. შუსაბამისი შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა**

**ა. კონსტიტუცია**

50. 26-ე მუხლით უზრუნველყოფილია თითოეული ადამიანის უფლება კომპენსაციაზე ნებისმიერი ზიანის გამო, რომელიც გამომდინარეობს ფიზიკური პირის ან იმ ორგანოს უკანონო ოფიციალური ქმედებიდან, რომელიც სახელმწიფო ორგანოებისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ახორციელებს.

**ბ. 1980 წლის კანონი „შინაგან საქმეთა ორგანოების შესახებ“ და 1981 წლის ინსტრუქცია „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“**

51. შინაგან საქმეთა ორგანოების შესახებ 1980 წლის 25 ნოემბრის კანონის (*Zakon o notranjih zadevah*) 54-ე მუხლი, რომელშიც ცვლილება იქნა შეტანილი, თანამდებობის პირებს ნებას აძლევს, გამოიყენონ ფიზიკური ძალა თავიანთი უფლებამოსილების აღსრულებისას: *inter alia*, მათ არ შეუძლიათ სხვაგვარად დაძლიონ იმ პირის წინააღმდეგობა, რომელიც კანონიერ ბრძანებებს არ ემორჩილება ან რომელსაც აპატიმრებენ.
52. „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ (*Navodilo o uporabi prisilnih sredstev*) 1981 წლის 1 სექტემბრის ინსტრუქციის მე-9 მუხლი, რომელშიც ცვლილება იქნა შეტანილი, ითვალისწინებს, რომ, *inter alia*, ფიზიკური ძალის გამოყენება შინაგან საქმეთა შესახებ 1980 წლის კანონის 54-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევებში განსაკუთრებული დაკავების შემთხვევებამდე ზოგადად უნდა შეიზღუდოს. როდესაც თანამდებობის უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ ასეთი საშუალება საკმარისი არ არის, მას ფიზიკური ძალა ან რეზინის ხელკეტი შეუძლია გამოიყენოს. ნებისმიერ შემთხვევაში, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც წინააღმდეგობის დასძლევადა უკიდურესად აუცილებელია ან თავდასხმის აღსაკვეთად. ძალის გამოყენებამ ადამიანისადმი ცუდად მოპყრობა არ უნდა გამოიწვიოს.
53. „იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლი თანამდებობის უფლებამოსილ პირებს ნებას აძლევს, ხელბორკილები დაადონ პირს ან შეზღუდონ იგი სხვა საშუალებით, თუ არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ შესაბამისი პირი მათ აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევს ან გაქცევას შეეცდება.

**გ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**

54. 205-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს, რომ გამომძიებელ მოსამართლეს შეუძლია წინასწარი პატიმრობა შეუფარდოს პირს არა უმეტეს ერთ თვის ვადით დაკავების მომენტიდან. ამ პერიოდის ამოწურვის შემდეგ, პირი პატიმრობაში შეიძლება დარჩეს მხოლოდ პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე.
55. 205-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა გამოიტანოს. ხოლო პატიმრობის ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ორი თვით.
56. 211-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ დაკავებულ პირს შეუძლია მიმოწერა ჰქონდეს ან სხვაგვარი კავშირი დაამყაროს ციხის გარეთ მყოფ ადამიანებთან იმ გამომძიებელი მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც მის საქმეს აწარმოებს. ამ უკანასკნელს შეუძლია, აუკრძალოს პატიმარს წერილების გაგზავნა, მიღება ან სხვა სახის კონტაქტები, რასაც მის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართალწარმოებაზე შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს. თუმცა დაუშვებელია, დაკავებულ პირს განაცხადების ან საჩივრების გაგზავნაში ხელი შეეშალოს.
57. 213-ე (ბ) მუხლი ამოქმედდა 1998 წლის 23 ოქტომბერს. მე-3 პუნქტი ომბუდსმენსა და მის მოადგილეებს უფლებას აძლევს, მოინახულონ დაკავებული პირები და აწარმოონ მათთან მიმოწერა გამომძიებელი მოსამართლისათვის წინასწარი შეტყობინებისა და ამ უკანასკნელის ან სხვა თანამდებობის პირის ზედამხედვე-

ლობის გარეშე. ეს დებულება ანალოგიურად გამოიყენება დაკავებულ პირსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის მიმოწერასთან მიმართებაში.

58. 272-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როდესაც ხდება საბრალდებო დასკვნის წარდგენა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირისთვის და იმ პირობით, რომ იგი არ შეიცავს წინადადებას აღნიშნული პირის გათავისუფლების თაობაზე, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით საბრალდებო დასკვნის წარდგენიდან სამი დღის განმავლობაში უნდა შეისწავლოს, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი ბრალდებულის პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად და გადაწყვეტილება გამოიტანოს წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების ან დაკავებული პირის გათავისუფლების თაობაზე.
59. 542-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას იმ პატიმრებისათვის, რომელთა საქმეებიც სასამართლოს ჯერ არ გადასცემია ან რომლებიც გაამართლეს, ან გაათავისუფლეს სასამართლო პროცესის შემდეგ, იმ პირობისთვის, რომლებმაც მოიხადეს შემდგომში შემცირებული ან გაუქმებული სასჯელი და აგრეთვე იმათთვის, ვინც დააკავეს ან დააპატიმრეს შეცდომისა თუ უკანონო ქმედების შედეგად ან რომელთა წინასწარი პატიმრობის ვადა გადასცილდა იმ პატიმრობის ვადას, რომელიც მათ სასჯელის სახით შეეფარდათ.

## სამართალი

### I. მთავრობის პირველადი პრეტენზიები

#### ა. დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა

60. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის (*Ustavno sodišče*) კონსტიტუციური სარჩელით კომპენსაციის თაობაზე, რასაც კონსტიტუციის 26-ე მუხლი ითვალისწინებს. მთავრობის დასკვნით, განმცხადებელმა დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება არ ამოწურა, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლი (ძველი რედაქციით 26-ე მუხლი) ითვალისწინებს.
61. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას ზემოხსენებული პრეტენზია არ წამოუყენებია, როგორც ეს კომისიის მიერ განაცხადის არსებით განხილვაზე დასაშვებობის საკითხის განხილვისას უნდა გაეკეთებინა (იხ. პუნქტი 4). აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს საპროცესო გადახვევას (*inter alia*, იხ. საქმეზე *Nikolova v. Bulgaria* [GC] გამოტანილი განჩინება, განაცხადი № 31195/96, პუნქტი 44, ECHR 1999-II).

#### ბ. იმ საჩივრების განხილვა, რომლებიც განმცხადებელს არ წამოუყენებია

62. მთავრობა აპროტესტებდა, რომ კომისიამ განიხილა საქმის ფაქტობრივი გარემოებები კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად იმ ფაქტის მიუხედავად, რომ განმცხადებელი ამ დებულებებს თავის განაცხადში არ ეყრდნობოდა.
63. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის ორგანოებს კონვენციის მოთხოვნების მთლიანობის ჭრილში აქვთ იურისდიქცია, განიხილონ ის გარემოებები, რომლებსაც განმცხადებელი ასაჩივრებს. ამ ამოცანის განხორციელებისას ისინი უფლებამოსილნი არიან, საქმეზე არსებულ ფაქტებს მისცენ თავისუფალი სასამართლებრივი შეფასება განმცხადებლისაგან განსხვავებით ან, საჭიროების შემთხვევაში, ფაქტები განსხვავებულ ჭრილში დაინახონ (იხ., *inter alia*, საქმეზე

*Camenzind v. Switzerland* გამოტანილი განჩინება, 1997 წლის 16 დეკემბერი, მოხსენებები განჩინებებსა და გადაწყვეტილებებზე 1997-VIII, გვ. 2895-96, პუნქტი 50).

64. სასამართლოს იურისდიქციის ფარგლები იმ საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც კომისიამ არსებითად განიხილა, განსაზღვრულია კომისიის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც განაცხადი დაშვებულად გამოცხადდა (იხ. საქმე *Thlimmenos v. Greece* [GC], განაცხადი № 34369/97, პუნქტი 28, ECHR 2000-IV). ამასთანავე, სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას განმცხადებელი კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევას ამტკიცებდა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აქვს იურისდიქცია აღნიშნული საჩივრები განიხილოს.

## II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

65. განმცხადებლის მტკიცებით, აღგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებროს წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.“

66. სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაკავების დროს სლოვენის პოლიციამ სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა და მას სათანადო სამედიცინო მკურნალობა შემდგომი პატიმრობის განმავლობაში არ ჩაუტარდა.

67. მთავრობის მტკიცებით, პოლიციამ დაკავების დროს ძალა მხოლოდ იმ ფარგლებში გამოიყენა, რაც აუცილებელი იყო განმცხადებლის საქციელიდან გამომდინარე. მან აგრეთვე გააპროტესტა განმცხადებლის ბრალდებები არასაკმარისი მკურნალობის თაობაზე. კერძოდ, მთავრობამ მიუთითა, რომ განმცხადებელმა ექიმების მიერ რეკომენდებულ ქირურგიულ ჩარევაზე უარი თქვა.

### 1. განმცხადებლისადმი სავარაუდო ცუდად მოპყრობა დაკავების დროს

68. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეებმა არ გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ, როგორც სამედიცინო დასკენიდან ჩანს, განმცხადებელს დაკავების დროს დაზიანება მიაყენეს. თუმცა მომხდართან დაკავშირებით, განმცხადებლისა და მთავრობის მიერ, განსხვავებული ვერსიები იქნა წარმოდგენილი (იხ. პუნქტები 12-15).

69. სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შემოწმება იმ საქმეებზე, რომლებიც თავდაპირველად კომისიამ განიხილა, უპირატესად, ამ უკანასკნელის საქმეა. მართალია, სასამართლო არ არის ვალდებული, დაეყრდნოს კომისიის მიერ დადგენილ ფაქტებს და მას თავისუფლად შეუძლია, თავად შეაფასოს მის წინაშე წარდგენილი მასალები, ამ უფლებამოსილებას იგი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყენებს (იხ. საქმეზე *Kaya v. Turkey* გამოტანილი განჩინება, 1998 წლის 19 თებერვალი, მოხსენებები 1998-I, გვ. 321, პუნქტი 75).

70. კომისიას არ შეეძლო დაეხატა იმ ფაქტობრივი გარემოებების სრული სურათი, რომლებშიც განმცხადებელმა დაზიანება მიიღო. მან საბოლოო დასკვნაში აღნიშნა, რომ, არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, მთავრობას არანაირად არ დაუსაბუთებია თავისი არგუმენტები, რომ განმცხადებელმა დაზიანება შემთხვევით მიიღო. მე-3 მუხლის დარღვევის დადგენისას, კომისია ძირითადად დაეყრდნო არგუმენტს, საქმეზე *Ribitsch v. Austria* (1995 წლის 4 დეკემბრის განჩინება, Seria A № 336, გვ. 26, პუნქტი 38) მითითებით, რომ მთავრობამ ვერ შეძლო დაზიანების

დასაბუთება და ისეთი მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც განმცხადებლის ახსნა-განმარტებას ეჭვქვეშ დააყენებდა.

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ სავარაუდო ცუდად მოპყრობას, რომელსაც შედეგად დაზიანება მოჰყვა, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის დაკავებისას და არა მას შემდეგ, რაც იგი წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს. ამგვარად, საქმე განსხვავებული უნდა იყოს *Ribitsch*-ის საქმისაგან, როდესაც განმცხადებელმა დაზიანება პატიმრობის დროს განიცადა. მეორე მხრივ, საქმე განსხვავებული უნდა იყოს, აგრეთვე, საქმისაგან *Klaas v. Germany* (1993 წლის 22 სექტემბრის განჩინება, Seria A № 269, გვ. 16-18, პუნქტები 26-30), რომელიც ეხებოდა ნაკლებად მძიმე დაზიანებას, რასაც დაკავების ოპერაციის დროს ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს ფაქტები მას შემდეგ, რაც შესაძლებლობა მიეცათ, მოწმეები უშუალოდ დაეკითხათ და მათი სარწმუნოება შეეფასებინათ.
72. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი არ დაუკავებიათ შემთხვევითი ოპერაციის დროს, რასაც შეიძლებოდა გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყოლოდა და პოლიცია, წინასწარი მომზადების გარეშე, რეაგირებას მოახდენდა. სასამართლოს წინაშე წარდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ პოლიციამ დაკავების ოპერაცია წინასწარ დაგეგმა და მას საკმარისი დრო ჰქონდა, შეეფასებინა შესაძლო რისკი და მიეღო ყველა აუცილებელი ზომა დაკავების ოპერაციის ჩასატარებლად. ოპერაციაში ცამეტი პოლიციელი მონაწილეობდა და ისინი რიცხოვნობად აღემატებოდნენ სამ ეჭვიმტანილს, რომლებიც უნდა აეყვანათ. უფრო მეტიც, განმცხადებელს პოლიციის ოფიცრები არ შეუშინებია, მაგალითად, იარაღის აშკარა ტარებით ან მათზე თავდასხმით. ამის საპირისპიროდ, განმცხადებლისთვის მიყენებული განსაკუთრებით მძიმე დაზიანებისა და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ფაქტები ეროვნულ სასამართლოს არ დაუდგენია, მთავრობას ეკისრება მტკიცების ტვირთი, წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტები, რომ ძალის გამოყენება გადაჭარბებული არ იყო.
73. 2000 წლის 23 მაისს, საქმის არსებითად განხილვის შემდეგ, მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა 1996 წლის 8 მარტით დათარიღებული დასკვნა პოლიციის ქმედებაზე განმცხადებლის დაკავებისას. ეს მოხსენება კომისიის წინაშე საქმის განხილვის დროს არ წარუდგენიათ. მთავრობამ დაასკვნა, რომ გამოძიებლები კანონის შესაბამისად და მოქმედებდნენ ძალის გამოყენება აუცილებელი გახდა განმცხადებელმა, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევდა (იხ. პუნქტი 14).
74. სასამართლო აღნიშნავს, რომ გამოძიების ჩატარების შესახებ ბრძანება გაიცა ხუთი თვის შემდეგ ინციდენტიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1995 წლის 8 სექტემბერს. გამოძიება სლოვენის გრადაცის პოლიციის ადმინისტრაციაში ჩატარდა, რომლის წევრებაც განმცხადებლის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდნენ. დასკვნა არ აკონკრეტებს, თუ რა ინფორმაციასა და მტკიცებულებებს ეფუძნება. კერძოდ, დასკვნიდან არ ჩანს, რომ მისმა ავტორებმა მოუსმინეს განმცხადებელს, მასთან ერთად დაკავებულ სხვა პირებსა ან რომელიმე სხვა მოწმეს, პოლიციელების გარდა. უფრო მეტიც, მთავრობამ ვერ ახსნა, თუ რატომ გახდა დასკვნა ხელმისაწვდომი მხოლოდ სამართალწარმოების საბოლოო ეტაპზე.
75. კომისიის წინაშე სამართალწარმოებისას, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელმა დაზიანება მიიღო, როდესაც თავი მანქანის ბამპერზე დაარტყა (იხ. კომისიის 1999 წლის 23 აპრილის დასკვნის 21-ე პუნქტი). თუმცა პოლიციის 1996 წლის 8 მარტის დასკვნა მიუთითებს, რომ განმცხადებელმა სახე დაარტყა

გაჩერებული მანქანის ფრთას და ავტოსადგომის გუდრონით მოპირკეთებულ ზედაპირს (იხ. ზემოთ, პუნქტი 14). მთავრობამ არ ახსნა ეს შეუსაბამობა.

76. სასამართლო იხსენებს, რომ განმცხადებელს აწუხებდა ყბის ორმაგი მოტეხილობა, ისევე, როგორც სახის კონტუზია. მიყენებული მძიმე დაზიანების გათვალისწინებით, აგრეთვე ზემოხსენებულ დასკვნაში განვითარებული მსჯელობის მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია დასაბუთებული ან სარწმუნო არგუმენტაცია, რაც დაკავების ოპერაციის დროს ძალის გამოყენების ხარისხს ძირეულად ახსნიდა ან გაამართლებდა. შესაბამისად, გამოყენებული ძალა მოცემულ გარემოებებში გადაჭარბებული და გაუმართლებელი იყო.
- 77 ძალის ამგვარ გამოყენებას შედეგად მოჰყვა დაზიანება, რომელმაც განმცხადებელს უდავოდ მიაყენა სერიოზული ტანჯვა, რაც შინაარსით არადაამიანურ მოპყრობას უთანაბრდებოდა.
78. ამგვარად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ მოპყრობის გამო, რომელსაც განმცხადებელი დაკავების დროს დაექვემდებარა.

## **2. განმცხადებლისადმი სავარაუდო ცუდად მოპყრობა პატიმრობაში ყოფნის დროს**

79. განმცხადებელს სასამართლოს წინაშე არ გაუსაჩივრებია მთავრობის არგუმენტი, რომ ექიმი დაუყოვნებლივ გამოიძახეს მას შემდეგ, რაც მან მოითხოვა სამედიცინო შემოწმება 1995 წლის 9 სექტემბერს, დილით. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტები მიუთითებს, რომ ამ დღიდან განმცხადებელს ექიმები რეგულარულად სინჯავდნენ და მან თვითონ განაცხადა უარი სპეციალისტების მიერ რეკომენდებულ ქირურგიულ ჩარევაზე. ამგვარად, სასამართლო ადგენს, რომ ამ თვალსაზრისით არ წამოიჭრება საკითხი, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად.
80. სასამართლოს აზრით, მოპყრობა, რომელსაც განმცხადებელი ციხეში დაექვემდებარა, კერძოდ, ის, რომ ციხის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს, მიეწოდებინათ მისთვის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები რამდენიმე შემთხვევაში, არ აღწევდა სიმკაცრის ხარისხს, რომელიც იმ დასკვნამდე მიგვიყვანდა, რომ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.
81. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლისადმი მოპყრობის გამო მისი პატიმრობის დროს.

## **III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა**

82. განმცხადებელი ჩიოდა, რომ წინასწარი პატიმრობის საწყის ეტაპზე სლოვენის სასამართლოებს სწრაფად არ გადაუწყვეტიათ მისი შუამდგომლობები გათავისუფლების თაობაზე. იგი კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 მუხლის დარღვევას ამტკიცებდა. ამ მუხლის მიხედვით:

„დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებაადკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება კანონიერი არ არის.“

83. მთავრობის მტკიცებით, 1995 წლის 6-19 ოქტომბერს ორი ინსტანციის სასამართლოებმა განიხილეს განმცხადებლისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის

შესაბამისად. ამ საკითხის განხილვას იგივე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, რაც გათავისუფლების თაობაზე განმცხადებლის 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობას. ამდენად, მთავრობის აზრით, არ არსებობდა იმის აუცილებლობა, რომ შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე, განმცხადებლისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე საკითხის გადაწყვეტამდე, ცალკე განეხილათ. ყოველ შემთხვევაში, „სწრაფად“ განხილვის მოთხოვნა დაცულ იქნა.

84. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, უზრუნველყოფს რა თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის უფლებას, სამართალწარმოების მეშვეობით გაასაჩივრონ თავისუფლების აღკვეთის კანონიერება, აგრეთვე ითვალისწინებს მათ უფლებას, სამართალწარმოების დაწყების შემდეგ, სასამართლოს მიერ პატიმრობის კანონიერების სწრაფად გადაწყვეტაზე და მის შეწყვეტაზე, თუ ის არის კანონიერი (იხ. *Musiał v. Poland* [GC], № 24557/94, პუნქტი 43, ECHR 1999-II). საკითხი იმის თაობაზე, იქნა თუ არა დაცული პირის უფლება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თითოეულ საქმეზე არსებული გარემოებების ჭრილში უნდა განიხილებოდეს (იხ., *mutatis mutandis*, საქმეზე *The R.M.D. v. Switzerland* გამოტანილი განჩინება, 1997 წლის 26 სექტემბერი, მოხსენებები 1997-VI, გვ. 2013, პუნქტი 42).

85. წინამდებარე საქმეში განმცხადებელმა გათავისუფლების თაობაზე პირველი შუამდგომლობა 1995 წლის 3 ოქტომბერს შეიტანა. სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ ეს შუამდგომლობა 1995 წლის 26 ოქტომბერს, ანუ ოცდასამი დღის შემდეგ არ დააკმაყოფილა. 1995 წლის 29 ნოემბერს განმცხადებელმა გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა კვლავ შეიტანა. 1995 წლის 22 დეკემბერს, ოცდასამი დღის შემდეგ, სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლომ კვლავ არ დააკმაყოფილა.

86. სასამართლო ადგენს, რომ გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობები, რომლებიც განმცხადებელმა შეიტანა 1995 წლის 3 ოქტომბერსა და 29 ნოემბერს, არ იქნა განხილული „სწრაფად“, როგორც ამას მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მოითხოვს.

87. ის ფაქტი, რომ მარიბორის უზენაესმა სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საჩივრები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 1995 წლის 6 ოქტომბერსა და 27 ნოემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებებზე წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე, ამ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს. ფაქტობრივად, 1995 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მარიბორის უზენაესმა სასამართლომ ცალსახად განაცხადა, განმცხადებლის საჩივრის საპასუხოდ, რომ 1995 წლის 3 ოქტომბრის შუამდგომლობა გათავისუფლების თაობაზე უნდა განეხილა სლოვენი გრადეცის საოლქო სასამართლოს (იხ. პუნქტი 40). ამგვარად, სამართალწარმოება გათავისუფლების თაობაზე განმცხადებლის შუამდგომლობებთან დაკავშირებით დამოუკიდებელი იყო იმ სამართალწარმოებისაგან, რომელიც წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას შეეხებოდა და აღძრული იქნა სლოვენიის ხელისუფლების მიერ, საკუთარი ინიციატივით.

88. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

### **III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საგარეულო დარღვევა**

89. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევასთან მიმართებაში, რომელიც ზემოთ იქნა დადგენილი, მას კომპენსაციაზე აღსრულებადი უფ-

ლება არ ჰქონდა. იგი მიუთითებდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევაზე. აღნიშნული მუხლის მიხედვით:

„ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე.“

90. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქმე არ წამოჭრიდა საკითხს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის ჭრილში, რადგან განმცხადებლის უფლებები, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, დაცული იყო.

91. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 26-ე მუხლი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 542-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამის ნაწილებთან ერთად, ითვალისწინებს კომპენსაციის უფლებას იმ შემთხვევებში, როდესაც თავისუფლების აღკვეთა უკანონო იყო ან შეცდომის შედეგს წარმოადგენდა. ამგვარად, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებლისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელება, კერძოდ, გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობებზე უარი, იყო უკანონო ან შეცდომის შედეგი სლოვენის კანონმდებლობის მიხედვისათვის.

92. აღნიშნულ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის უფლება კომპენსაციაზე კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევასთან მიმართებაში არ ყოფილა დაცული საკმარისი ხარისხის გასაზღვრულობით (იხ. საქმეზე *Sakik and Others v. Turkey* გამოტანილი განჩინება, 1997 წლის 26 ნოემბერი, მოხსენებები 1997-VII, გვ. 2626, პუნქტი 60).

93. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

#### **IV. კონვენციის მე-8 მუხლის საგარეო დარღვევა**

94. სასამართლოს წინაშე განმცხადებელი ჩიოდა, რომ კომისიასთან მისი მიმოწერა ყოვლად გაუმართლებელ შემოწმებას ექვემდებარებოდა. იგი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ამტკიცებდა. ამ მუხლის მიხედვით:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმოწერას.“

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უწყესრიგობის, ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.“

95. მთავრობის მტკიცებით, კომისიასთან განმცხადებლის მიმოწერის შემოწმება განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად. მთავრობის თქმით, 1998 წლის 23 ოქტომბერს ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე (ბ) მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სლოვენიაში თავისუფლებააღკვეთილ პირებსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შორის მიმოწერის შემოწმება გაუქმდა.

96. სასამართლო ადგენს, რომ კომისიასთან განმცხადებლის მიმოწერის შემოწმება მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევას უთანაბრდება.

97. ზემოხსენებული ჩარევა რომ არ ეწინააღმდეგებოდეს მე-8 მუხლს, იგი უნდა იყოს „დაშვებული კანონით“, ემსახურებოდეს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ მიზანს და უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ აღნიშნული მიზნის მისაღწევად (იხ. საქმეზე *Silver and Others v. the United Kingdom* გამოტანილი განჩინება, 1983 წლის 25 მარტი, Seria A № 61, გვ. 32 პუნქტი 84, და საქმეზე *Petra v. Romania* გამოტანილი განჩინება, 1998 წლის 23 სექტემბერი, მოხსენებები 1998-VII, გვ. 2853, პუნქტი 36).
98. ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის მე-3 პუნქტი. შესაბამისად, შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ იგი „უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების“ კანონიერ მიზანს ემსახურებოდა.
99. რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას, სასამართლო ადგენს, რომ არ არსებობდა რაიმე აუცილებელი საფუძველი იმ მიმოწერის შემოწმებისათვის, რომლის კონფიდენციალურობის დაცვა მნიშვნელოვანი იყო (იხ. საქმეზე *Campbell v. the United Kingdom* გამოტანილი განჩინება, 1992 წლის 25 მარტი, Seria A № 233, გვ. 22, პუნქტი 62). შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, ჩარევა აუცილებელი არ იყო.
100. სასამართლომ აღნიშნა, რომ 1998 წლის 23 ოქტომბერს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე (ბ) მუხლის მე-3 პუნქტის ამოქმედების შემდეგ თავისუფლებააღკვეთილ პირებსა და სასამართლოს შორის მიმოწერის შემოწმება გაუქმდა. მაგრამ ეს წინამდებარე საქმეში არსებულ მდგომარეობას არ ცვლის.
101. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

## **V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

102. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ კონვენცია და მისი ოქმები დაირღვა, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

### **ა. მატერიალური ზიანი**

103. განმცხადებელმა პრეტენზია განაცხადა 174 897 გერმანულ მარკაზე, მიუთითებდა რა, ძირითადად, მისი პარტნიორის მიერ დაკარგულ შემოსავალსა და გაწეულ ხარჯებზე, როდესაც მას უვლიდა სლოვენიაში, მისი პარტნიორის მანქანის ჩამორთმევაზე სლოვენის ხელისუფლების ორგანოების მიერ და მისი კუთვნილი აქციების გაუფასურებაზე, სლოვენიაში მისი პატიმრობის დროს.
104. მთავრობამ ეს პრეტენზია გააპროტესტა, რადგან დაუსაბუთებლად მიიჩნია.
105. სასამართლო კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევების დადგენასა და განცხადებულ მატერიალურ ზიანს შორის პირდაპირ მიზეზობრივ კავშირს ვერ ხედავს. ამდენად, ამ კუთხით კომპენსაციის მიკუთვნების არანაირი საფუძველი არ არსებობს.

**ბ. არამატერიალური ზიანი**

- 106. განმცხადებელი, კომპენსაციის სახით, 1 000 000 გერმანულ მარკას მოითხოვდა: სლოვენის ხელისუფლების მოპყრობის შედეგად მიყენებულ ტკივილისა და ტანჯვისათვის.
- 107. მთავრობამ ეს თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია. მისი მტკიცებით, განმცხადებელი ყბის დაზიანებისათვის თავად იყო პასუხისმგებელი. გარდა ამისა, მან ქირურგულ ჩარევაზე უარი განაცხადა.
- 108. სასამართლოს აზრით, განმცხადებლისთვის მიყენებულ დაზიანებას სერიოზული ტკივილი უნდა გამოეწვია. თუმცა ამ კუთხით ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა სათანადო მკურნალობის ჩატარება სლოვენიაში მიყენებული დაზიანებისათვის არ ისურვა, მიუხედავად იმისა, რომ, სამედიცინო ექსპერტების აზრით, ქირურგიული ჩარევა აუცილებელი იყო (იხ. პუნქტები 20-30). სასამართლო ახდენს რა შეფასებას თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, განმცხადებელს 25 000 გერმანულ მარკას მიაკუთვნებს.

**გ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები**

- 109. განმცხადებელი მოითხოვდა 23 700 გერმანულ მარკას შემდეგი თანაფარდობით:
  - ა) 16 500 გერმანული მარკა იმ ადვოკატების ანაზღაურებისათვის, რომლებიც განმცხადებელს სლოვენიაში სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე წარმოადგენდნენ;
  - ბ) 7 200 გერმანული მარკა სატელეფონო საუბრებისათვის, რაც განახორციელა მისმა პარტნიორმა, როდესაც ცდილობდა განმცხადებლის უფლებების დაცვას როგორც სლოვენიაში, ისე – კომისიის წინაშე.
- 110. მთავრობამ განაცხადა, რომ ხარჯები დაუსაბუთებელი იყო.
- 111. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურების მიზნით უნდა დადგინდეს, რომ ხარჯები რეალურად და საჭიროებისამებრ იქნა გაღებული გონივრული ოდენობით (იხილეთ, *inter alia*, საქმე *Jėčius v. Lithuania*, № 34578/97, პუნქტი 112, ECHR 2000-IX). სასამართლო არ ეთანხმება იმას, რომ განმცხადებლის პარტნიორის ხარჯები შეიძლება მიჩნეული იქნეს საჭიროებისამებრ გაღებულად, კონვენციის დარღვევის თავიდან აცილების ან გამოსწორების კუთხით.

რაც შეეხება ადვოკატების ანაზღაურების თანხებს, ისინი უპირატესად შეეხებოდა განმცხადებლის სისხლის სამართლის ბრალდებისაგან დაცვას სლოვენის ხელისუფლების ორგანოების წინაშე, რაც ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი არ ყოფილა.

სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭომ ბ-ნ რებოკს გადაუხადა 17 098,12 ფრანგული ფრანკი, სამართლებრივი დახმარების სახით.

ახდენს რა შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 7 000 გერმანულ მარკას დამატებითი ღირებულების ნებისმიერ გადასახადთან ერთად, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს, გამოკლებული 17 098,12 ფრანგული ფრანკი, რაც ევროპის საბჭომ სამართლებრივი დახმარების სახით გადაუხადა.

**დ. საურავი**

111. სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთი, რომელიც დადგენილია გერმანიაში წინამდებარე განჩინების მიღების დღისათვის, არის წლიური 4%.

**ზემოსენაშულიან გამოძინარე, სასამართლო**

1. ერთხმად უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიებს;
2. ადგენს ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის მიმართ დაკავების დროს მოპყრობის გამო;
3. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას განმცხადებლის მიმართ პატიმრობის დროს მოპყრობის გამო;
4. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას;
5. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევას;
6. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
7. ერთხმად ადგენს, რომ

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში განმცხადებელს უნდა გადაუხადოს: 25 000 (ოცდახუთი ათასი) გერმანული მარკა განცდილი არამატერიალური ზიანისათვის და 7 000 (შვიდი ათასი) გერმანული მარკა – ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის დამატებითი ღირებულების ნებისმიერ გადასახადთან ერთად, რომელიც შეიძლება დაეკისროს ამ თანხას, გამოკლებული 17 098,12 (ჩვიდმეტი ათას ოთხმოცდათვრამეტი ფრანგული ფრანკი და თორმეტი ცენტი) ფრანგული ფრანკი, რაც გადახდილი უნდა იქნეს გერმანული მარკით წინამდებარე განჩინების გამოტანის დღისთვის მოქმედი განაკვეთით;

(ბ) ზემოსნებული სამი თვის ვადის გასვლის შემდეგ, მორიგებამდე გადახდილი უნდა იქნეს მარტივი პროცენტი წლიური 4%-იანი განაკვეთით.

8. უარყოფს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გაცხადებულია წერილობით 2000 წლის 28 ნოემბერს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მაიკლ ობოილი ელიზაბეტ პალმი  
მდივანი თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განჩინებას თან ერთვის ბ-ნ ზუპანჩიჩის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.



## მოსამართლე ზუპანჩიჩის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

ეს განსაკუთრებული საქმეა, თუნდაც, საპროცესო კუთხით. განმცხადებელს არასოდეს წამოუყენებია საკითხი თავისი დაზიანების შესახებ გამოძიებული მოსამართლის ან საქმის განმხილველი მოსამართლეების წინაშე, თუმცა მას იმ დროს მხოლოდ ბრალდების ტვირთი (*onus proferendi*) ეკისრებოდა. მას რომ მხოლოდ ემტკიცებინა ცუდად მოპყრობა გადაუხადა, სასამართლო ვალდებული იქნებოდა, გაეთვალისწინებინა, ხოლო პროკურორი ვალდებული იქნებოდა, ეჭვმიტანილი პოლიციელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღედგრა. თუ აღნიშნული შედეგს არ გამოიღებდა, განმცხადებელს ჰქონდა რამდენიმე საშუალება, რომელთა ამოწურვის შემდეგ მას შეეძლო კონსტიტუციური სარჩელისთვის მიემართა. წინამდებარე საქმისათვის ნამდვილად ყურადსაღებია, რომ განმცხადებელს არასოდეს მიუძღმარია აღნიშნული ჩვეულებრივი პროცედურებისთვის, რომლებსაც შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის სასამართლო გამოძიება მოჰყვებოდა. მთავრობას, თავის მხრივ, არ გაუხსანივრებია სამართალწარმოების სათანადო ეტაპზე ის ფაქტი, რომ დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოწურული არ ყოფილა. ამდენად, საქმე ევროპულ სასამართლოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტის არსებითად განხილვის გარეშე გადაეცა. რამდენადაც შიდა სასამართლო გამოძიება არ ყოფილა, ეს ფაქტები მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაბამისი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ბრალდების ჭრილში.

წინამდვილეში დაკავების მნიშვნელოვანი გარემოებები არასდროს ყოფილა პირდაპირ დადგენილი, დაუყოვნებლობის პრინციპის შესაბამისად, შიდა თუ საერთაშორისო სასამართლო ხელისუფლების მიერ. ამგვარად, სავარაუდოდ, ზედმეტი ძალის გამოყენების არსებითი საკითხი განმცხადებლის კანონიერი დაპატიმრებისას პირველად იქნა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე. ამით ჩვენ ფაქტების დამდგენი პირველი ინტანციის სასამართლოს როლი შევასრულეთ.

უფრო მეტიც, მომავალში, მე-11 ოქმის გავლენით, ასეთი საქმეები კვლავ განმეორდება. ამჟამად კომისია, რომელიც სასამართლოსთვის ფაქტების დადგენის არსებით ფუნქციას ასრულებს, აღარ არსებობს.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ სასამართლოს ახალ სიტუაციასთან ადაპტაცია მოუწევს. მას მოუწევს ისეთი სიტუაციების დაშვება, წინამდებარე საქმის მსგავსად, რომ მის წინაშე მოსმენა პირველი ინსტანციის ეროვნული სასამართლოების წინაშე მოსმენას დაემსგავსება. სასამართლოს მოუწევს მოწმეების მოსმენა, დაპირისპირებული მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა, პირდაპირი დაკითხვა, ნივთიერი მტკიცებულებების შეფასება და ა.შ. სასამართლოს მოუხდება, დაადგინოს თავისი წესები მტკიცების ტვირთის, *dubio pro reo* პრინციპისა და ა.შ. შესახებ. ეს წესები უკვე არსებობს ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში, თუნდაც ელემენტარული ფორმით. და, რა თქმა უნდა, ამ საპროცესო ნორმების დადგენისას ჩვენ მკაცრად უნდა მივდიოთ მე-6 მუხლის გარანტიებს, როგორც ამას კონვენციის ყველა ხელმომწერისგან მოვითხოვთ.

ეს შეეხება ყველა იმ საქმეს, რომლებშიც, კონვენციის ხედვით, გარკვეული ფაქტები სამართლებრივად შესაბამისი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ საქმე შეტანილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, და მხოლოდ ამის შემდეგ.

რა თქმა უნდა, სიმართლეა, რომ ის, რასაც ჩვენ „ფაქტებს“ ან „სამართლებრივად მართლზომიერ ფაქტებს“ ვუწოდებთ, ზოგჯერ უბრალოდ და მარტივად „ობიექტური“ არ არის. სასამართლოს ყურადღება კონკრეტულ საქმეში უამრავი „ფაქტიდან“ მხოლოდ შერჩეულ ასპექტებს ექცევა. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც საქმის

სამართლებრივი კვალიფიკაცია მოცემული ფაქტობრივი მაგალითის მიმართ, სასამართლოს მიერ გამოიყენება. თავის მხრივ, რა თქმა უნდა, ნორმა, რომელიც გამოიყენება სამართლებრივი კვალიფიკაციის მისაცემად კონკრეტული საქმისთვის, თავისთავად აღქმულ ფაქტებთან მიმართებაშია არჩეული. ამდენად, ფაქტებსა და ნორმებს შორის დინამიკური და დიალექტიკური კავშირია. გამოსაყენებელი ნორმის არჩევაზე დაყრდნობით, სასამართლოს ყურადღების ქვეშ სხვადასხვა ფაქტები ხვდება, თითქოს ისინი სხვა სათვალთ იქნა დანახული.

აქედან გამომდინარეობს, რომ ფაქტები, რომლებიც შესაბამისი და გადამწყვეტი უნდა იყოს შიდა სასამართლოებისთვის, ხშირად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის შესაბამისი და გადამწყვეტი არ არის და, პირიქით. სტრასბურგში ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა პრინციპებს, დოქტრინებსა და წესებს, რომლებიც კონვენციის ნორმებს ეფუძნება და შემუშავებულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ორმოცდაათი წლის განმავლობაში. იდენტური ფაქტობრივი მაგალითი შეიძლება სხვაგვარი სამართლებრივი პერსპექტივით იქნეს დანახული ან, წინამდებარე საქმის მსგავსად, სასამართლოს მიერ განხილვას სრულებითაც არ დაექვემდებაროს.

აღნიშნული პრობლემა ახალი არ არის. სასამართლო ყოველთვის იყენებს თავის კრიტერიუმებს იმასთან დაკავშირებით, კონვენციის საფუძველზე თუ რა არის შესაბამისი. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს ჩვენ ბატონ ჟურდენის როლში ჩაგვაყენებდა [ბატონი ჟურდენი მოლიერის პიესის, „გააზნაურებული მდაბიოს“, მთავარი მოქმედი პირია]: ის განცვიფრებულია იმით, რომ დიდი ხნის განვამლობაში „პროზაულად“ ლაპარაკობდა. კონვენციის შესაბამისი სპეციალური ფაქტობრივი ანალიზის გამოყენება, საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მისიას წარმოადგენს.

ამაში არაფერია განსაკუთრებული, თუ ფაქტებსა და სამართლის, *questiones juris et questiones facti*, გაუცნობიერებლად მკაცრ გამიჯვნას არ ჩავთვლით. თანამედროვე სამართლის ფილოსოფია ამ ხელოვნურ განსხვავებას დიდი ხანია გასცდა. წინამდებარე საქმე ამის აუცილებლობაზე საკმაოდ მეტყველებს. თუმცა ამას აქვს უარყოფითი გამოვლინება ხშირად გამოყენებული ჯადოსნური ფორმულისთვის, რომლის მიხედვითაც „ჩვენ არ ვართ მეოთხე ინსტანციის სასამართლო“ და ფაქტების გამოძიებას ეროვნულ სასამართლოებს მივანდობთ. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ეროვნული სასამართლოების მხრიდან აშკარა ხარვეზებზე ჩივის, ეს შეიძლება მართებულ მიდგომად იქნეს მიჩნეული. ეს აშკარად არასწორი მიდგომაა იმ საქმეებთან მიმართებაში, როდესაც ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონიათ საშუალება, კონვენციის გამოყენების თაობაზე ემსჯელათ.

დოქტრინა, რომელიც მოითხოვს დაცვის შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამოწურვას, კონვენციის ადრე მოქმედ 26-ე, ამჟამინდელ 35-ე მუხლს მხოლოდ ნაწილობრივ ეფუძნება. თუმცა, აღნიშნული დებულების შესაბამისად, საქმე შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უარყოფილი, ანუ მოპასუხე მთავრობის პრეტენზია არ არის შეზღუდული დროში იმ პერიოდთან მიმართებაში, სანამ საქმის დასაშვებობის საკითხი განხილული იქნება. ეს მხოლოდ კომისიისთვის მოსახერხებელი პრაქტიკა იყო, ანუ არა მძიმე დოქტრინა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. დებულების ტელეოლოგიური ანალიზი მიუთითებს, რომ იგი არა მხოლოდ ფაქტების დადგენით არის დაკავებული. მისი მიზანი, საერთაშორისო სამართლის კუთხით, მარტივად მდგომარეობს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ეროვნულ სასამართლოებს საშუალება მიეცეთ, კონვენციისა და ჩვენი სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მინიმალური სამართლებრივი და საპროცესო სტანდარტები სავალდებულოდ აღიარონ. ფაქტების დადგენის კომპლექტის გაცნობიერებული დელეგირება ეროვნული სასამართლოებისათვის მხო-

ლოდ ზემოსხენებული ფუნდამენტური საერთაშრისო სამართლებრივი ეტიკეტის თანამდევია, რაც ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ყველა წევრი სახელმწიფო თავის ვალდებულებას აღიარებს, კონვენციის შესაბამისად.

ეს გულისხმობს, რომ წინამდებარე საქმე მოსმენის შემდეგაც შეიძლებოდა განხილულიყო. ჩემი აზრით, ეს იქნებოდა ყველაზე გონივრული, თუ არ გვინდა, რომ ფაქტების უშუალო დადგენაში ჩავერიოთ.

განსახილველი რეალური ფაქტი სამართლებრივად კვალიფიცირებულია როგორც ძალის ზედმეტი გამოყენების ბრალდება ნარკოტიკებით მოვაჭრის კანონიერი დაკავებისას, როდესაც იგი ავსტრია-სლოვენის საზღვრის გადაკვეთას ცდილობდა.

გონივრული ეჭვის (შესაძლო მიზეზის) საპროცესო სამართლებრივი საკითხი, რომელიც დაკავებას წინ უსწრებდა, აგრეთვე მისი კონკრეტული და სპეციფიკური ხასიათი, მისი წყაროების კანონიერება და ა.შ., განმცხადებელს არასდროს წამოუჭრია. რადგან დაკავების კანონიერება არ ყოფილა გასაჩივრებული, ჩვენ არ ვიცით, როგორ მოიძია სლოვენის პოლიციამ ინფორმაცია განმცხადებლის მცდელობასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შეეტანა ექსტაზის მომგვრელი აბები და სხვა კონტრაბანდა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაკავების საფუძველი კანონიერი იყო როგორც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, ისე კონვენციის მიზნებისათვის.

შემდეგი საკითხი ის არის, თუ რამდენად იცოდა განმცხადებელმა თავისი დაკავების შესახებ, ანუ შეიძლებოდა თუ არა, რომ დაკავებისას სავარაუდო წინააღმდეგობა მისი მხრიდან მართლზომიერი შეცდომის (*error facti*) შედეგი ყოფილიყო. მთავრობის მტკიცებით, პოლიციელები, რომლებიც დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდნენ, აშკარად ადვილად ამოსაცნობი იყვნენ, რადგან ქურთუკებზე გარკვევით ეწერათ "POLICIJA". განმცხადებლის თქმით, პოლიციელებს აღნიშნული ქურთუკები არ ეცვათ. ისინი მას „ნინძებად“ მოეჩვენა, რომლებიც მასზე თავდასხმას ახორციელებდნენ, რასაც კონტრაბანდასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. თუმცა ძნელია ამის დაჯერება, რადგან განმცხადებელი მანქანაში დამალული კონტრაბანდული საქონლის გამო უდავოდ ინერვიულებდა, მის განცხადებას მხოლოდ დაკავებისათვის სავარაუდო წინააღმდეგობის გაწევის კუთხით ექნებოდა აზრი. ყოველ შემთხვევაში, თუნდაც თუ პოლიციელებს არ უჩანდათ სამკერდე ნიშნები, ძნელი დასაჯერებელია, რომ ნარკოტიკებით მოვაჭრე, რომელიც „ნინძების“ ჯგუფს გადააწყდა, იფიქრებდა, რომ მას ძარცვის ან სხვა ამგვარი მიზნით თავს დაესხმოდენ.

შესაბამისად, თუ ვივარაუდებთ, განმცხადებელმა იცოდა, მას აპატიმრებდნენ და იმის გამო, რომ მას მანქანაში ნარკოტიკები ჰქონდა, მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა კანონიერი დაკავებისათვის შეცდომას არ შეიძლება მივაწეროთ. და თუ ადგილი არ ჰქონდა მისი მხრიდან შეცდომას, მაშინ წინააღმდეგობის გაწევის რაიმე გამართლებული საფუძველი არ არსებობდა.

ამგვარად, ახლა დაისმის კითხვა, თუ რამდენად იყო აუცილებელი ძალის გამოყენება დაკავების ოპერაციის განხორციელებისთვის.

ძალის გამოყენების პროპორციულობა ამგვარ სიტუაციებში ცალსახად დამოკიდებულია იმ ადამიანის საქციელზე, რომელსაც თავისუფლებას აღუკვეთენ. თუმცა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილია, რომ ძალის გამოყენება მძიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავებისას არ შეიძლება, ჩაითვალოს მხოლოდ *ex post facto*. ამგვარი სიტუაციებისთვის დამახასიათებელია ხელჩართული ბრძოლა, ჩხუბი და ა.შ. იმ ფაქტების ზედმიწევნით შეფასებისას, რომელთაც ძალის გამოყენებამდე მივყავართ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ პირთა

აღზნებული მდგომარეობა, რომლებიც თავს ან სხვა ადამიანს იცავენ, ან სხვა აუცილებელ ღონისძიებას მიმართავენ. მატერიალური სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, ასეთ სიტუაციას თავის დაცვის მიზნით ძალის გამოყენება ახასიათებს. ძალის გამოყენება თავის დაცვის მიზნით თავდასხმის თანადროული და პროპორციული უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს არამართლზომიერი თავდამსხმელიც, თავის მხრივ, პროვოცირებული არ უნდა იყოს და ა.შ. ეს ლოგიკა მძიმე ემოციური სტრესის მდგომარეობაში მყოფი, უაღრესად პროვოცირებული ადამიანის ლოგიკას უახლოვდება. სისხლის სამართლის კოდექსთა უმრავლესობა ასეთ დებულებებს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ყურადსაღებია შემწყნარებლობის დასაშვები ზღვარი, რამდენადაც მართლზომიერების სხვა კრიტერიუმები (ძალისა და საპასუხო ძალის თანადროულობა, დაკავების კანონიერება, პირის მიერ იმის ცოდნა, რომ მას აკავებენ, დაკავების განმახორციელებელი პოლიციელების კეთილსინდისიერება და საფრთხის გონივრული აღქმა და ა.შ.) დაკმაყოფილებული იქნება.

როდესაც კანონიერი დაკავების ოპერაციის განხორციელებისთვის ამ ლოგიკას მივმართავთ, ეს გულისხმობს, რომ ძალის გამოყენება გადაჭარბებული არ იქნება, თუ იგი, მოქმედი პირის რწმენით, თავისუფლების კანონიერი აღკვეთისთვის უკიდურესად აუცილებელია. თუ პირი წინააღმდეგობას წევს დაკავებისას, დამატებითი თანადროული ძალა გამართლებულია, რათა პოლიციამ კანონიერ მიზანს მიაღწიოს. ეს კრიტერიუმი როგორც სუბიექტური, ისე ობიექტურია.

მე მივუთითებ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის მიხედვით სიცოცხლის ხელყოფაც კი არ ჩაითვლება კონვენციის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი შედეგია არა უმეტეს აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენებისა, „კანონიერი დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისთვის ხელის შეშლის“ მიზნით.

საინტერესოა, რომ ეს დებულება მაინც არსებობს, მე-6 ოქმის პირველი მუხლით სიკვდილით დასჯის გაუქმების მიუხედავად. სახელმწიფო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფლებამოსილია, გამოიყენოს სასიკვდილო ღონისძიება კანონიერი დაკავების განსახორციელებლად, მაგრამ უფლებამოსილი არ არის, შეუფარდოს ან აღასრულოს სიკვდილით დასჯა. ეს გამონაკლისი უშუალო კავშირშია თავის დაცვის, სხვისი დაცვის და ა.შ. ექსტრემალურ გარემოებებთან ანუ საგანგებო სიტუაციების შესახებ სისხლის სამართლის დადგენილ დოქტრინასთან. აღნიშნულ სიტუაციებში მოქმედ პირს (დამრღვევს) არ შეუძლია მიიღოს სამართლიანი, მიუკერძოებელი, გონივრული, წინასწარ დაგეგმილი და მთლიანად რაციონალური გადაწყვეტილება, რომ ძალა „არა უმეტესად აბსოლუტური აუცილებლობით“ არის განპირობებული. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ სახის ჩხუბის, მათ შორის დაკავების ოპერაციის განხორციელების დროს, ორივე მხრიდან გადამეტებული რეაქციაა მოსალოდნელი. სასამართლოს პრაქტიკა ამ მოსაზრებას ამყარებს.

თუმცა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, არსებობს წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, გამონაკლისის არსებობას (რაც სახელმწიფოს ნებას რთავს, გამოიყენოს სასიკვდილო ძალა დაკავების განხორციელებისას) და, მეორე მხრივ, მოთხოვნას შორის, რომ აღნიშნული სასიკვდილო ძალის გამოყენება აბსოლუტურად აუცილებელი უნდა იყოს. ამ შეუსაბამობის ასსნა მხოლოდ ტელეოლოგიურად არის შესაძლებელი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კონვენციის ავტორებს არ უნდოდათ, გზა სასიკვდილო ძალის თავისუფალი გამოყენებისათვის, კანონიერი დაკავების განხორციელების მიზნით გაეხსნათ. თუმცა ისინი მკაცრი და აბსოლუტურად გონივრულობას მოკლებული სტანდარტის ამოქმედებას ამგვარ საგანგებო სიტუაციებში მიზნად ვერ დაისახავდნენ.

თუ სასიკვდილო ძალის გამოყენება აშკარად დაშვებულია კონვენციით კანონიერი დაკავების განსახორციელებლად, მაშინ ძალის გამოყენება, თუ აუცილებლად იქნება მიზნეული, არის *fortiori* დაშვებული, თუ იგი შედეგად არა სიკვდილს, არამედ სხეულის დაზიანებას განაპირობებს. და ბოლოს, დაისმის კითხვა, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა პოლიციის მიერ დამატებითი ძალის გამოყენების დროს და მის შედეგად მიყენებული დაზიანების გამო.

მოცემულ შემთხვევაში წინასწარ განუზრახველად მიყენებული დაზიანება, მატერიალური სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, „გაუფრთხილებლობის“ შედეგია. პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც სცილდება მოქმედი პირის პირდაპირ განზრახვას, იმ შემთხვევაში ეკისრება, თუ ეს შედეგები, სულ მცირე, მოქმედი პირის დაუდევრობის (შეგნებული გაუფრთხილებლობის) ან (განუზრახველი) გაუფრთხილებლობის შედეგია – მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ეს ქმედება გაუფრთხილებლობის ფორმით თავისთავად არის დასჯადი. ასეთ შემთხვევაში მოქმედ პირს, მაშინაც კი, ზუსტად თუ არ იცოდა, რა შედეგები მოჰყვებოდა მის ქმედებას, მაგრამ შეეძლო და უნდა სცოდნოდა, რომ შესაძლებელი იყო ასეთი შედეგების მიღება, ეკისრება პასუხისმგებლობა წინასწარი განზრახვის გარეშე ჩადენილი ქმედებისათვის. წინამდებარე საქმეში, თუნდაც თეორიულად, განმცხადებლის გატეხილი ყბა შეიძლებოდა პოლიციელების პირდაპირი განზრახვის შედეგი (*dolus directus*) ყოფილიყო. ზოგადად იგულისხმება, რომ ყველა ადამიანს განზრახული აქვს მისი ქმედების შედეგის დადგომა. პრინციპში, პოლიციას უნდა დაეკისროს ტვირთი, დაამტკიცოს, რომ განმცხადებლისთვის ზიანის მიყენებას მიზნად არ ისახავდა. თუმცა იგულისხმება, რომ მოცემულ შემთხვევაში პოლიციელებს განზრახული ჰქონდათ თავიანთი ქმედებების ბუნებრივი შედეგი და რომ ახორციელებდნენ ზუსტად იმას, რისი განზრახვაც ჰქონდათ.

საქმეზე *Selmouni v. France* ([GC], № 25803/94, ECHR 1999-V) გამოტანილი განჩინების მიხედვით, რომელმაც გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ წამების განმარტება ჩვენს იურისპრუდენციაში დანერგა, ეს შეიძლებოდა წამებას გათანაბრებოდა. საკითხი შემდგენიერად დადგებოდა: იყო თუ არა განმცხადებლის ტკივილი და ტანჯვა სასტიკი და ჰქონდა თუ არა პოლიციას, მაგალითად, განმცხადებლის დისკრიმინაციის ან მისი დასჯის კონკრეტული განზრახვა (*dolus specialis*). თუ ჩავთვლით, რომ განმცხადებლისათვის მიყენებული ტკივილი ან ტანჯვა ნაკლებია „სასტიკზე“, მაშინ, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის აზრით, საქმე „არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასთან“ გვექნება.

აქ მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ როგორც წამება, ისე არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა (*dolus directus*) პოლიციელთა მხრიდან პირდაპირ განზრახვას მოითხოვს. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც განმცხადებელს ციხეში, უგულისყუროდ ექცევიან, საკმარისია დაუდევრობა. ამჯერად ასეთ განსაკუთრებულ გარემოებასთან საქმე არ გვაქვს.

წინამდებარე საქმეში პოლიციის საქციელი, განსხვავებით *Selmouni*-ის საქმისაგან, რომელშიც განმცხადებელს სადისტური ზიანი მიაყენეს თავისუფლების აღკვეთის შემდეგ, იყო, ყველაზე უარეს შემთხვევაში, გადაჭარბებული რეაქცია მისი გაქცევის მცდელობაზე. აღნიშნული შეტევითი ხასიათის გადაჭარბებული რეაქციის შედეგად მიყენებული დაზიანება არ იყო პირდაპირი განზრახვის შედეგი – იგი ძალის კანონიერი გამოყენებისას „გაუფრთხილებლობის“ შედეგი იყო. აქედან გამომდინარე, ყველაზე უარეს შემთხვევაში, დაზიანება შეიძლება გამოეწვიოს პოლიციელთა გაუფრთხილებლობას (შეგნებულ დაუდევრობას), მაგრამ არა მათ განზრახვას. რამდენადაც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა არ მოითხოვს პირდაპირ გან-

ზრახვას, ამდენად, მიყენებული დაზიანება, ჩემი აზრით, არ შეიძლება „წამებად“ ან „არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად“ ჩაითვალოს.

თუმცა ნაკლებად ექსტრემალური, მაგრამ მსგავსი სცენარის მიხედვით, ჩვენ მივიჩნევთ, რომ განმცხადებლისთვის მიყენებული დაზიანება პოლიციელთა მიერ ძალის განხორახ გამოყენების გაუთვალისწინებელი შედეგია. პოლიციელების მონათხრობის მიხედვით, დაკავების შემდეგ განმცხადებელმა გაქცევა სცადა. ამან, თავის მხრივ განაპირობა ის, რომ ორი პოლიციელი მიიტრა მასთან, მიწაზე წააქცია და სცემა. შედეგი შეიძლება ჩაითვალოს როგორც განჭვრეტადად, ისე + პირიქით. თუმცა თუ განჭვრეტადი იქნებოდა, მაშინ ყველაზე უარეს შემთხვევაში, იგი პოლიციელების შეგნებულ დაუდევრობას შეიძლებოდა გამოეწვია. რამდენადაც შეგნებული დაუდევრობა სამართლებრივად არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას არ განაპირობებს, ჩვენ არ შეგვიძლია, თუნდაც ყველაზე ცუდი სცენარით, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე ვილაპარაკოთ.

დაზიანების ხარისხი – ორ ადგილას გატეხილი ყბა – შესაბამისობაშია ამ ვერსიასთან, ანუ განმცხადებელმა ყბა მაგარ საგანს, სავარაუდოდ, იქვე გაჩერებული მანქანის ბამპერს დაარტყა, ასეთი დაზიანება აშკარად მხოლოდ „სახეში დარტყმას“ არ შეესაბამება, როგორც ამას განმცხადებელი ამტკიცებს. სლოვენიაში მოქმედი შიდა დისციპლინური წესების შესაბამისად, ნაკლებად დამაჯერებელია, რომ პოლიციელები მოქმედებდნენ პირდაპირი განხორახვით (*dolus directus*), რომ მისთვის ყბა ჩაემტვრიათ. სხეულის ამგვარი დაზიანება აღნიშნული უნდა ყოფილიყო დაზარალებული პირის მიერ და პოლიციელების წინააღმდეგ უნდა აღძრულიყო შიდა დისციპლინური წარმოება, პოლიციის ორგანოების მიერ. როგორც გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრს, მე მაქვს შესაძლებლობა, ვიცნობდე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში პოლიციის არადისციპლინირებული ძალების მიერ მუდმივ მცდელობას, მსხვერპლის წამების ან მის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შედეგები დამალონ. ნაკლებად დამაჯერებელია, რომ პოლიციელები, რომლებსაც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მოტივი ამოძრავებდათ, მიზნად ისახავდნენ ისეთი დაზიანების მიყენებას, რომელიც აშკარად აუცილებელს გახდიდა მკურნალობას და დაზიანების შესახებ სამედიცინო დასკვნის შედგენას.

ოქმში ინახება განმცხადებლის მიერ პირადად დაწერილი განცხადება, რომ დაზიანება პოლიციის ბრალი არ იყო. მისი მტკიცებულებითი ღირებულება ნაკლები იქნებოდა, განმცხადებელს რომ მხოლოდ ხელი მოეწერა მასზე, სლოვენიურ და არა მის მშობლიურ გერმანულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი და მეტისმეტად საეჭვო გარემოებაში არ აღმოჩენილიყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ შეიძლებოდა ასეთი ადამიანის იძულება, დაეწერა და ხელი მოეწერა მკაფიო განცხადებაზე, რომელიც პოლიციას გაამართლებდა. განმცხადებელი მიუთითებს „ფსიქოლოგიურ ტერორზე“ მაგრამ არ აკონკრეტებს, რა სახის საფრთხეს შეეძლო ათლეტიზმის სახეობაში არაერთგზის ჩემპიონის დარწმუნება, დაეწერა: „წავიქეცი და ამ დროს სახე დავარტყი მანქანის ფრთას, რის გამოც ყბა დამიზიანდა. [ხელმოწერა] ეს მოხდა გუშინ, საღამოს 5 და 6 საათს შორის“ (თარგმანი).

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ განმცხადებელი გაქცევას ცდილობდა, ორმა ოფიცერმა მიწაზე წააქცია, რათა გაქცევისთვის ხელი შეეშალათ და მან ნიკაპი იქვე გაჩერებული მანქანის ბამპერს დაარტყა.

კომისიის დასკვნაში მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასაკმარის გამოძიებას მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, დაემტკიცებინა, რომ განმცხადებელი, რომელიც სლოვენის პოლიციამ ჯანმრთელ მდგომარეობაში დააკავა, პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების გამო არ დაშავებულა.

მაგრამ მოპასუხე სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო გამოძიების არარსებობის საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებზე არის მისი ჩაყენება “catch-22”-ის სიტუაციაში. სასამართლო გამოძიების არარსებობა ცალსახად იმის შედეგია, რომ დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები ამოწურული არ ყოფილა. ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ ამოწურა, რადგან, მისი თქმით, არ შეეძლო, საჩივრით მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, მხოლოდ და მხოლოდ იმის შედეგია, რომ განმცხადებელს პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ არასოდეს უჩივლია.

სანამ იგი მიიღებდა ე.წ. საგამოძიებო ფურცელს, რომელიც მიუთითებს სისხლის სამართალწარმოების ოფიციალურ დაწყებას სლოვენის შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, გამომძიებელმა მაგისტრატმა განმცხადებელი სათანადოდ დაკითხა. მას არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ამასთანავე, სასამართლო პროცესის დროს, მას ჰქონდა საშუალება, პოლიცია ცუდად მოპყრობაში დაედანაშაულებინა, მაგრამ მას არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ერთადერთი ტვირთი, რომელიც მას ეკისრებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, აგრეთვე სისხლის სამართალწარმოების ბოლო ეტაპებზე, იყო ე.წ. ბრალდების ტვირთი (*onus proferendi*). აღნიშნულ ეტაპებზე მხოლოდ მტკიცებაც კი პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენების ოფიციალურ გამოძიებამდე ავტომატურად მიგვიყვანდა. ამ ბრალდებათა დაფიქსირების საფუძველზე კი პროკურორი *ex officio* ეჭვმიტანილი პოლიციელების წინააღმდეგ სასამართლო გამოძიებას მოითხოვდა. ყოველივე ზემოაღნიშნული პოლიციელების წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოებას განაპირობებდა. ჩანაწერებში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელს აღნიშნული ბრალდება წამოყენებული ჰქონდა. შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მისი კონსტიტუციური საჩივარი ამგვარადვე იქნებოდა დაუშვებლად გამოცხადებული იმავე საფუძველით, როგორც ამას ადგილი ექნებოდა სტრასბურგში, მთავრობას რომ არ გამორჩენოდა და დროზე გაეპროტესტებინა ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება არ ამოწურა.

ზემოხსენებული მოსაზრებების გამო, მე მე-3 მუხლის დარღვევას ხმას არ ვაძლევ.



**CONSEIL  
DE L' EUROPE**



**COUNCIL  
OF EUROPE**

**COURE EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS**

**პირველი განყოფილება**

**როდე დანიის წინააღმდეგ**

**CASE OF ROHDE v. DENMARK**

(განაცხადი № 69332/01)

**ბალაწყვეტილება**

**სტრასბურგი  
21 ივლისი, 2005**



## **საქმეზე როლე დანიის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პირველი განყოფილება პალატის სახით შეიკრიბა შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი კ. ლ. როზაკისი, პრეზიდენტი,

ბ-ნი ლ. ლუკაიდესი,

ქ-ნი ფ. ტულკენსი,

ბ-ნი პ. ლორენსენი,

ქ-ნი ნ. ვაჟიჩი,

ქ-ნი ბოტუხაროვა,

ბ-ნი ა. კოვლერი, მოსამართლეები, და

ქ-ნი კესადა, განყოფილების რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა რა განმარტოებით 2005 წლის 30 ივნისს, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

### **პროცედურა**

1. სასამართლოს წინაშე საქმე №69332/01 დანიის სამეფოს წინააღმდეგ, წარდგენილი იყო დანიის მოქალაქის ბატონ პეტერ როდეს (შემდგომში: “განმცხადებელი”) მიერ 2001 წლის 19 თებერვალს. განაცხადს საფუძვლად დაედო “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის” (შემდგომში “კონვენცია”) 34-ე მუხლი.
2. განმცხადებლის წარმომადგენელი იყო ქ-ნი მერეთ სტაგეთორნი, კოპენჰაგენელი ადვოკატი. მთავრობას წარმომადგენდნენ ბ-ნი პეტერ თაკსო-იენსენი – საგარეო საქმეთა სამინისტროდან და ქ-ნი ნინა ჰოლსტ-ქრისტენსენი – იუსტიციის სამინისტროდან.
3. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ დანიის ხელისუფლებამ იგი ისეთ მოპყრობას დაუქვემდებარა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი დაარღვია. კერძოდ, წინასწარი პატიმრობისას იგი ამყოფეს სამარტოო პატიმრობაში, 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე.
4. განაცხადი სასამართლოს პირველ განყოფილებას გადაეცა (სასამართლოს წესდების წესი 52.1). ამ განყოფილებაში პალატა, რომელსაც უნდა განეხილა ეს საქმე (კონვენციის მუხლი 27.1), 26.1 წესის შესაბამისად შეიკრიბა.
5. 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი დასაშვებად გამოაცხადა.
6. განმცხადებელმა და მთავრობამ თავიანთი არგუმენტები წარმოადგინეს, საქმის არსებითად განხილვასთან დაკავშირებით (წესი 59.1).
7. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ განყოფილების შემადგენლობა შეცვალა (წესი 25.1). საქმე გადაეცა ახლად შექმნილ პირველ განყოფილებას (წესი 52.1).

## შახტავი

### I. საჭმის ბარემომბეზი

#### ა. გადაწყვეტილება განმცხადებლის წინასწარი პატიმრობისას სამართლო პატიმრობაში მოთავსების შესახებ

8. 1994 წლის 25 ოქტომბერს საწყობში აღმოაჩინეს 5 კგ და 684 გრ კოკაინი ბრაზილიიდან შემოტანილ მწვანე პაპაიას ტვირთში, რომელიც განმცხადებელმა შეუკვეთა. ნაპოვნის შესახებ ეცნობა პოლიციას, რომელმაც განმცხადებელი იმავე დღეს დაკითხა. მან კოკაინთან რაიმე კავშირი უარყო და განაცხადა, რომ ხილი შეუკვეთა, რადგან აპირებდა ჯანსაღი პროდუქციის მიღებას მისი თესლისგან.
9. 1994 წლის 13 დეკემბერს, როდესაც განმცხადებელი ინგლისში ემიგრირებას აპირებდა, იგი კოპენჰაგენის აეროპორტში ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დააკავეს.
10. 1994 წლის 14 დეკემბერს, კოპენჰაგენის საქალაქო სასამართლომ, (*Københavns Byret*) მართლმსაჯულების აღსრულების აქტის (*Retsplejeloven*) 762.1 (iii) და 770ა ნაწილით, განმცხადებელს აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა, სამართლო პატიმრობაში მოთავსების სახით, შეუფარდა. რაც შეეხება ვადებს, სამართლო პატიმრობა 1994 წლის 28 დეკემბრამდე განისაზღვრა, ხოლო წინასწარი პატიმრობა 1995 წლის 10 იანვარს უნდა დასრულებულიყო. ქალაქის სასამართლო მიუთითა იმ ფაქტებზე, რომ პიროვნება PL-ს, რომელსაც განმცხადებელი ექვსი თვეა, იცნობდა და იგივე საქმეზე იყო დაპატიმრებული, გადაეცა პაპაიას ტვირთის ის პარტია, რომელიც განმცხადებელს ჩამოუვიდა. სხვა თანამონაწილეები ჯერ კიდევ არ უნდა დაეპატიმრებინათ, რაც საქმეს შემდგომ ძიებას სჭირდებოდა. განმცხადებელმა ლონდონში საცხოვრებლად გადასვლა გადაწყვიტა, როგორც კი საქმის ძიება დაიწყო.
11. საქმე აპელაციისათვის გადაეცა აღმოსავლეთ დანიის უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც, 1994 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კოპენჰაგენის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.
12. 1994 წლის 21 დეკემბერს პოლიციაში დაკითხვისას განმცხადებელმა დაადასტურა, რომ მასთან კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიის პაპაიას ხილის ფერმერმა, სახელად RS-მა, რომელიც დანიაში ბიზნესპარტნიორს ეძებდა. RS-მა განმცხადებელი იპოვა მეგობრის, RB-ს მეშვეობით, რომელიც განმცხადებელმა აშშ-ში გაიცნო. შესაბამისად, განმცხადებელი PL-ს დაუკავშირდა, რათა საქონლის იმპორტში დახმარებოდა.
13. 1994 წლის 28 დეკემბერს საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს სამართლო პატიმრობა 1995 წლის 10 იანვრამდე გაუგრძელა. სასამართლოს ჩანაწერებიდან ჩანს, რომ განმცხადებლის დამცველმა წერილობით დაადასტურა, რომ განმცხადებელი სამართლო პატიმრობის გაგრძელებას სასამართლოში გამოცხადების გარეშე დაეთანხმა.
14. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა სამართლო პატიმრობის ფორმით საქალაქო სასამართლომ დაადგინა 1995 წლის 10 იანვარს, რომელსაც 1995 წლის 16 იანვარს უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა. ამ უკანასკნელმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ პაპაიას ხილის იმპორტი, როგორც ჩანს, PL-სა და კოკაინის შორის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა.



ეშირებით შეთანხმება ჰქონოდათ. მიუხედავად სამარტო პატიმრობის ხანგრძლივობისა, სასამართლო ასკენის, რომ სამარტო პატიმრობა უნდა გაგრძელდეს არა უგვიანეს სასამართლო პროცესის დაწყებისა, და რომ სასამართლო გამოძიება ჩანიშნულია 1995 წლის 24 – 28 ნოემბერს.”

19. 1995 წლის 28 ნოემბრის სასამართლოს სხდომაზე განმცხადებელმა 1995 წლის 26 სექტემბერში მიცემული ჩვენება დაადასტურა და საქალაქო სასამართლომ სამარტო პატიმრობა გააუქმა. ამისდა მიუხედავად, განმცხადებელი სამარტო პატიმრობაში 1995 წლის 12 დეკემბრამდე საკუთარი ნებით რჩებოდა.

**ბ. დაწესებულებაში ცხოვრების პირობები**

20. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, განმცხადებელი სამარტო პატიმრობაში დასავლეთის ციხეში (*Vestre Fængsel*) იმყოფებოდა. საკნის ფართობი 8 კვ.მ. იყო. მასში არის საწოლი, მაგიდა, სკამი, სანათური, წიგნების თარო, ჭურჭლის კარადა, რადიო და ტელევიზორი, მაცივარი, ბუშბულის საბანი, ბალიში, სარკე, ნიჟარა, საწოლის თეთრეული და პირსახოცები. ყოველ საკანს აქვს ფანჯარა – იატაკიდან დაახლოებით 3 მეტრ სიმაღლეზე. იატაკი მოზაიკური ცემენტისაა.

21. იმყოფებოდა რა სამარტო პატიმრობაში დასავლეთის ციხეში, განმცხადებელი სხვა პატიმრებთან ურთიერთობის შესაძლებლობას სრულიად მოწყვეტილი იყო. ის ეწეოდა ყოველდღიურ რუტინას ე.წ. სამარტო პატიმრობის განყოფილებაში: შეეძლო ესარგებლა ფიტნესის დარბაზით; ეთხოვა სხვადასხვა თამაშები; დაკავებული ყოფილიყო სხვადასხვა გატაცებით, როგორცაა ხატვა; კვირაში ერთხელ ენათხოვრა წიგნები; შეეძინა ნივთები მაღაზიაში, გაზეთის ჩათვლით. მას უფლება ჰქონდა დღეში ორჯერ ნახევარ-ნახევარი საათით ევარჯიშა (დილით და საღამოს), მაგრამ მისი გადასაწყვეტი იყო, გარე სავარჯიშო ეზოთი ისარგებლებდა თუ არა.

**გ. შეხვედრები ოჯახთან და მეგობრებთან**

22. განმცხადებლის შეხვედრები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან მხოლოდ მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდებოდა. განმცხადებელს 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 10 იანვრამდე დედა ორჯერ ესტუმრა. ამის შემდეგ, მცირე პერიოდის მანძილზე, განმცხადებელმა ვიზიტორებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. 1995 წლის 7 მარტიდან დედამისი ყოველკვირეულად, დაახლოებით ერთი საათით ხვდებოდა. თავდაპირველად მისი მეგობრები დედამისთან ერთად მიდიოდნენ შეხვედრაზე, დაახლოებით 5 ადამიანი ერთდროულად. მაგრამ პოლიციამ ვიზიტორების რაოდენობა ორ კაცამდე შეზღუდა, რათა გაეკონტროლებინა, რომ საუბრები განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს არ შეხებოდა. 1995 წლის თებერვლიდან განმცხადებლის მამა ბიძაშვილთან ერთად ყოველ ორ კვირაში ერთხელ ხვდებოდა.

**დ. ურთიერთობები ადვოკატთან, პოლიციის ოფიცრებთან, მოსამართლეებთან და პროკურორთან**

23. განმცხადებელი ადვოკატს კვირაში ერთხელ ხვდებოდა. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ადვოკატმა განმცხადებელს მცენარეული წამლები რამდენჯერმე გაუზზავნა. ერთ შემთხვევაში დაწესებულების თანამშრომლებმა ადმინისტრაციას მიმართეს თხოვნით, ადვოკატის ვიზიტების შეზღუდვის საკითხი განეხილა: ძალიან ხშირი იყო და იმაზე მეტხანს გრძელდებოდა, ვიდრე – ჩვეულებრივი ვიზიტების დროს. დაწესებულების ადმინისტრაციამ ეს საკითხი განიხილა, მაგრამ შეზღუდვები არ დააწესა.

24. უფრო მეტიც, სამარტო პატიმრობაში ყოფნისას განმცხადებელი პოლიციის გამოძიებელმა ოფიცრებმა დაკითხეს. ამას გარდა, განმცხადებელი სასამართლოს წინაშე სამარტო პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით და საქმის განხილვისას რამდენჯერმე წარადგინეს. ამ შემთხვევებში მას ურთიერთობა პოლიციის ოფიცრებთან, მის ადვოკატთან, მოსამართლესა და პროკურორთან ჰქონდა.

**ე. ურთიერთობა დაწესებულების თანამშრომლებთან**

25. განმცხადებელს დაწესებულების თანამშრომლებთან დღეში რამდენჯერმე ჰქონდა ურთიერთობა: როდესაც საკვებს არიგებდნენ და საკვების ჭურჭელი უკან მიჰქონდათ. ის ირჩევდა გარეთ ვარჯიშს, როდესაც შხაპს იღებდა და როდესაც ფიტნესის დარბაზით სარგებლობდა.

26. 1995 წლის მარტიდან დეკემბრამდე, განმცხადებელმა დაახლოებით ორმოცდაათი გაკვეთილი გაიარა ინგლისურ და ფრანგულ ენებში დაწესებულების მასწავლებელთან: კვირაში ერთხელ, დაახლოებით საათი და თხუთმეტიწუთიანი გაკვეთილებით.

27. ამას გარდა, განმცხადებელი ციხის კაპელანს კვირაში ერთხელ, დაახლოებით, ერთი საათით სამლოცველოში ხვდებოდა.

28. 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე განმცხადებელს სოცალურ მუშაკთან 12 შეხვედრა ჰქონდა. უკანასკნელად იგი 1995 წლის 11 დეკემბერს შეხვდა. განმცხადებელმა, სამარტო პატიმრობაში ნებაყოფლობით დარჩენის შემდეგ (1995 წლის 28 ნომბრიდან), განაცხადა, რომ მობეზრდა სამარტო პატიმრობაში ყოფნა და სურს, ეს განყოფილება დატოვოს. ამასთანავე, მან თქვა, რომ არ გააჩნია ისეთი სასწრაფო პრობლემები, რომ სოციალური მუშაკის დახმარებას საჭიროებდეს.

29. დროის ამავე მონაკვეთში, განმცხადებელს სტომატოლოგი მკურნალობდა და ფიზიოთერაპევტის დახმარებით 32-ჯერ ისარგებლა.

**ვ. ექიმებთან ურთიერთობა**

30. სამარტო პატიმრობაში ყოფნის განმავლობაში, 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, განმცხადებელს ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმება 27-ჯერ ჩაუტარდა.

31. როგორც დაწესებულების სამედიცინო ჟურნალიდან ჩანს, 1994 წლის 13 დეკემბრის 20:00-იდან (როდესაც განმცხადებელი დააკავეს) 1994 წლის 14 დეკემბრის 12:30-მდე განმცხადებელი დაკვირვების საკანში იმყოფებოდა, რადგან მან განაცხადა, რომ კლავსტროფობია სჭირდა და თვითმკვლელობას გეგმავდა. ამ პერიოდის განმავლობაში დაწესებულების თანამშრომლებმა და 2-ჯერ ექთანმა იგი 36-ჯერ შეამოწმეს. ერთი კვირის განმავლობაში, ღამით მას ძილის საშუალებები ეძლეოდა.

32. 1995 წლის 11 იანვარს ექიმმა განმცხადებელი გასინჯა და საძილე საშუალებების მიცემა მოუხსნა. ექიმმა დაასკვნა, რომ განმცხადებელი კლავსტროფობიით აღარ იტანჯებოდა და ურჩია, ფიზიკურად ევარჯიშა, რათა ძილი ბუნებრივი დადლის გზით მორეოდა და არა – წამლების საშუალებით.

33. 1995 წლის შუა იანვრიდან განმცხადებელმა შიმშილობა დაიწყო, თუმცა ხილის წვენებს იღებდა. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელს 16, 17 და 18 იანვარს ექიმები და ექთნები კონტროლს უტარებდნენ.

34. 1995 წლის 17 იანვარს განმცხადებელმა ექიმს უთხრა, რომ გადაწყვიტა, სიკვდილამდე იშიმშილოს. დაწესებულების ექიმმა მას შესაბამისი დანიური კანონმდებლობა

გააცნო, რომელიც ითხოვს, პატივი სცენ ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანების სურვილს; მათ შორის, თუნდაც სურვილს, რომ მოკვდნენ. ექიმმა თანხმობა განუცხადა განმცხადებელს უარზე, რომ მისთვის ემკუნაღათ (ხელოვნური კვების განხორციელება ფატალურად საშიში დასუსტების შემთხვევაში).

შემდგომში ექიმმა დაასკვნა, რომ განმცხადებელი ფიზიკურად ჯანმრთელი იყო და აცეტონის სუნი არ ასდიოდა (ჩვეულებრივი შემთხვევა შიმშილობის დროს). ექიმმა იმ დამეს საძილე საშუალება მისცა. დაწესებულების წესებს შესაბამისად, ექიმმა განმცხადებლის ფსიქიატრიული შემოწმება მოითხოვა – მოთხოვნა, რომელიც, როგორც წესი, სრულდება შიმშილობის გამოცხადების შემთხვევაში, თუნდაც ფსიქიკური დარღვევის ნიშნები არ არსებობდეს.

35. მომდევნო დღეს, 1995 წლის 18 იანვარს, განმცხადებელმა ექიმს შეატყობინა, რომ იგი სითხეს იღებდა. მაგრამ ვარაუდობდა, რომ სამ კვირაში მოკვდებოდა. ექიმმა დეჰიდრაციის კვალი ვერ აღმოაჩინა. რაც შეეხება განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობას, ექიმი დალოდა ფსიქიატრიულ გამოკვლევას, რაც იმავე დღეს იყო დაგეგმილი.

*თავის მოხსენებაში ფსიქიატრი წერდა:*

“ვიზიტი 30 წლის მამაკაცთან, ბრალდებული [სისხლის სამართლის კოდექსის] 191-ე მუხლის მიხედვით, იგი, მისი განმარტებით, უდანაშაულოა. ამჟამად იგი იმის საპროტესტოდ შიმშილობს, რომ პრესამ და სხვებმაც მას მსჯავრი წინასწარ დასდეს; მას კარგად აქვს გაცნობიერებული ამ აქტის შედეგები და ამჟამად წერს დასამშვიდობელ წერილებს, ანდერძს, და სხვ.

*დიაგნოზი: სიტუაციური რეაქცია”.*

36. განმცხადებლის გადაწყვეტილების გამო გაეგრძელებინა შიმშილობა, დაწესებულების ექიმმა ბრძანა, კვირაში ორჯერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება: აწონვა და მისი შარდის ანალიზი კეტონიკურ ნივთიერებაზე, რაც შეიძლება შიმშილობის დროს წარმოიქმნას. იანვრის ბოლოს განმცხადებელმა გადაწყვიტა, კვება დაეწყო.

37. 1995 წლის მარტში, ეპილეფსიაზე შემოწმება ერთადერთხელ ჩაუტარდა.

38. 1995 წლის 1 მაისს ექიმმა შეამოწმა განმცხადებელი, რადგან იგი წელის არეში განუწყვეტელ ტკივილებს უჩიოდა. ექიმმა მისთვის დამატებითი ლეიბი და ფიზიოთერაპევტის კონსულტაცია მოითხოვა.

39. 1995 წლის 12 დეკემბერს განმცხადებელმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ნებაყოფლობით სამართლო პატიმრობაზე, რომელიშიც იგი 1995 წლის 28 ნოემბრიდან იმყოფებოდა.

### **ზ. ურთიერთობები მედპერსონალთან**

40. 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, როდესაც განმცხადებელი სამართლო პატიმრობაში იმყოფებოდა, სამედიცინო შემოწმება მედპერსონალის მიერ 43-ჯერ ჩაუტარდა.

### **თ. სასამართლო პროცესი განმცხადებლის წინააღმდეგ**

41. მას შემდეგ, რაც 1995 წლის 28 ნოემბერს სამართლო პატიმრობა გაუქმდა, სასამართლომ წინასწარი პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიება განმცხადებელს რამდენჯერმე გაუგრძელა 1996 წლის 1 მაისამდე, როდესაც უზენაესმა სასამართლომ განმცხადებელი ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ბრალდებაში გაამართლა.

ამისდა მიუხედავად, მისივე აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, განმცხადებელს მძიმე საგადასახადო თაღლითობა მსჯავრად დაედო: მიესაჯა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად 875 000 დანიური კრონის გადახდა დაეკისრა (ან, ალტერნატიულ სასჯელად, 60 დღიანი თავისუფლების აღკვეთა).

42. 1996 წლის 21 ივნისის სასამართლოს განაჩენით, თანამონაწილე, ბ-ნ-ს, რომელსაც ამ დროისათვის აშშ-დან ექსტრადიცია გაუკეთდა, ბ-ნ-სთან ერთად კოკაინის კონტრაბანდაში მსჯავრი დაედო.

**ი. საკომპენსაციო პროცედურები საქალაქო სასამართლოში**

43. 1996 წლის 12 ივლისს განმცხადებელმა მართლმსაჯულების აღსრულების აქტის 1018.ა ნაწილის თანახმად, კომპენსაცია მოითხოვა ყველა იმ მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის, რაც მას 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1996 წლის 14 მაისამდე პატიმრობის შედეგად მიაღდა.

მოთხოვნილი საკომპენსაციო თანხა 19 მილიონ დანიურ კრონს შეადგენდა, აქედან 10 მილიონი კრონი მისი გრძნობებისა და რეკუტაციის შელახვის საზღაურს წარმოადგენდა. მოთხოვნის მხარდამჭერ წერილში ადვოკატი მიუთითებდა: უჩვეულოდ ხანგრძლივ და დაუსაბუთებელ წინასწარ პატიმრობას; პრესის მასობრივ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელი ცნობილი პიროვნება იყო და, ამდენად, აღნიშნული საქმე მისთვის განსაკუთრებულად და უჩვეულოდ შეურაცხმყოფელი იყო.

პროკურატურამ საქმე შეისწავლა და 1997 წლის ივნისში საქალაქო სასამართლოს გადასცა.

44. 1997 წლის 10 ივლისის წერილში ადვოკატმა განაცხადა, რომ სურს აამოქმედოს კონვენციის მე-3 მუხლი და, ამ მიზნით, სასამართლო-ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოითხოვა ანგარიში განმცხადებლის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, წინასწარი პატიმრობაში ყოფნისას.

1997 წლის 18 სექტემბერს საქალაქო სასამართლო დაეთანხმა მის მოთხოვნას და 1998 წლის 19 იანვარს წარადგინა ანგარიში, რომელშიც *inter alia*, წერია:

“32 წლის ასაკის პიროვნება მამაკაცი, რომელსაც ფსიქიკური გადახრის ნიშნები, ჯერ კიდევ სამი წლის წინ, არასოდეს აღენიშნებოდა. თავისი ჭაბუკობიდან 1992 წლამდე ის ცურვაში წარმატებით ასპარეზობდა. 1990 წლიდან საკუთარი ბიზნესი გააჩნდა, რომელსაც 1994 წლამდე, მის დაპატიმრებამდე, საკმაოდ წარმატებით მართავდა. დაპატიმრებამდე იგი ყოველთვის კარგად იქცეოდა. არასოდეს გამოუყენებია ნარკოტიკები ან ალკოჰოლი.

სამედიცინო შემოწმებისას დადგინდა, რომ იგი საღი გონებრივი უნარით გამოირჩევა. არ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ იგი ეპილეფსიით ან სხვა რაიმე ტვინის დაავადებით იტანჯება. განმცხადებელი ამბობს, რომ იგი დევნის ილუზიებით და მეგალომანიითაა შეპყრობილი, ყველაფერს ეჭვით ეპყრობა და ფრთხილობს. მის მიერ რეალობის აღქმა იმდენად ნაკლოვანია, რომ შეიძლება ფსიქოზად დახასიათდეს.

მისი ავადმყოფობის შესახებ საბოლოო დასკვნის გამოტანა ძნელია, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი პარანოიდული ფსიქოზით იტანჯება. განთავისუფლების შემდეგ, სავარაუდოდ მისი ფსიქოტიკური მდგომარეობის გამო, განმცხადებლის ცხოვრების ფორმა შეიცვალა და მაწანწაღური მოგზაურობის სახე მიიღო, რაც გარკვეულწილად ადამიანებთან კონტაქტების შენარჩუნების უნარის არქონით შეიძლება დახასიათდეს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ განმცხადებლის ფსიქიკური პრობლემები მის სამარტო პატიმრობაში ყოფნას ემთხვევა. ამას გარდა, ვიდრე რა მხედველობაში განმცხადებლის გამორჩეულ პიროვნებას და ფსიქიკურ დარღვევებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაავადების გამოწვევა და პროგრესი მიზეზობრივ კავშირშია იმ ფაქტთან, რომ იგი ხანგრძლივი ვადით სამარტო პატიმრობაში იმყოფებოდა”.

45. ამას გარდა, 1998 წლის 30 მარტისა და 4 მაისის სასამართლო-სამედიცინო საბჭოს დასკვნები საქალაქო სასამართლოს. წარედგინა პირველ დასკვნაში წერია:

“...სასამართლო-სამედიცინო საბჭო აცხადებს, რომ სამი წლის წინ განმცხადებელი ფსიქიკური გადახრის რაიმე ნიშნებს არ ავლენდა.

მისი ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობისა და სამარტო პატიმრობის განმავლობაში, რომელიც 1994 წლის დეკემბრიდან 1996 წლის მაისამდე გრძელდებოდა, განმცხადებელს გამოუვლინდა ფსიქოზი, რაც, კონკრეტულად, რეალობის აღქმის დაკარგვასა და განდიდების მანიაში გამოიხატება.

ძნელია, დავადგინოთ ზუსტი დრო, ფსიქოზი სამარტო პატიმრობის რომელ ეტაპზე განუვითარდა 1995 წლის 18 იანვარს ფსიქიატრის ვიზიტისას ფსიქოზისათვის დამახასიათებელი არანაირი ქცევები არ აღენიშნებოდა. 1998 წლის იანვარში, როდესაც განმცხადებელს სასამართლო-ფსიქიატრიული გამოკვლევა ჩაუტარდა, მას ფსიქოტიკური, სავარაუდოდ, პარანოდული ფსიქოზი აღენიშნებოდა. ...

სასამართლო-სამედიცინო საბჭოს დასკვნით, ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რა იყო განმცხადებლის ფსიქიკური აშლილობის გამომწვევი მიზეზები. თუმცა იმი-სი ვარაუდი შეიძლება, რომ სამარტო პატიმრობა განმცხადებლისათვის მძიმე ფსიქიკური დაძაბულობის გამომწვევი იყო.

მაგრამ, ასევე, სხვა გარემოებებმა, როგორცაა ბრალისა და საბრალდებო დასკვნების წაყენება, შეიძლება განმცხადებლის ფსიქიკის შერყევის განვითარებას ხელი შეუწყვეს.”

46. ამას გარდა, 1998 წლის 3 აგვისტოს საწარმოო ტრამეების ეროვნულმა საბჭომ წარმოადგინა დასკვნა, რომ განმცხადებლის შრომისუნარიანობის დაკარგვა და ინვლიდობა გამოწვეულია ფსიქიკური გაუწონასწორობლის მიზეზით. საბჭო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ინვლიდობა დახლოებით 30%-ს შეადგენს და, აგრეთვე, მან შრომისუნარიანობის 1/3 დაკარგა.

47. საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას განმცხადებელსა და 15 მოწმეს მოუსმინეს. მოწმეებმა ჩვენება მისცეს განმცხადებლის შემოსავლების, ბიზნესისა და ქონების შესახებ; ასევე – მათი თვალთ დანახული განმცხადებელი დაპატიმრებამდე, დაპატიმრებისა და პატიმრობის შემდეგ.

არც ერთი ექიმი და სხვა მედპერსონალი, რომლებმაც განმცხადებელი მისი სამარტო პატიმრობაში ყოფნის დროს გასინჯეს, სასამართლო სხდომაზე გამოძახებული არ ყოფილა. რაც შეეხება მის ყოფაქცევას ამ პერიოდში, ანუ 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, ამასთან დაკავშირებით ემდგმა მოწმეებმა მისცეს ჩვენება:

48. განმცხადებლის დედამ განაცხადა, რომ იგი გრძნობდა, განმცხადებლისათვის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას კიდევ უფრო მძიმე იყო სამარტო პატიმრობაში ყოფნა. სამარტო პატიმრობის დასრულების შემდეგ კი იგი უფრო ადამიანური გახდა და საუბარი უფრო გარკვევით დაიწყო.

სამარტო პატიმრობაში ყოფნისას მან დედამისს რამდენიმე უცნაური შინა-არსის წერილი მისწერა, მათ შორის, გაუგებარი წარმოდგენებით სამყაროს მოწ-ყობის შესახებ. დედამისი ადვოკატს ესაუბრა, რომ ფსიქოლოგი გარედან მოეწ-ვიათ, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება ძალიან გაძნელდა.

49. განმცხადებლის ბიძაშვილმა თქვა, რომ განმცხადებელი ძალიან უბედური და ფი-ქრებში ჩაძირული ეჩვენებოდა. ხშირად იგი მხოლოდ ისმენდა. მან გარეგნობაც შეიცვალა: წვერი მოუშვა და წონაში დაიკლო. ამჟამად, რაც დრო გადის, განმცხა-დებელი უკეთესად ხდება, თითქოსდა მეტი სიმშვიდე მოიპოვაო.
50. დაწესებულების კაპელანმა განაცხადა, რომ განმცხადებელი დიდი სიფრთხილით დადიოდა და, პრაქტიკულად, კედელ-კედელ მოძრაობდა. ის მოძრაობდა, როგორც ადამიანი, რომელსაც არასოდეს უვარჯიშია და დაქანცული ჩანდა. განმცხადებელს ვარჯიში სჭირდებოდა, როგორც ფიზიკური, ისე – გონებრივი. მას უმწეობის შეგრძნება ჰქონდა. კაპელანმა დაასკვნა, რომ, ზოგადად, პიროვნება სამარტოო პატიმრობაში ყოფნისას კონცენტრაციის უნარს კარგავს. განმცხადებლის შემ-თხვევაშიც იგივე მოხდა.
51. დაწესებულების მასწავლებელმა განაცხადა, რომ განმცხადებელი პირველი დღე-ებიდანვე ძალიან სასოწარკვეთილი ჩანდა. შემდგომში იგი ბედს შერიგებული მოეჩვენა.

1995 წლის 18 სექტემბრის ჟურნალში მასწავლებელმა შენიშვნა გააკეთა, რომ განმცხადებელი სულ დეპრესიაში უფრო და უფრო ვარდებოდა. განმცხადებლის ფიზიკური მდგომარეობა უარესდებოდა, იგი საკუთარ თავს ნაკლებად აქცევდა ყურადღებას როგორც ჩაცმის, ისე – ჰიგიენის თვალსაზრისით. განმცხადებელი ბევრს კითხულობდა, თუმცა მას კონცენტრაციასთან დაკავშირებით სირთულეები ჰქონდა.

52. პოლიციის ოფიცერმა JL-მა, რომელიც განმცხადებლის საქმეს იძიებდა და რეგუ-ლარულად ხვდებოდა, განაცხადა, რომ განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობა ანალოგიური ეჩვენებოდა. ხანდახან განმცხადებელი სპორტულ მაისურს უკუღმა იცმევდა, რადგან არ სურდა სხვებს დამსავსებოდა. მას სურდა მარტოსული ყო-ფილიყო.
53. საქალაქო სასამართლოში პროცესზე განმცხადებელმა, კომპენსაციის სახით, 22 556 334 დანიური კრონი მოითხოვა. 1998 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქალაქო სასამართლომ განმცხადებელს კომპენსაციად 790 475 დანიური კრონი დაუწესა და განაცხადა:

“1996 წლის 14 მაისის უზენაესი სასამართლოს ვერდიქტზე დაყრდნობითა და სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამარ-თლო თვლის, რომ ბ-ნ PL-სა და ბ-ნ MP-ს შორის შედგა გარიგება ბრაზილიდან დანიაში კოკაინის პარტიის კონტრაბანდის შესახებ, რაც პაპაიას ხილის პარტიაში უნდა ყოფილიყო დამალული. შესაბამისად, ბრაზილიაში ბ-ნმა MP-მ კოკაინი მოათავსა მწვანე პაპაიას იმ ფირმის განკუთვნილ ყუთებში, ... რომლისგანაც [განმცხადებელმა] ხილი შეიძინა. ბ-ნმა PL-მა მოატყუა განმცხადებელი, როდესაც ურჩია, რომ ამ კონკრეტული ფირმისგან შეეძინა მწვანე პაპაია და ამ გზით აღმასის კონტრაბანდა დაეფარათ. სინამდვილეში კი საქმეში კოკაინი იყო ჩართული. პაპა-იას პარტიის ჩამოსვლისას საქმე გართულდა, რადგან მასში კონტრაბანდული კო-კაინი აღმოჩნდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა შემხვედრი დაუდევრობა გამოიჩინა, როდესაც ბ-ნ PL-ს ბრაზილიიდან აღმასების კონტრაბანდაში მონაწილეობაზე დათანხმდა. ბ-ნი არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჰყავდა გაცნობილი და მისი წარმოდგენები, რომ PL-ს მხოლოდ აღმასის კონტრაბანდა ჰქონდა განზრახული, საკმაოდ არასწორი იყო.

PL-ის განცხადება, რომ ერთხელ მან მოკლედ აღნიშნა განმცხადებელთან, ადრე მას კოკაინის კონტრაბანდაშიც მიუღია მონაწილეობა, განმცხადებელმა გააპროტესტა და ამ ინფორმაციას მტკიცებულებათა შეფასებისას არანაირი გადამწყვეტი წონა არ მიეცა...

განმცხადებელი 1994 წლის 13 დეკემბერს დააკავეს. მას ჩვენება არ შეუცვლია 1995 წლის 26 სექტემბრამდე, როდესაც პოლიციასთან დაკითხვაზე განაცხადა, თუ როგორ გეგმავდნენ აღმასის კონტრაბანდას. იგივე ჩვენება სასამართლოზე 1995 წლის 28 და 30 ნოემბერს გაიმეორა. სამარტოო პატიმრობა კი 1995 წლის 28 ნოემბერს გაუქმდა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა გამოიჩინა შემხვედრი დაუდევრობა, რის გამოც იგი კომპენსაციის მიღების უფლებას კარგავს იმ ზიანისათვის, რაც დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის გამო მიაღება. ...

სასამართლო-სამედიცინო საბჭოს მოსაზრების შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელი დაკავებამდე ფსიქიკური დარღვევის ნიშნებს არ ავლენდა, მაგრამ ესოდენ გახანგრძლივებული წინასწარი პატიმრობისა და სამარტოო პატიმრობის განმავლობაში მას განუვითარდა ფსიქოზი, რაც, კონკრეტულად, რეალობის აღქმის დაკარგვით, დეენისა და განდიდების მანიით ხასიათდება.

შეუძლებელია ზუსტი დროის განსაზღვრა, თუ როდის ჩამოუყალიბდა ფსიქოზი, რადგან ფსიქიატრს 1995 წლის 18 იანვრის ვიზიტისას არანაირი ფსიქოზის სიმპტომები არ აღმოუჩენია. . თუმცა სამედიცინო-ფსიქიატრიულ შემოწმებისას, რომელიც 1998 წლის იანვარში განხორციელდა, განმცხადებელს პარანოიდული ფსიქოზი აღმოჩნდა (ფსიქიკური დარღვევები ჰალუცინაციებით) ...

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს: “ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.” კონვენციის მე-5 მუხლი ეხება ვითარებას, როდესაც პირვნებას შეიძლება თავისუფლება აღეკვეთოს. განმცხადებლის დაპატიმრებაზე დადგენილება გაიცა სხვებზე ზემოქმედებისა და სასამართლოსთვის თავის არიდების საფრთხის გამო, ხოლო სამარტოო პატიმრობა სხვებზე ზემოქმედების რისკის გამო დამატებით დაეკისრა.

ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი, დამოკიდებულია საქმის გარემოებების კონკრეტულ შეფასებებზე, კერძოდ: სამარტოო პატიმრობის სიმკაცრე, მისი ხანგრძლივობა, სამარტოო პატიმრობის მიზანი და მისი შედეგები პატიმრის ჯანმრთელობაზე.

გარდა საქმის სპეციფიკური ელემენტებისა, სასამართლო მხედველობაში იღებს ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის (CCPR), გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CAT) და ევროპის საბჭოს წამების აღკვეთის კომიტეტის (CPT) შეფასებებს დანიაში სამარტოო პატიმრობაში ყოფნის პირობების შესახებ. ...

სასამართლო მიიჩნევს, რომ წინასწარი პატიმრობის გამოყენებას სამართლო პატიმრობის სახით და შემდგომში ჩვეულებრივი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას არ დაურღვევია კონვენციის მე-3 მუხლი მათი ხანგრძლივობის, ფორმისა და პირობების გამო. რაც შეეხება პატიმრობის პირდაპირ შედეგს განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, იგივე შეიძლება ითქვას.”

**კ. კომპენსაციის პროცედურები უმაღლეს სასამართლოში**

54. განმცხადებელმა და პროკურატურამ საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღმოსავლეთ დანიის უმაღლეს სასამართლოში აპელაცია შეიტანეს.

55. უმაღლეს სასამართლოს წარუდგინეს 1998 წლის 5 ოქტომბრის წერილი, რომელიც მედერსონალის მიერ განმცხადებლის სამართლო პატიმრობაში ყოფნის მონიტორინგის ანგარიშს შეიცავდა, 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე. ამრიგად, 43 სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებით, რაც მედპერსონალმა განმცხადებელს ჩაუტარა, მედპერსონალის უფროსი წერს:

“მედპერსონალის ანგარიშებიდან არ ჩანს, მედპერსონალს ჰქონოდა რაიმე ეჭვი, რომ განმცხადებელს პარანოიდული ფსიქოზი უვითარდებოდა. მედპერსონალის გამოცდილების გათვალისწინებით როგორც სასჯელაღსრულების, ისე ფსიქიატრიულ სისტემაში, სავარაუდოა, რომ მედპერსონალი ადვილად შეაჩნევდა, განმცხადებელს განუვითარდა თუ არა ფსიქოზისტიპის მდგომარეობა. სევე, უნდა აღინიშნოს, რომ მედპერსონალის ვიზიტი სამხრეთ ფრთაში [სადაც განმცხადებელი იმყოფებოდა] ხორციელდებოდა სამხრეთ ფრთის “მუდმივი მედპერსონალის” მიერ, რომელთაც სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეგინათ ნებისმიერი ცვლილებები განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით”.

56. მედპერსონალის უფროსი უმაღლესი სასამართლოს წინაშე მოწმედ გამოვიდა და დაწესებულების მედპერსონალის სამუშაო რეჟიმისა და შენიშვნების შესახებ განმარტა. მათ შორის, ისიც, რომ განმცხადებელმა მხოლოდ ერთხელ მისცა მედპერსონალს მის შესახებ საუბრის საბაზი დილის კონფერენციებზე: კერძოდ, როდესაც იგი შიმშილობდა. სხვა დროს ის ყოველთვის განიხილებოდა როგორც “მშვიდი და მოსაუბრე”.

57. განმცხადებლისადმი ექიმების მონიტორინგის საფუძველზე, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას სამედიცინო შემოწმება შესაბამის პერიოდში 27-ჯერ ჩაუტარდა, ანალოგიური სამედიცინო დასკვნა მომზადდა. 1998 წლის 2 ოქტომბრის წერილში კოპენჰაგენის დაწესებულების მთავარმა კონსულტანტმა, რომელიც ინტერნალური მედიცინისა და სამედიცინო გასტროენტეროლოგიის სპეციალისტია, დასკვნაში, *inter alia*, დაწერა:

“არასოდეს არ დადასტურებულა, რომ განმცხადებელი რომელიმე ეტაპზე ყოფილიყო ფსიქიკურად დაზარალებული, როგორც სამართლო პატიმრობაში ყოფნით გამოწვეული ზიანი;

არასოდეს არ დადასტურებულა, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა არათუ ფსიქოზის მდგომარეობაში, არამედ ფსიქოზის ზღვარზე (ამდენად, იგი არ განიცდიდა პარანოიდულ ფსიქოზს);

რომ 1995 წლის 18 იანვრის ფსიქიატრიული დასკვნა განხორციელდა მხოლოდ ადმინისტრაციული მოსაზრებებით იმის გამო, რომ განმცხადებელი საკვების მიღებაზე უარს აცხადებდა (ეს არ იყო სრული შიმშილობა, რადგან განმცხადებელი

წევნებს ღებულობდა). ფსიქიატრიული შემოწმება იმიტომ კი არ განხორციელდა, რომ დაწესებულების ექიმი გაურკვეველ სიტუაციაში იყო განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, არც იმის გამო, რომ დაწესებულების ექიმმა ან ფსიქიატრმა რაიმე დარღვევა შეამჩნიეს განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობას არამედ ზემოთაღნიშნული ადმინისტრაციული შეფასების მიზნით, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ განმცხადებელს უნარი შესწევდა, თავი გაერთოვა სიტუაციისათვის, როდესაც იგი საკვების მიღებაზე უარს აცხადებდა.”

58. მთავარ კონსულტანტს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის ფაქტი, რომ განმცხადებელი 1997 წლის 8 დეკემბრიდან 1998 წლის 19 იანვრამდე პერიოდში ფსიქოტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც ამას ფსიქიატრის დასკვნა ადასტურებს. მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განმცხადებელი არ იმყოფებოდა ფსიქიკურად გაუწონასწორებელ მდგომარეობაში, რომელიც არათუ ფსიქოტური, არამედ ფსიქოზის ზღვარზეც კი არ ყოფილა შემჩნეული 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1996 წლის 14 მაისამდე პერიოდში.

არცერთ მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ექიმსა და სხვა მედპერსონალს, რომლებიც განმცხადებელს ამ ხნის განმავლობაში ამოწმებდნენ, ფსიქიკური გადახრის რაიმე ნიშანი არ დაუფიქსირებია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ ექიმებს სამარტო პატიმრობაში მყოფი პატიმრების (მსჯავრდებულების) შემოწმების დიდი გამოცდილება აქვთ და კარგად იციან, რა მაუწყებელ ნიშნები არსებობს იმის განსასაზღვრად, ფსიქიკური დარღვევის შემთხვევასთან საქმე გვაქვს თუ არა.

შესაბამისად, მთავარი კონსულტანტის შეხედულებით, შეუძლებელია იმის დადგენა, განმცხადებლის ფსიქიკური აშლილობა, რომელიც სამარტო პატიმრობიდან წელიწადნახევრის შემდეგ დადგინდა, რეალურად დასავლეთის დაწესებულებაში პატიმრობისას განვითარდა თუ არა.

59. მთავარმა კონსულტანტმა ასევე მოიტანა პატიმართან ვიზიტის შესახებ ანგარიშები და დასკვნები. მან აღნიშნა, რომ ასეთი რამ შეიძლება ადვოკატის თხოვნით მოხდეს. ამასთან დაკავშირებით წერილში ეწერა:

“რაც შეეხება განმცხადებელს, უნდა აღინიშნოს, რომ [სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურის] ექიმებს არ მიუღიათ არანაირი მოთხოვნა სამარტო პატიმრობის ზემოაღნიშნულ პერიოდში განმცხადებლის პროკურორისგან ან ორი ადვოკატისგან, გარდა 1995 წლის 18 იანვრის წერილისა პირველი ადვოკატისგან და 1995 წლის 21 ივნისის წერილისა – მეორე ადვოკატისგან.

1995 წლის 18 იანვრის წერილში პირველი ადვოკატი აცხადებდა, რომ მას განმცხადებელი დეპრესიაში დახვდა და ექიმს განმცხადებლის მონახულებას სთხოვდა.

პირველ ადვოკატთან საპასუხო წერილი არ გაგზავნილა, რადგან არ მოუთხოვია. და რაკი იგი წერილში წერდა, რომ მას არ უცნობებია განმცხადებლისთვის, თუ ამ წერილის დაწერას აპირებდა (ყველა შემთხვევაში, პასუხი განმცხადებლის თანხმობას საჭიროებს), ეს ნიშნავს, რომ ადვოკატს წერილი განმცხადებლის თანხმობის გარეშე გაუგზავნია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც პასუხი არ გაეგზავნა, ის ფაქტი იყო, რომ განმცხადებელი დეპრესიაში არ აღმოჩნდა, სამედიცინო შეფასებისა და 1995 წლის 18 იანვრის ფსიქიატრიული შეფასების თანახმად. თუკი განმცხადებელი დეპრესიაში აღმოჩნდებოდა, ადვოკატს პასუხი მაინც გადაეგზავნებოდა იმისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა განმცხადებლის თანხმობა.

1995 წლის 21 ივნისის წერილში [მეორე ადვოკატი] განმცხადებლისთვის ჰერბალურ წამლებს ითხოვდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არც ერთ ადვოკატს არც სიტყვიერად, არც ტელეფონით და არც წერილობით არ უცნობებია, რომ განმცხადებელს რაიმე დევიანტური მდგომარეობა აღენიშნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ადვოკატსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურის ექიმებს რეგულარული და კარგი კონტაქტები აქვთ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ისეთ რთულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც წინამდებარე საკითხია; ასევე, ისეთ სასამართლოს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როგორცაა სამართლო პატიმრობა.

ექიმები მზად არიან არათუ განმცხადებლისგან, ნებისმიერი პირისაგან მიიღონ შეტყობინება (მასწავლებლების, კულტის მსახურებისგან და სხვ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამსახურიდან თუ გარედან), მიუხედავად შეტყობინების ხასიათისა და ინფორმაციისა. ამგვარი შეტყობინებები ექიმებს აძლევენ უკეთეს საშუალებას, თავიანთი მოვალეობანი წარმატებით შეასრულონ.”

60. მთავარი კონსულტანტი მოწმის სახით წარსდგა სასამართლოს წინაშე. მან დაწესებულების ექიმის სამსახურებრივი მოვალეობანი უფრო ზოგადად განმარტა და განსაკუთრებული ყურადღება ხანგრძლივ სამართლო პატიმრობაში მყოფ პირებთან ურთიერთობაზე. გაამახვილა აგრეთვე, განმცხადებლის სამედიცინო დასკვნაში მოტანილ შენიშვნებს დამატებითი განმარტებები მისცა.

61. განმცხადებლის საქმე ექიმების ყოველდღიური კონფერენციის საგანი იყო. მოწმეს განმცხადებელი პირადად არასოდეს უნახავს. არანაირი ნიშანი არ იყო იმისა, რომ განმცხადებელს იზოლაციის სინდრომი ეწყებოდა. ამ სინდრომის სიმპტომებია კონცენტრაციის გართულება, ძილის პრობლემები, დროისა და სივრცის აღქმის სირთულე, გრძნობითი იმპულსების გართულებული აღქმა, დეპრესია მოსალოდნელი თვითგანადგურებით და საკუთარი თავისადმი უპატივცემულობის გრძნობით, შიში, გარემომცველი სამყაროსადმი ინტერესის ნაკლებობა.

ეს შესაძლოა ფსიქოზის მომიჯნავე ფორმასა და ნამდვილ ფსიქოზში გადაიზარდოს. როდესაც მას უჩნდება ვარაუდი, რომ საქმე უნდა ჰქონდეს იზოლაციის სინდრომთან, იგი ამის შესახებ სწერს დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადვოკატისა და პროკურორისათვის ამ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მაგალითად, 1998 წელს მოწმემ ანალოგიური წერილები 32 საქმეზე მოამზადა. მან ზუსტად არ იცის, თუ რამდენი წერილი მოამზადა 1995 წელს, მაგრამ იგი ამგვარ პრაქტიკას 1992 წლიდან ეწეოდა

62. რაც შეეხება 1995 წლის 17 ოქტომბრის სამედიცინო ჩანაწერებში გაკეთებულ შენიშვნას, როდესაც განმცხადებელი შიმშილობდა: მთავარმა კონსულტანტმა დააკონკრეტა, რომ ექიმებს ყოველთვის შეუძლიათ დაადგინონ, პიროვნება ფსიქიკურად ჯანმრთელია თუ არა; კარგად ესმით შიმშილობის შედეგები და სათანადო ფსიქიატრიული ტრენინგები. ყველა ექიმს აქვს გავლილი იგი განმცხადებლის შიმშილობას უფრო კვებაზე უარის თქმას დაარქმევდა, რადგან განმცხადებელი დიდი რაოდენობით ღებულობდა წყალსა და წველებს, რაც კალორიებსა და საკვებს შეიცავს.

სამედიცინო აქტის (*Lægeloven*) თანახმად, ექიმს უფლება არა აქვს, კომპეტენტური ადამიანის შიმშილობა ძალის გამოყენებით შეწყვიტოს. ის შესაძლოა შეეცადოს, მიაღწიოს თანხმობას მკურნალობის თაობაზე, როდესაც პიროვნება დაუძლურდება. განმცხადებელს ასეთი თანხმობა არ განუცხადებია. ძალის გამოყენება ფსიქიკურად დაავადებული პირების მიმართ შეიძლება.

63. რაც შეეხება 1995 წლის 18 იანვრის ფსიქიატრიულ შემოწმებას, მოწმემ განაცხადა, რომ განმცხადებელი მრავალი სხვა პატიმრის მსგავსად სიტუაციურ რეაქციას განიცდიდა. დასავლეთის დაწესებულებებში უჩვეულო არაა, როდესაც პატიმრები შიმშილობას იწყებენ. ამრიგად, განმცხადებელზე დაკვირვება გრძელდებოდა.

64. კოპენჰაგენის დაწესებულებების დირექტორმა უმაღლეს სასამართლოს განმცხადებლის წინასწარ და სამართლო პატიმრობაში ყოფნისას დაკვირვების შესახებ ჩვენება მისცა. 1998 წლის 7 ოქტომბრის წერილში იგი წერდა:

“ამ ანგარიშის მიზნებისათვის, დაწესებულების ხელმძღვანელობამ ინფორმაცია, განმცხადებლის მდგომარეობის შესახებ, მთავარი კონსულტანტის, სოციალური მუშაკისა და ზედამხედველებისგან მოიპოვა.

სამხრეთ ბლოკის ზედამხედველთა ჯგუფმა, რომელიც განმცხადებელს, სამართლო პატიმრობის განმავლობაში ზედამხედველობდა, განაცხადა, რომ სამართლო პატიმრობის მიუხედავად, იგი კარგად გრძნობდა თავს. იცოდა, თუ როგორ დაგეგმა ყოველი დღე და რით დაკავებულყო. იგი, ფსიქიკური თვალაზრისით, არანაირად არ იპყრობდა ყურადღებას.

ზედამხედველებს არასოდეს მისცემიათ მიზეზი, რომ სამედიცინო სამსახურს ფსიქიატრიული შემოწმების ჩასატარებლად დაკავშირებოდნენ.

დასავლეთის ბლოკის უფროსმა ოფიცერმა [სადაც განმცხადებელი გადაყვანილი იქნა] და სამზარეულოს თანამშრომლებმა, ვისთანაც იგი მუშაობდა, იგივე დაადასტურეს.

განმცხადებლის სოციალურმა მუშაკმა, რომელიც რეგულარულად ესაუბრებოდა, იგივე დაადასტურა.

სასამართლოს კომენტარის თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ საკითხს, ზემომოტანილი შეფასებები ექიმების მონიტორინგის დასკვნებით არის თუ არა შემაგრებული.

მთავარმა კონსულტანტმა საქმეზე თანდართული დასკვნა მოგვაწოდა. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, გაეცნოთ აღნიშნულ დასკვნას.

როგორც მთავარი კონსულტანტის დასკვნიდან ჩანს, პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლები მჭიდრო მონიტორინგს უტარებდნენ.

ექიმების ვიზიტები, მათ შორის ფსიქიატრისაც, შეიძლება კოპენჰაგენის დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის მოთხოვნით განხორციელებულიყო, მაგრამ ასევე შეიძლებოდა განხორციელებულიყო ზედამხედველთა, ადვოკატისა და პროკურორის მოთხოვნითაც.

განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატმა მხოლოდ ერთხელ მოითხოვა ექიმის ვიზიტი [ანუ პირველმა ადვოკატმა 1995 წლის 18 იანვრის წერილით], რაც განხორციელდა კიდევ ფსიქიატრის მიერ შიმშილობასთან დაკავშირებით (იხ., ქვემოთ).

ყველა ვიზიტის განმვლობაში, ექიმებსა და სამედიცინო პერსონალს ყურადღება ფსიქოზის ნიშნებზე ჰქონდათ მიმართული. როგორც კი ექიმი დაადგენს თუნდაც უმცირეს საეჭვო ნიშნებს, რომ პატიმარი შეიძლება იყოს ფსიქიკურად დაავადებული, დასკვნა ამის თაობაზე ადვოკატსა და პროკურორს მიეწოდება.

ასეთი რამ განმცხადებლის შემთხვევაში არ გაკეთებულა, რადგან მას ფსიქიკურ დარღვევის რაიმე სიმპტომი არასოდეს აღენიშნებოდა.

მიზეზი იმისა, რომ 1995 წლის 18 იანვარს ფსიქიატრმა შემოწმა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, არ იყო მის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვის არსებობა: დაწესებულების შინაგანაწესი შემოწმენას მოითხოვს, როდესაც პატიმრი შიმშილობას აცხადებს. ყოველ შემთხვევაში, შემოწმების შედეგად არანაირი ფსიქოპათოლოგიური ნიშანი არ აღმოჩენილა, გარდა სიტუაციური რეაქციისა. ...

კოპენჰაგენის დაწესებულება არ ადასტურებს, რომ განმცხადებელს სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობა არ ჩატარებია. დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში, განმცხადებელს რეგულარულად ხვდებოდნენ ექიმები და სხვა სამედიცინო პერსონალი: ამ ვიზიტების დროს ფსიქიკური გადახრის რაიმე ნიშანი არ დადგენილა...”

65. უფრო მეტიც, 1998 წლის 8 ოქტომბრის წერილით დასავლეთის დაწესებულებების დირექტორმა განმცხადებლის სამარტო პატიმრობაში ყოფნაზე მონიტორინგის შესახებ ანგარიში წარადგინა:

“მას შემდეგ, რაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება კომპენსაციასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის დაწყების შესახებ, განმცხადებლის მდგომარეობაზე ვესაუბრე კოპენჰაგენის დაწესებულების შემდეგ თანამშრომლებს:

DW, აღმოსავლეთის ბლოკის სოციალურ მუშაკი აცხადებს, რომ განმცხადებელი იყო საინტერესო ადამიანი, საღი გონებით. დაწესებულებაში ყოფნისას განმცხადებელმა ხატვა დაიწყო. იგი ბევრს კითხულობდა. მისი ქცევა საეჭვო არ იყო. საუბრისას მოგვებოდა. იგი გაბოროტებული და გაბრაზებული იყო პოლიციაზე და თვლიდა, რომ უსამართლოდ მოექცენ. ეს აზრები ჭ -ს პათოლოგიად არ ეჩვენა.

JL, დაწესებულების თანამშრომელი, რომელსაც განმცხადებელთან სამხრეთ ბლოკში ყოფნის განმავლობაში შეხება ჰქონდა, აცხადებს, რომ იგი ხატავდა, აქტიური იყო და კარგად იქცეოდა. იგი სიცოცხლით აღსავსე, მხიარული იყო და მოქმედების საკმარის თავის უფლება მიეცა. იგი ყოველთვის მზად იყო, მხიარული შენიშვნები გაეკეთებინა. თანამშრომლთა მიერ იგი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც პიროვნება, რომელიც გაწონასწორებულად იქცეოდა. მან იცოდა, თუ როგორ დაეგეგმა ყოველი დღე. იგი თვლიდა, რომ სისტემა უსამართლოდ მოექცა, როდესაც სამარტო პატიმრობა შეუფარდა, რაც შეიძლება წამების სახედ იქნეს მიჩნეული.

C-მ, დაწესებულების თანამშრომელმა, რომელიც განმცხადებლის ზედამხედველობას ეწეოდა სამხრეთის ბლოკში, განაცხადა, რომ ის გამოკვეთილად პათოლოგი არ იყო მასთან საუბარი ჩვეულებრივად შეიძლებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც იგი სამარტო პატიმრობას განსაცვიფრებლად კარგად ეგუებოდა..

JEL-მა, რომელიც სამზარეულოს ხელმძღვანელობდა და სადაც განმცხადებელი სამარტო პატიმრობის შემდეგ მუშაობდა, განაცხადა, რომ იგი არ ჩანდა ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, რაიმე დაღი არც ხანგრძლივ სამარტო პატიმრობას დაუსვია. VB-მ, უფროსმა ოფიცერმა განაცხადა, რომ სამარტო პატიმრობის დასრულების შემდეგ დასავლეთის ბლოკში ყოფნისას განმცხადებელი კარგად იქცეოდა და არაფერი არ აღენიშნებოდა საიმისოდ, რომ სამარტო პატიმრობას მასზე რაიმე უარყოფითი შედეგი მოეტანოს.”

66. დამატებითი სამედიცინო დასკვნები იყო წარმოდგენილი სასამართლო-ფსიქიატრიული კლინიკიდან და სამედიცინო-სასამართლო საბჭოდან, ასევე, მოუსმინეს განმცხადებელსა და რამდენიმე მოწმეს.

67. 1999 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით, უმაღლესმა სასამართლომ განმცხადებელს კომპენსაციის სახით დაუნიშნა 1 334 600 დანიური კრონი შემდეგის დასაფარავად:

არაქონებრივი ზიანი	100 000 დანიური კრონი
დაკარგული შემოსავალი	125 000 დანიური კრონი
შრომის უნარის დაკარგვა	1 022 000 დანიური კრონი
ინვალიდობა	87 600 დანიური კრონი

68. უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ფსიქიკური დაავადება გამოწვეული იყო სამარტოო პატიმრობით, თუმცა მიუთითა, რომ მის ხელთ არსებული სამედიცინო დასკვნებიდან არ ჩანს, ფსიქიკური დაავადება. თუ როდის ჩამოყალიბდა და განვითარდა.

არსებული მასალებიდან სასამართლომ გაარკვია, რომ სამარტოო პატიმრობის განმავლობაში განმცხადებელს სათანადოდ ეპყრობოდნენ. ამრიგად, სამარტოო პატიმრობის შეფარდების მიზეზების გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად სამარტოო პატიმრობის ხანგრძლივობისა და განმცხადებლის ჯანმრთელობაზე სერიოზული შედეგების გამოწვევასა, შეუძლებელია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ჰქონოდა ადგილი.

69. 1996 წლის 1 მაისის ვერდიქტით სასამართლომ დაადგინა, რომ არამეტერიალური ზიანის გამო კომპენსაცია გამართლებული იყო მართლმსაჯულების აღსრულების აქტის 1020ა ნაწილის თანახმად, რომელიც თავისუფლების აღკვეთის პირობებს ეხება. ამისდა მიუხედავად, აღნიშნული აქტის 1018ა.3 ნაწილით ჩაითვადა, რომ განმცხადებელმა მნიშვნელოვანწილად თვითონ მისცა საწყისი აღნიშნული დონისძიების გატარებას, ე.წ. “საკუთარი შეცდომის” გამო, როდესაც 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1995 წლის 26 სექტემბრამდე პერიოდში განმცხადებელი პოლიციასთან ჩვენებას იძლეოდა აღმასის კონტრაბანდაში მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, თანხა, 100 000 დანიური კრონის ოდენობით, გონივრულ საკომპენსაციო თანხად ჩაითვადა.

70. ინვალიდობისა და შრომის უნარის დაკარგვის საკომპენსაციო თანხა გამოთვლილი იქნა კომპენსაციის აქტისა (*Erstatningsansvarsloven*) და განმცხადებლის გასული წლების შემოსავლების საფუძველზე. რაკი ზიანის დადგომის ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, სასამართლომ ასეთ თარიღად 1994 წლის 13 დეკემბერი გადაწყვიტა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ ზოგადად იცოდა, რომ სამარტოო პატიმრობა შეიცავს ფსიქიკური მდგომარეობის შერყევის რისკს, და იმ განსაკუთრებული და მძიმე ზიანის გათვალისწინებით, რაც ხანგრძლივმა სამარტოო პატიმრობამ გამოიწვია განმცხადებლის მიმართ, სასამართლომ საკომპენსაციო თანხის შემცირებას “საკუთარი შეცდომის” პრინციპი საფუძველად ვერ დაუდო.

71. საბოლოოდ უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მთავრობამ საქალაქო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს ხარჯები უნდა გადაიხადოს.

**ლ. კომპენსაციის პროცედურები უმაღლეს სასამართლოში**

72. განმცხადებელმა სარჩელი წარადგინა უზენაეს სასამართლოში (*Højesteret*) საკომპენსაციო თანხად 18 618 602,36 დანიური კრონის მოთხოვნით, მატერიალური და არამატერიალური ზიანის საზღაურად. 2000 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ საკომპენსაციო თანხა 1 109 600 დანიურ კრონამდე შეამცირა, რაც ფარავს შემდეგს:

არაქონებრივი ზიანი	0 დანიური კრონი
დაკარგული შემოსავალი	0 დანიური კრონი
შრომის უნარის დაკარგვა	1 022 000 დანიური კრონი
ინვალიდობა	87 600 დანიური კრონი

73. უზენაესი სასამართლო ერთსულოვნად დაეთანხმა უმაღლეს სასამართლოს, რომ განმცხადებლის ფსიქიკის შერყევის ძირითადი მიზეზი სამარტო პატიმრობა იყო. ამასთანავე, რადგან არ არსებობდა მიზეზი ვარაუდისათვის, რომ სამარტო პატიმრობაში ყოფნისას განმცხადებელს სათანადოდ არ ეპყრობოდნენ, ეს ადასტურებს უმაღლესი სასამართლოს დასკვნას, რომ საქმეში არ ჩანს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

74. ამასთანავე, უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა უმაღლესი სასამართლოს დასკვნას, რომ მნიშვნელოვანწილად განმცხადებელმა მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების გამოყენება განაპირობა და მიუთითა, რომ განმცხადებლის განმარტებები სისხლისამართლებრივი დევნისას არ ტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მას რაციონალური ქმედების უნარი აკლდა.

75. რაც შეეხება საკომპენსაციო თანხის მოცულობას ინვალიდობასა და შრომისუნარიანობის დაკარგვასთან დაკავშირებით, უზენაესმა სასამართლომ დადასტურა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამარტო პატიმრობა ფსიქიკური დარღვევების რისკს წარმოშობს.

მეორე მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა, მისი ქცევითა და იმ ღონისძიებებით, რაც მას შესაბამისად შეეფარდა, რომ შემდგომ განუვითარდებოდა ფსიქიკური დარღვევები და შრომისუნარიანობას დაკარგავდა. ამიტომაც, უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ ინვალიდობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის საკომპენსაციოდ დანიშნული თანხა “საკუთარი შეცდომის” მოსაზრებებით არ უნდა შემცირდეს.

76. რაც შეეხება განმცხადებლის სარჩელს იუსტიციის აქტის 1018ა.2.1-ის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა (სამი მოსამართლე) უმრავლესობამ დაადგინა:

“ჩვენ მივიჩნევთ, რომ პაპაიას პროექტში მონაწილეობით და მისი დამოკიდებულებით, რაც მან გამოიჩინა პატიმრობის პერიოდში – კერძოდ, იგი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა საქმის გამოძიებას – განმცხადებელი კარგავს უფლებას მიიღოს საკომპენსაციო თანხა მართლმსაჯულების აღსრულების აქტის 1018.ა.3-ის შესაბამისად”.

*უმცირესობაში მყოფმა ორმა მოსამართლემ დაადგინა:*

“როდესაც შეფასებას ვაკეთებთ “საკუთარი შეცდომის” მოსაზრებით, რაც განმცხადებელმა ჩაიდინა, მხედველობაში მისაღებია ის რთული გარემოება, რომელშიც იგი აღმოჩნდა და მის მიმართ გამოყენებული ღონისძიების სიმკაცრე. ამ-

რიგად, ჩვენი მოსაზრებით, “საკუთარი შეცდომის” პრინციპს არ უნდა მოეხდინა ზემოქმედება კომპენსაციის დანიშვნაზე, როგორც დაკარგული შემოსავლების დაფარვის მიზნით 1995 წლის 12 ოქტომბრის შემდგომი პერიოდიდან, ისე არამატერიალური ზარალის მიყენების გამო 1995 წლის 26 სექტემბრიდან. საქმე არ შეიცავს ისეთ საგანგებო გარემოებებს, რამაც შეიძლება არამატერიალური ზიანის დასაფარავად დადგენილი ადმინისტრაციული ტარიფიდან გადახვევა გაამართლოს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან თითოეული სარჩელის მიმართ მიგვაჩნია, რომ განმცხადებელს საკომპენსაციო თანხად უნდა დაენიშნოს 250 000 დანიური კრონი დაკარგული შემოსავლების ზიანის ასანაზღაურებლად, და 106 800 დანიური კრონი – არაქონებრივი ზიანისათვის”.

77. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა უნდა გადაიხადოს სასამართლო ხარჯები 37 500 დანიური კრონის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

**II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა**

78. იუსტიციის ადმინისტრაციის აქტის შესაბამისი მუხლები ითვალისწინებს:

**ნაწილი 762**

“1. ეჭვმიტანილს შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა, როდესაც არსებობს საფუძველიანი ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ეჭვმდებარეობა საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას, იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას წელიწადნახევრისა და მეტი ხნის ვადით, და აგრეთვე

(i) ეჭვმიტანილის შესახებ არსებული ინფორმაციის მიხედვით, არსებობს განსაკუთრებული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ იგი გამოძიებას და განაჩენის აღსრულებას თავს აარიდებს, ან

(ii) ეჭვმიტანილის შესახებ არსებული ინფორმაციის მიხედვით, არსებობს განსაკუთრებული საფუძველი შიშისათვის, რომ ის იგივე ხასიათის ახალ დანაშაულს ჩაიდენს, ან

(iii) საქმის გარემოებებში არსებობს განსაკუთრებული საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეჭვმიტანილი ხელს შეუშლის გამოძიებას, განსაკუთრებით კი მტკიცებულებების მოსპობის, სხვების გაფრთხილების ან ზემოქმედების გზით....

3.წინასწარი პატიმრობა არ უნდა დაეკისროს ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა (*haefte*) ან კიდევ თუ თავისუფლების აღკვეთა არაპროპორციული იქნება ეჭვმიტანილთან მიმართებაში არსებული გარემოებების, საქმის მნიშვნელობის და იმ სასჯელისა, რომელიც დაეკისრება, თუკი ეჭვმიტანილი დამნაშავედ იქნება ცნობილი.

**ნაწილი 770 ა**

1. პოლიციის თხოვნით, სასამართლომ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ დაკავებულს სრულად ან ნაწილობრივ შეეზღუდოს სხვა პატიმრებთან ურთიერთობის საშუალება (სამართლო პატიმრობა), თუ

(i) წინასწარი პატიმრობა შეეფარდა ნაწილი 762.1 (III)-ის შესაბამისად ან, თუ

(ii) წინასწარი პატიმრობის მიზანი ითვალისწინებს სამართლო პატიმრობას იმ მიზნით, რომ ეჭვმიტანილს არ მიეცეს საშუალება ზემოქმედება მოახდინოს თანამონაწილეებზე სხვა პატიმრების მეშვეობით ან სხვებზე ზემოქმედების საშუალება მუქარით, ან რაიმე სხვა საშუალებით.

2. საერთო ჯამში, სამართლო პატიმრობა არ შეიძლება დაეკისროს 8 კვირაზე მეტი ვადით, თუ ბრალდება ჩადენილი დანაშაულისათვის არ ითვალისწინებს არანაკლებ ექვსი და მეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას.

### **ნაწილი 770 ბ**

სამართლო პატიმრობა არ შეიძლება დაენიშნოს ან გაგრძელდეს, თუ აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი ღონისძიებებით და თუ ღონისძიება, საქმის მნიშვნელობისა და დასანიშნი სასჯელის მიმართ, არაპროპორციულია.

გადაწყვეტილება სამართლო პატიმრობის შესახებ აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს ეჭვმიტანილის ფიზიკური და ფსიქოლოგიური სისუსტიდან გამომდინარე პოტენციურ გართულებებს.

### **ნაწილი 1018 ა**

1. ნებისმიერ პირს, რომელიც დაკავებული ან დაპატიმრებული იყო, უფლება აქვს, მოითხოვოს კომპენსაცია ზიანის ასანაზღაურებლად თუ ბრალდებაზე უარი ეთქვა და /ან ბრალდებული გაამართლეს.

2. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ნაწილის 1 ქვენაწილით განსაზღვრული კომპენსაციის დანიშვნა არ დაკმაყოფილდება, კომპენსაცია შეიძლება მიენიჭოს თუ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის-სამართლებრივი დევნის შედეგების პროპორციულად ან თუ იგი უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული სხვა გარემოებების გამო.

3. კომპენსაცია შეიძლება შემცირდეს ან მის დანიშვნაზე უარი ეთქვას, თუ ბრალდებული ღონისძიების გამოყენებას საწყისს თვითონ მისცემს.

## **III. ევროპის წამების აღკვეთის კომიტეტის (CPT) დასკვნები**

79. წამების აღკვეთის კომიტეტი (CPT) ეწვია დანიას 1990 წლის 2-8 დეკემბერს. სამართლო პატიმრობასთან დაკავშირებით, მან, *inter alia*, შემდეგი დაასკვნა (CPT/Inf (91) 12):

136. ... დასავლეთის დაწესებულებაში კომიტეტის დელეგაციას საშუალება მიეცა, სამართლო პატიმრობაში ბრალდებულთა ყოფნის პირობებს უშუალოდ გაცნობოდა. ამგვარი პატიმრობის უარყოფითი შედეგების შესახებ უამრავი განცხადება კეთდება. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სამართლო პატიმრობა შეიძლება არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას გაუტოლდეს. ყველა შემთხვევაში, სამართლო პატიმრობის ვადა უნდა იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე. სამართლო პატიმრობის საკითხი ამჟამად დანიის ხელისუფლების მიერ შეისწავლება. კომიტეტმა, თავის მხრივ, რამდენიმე რეკომენდაცია ჩამოაყალიბა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმართა უფლებების დაცვას ამ მიმართულებით. კერძოდ, ხაზი ესმება გამოძიების მოთხოვნებსა და სამართლო პატიმრობაში მოთავსებას შორის პროპორციულობის პრინციპის დაცვას (ღონისძიება, რომელსაც შეუძლია ძალიან მძიმე შედეგები გამოიწვიოს), ეფექტურ სასამართლო გადასინჯვასა და პატიმრის სათანადო სამედიცინო შემოწმებას.

80. წამების აღკვეთის კომიტეტი ასევე ეწვია დანიას 1996 წლის 29 სექტემბერსა და 9 ოქტომბერს. მისი დასკვნები სამარტო პატიმრობისა და დასავლეთის დაწესებულებაში არსებული პირობების შესახებ არის შემდეგი (CPT/Inf(97) 4):

### 3. ბრალდებულის სამარტო პატიმრობა სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით

54. დანიის ხელისუფლებასთან საუბარში, კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამარტო პატიმრობის ყველა სახე შესაბამისი ფსიქიკური და ფიზიკური სტიმულირების გარეშე, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს დამაზიანებელ შედეგებს, რაც ფსიქიკური და სოციალური უნარების გაუარესებაში გამოიხატება. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბრალდებულის სამარტო პატიმრობაში მოთავსებას სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელმაც შეიძლება გააგრძელოს იგი.

55. დანიის ხელისუფლებამ ეს საკითხი დიდი ხანია აღიარა. 1990 წელს იუსტიციის მინისტრმა კვლევითი პროექტი შეუკვეთა, რათა შეესწავლათ “ნებისმიერი სავარაუდო მავნე შედეგი, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს წინასწარი პატიმრობის სამარტო პატიმრობის სახით შეფარდებისას”. კვლევის შედეგები გამოქვეყნდა 1994 წელს ანგარიშში “წინასწარი პატიმრობა და ფსიქიკური ჯანმრთელობა”.

კვლევითმა ჯგუფმა დაადგინა, რომ “წინასწარი პატიმრობისას ბრალდებულის სამარტო პატიმრობაში მოთავსება, საერთო საკანში მოთავსებისგან განსხვავებით, შეიცავს მავნე შედეგების გამოწვევის რისკს” და “არსებობს დიდი შესაძლებლობა იმისა, რომ სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებს განუვითარდეთ ფსიქიკური პრობლემები – ვიდრე იმათ, ვინც სამარტო საკანში არ იმყოფება” (მდრ. გვ. 64 დოკუმენტისა (CPT/Inf(96)14). ამისდა მიუხედავად, მკვლევარებმა დადასტურებული კავშირი სასამართლოს მიერ დანიშნულ სამარტო პატიმრობასა და პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის დარღვევას შორის ვერ დაადგინეს.

ანგარიში ასკვნის, რომ “ზოგადად სამარტო პატიმრობის მავნე შედეგები არ უნდა იწვევდეს კოგნიტიური ფუნქციების ისეთ ანომალიებს, როგორცაა კონცენტრაციის უნარი და მეხსიერება” (CPT/Inf(96) 14, p. 165).

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტროლის კომიტეტი ამჟამად სწავლობს “წინასწარი პატიმრობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის” დასკვნებს იმ მიზნით, რომ სასამართლოს მიერ სამარტო პატიმრობის შეფარდების მოქმედ წესებს გადახედოს. ამას გარდა, იგივე ჯგუფი ამზადებს მომდევნო გამოკვლევას, რომელიც დამატებითი მოხსენების სახით უნდა გამოქვეყნდეს.

56. წამების აღკვეთის კომიტეტი მიესალმება იმ ფაქტს, რომ იმ ბრალდებულთა ფსიქიკური მდგომარეობა, რომელთაც სასამართლომ სამარტო პატიმრობა შეუფარდა, შესწავლის საგანი გახდა. ამასთანავე, მიუთითებს, რომ 1996 წლის ვიზიტის დროს უამრავი ექიმი, ადვოკატი, დაწესებულებების თანამშრომელი და სხვა პირი, რომელთაც ხშირი ურთიერთობები ჰქონდათ ამ ტიპის პატიმრებთან, კვლევის პრინციპული დასკვნების გამო გააკვირვებას გამოხატავდნენ. თავიანთი გამოცდილებიდან იციან, რომ ხანგრძლივი ვადით სამარტო საკანში მოთავსებულ პატიმრებს ხშირად აღენიშნებათ კონცენტრაციის ჩავარდნა, მეხსიერების დაკარგვა და კომუნიკაციის უნარის დაქვეითება. ეს დაკვირვებები კომიტეტმა მისი მეორე პერიოდული ვიზიტის დასკვნებში კიდევ ერთხელ დაადასტურა. ბევრი პატიმარი, რომელთაც სასამართლომ სამარტო პატიმრობა შეუფარდა, უჩიოდა ისეთ სიმპტომებს, როგორცაა ღელვა, დეპრესია, კონცენტრაციის უუნარობა, არასწორი ძილი, ღებინება და მუდმივი თავის ტკივილები. ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, დელეგაციის ფსიქიატრმა ექსპერტმა გამოთქვა თვალსაზრისი, რომ

ისეთი სიმპტომები, როგორცაა კონცენტრაციის უნარის დაქვეითება, დეპრესიული განწყობა და ფიქრები სუიციდზე, ხანგრძლივად სამართლო პატიმრობაში მყოფ პირებს შეიძლება ახასიათებდეს. მოკლედ, მიუხედავად “წინასწარი პატიმრობა და ფსიქიკური ჯანმრთელობის” პრინციპული დასკვნებისა, კომიტეტი (CPT) მიიჩნევს, რომ შეშფოთების სერიოზული საფუძვლები ხანგრძლივი ვადით სამართლო პატიმრობაში მყოფი პირების ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ჯერ კიდევ რჩება.

57. გარდა იმისა, რომ კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს ყველა სახის სამართლო პატიმრობის მაქსიმალურად ხანმოკლე ვადით შეფარდების საჭიროებას, კომიტეტის 1991 წლის მოხსენება რეკომენდაციით მიმართავს დანიის მთავრობას, მიიღოს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები სამართლო პატიმრობაში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მოათავსონ. ეს მკაცრად შეზღუდული იქნება საქმის ფაქტობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე. ასევე რეკომენდირებულია, რომ არსებობდეს ეფექტური სასამართლო დაცვა სამართლო პატიმრობასთან დაკავშირებით და სამართლო პატიმრობის ვადის გაგრძელების მიზეზები წერილობით იქნეს ჩამოყალიბებული (CPT/Inf (91) 12, par.9)

საკასუხო მოხსენებაში დანიის მთავრობამ დაადასტურა, რომ დანიის კანონმდებლობა უკვე შესაბამისობაში იყო ამ რეკომენდაციებთან და ბრალდებულთა სამართლო პატიმრობაში მოთავსების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

58. კომიტეტი მიესალმება ამგვარ შემცირებას. ამისდა მიუხედავად, მეორე პერიოდული ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაცია იმ ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ზოგიერთი სახის საქმის შემთხვევაში (განსაკუთრებით, მძიმე ნარკოტიკული დანაშაული, ძალადობა და ა.შ.), სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კანონიერ მოთხოვნებსა და სამართლო პატიმრობის შეფარდების პოტენციურად მანვე შედეგებს შორის ბალანსის დაცვა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული. მაგალითად, პოლიციის უფროსი ოფიცრები, პროკურორები და მოსამართლეები, ვისაც კი დელეგაცია ესაუბრა, თანხმობას აცხადებდნენ, რომ უადრესად უჩვეულო იქნებოდა, სამართლო პატიმრობის შეფარდებისგან თავის შეკავება მართლმსაჯულების აღსრულების აქტის 191-ე ნაწილით გათვალისწინებულ საქმეების შემთხვევაში (განსაკუთრებით, მძიმე ნარკოტიკული დანაშაული). ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შემთხვევით შერჩეული 191-ე ნაწილის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო სხდომის ჩანაწერების დეტალური შესწავლით ირკვევა: მოსამართლეს სამართლო პატიმრობის შეფარდების დასასაბუთებლად არავითარი კონკრეტული მიზეზი არ მოუტანია. ან, უბრალოდ, მიუთითა იმ კანონზე, რომელიც პროკურატურის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების საშუალებას აძლევდა.

მართალია, დანიის მთავრობის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციით, სამართლო პატიმრობის შეფარდება შემცირების ტენდენციას ამჟღავნებს, მაგრამ ის ასევე მიუთითებს, რომ სამართლო პატიმრობის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა. კომიტეტის დელეგაცია 1996 წლის ვიზიტის დროს შეხვდა რამდენიმე პატიმარს, რომელთაც ხანგრძლივი ვადით შეუფარდა სასამართლო სამართლო პატიმრობა (ერთს – ათი თვით, ორს – ექვსი თვით და ექვსს – სამი თვით).

59. ზემომოტანილი ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტი მიიჩნევს, რომ დამატებითი ქმედებების გატარება საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს დანიის კანონმდებლობა სამართლო პატიმრობაში მოთავსების შესახებ ეფექტურად განხორციელება კომიტეტი რეკომენდაციას იძლევა, რომ მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

პროკურორებს შეახსენონ, რომ სამართლო პატიმრობის შეფარდება მოითხოვონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს კონკრეტული სისხლისსამართლებრივი საქმის ინტერესებიდან გამომდინარე მკაცრად აუცილებელია;

ყველა ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სამართლო პატიმრობის შეფარდების ან ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოს წინაშე დადგება, გადაწყვეტილების დასაბუთებული საფუძვლები წერილობით იქნება წარდგენილი;

პატიმრებს, მათთვის გასაგებ ენაზე, სამართლო პატიმრობაში მოთავსების საფუძვლების შესახებ სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას;

წინასწარი პატიმრობის გაგრძელების პერიოდული განხილვის ყოველ ჯერზე, სამართლო პატიმრობის ვადის გაგრძელება ყოველთვის უნდა იქნეს წარმოდგენილი, როგორც დამოუკიდებელი საკითხი იმ ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით, რომ ამგვარ მოთავსების ვადა მაქსიმალურად ხანმოკლე უნდა იყოს;

კომიტეტი ასევე მოუწოდებს დანიის მთავრობას, სამართლო პატიმრობაში მოთავსების მაქსიმალური ვადის საზღვრების დაწესების საკითხი განიხილოს.

60. სამართლო პატიმრობის მძიმე შედეგები კიდევ უფრო შეიძლება დამძიმდეს მიმოწერასა და ვიზიტებზე აკრძალვისა თუ შეზღუდვის დაწესებით. ამგვარი შეზღუდვების დაწესება პოლიციის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება (თუმცა პატიმარს უფლება აქვს სასამართლოს სარჩელით მიმართოს ამ შეზღუდვების წინააღმდეგ). მეორე ვიზიტისას დელეგაციამ დაადგინა, რომ პოლიცია ახლა უკვე თითქმის არ მიმართავს მიმოწერისა და ვიზიტების შეზღუდვას; თუმცა, წინასწარ პატიმრობაში მყოფთა წერილების მონიტორინგი და ვიზიტების მეთვალყურეობა საყოველთაოდ გავრცელებულია. თავისი პირველი ვიზიტის ანგარიშში, კომიტეტი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ პოლიციას მიეცეს ზუსტი ინსტრუქციები იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელშიც ამგვარი აკრძალვები და შეზღუდვები შეიძლება დაეწესოს და მთავრობისგან ამ ღონისძიების დაწესების საფუძვლების წერილობით გამოცემას ითხოვდა. ეს რეკომენდაცია არ შეასრულა დანიის მთავრობამ, რადგან მიიჩნია, რომ მართლმსაჯულების აღსრულების აქტი დაცვის საკმაოდ მექანიზმებს ამ თვალსაზრისით უკვე ითვალისწინებს.

კომიტეტის შეხედულებით მიმოწერასა და ვიზიტებზე პოლიციის მიერ დაწესებული შეზღუდვების ამჟამად არსებული სისტემა ადეკვატურად ვერ უზრუნველყოფს, რომ კონკრეტულ საქმეზე გატარებული ზომები სისხლის სამართლის გამოძიების საჭიროებებისდმი მკაცრად პროპორციული იყოს. შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს დანიის ხელისუფლებას, რომ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები 1991 წლის რეკომენდაციის განხორციელების მიზნით. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას იძლევა, რომ სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის გაგრძელების საკითხის განხილვისას, პოლიციის მიერ ვიზიტებსა და მიმოწერაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებისა და გაგრძელების აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხები დამოუკიდებელ საკითხად იქნეს განხილული.

61. რაც შეეხება სამართლო საკანში მოთავსებულ პირთა საქმიანობის საკითხს, კომიტეტი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტრო სრულიად ეთანხმება კომიტეტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფ პირებს მიზანმიმართული საქმიანობის შესაძლებლობა და ადამიანებთან შესაფერისი კონტაქტის საშუალება უნდა ჰქონდეთ (CPT/Inf(96) 14. p.65). მეორე პერიოდული ვიზიტის შემდეგ, დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მთელი

რიგი ღონისძიებები გატარდა კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს დანიის ხელისუფლებას, რომ საქმიანობა ამ მიმართულებით გააგრძელოს.

#### 4. პატიმრობაში ყოფნის პირობები ზოგადად

...

#### ბ. კოპენჰაგენის დასავლეთის დაწესებულება

##### i. შესავალი

64. დასავლეთის დაწესებულებაში კომიტეტის პირველი ვიზიტის შემდეგ, ეს დაწესებულება კოპენჰაგენის ყველა დაწესებულებისთვის მიმდებ დაწესებულებად გადაკეთდა (ამ ფუნქციას თავდაპირველად პოლიციის შტაბბინის ციხე ასრულებდა, შდრ., (CPT/Inf (96) 14. p.62). დასავლეთის დაწესებულებაში პატიმრათა ბრუნვა წლიურად 8 000-დან 10 000 პატიმრამდე შეადგენს. დაწესებული ლიმიტის 439 ადგილიდან 1996 წელს ვიზიტის პირველ დღეს 426 პატიმარი იმყოფებოდა (თუ შევადარებთ პირველი პერიოდული ვიზიტის მონაცემებს, 430 ადგილზე 403 პატიმარი იმყოფებოდა)

81. დანიის მთავრობამ შემდეგი პასუხი გასცა:

დანიის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართლო პატიმრობის შეფარდების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება. ამასთანავე, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული პირობების არსებობას მოითხოვს, როგორცაა, მაგალითად, წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას ბრალდებული სხვა პატიმრების ზეგავლენისაან დაცული უნდა იყოს.

სრული იზოლაცია შესაძლებელია მაქსიმუმ რვა კვირის ვადით, თუ ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა ექვსი ან მეტი წლის ვადით სასჯელად არ დაედება. უფრო მეტიც, დაცული უნდა იქნეს პროპორციულობის პრინციპი: შემთხვევაში, თუ მიზანი, რისთვისაც სამართლო პატიმრობა ინიშნება, შესაძლებელია სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი საშუალებებითაც იქნეს მიღწეული, ან თუკი სამართლო პატიმრობა არაპროპორციულია საქმის მნიშვნელობისა და ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების მიმართ - სამართლო პატიმრობა არ შეეფარდება. ამ ღონისძიების დანიშვნისას, მოსამართლემ აგრეთვე მხედველობაში უნდა მიიღოს ის დაძაბულობა, რაც შეიძლება სამართლო პატიმრობამ გამოიწვიოს, ბრალდებულის ახალგაზრდა ასაკისა და ფიზიკური სისუსტის გამო.

მთავრობამ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართლო პატიმრობაში მყოფ პირთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა უკანასკნელი წლების განმავლობაში და სამართლო საკანში პატიმრის ყოფნის პირობებს ევროპელებიდან დანიაში ყველაზე მკაცრად და ზუსტად იცავენ.

მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება სამართლო პატიმრობის შეფარდების დადგენა და სასამართლო გადაწყვეტილებაში ამ გადაწყვეტილების საფუძვლები მოყვანილი უნდა იყოს.

დანიის სასჯელაღსრულების სამსახურის თანამშრომლებს ინსტრუქტაჟი უტარდებათ იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების ექიმებსა და სხვა მედპერსონალს მაშინვე აცნობონ, როგორც კი პატიმარი სამედიცინო შემოწმებას მოითხოვს. დაწესებულების ექიმი პატიმრის არა მხოლოდ ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ამოწმებს, არამედ – ფსიქიკურისაც. დაწესებულების

ექიმს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, რომ ციხის ადმინისტრაციას და, გარკვეულ შემთხვევებში, პროკურორს, ადვოკატსა და სასამართლოს აცნობოს, თუ რამდენად შეეძლო სამართლო პატიმრობას ფსიქოპათოლოგიური სიმპტომების გამოწვევა და როგორია პატიმრის თვალსაზრისი სამართლო პატიმრობის გარძელებასთან დაკავშირებით. ასეთი სამედიცინო ინფორმაცია სამართლო პატიმრობის პროპორციულობის საკითხის შესწავლისას სასამართლო განხილვის ნაწილს შეადგენს.

მართლმსაჯულების აღსრულების აქტი კონკრეტულ დებულებებს შეიცავს მიმოწერისა და ვიზიტების შეზღუდვისა თუ აკრძალვის შესახებ და პატიმარს, რომელსაც ამგვარი შეზღუდვა ან აკრძალვა დაუწესდება, ამ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვს.

## **კანონმდებლობა**

### **I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

82. განმცხადებელი ჩიოდა, რომ დანიის მთავრობამ მის მიმართ მოპყრობით დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან იგი სამართლო პატიმრობაში იმყოფებოდა 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე იმისდა მიუხედავად, რომ მთავრობისთვის ცნობილი იყო იმ ზიანის შესახებ, რაც სამართლო პატიმრობას ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის მოაქვს.

კონვენციის მე-3 მუხლი ითვალისწინებს:

“არავინ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი”.

#### **ა. მხარეთა არგუმენტები**

83. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მისთვის სამართლო პატიმრობის შეფარდება 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, რადგან მთავრობამ იცოდა, რომ სამართლო პატიმრობა ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანია.

84. გარდა ამისა, იგი ამტკიცებდა, რომ სამართლო პატიმრობაში ყოფნისას მის მიმართ არასაკმარისი სამედიცინო მეთვალყურეობა ხორციელდებოდა, კერძოდ, შემოწმებამ, რომელიც მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, განუვითარდა თუ არა მას ფსიქიკის დარღვევა, წარუმატებლად ჩაიარა. ამრიგად, იგი აცხადებდა, რომ დასავლეთის დაწესებულებაში ყოფნისას მას ფსიქიატრიული გამოკვლევა არ ჩატარებია.

85. ამასთანავე, რაც შეეხება 1998 წლის ოქტომბრის დასაწყისში ექიმების, სამედიცინო პერსონალისა და დასავლეთის დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მომზადებულ ანგარიშებს სამართლო პატიმრობაში მისი ყოფნის პირობების მონიტორინგის შესახებ, განმცხადებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ანგარიშები მას შემდეგ იქნა მომზადებული, რაც ამგვარ კონტროლს საქალაქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ძალიან მკაცრი და კრიტიკული შეფასება მისცა. ამრიგად, აღნიშნული კატეგორიული განცხადებები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაკეთდა.

86. მთავრობის შეფასებით, ზოგადად არ არსებობს საფუძველი განცხადებისათვის, რომ დანიის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლო პატიმრობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. უფრო კონკრეტულად კი, მთავრობამ

განაცხადა, რომ განმცხადებლის სამარტო პატიმრობა, რომელიც თერთმეტი თვე და თოთხმეტი დღე გაგრძელდა, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არ წარმოადგენდა. არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ განმცხადებელმა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რაც ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, და სამარტო პატიმრობის შეფარდება აუცილებელი იყო, რათა განმცხადებელს ძიებისათვის ხელი არ შეეშალა.

გარდა ამისა, 1996 წლის 26 სექტემბრამდე ყალბი ჩვენების მიცემით, განმცხადებელმა თვითონ შეუწყო ხელი სამარტო პატიმრობის ვადის გაგრძელებას. ეს გამოწვეული იყო თანამონაწილესთან შეთანხმებითა და დღიურში ყალბი ჩანაწერების შეთითხვნით სამარტო პატიმრობა მაშინვე გაუქმდა, როგორც კი განმცხადებელს გამოძიებაზე ზემოქმედების მოხდენა აღარ შეეძლო, მაგალითად, თუნდაც ჩვენებების შეჯერების მიზნით თანამონაწილესთან ურთიერთობის დამყარების გზით.

87. მთავრობამ დამატებით განაცხადა, რომ ხელისუფლებამ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ განმცხადებელს სამარტო პატიმრობაში ყოფნამ ზიანი მოუტანა. მთავრობას ეჭვქვეშ არ დაუყენებია 1997 წლის 8 დეკემბრიდან 1998 წლის 19 იანვრამდე პერიოდში ფსიქიატრიული შემოწმების შედეგად დადგენილი ფაქტი, რომ განმცხადებელი ფსიქოტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდში განმცხადებელს მომავალი ან არსებული ფსიქიკური გაუწონასწორებლობის ნიშნები არ გამოუმჟღავნებია და მას ეფექტური სამედიცინო მეთვალყურეობა ჩაუტარდა: კერძოდ, 3-ჯერ სამედიცინო პერსონალისა და 27-ჯერ – ექიმების მიერ. ამ თვალსაზრისით, მთავრობა, *inter alia*, კოპენჰაგენის დაწესებულებების მთავარი კონსულტანტის განცხადებებს დაეყრდნო.

88. ამას გარდა, მთავრობამ მიუთითა, რომ სამარტო პატიმრობა დანარჩენი ადამიანებისგან სრულ იზოლაციას არ ითვალისწინებდა. განმცხადებელს დაწესებულების თანმშრომლებთან ყოველდღიური კონტაქტები ჰქონდა, ასევე – რეგულარული შეხვედრები სამედიცინო პერსონალთან, ექიმებთან, სოციალურ მუშაკებთან, მის ადვოკატთან და სხვებთან გარესამყაროდან, თუმცა ეს უკანასკნელი მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდებოდა. და ბოლოს, მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელმა, ფაქტობრივად, თვითონ გადაწყვიტა სამარტო პატიმრობაში დარჩენა 1995 წლის 28 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე.

### **ბ. სასამართლოს შეფასებები**

89. როგორც სასამართლომ არაერთგზის განაცხადა, კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუნდამენტალურ ღირებულებებს შეიცავს. იგი აბსოლუტური პირობებით კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასა და სასჯელს, მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა (იხ., *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 119, ECHR 2000-IV).

90. სასამართლოს პრეცედენტული საქმეების თანახმად, ცუდად მოპყრობამ სიმკაცრის მინიმალურ დონეს უნდა მიაღწიოს, რომ იგი კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცეს. აღნიშნული მინიმალური დონის განსაზღვრა არის შედარებითი. იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები და, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ., *Ireland v. the United Kingdom*, judgment of 18 January 1978, Series A no. 25, p. 65, § 162).

ამას გარდა, საკითხის განხილვისას, არის თუ არა მოპყრობა “დამამცირებელი” კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, თუ რამდენად წარმოადგენს მოპყრობის მიზანს პიროვნების ღირსების დამცირება და შეურაცხყოფა; ამასთანავე ისიც, თუ რამდენად უარყოფითად იმოქმედა ასეთმა მოპყრობამ მსხვერპლის პიროვნულ თვისებებზე. ამისდა მიუხედავად, ამგვარი მიზნის არარსებობის გამო, არ შეიძლება საბოლოოდ გამოირიცხოს მე-3 მუხლის დარღვევის შესაძლებლობა (იხ., *Peers v. Greece*, no. 28524/95, §§ 67-68 and 74, ECHR 2001-III, and *Valašinas v. Lithuania*, no. 44558/98, § 101, ECHR 2001-VIII).

91. კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პატიმრობის პირობები ადამიანის ღირსების პატივისცემას შეესაბამებოდეს, ღონისძიების განხორციელება ადამიანს სასოწარკვეთასა და მძიმე მდგომარეობაში არ ჩააგდებს, რაც პატიმრობისათვის დამახასიათებელი ტკივილების დონეს აღემატება და პატიმრობის პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, პიროვნების კეთილდღეობა და ჯანმრთელობა სათანადოდ დაცულია (იხ., *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, §§ 92-94, ECHR 2000-XI) აუცილებელი სამედიცინო დახმარებითა და მკურნალობით (*mutatis mutandis*, the *Aerts v. Belgium* judgment of 30 July 1998, *Reports* 1998-V, p. 1966, §§ 64 et seq).
92. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის სარჩელი, კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, ორ საკითხს ეხება:

- 1) იყო თუ არა სამართლო პატიმრობის ხანგრძლივობა გადამეტებული, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო თუ არა სამართლო პატიმრობის ხანგრძლივობა, რომელიც 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე გაგრძელდა, თავისთავად, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა;
- 2) ხორციელდებოდა თუ არა ამ პერიოდში ეფექტური ზედამხედველობა განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე,

**1) იყო თუ არა იზოლაციის ხანგრძლივობა გადამეტებული**

93. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ, თავისთავად, სამართლო პატიმრობის შეფარდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არ გულისხმობს (*Valašinas v. Lithuania and Peers v. Greece*). “რადგანაც ხანგრძლივი პერიოდით ადამიანებთან ურთიერთობისგან ჩამოშორება არასასურველია, ეს ღონისძიება მოექცევა თუ არა მე-3 მუხლის ფარგლებში, დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე, ღონისძიების სიმკაცრეზე, ხანგრძლივობაზე, მიზანსა და მის შედეგებზე” (*Hosie v. United Kingdom*, application no. 27847/95, Commission decision of 23 October 1997, *R v. Denmark*, no. 10263/83, Commission decision of 11 March 1985, DR 41 p. 149 and *Ensslin, Baader, Raspe v. Germany*, no. 7572/76, 7586/76 and 7587/76, Commission decision of 8 July 1978, DR 14, p. 64).
94. ზემოხსენებულ საქმეში *Rohde v. Denmark*, თუმცა არ დგინდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, კომისია ადგენს, რომ 17-თვიანი სამართლო პატიმრობა არასასურველია დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისით და ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ხანგრძლივობა გადაჭარბებული არ გახდეს.
95. ამას გარდა, სასამართლო ეყრდნობა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) 1996 წლის 29 სექტემბერი – 9 ოქტომბრის ვიზიტის ანგარიშს, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამართლო პატიმრობის საკითხი კომიტეტისა და დანიის მთავრობის დიალოგებში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამართლო პატიმრობის ყველა ფორმა ფსიქიკური და ფიზიკური სტიმულაციის გარეშე,

სავარაუდოდ, საბოლოო ჯამში ზიანის მომტანი იქნება და გამოიწვევს ფსიქიკისა და სოციალური უნარების გაუარესებას.

96. მეორე მხრივ, სასამართლო იმეორებს მის მიერ გამოტანილ დასკვნებს საქმეზე *Messina v. Italy* ((dec.), no. 25498/94, ECHR 1999-V), რომელიც ეხება განმცხადებლის საგანგებო რეჟიმში მოთავსებას დაახლოებით ოთხწელიწად ნახევრის ვადით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, რაც დაკავშირებული იყო მაფიასთან და რის გამოც მას სასჯელი დაენიშნა. სასამართლომ დაადგინა: მოპყრობას არ მიუღწევია სიმკაცრის ისეთი მინიმალური დონისათვის, რომ ადგილი ჰქონოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ანალოგიურად, საქმეზე *Bastone v. Italy* (dec. no. 59638/00) სასამართლომ არ მიიღო განმცხადებლის საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 1993 წლიდან 2003 წლამდე მის საგანგებო რეჟიმში მოთავსებას – მიზანს კი მისი მაფიასთან ურთიერთობის დამყარების აცილება შეადგენდა. და ბოლოს, საქმეზე *Öcalan v. Turkey*, ([GC], no. 46221/99, § 196, 12 May 2005), ეთანხმება რა კომიტეტის (CPT) რეკომენდაციას, რომ განმცხადებლის სოციალური იზოლაციის გრძელვადიანი შედეგები (რაც დაიწყო 1999 წლის 16 თებერვლიდან და გრძელდებოდა 6 წელზე მეტ ხანს, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი) უნდა შემსუბუქდეს მისთვის იმავე პირობების შექმნით, რაც მაღალი უსაფრთხოების დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს აქვთ, როგორცაა ტელევიზორისა და ოჯახის წევრებთან სატელეფონო კონტაქტების ქონა. სასამართლომ დაადგინა, რომ იმრალის დაწესებულებაში მისი პატიმრობის საერთო პირობებს სიმკაცრის მინიმალური დონისათვის არ მიუღწევია, რომ ადგილი ჰქონდეს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

97. წინამდებარე საქმეში სამართლო პატიმრობა გრძელდებოდა 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, ანუ 11 თვე და 14 დღე. სასამართლო აღნიშნავს, რომ ესოდენ ხანგრძლივმა ვადამ შეიძლება გარკვეული შეშფოთება გამოიწვიოს ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სახიფათო შედეგების საფრთხის გამო, რაც კომიტეტმა რამდენიმე შემთხვევაში დაადასტურა.

ამისდა მიუხედავად, როდესაც ხდება იმის შეფასება, ჰქონდა თუ არა ადგილი მე-3 მუხლის დარღვევას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს პატიმრობის პირობები სოციალური იზოლაციის ხანგრძლივობის ჩათვლით. განმცხადებელი იმყოფებოდა 8 კვ. მ. ფართის საკანში, რომელშიც ტელევიზორი იყო. მისთვის ასევე ხელმისაწვდომი იყო გაზეთები. მას საერთოდ არ ჰქონდა ურთიერთობა სხვა პატიმრებთან. მაგრამ დღის განმავლობაში მას რეგულარული კონტაქტები ჰქონდა დაწესებულების პერსონალთან, მაგალითად, როდესაც საკვებს აძლევდნენ, სავარჯიშო დარბაზში ან, გარეთ, ეზოში გადიოდა, ბიბლიოთეკიდან წიგნები გაჰქონდა, ან მაღაზიაში საქონელს ყიდულობდა.

ამას გარდა, ყოველ კვირას ინგლისური და ფრანგული ენის შემსწავლელი კურსები უტარდებოდა და ციხის კაპელანს ხვდებოდა. აგრეთვე, ყოველ კვირას ხვდებოდა თავის ადვოკატს.

უფრო მეტიც, სამართლო საკანში ყოფნისას განმცხადებელს 12-ჯერ ჰქონდა შეხვედრა სოციალურ მუშაკთან, 32-ჯერ – ფიზიოთერაპევტთან, 27-ჯერ ექიმთან და 43-ჯერ – ექთნებთან.

განმცხადებლის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან შეხვედრა მეთვალყურეობის ქვეშ ხორციელდებოდა. დედამისი ყოველ კვირა ერთი საათით ხვდებოდა, თავდაპირველად, მეგობრები დედამისთან ერთად მოდიოდნენ, 5 კაცამდე ერთდრო-

ულად. მაგრამ პოლიციამ, საბოლოოდ, შეზღუდა ვიზიტები 2 კაცამდე იმ მიზნით, რომ გაეკონტროლებინა და საუბარი განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს არ შეეხებოდა. განმცხადებლის მამა ბიძაშვილთან ერთად მას ყოველ ორ კვირაში ერთხელ ხვდებოდა.

98. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო აღგენს, რომ თავისთავად სამართლო პატიმრობა, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება ერთ წელს, არ წარმოადგენს ისეთ მოპყრობას, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლს დაარღვევს.

**2) ხორციელდებოდა თუ არა ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ეფექტური ზედამხედველობა**

99. სასამართლო შეახსენებს, რომ მთავრობებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობის დაცვა ევალებათ და სათანადო სამედიცინო მომსახურების არქონა უტოლდება ისეთ მოპყრობას, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს (იხ., *McGlinchey and Others v. the United Kingdom*, no. 50390/99, § 57, ECHR 2003-V, and *İlhan v. Turkey* [GC], no. 22277/93, § 87, ECHR 2000-VII).

რაც შეეხება ფსიქიკურად დაავადებულ პირთა საქმეებს, იმის შეფასებისას, ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, მხედველობაში მისაღებია მათი დაუცველობა და, ზოგ შემთხვევაში, უუნარობა, იჩივლონ სათანადოდ ან საერთოდ იმის შესახებ, თუ რა უარყოფითი შედეგები იქონია მათზე კონკრეტულმა მოპყრობამ (*Herczegfalvy and Aerts v. Belgium*).

გადაწყვეტილებაში *Keenan v. United Kingdom* (no. 27229/95, ECHR 2001-III, §§ 113-116) სასამართლო გააკვირვებელი დარჩა განმცხადებელთან დაკავშირებით, რომელიც სუიციდიზმის რისკების წინაშე იდგა. სასამართლომ განმცხადებლის პირობებზე ეფექტური მონიტორინგის არარსებობა დაადგინა. სათანადო ფსიქიატრიული შემოწმების არარსებობამ გამოავლინა სამედიცინო მომსახურების მნიშვნელოვანი დეფექტები ფსიქიკურად დაავადებული პირის მიმართ, რომელსაც სუიციდიზმის რისკები აღენიშნებოდა.

100. წინამდებარე საქმის მასალებიდან ცნობილია, რომ 1994 წლის 13 დეკემბრის 8:00 საათიდან 1994 წლის 14 დეკემბრის 12:30-მდე განმცხადებელი სამეთვალყურეო საკანში მოათავსეს, რადგან მან გაანცხადა, რომ კლასტროფობიით იტანჯებოდა და თვითმკვლელობა გადაწყვიტა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პერიოდი განმცხადებლის დაკავების პირველ დღეს ეხება, ვიდრე ხელისუფლება მის სამართლო პატიმრობაში მოათავსებას გადაწყვეტდა.

ამასთანავე, სასამართლო შენიშნავს, რომ ამ თექვსმეტსაათნახევრიანი პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი 36-ჯერ მონახულეს დაწესებულების თანამშრომლებმა, ორჯერ კი – სამედიცინო პერსონალმა.

101. სამართლო პატიმრობაში ყოფნისას, 1994 წლის 14 დეკემბრიდან 1995 წლის 28 ნოემბრამდე, განმცხადებელს რეგულარულად ხვდებოდნენ სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლები: 27-ჯერ – ექიმები, 43-ჯერ – ექთნები, 22-ჯერ – ფიზიოთერაპევტები და რამდენჯერმე – სტომატოლოგი.

რაც შეეხება ექიმების მიერ 27-ჯერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმების ანგარიშებს, შემდეგი საკითხებია მნიშვნელოვანი:

102. 1995 წლის 11 იანვარს ექიმმა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმა და საძილე საშუალებების მიცემა შეუწყვიტა. ექიმმა დადგინა, რომ განმცხადებელი კლასტროფობიას აღარ უჩიოდა და ფიზიკური ვარჯიშების

ჩატარება ურჩია, რათა ქიმიური პრეპარატებით გამოწვეული ძილის სანაცვლოდ ბუნებრივი დადლისათვის მიეღწია.

103. 1995 წლის იანვრის მეორე ნახევარში განმცხადებელმა შიმშილობა გამოაცხადა, თუმცა ხილის წვენებს იღებდა. ამის გამო, 16-დან 18 იანვრამდე ექიმები მის ჯანმრთელობაზე ყოველდღიურ მეთვალყურეობას ატარებდნენ. 17 იანვარს მან განაცხადა, რომ გადაწყვიტა შიმშილით დაიღუპოს. ექიმმა მას გააცნო დანიის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომ პატივი უნდა სცენ გონებრივად საღი ადამიანების სურვილს, თუნდაც ეს სურვილი სიკვდილი იყოს.

ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელი ფსიქიკურად ჯანმრთელი იყო და ექიმი დაეთანხმა განმცხადებლის სურვილს, არ ჩატარებოდა სამედიცინო დახმარება, ანუ ხელოვნური კვება მომავალში პოტენციურად ფატალური დასუსტების შემთხვევაში.

ამას გარდა, ექიმებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელი ფიზიკურად ჯანმრთელი იყო აცეტონის სუნის გარეშე, როგორც ეს, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი მოვლენაა შიმშილობის შემთხვევაში.

ექიმმა განმცხადებელს საძილე საშუალებები იმ ერთი დამისათვის გამოუწერა. დაწესებულების შინაგანაწესის თანახმად, ექიმმა ასევე მოითხოვა განმცხადებლის ფსიქიატრიული შემოწმება – ეს წესი მოქმედებს პატიმრის შიმშილობის შემთხვევაში, თუნდაც ფსიქიკური დარღვევის არანაირი სიმპტომი არ არსებობდეს.

მომდევნო დღეს, 18 იანვარს, განმცხადებელმა ექიმს შეატყობინა, რომ მან სითხე მიიღო, მაგრამ ფიქრობს, რომ 3 კვირაში დაიღუპება. ექიმმა დაადგინა, რომ განმცხადებელი ფიზიკურად ნორმალურ პირობებში იმყოფება, დეჰიდრაციის ყოველგვარი ნიშნის გარეშე.

რაც შეეხება განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობას, ექიმი ელოდებოდა ფსიქიატრიული შემოწმების შედეგებს, რომელიც დაგეგმილი იყო იმავე დღეს.

*თავის მოხსენებაში ფსიქიატრი წერდა:*

“ვიზიტი 30 წლის მამაკაცთან, ბრალდებული [სისხლის სამართლის კოდექსის] 191-ე მუხლის მიხედვით, რაშიც იგი, მისი განმარტებით, უდანაშაულოა. ამჟამად იგი შიმშილობს იმის საპროტესტოდ, რომ პრესამ და სხვებმაც მას წინასწარ დასდეს მსჯავრი და მას ამ აქტის შედეგები კარგად აქვს გაცნობიერებული. ამჟამად წერს დასამშვიდობებელ წერილებს, ანდერძს, და სხვ.

*დიაგნოზი: სიტუაციური რეაქცია”.*

შესაბამისად, ვიდრე განმცხადებელი შიმშილობის შეწყვეტას გადაწყვეტდა, დაახლოებით, 12-დღიანი პერიოდის განმავლობაში განმცხადებელს ექიმი კვირაში ორჯერ ეწვია.

104. 1995 წლის მარტში განმცხადებელს ეპილეფსიის დადგენის მიზნით სკანირება ჩატარდა. 1995 წლის 1 მაისს განმცხადებელი ექიმმა გასინჯა, რადგან იგი წელის არეში ტკივილს უჩიოდა. ექიმმა განკარგულება გასცა, მისთვის დამატებითი ლეიბის გამოყოფისა და ფიზიოთერაპევტის მიერ მისი შემოწმების შესახებ.

105. 1995 წლის 12 დეკემბერს განმცხადებელმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა სამარტოლ პატიმრობაში დარჩენაზე, რაც მან ნებაყოფლობით მოითხოვა 1998 წლის 28 ნოემბრიდან, როდესაც სასამართლომ მისი სამარტოლ პატიმრობა გააუქმა.

ამას გარდა, ნებაყოფლობით დარჩა რა სამზარეულოში საქმეების შესასრულებლად, მასზე მეთვალყურეობას ექიმი ახორციელებდა: კოპენჰაგენის დაწესებულებების მთავარი კონსულტანტის განცხადებით, მიუღებელია, რომ ფსიქიკური დარღვევების მქონე ან გამოკვეთილად დევიაციური ქცევის პატიმრებმა სასაბუღალტრო იმორიგეონ.

106. საქმეში არსებული მასალების საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ სამედიცინო პერსონალი განმცხადებელს რეგულარულ მეთვალყურეობას უწევდა. როგორც კი განმცხადებელი თავის განწყობაში ან ქცევაში რაიმე ცვლილებას ავლენდა, ექიმები მაშინვე რეაგირებდნენ და ზრდიდნენ კიდევ მისი შემოწმების რაოდენობას.
107. გარდა საქმის მასალებში წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნებისა, სასამართლო იხსენებს, *inter alia*, 1998 წლის 2 ოქტომბერს კოპენჰაგენის დაწესებულებების მთავარი კონსულტანტის განცხადებას. ის ეჭვქვეშ არ აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ განმცხადებელს ფსიქოტიკური მდგომარეობა დაუდგინდა 1997 წლის 8 დეკემბრიდან 1998 წლის 19 იანვრამდე ჩატარებული ფსიქიატრიული დაკვირვებების შედეგად (სამარტო პატიმრობის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ), მაგრამ იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ განმცხადებელს სერიოზული ფსიქოლოგიური დაავადება (ფსიქოზის ან ფსიქოზის მომიჯნავე სტადია) სამარტო პატიმრობის პერიოდში – 1994 წლის 13 დეკემბრიდან 1996 წლის 14 მაისამდე.

ამას გარდა, მან ხაზგასმით განაცხადა, რომ 1995 წლის 18 იანვრის ფსიქიატრიული შეფასება ადმინისტრაციული მოსაზრებებით მომზადდა მხოლოდ იმის გამო, რომ განმცხადებელი შიმშილობდა. ამრიგად, ეს შემოწმება იმიტომ კი არ ჩატარდა, რომ დაწესებულების ექიმმა განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით რაიმე საეჭვო ან გაურკვეველი ვითარება შენიშნა: არც დაწესებულების ექიმსა და არც ფსიქიატრს განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით რაიმე სახიფათო ან საგანგაშო არ შეუნიშნავთ.

უმაღლესი სასამართლოს წინაშე მთავარმა კონსულტანტმა გაიმეორა, რომ არცერთ მაღალკვალიფიციურ ექიმსა და ექთანს, რომლებიც განმცხადებელს უვლიდნენ შესაბამის პერიოდში, მისი ფსიქიკის დარღვევის არანაირი სიმპტომი არ დაუფიქსირებიათ. მან ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნულ ექიმებსა და ექთნებს სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვთ და კარგად იციან, საწყის ან არსებობის ეტაპზე ფსიქიკური დაავადებებს რა ნიშნები ახასიათებს.

ამისდა მიუხედავად, არავითარი სიმპტომი არ აღმოჩენილა, რომელიც განმცხადებლის მდგომარეობას იზოლაციის სინდრომის კვალიფიკაციას მისცემდა. ამ სინდრომის სიმპტომებს წარმოადგენს კონცენტრაციის უნარის გართულება, ძილის პრობლემები, დროისა და ადგილის გართულებული აღქმა, გრძნობითი იმპულსების ადგუნებული ინტერპრეტაცია, დეპრესია შესაძლო თვით-განადგურების სურვილით, შიშის შემოტევები, გარემოსადმი ინტერესის არარსებობა.

საწყის სტადიაზე არსებული იზოლაციის სინდრომი შეიძლება გადაიზარდოს ფსიქოზის მომიჯნავე სტადიასა (რომლის სიმპტომებია: ილუზიები და პარანოია, არარეალურის წარმოსახვა) და ფსიქოზში. როდესაც ეჭვი ჩნდება იზოლაციის სინდრომის ჩამოყალიბებაში, იგი წერილობით მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელობას ამის შესახებ და სთხოვს, ეს ინფორმაცია გადაუგზავნონ ადვოკატსა და პროკურორს. მაგალითად, 1998 წელს მოწმემ ამგვარი წერილები მოამზადა 32

საქმეზე. მას ზუსტად არ ახსოვდა, 1995 წელს რამდენი ასეთი წერილი მოამზადა, მაგრამ მას ეს პრაქტიკა 1992 წლიდან არ შეუცვლია.

108. ამგვარ ვითარებაში, სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო მომსახურება ადეკვატური და საკმარისი არ იყო. ცნობილია ისიც, რომ განმცხადებელი ფსიქოლოგსა და ფსიქიატრს რეგულარულად არ შეუმოწმებია. ამისდა მიუხედავად, სასამართლოს მოსაზრებით, ამგვარი ზოგადი ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროს ხელისუფლებას იმ მიზნით, რომ სახელმწიფომ სამარტო პატიმრობაში მყოფ პირებზე ეფექტური მეთვალყურეობა შეასრულოს.

109. და ბოლოს, სასამართლო განმცხადებლის დედის, ბიძაშვილის, დაწესებულების კაპელანისა და მასწავლებლის მიერ საქალაქო სასამართლოში მიცემული ჩვენებებზე მიუთითებს (იხ. § 48-51). ოთხივე მოწმემ არ დაადასტურა, რომ განმცხადებელს ფსიქიკური დარღვევები სამარტო პატიმრობაში ყოფნის დროს განუვითარდა. ამავე დროს, განმცხადებლის სამარტო პატიმრობაში ყოფნისას არც ერთს არ უცნობებიათ მათი შეხედულებებისა და შეშფოთების შესახებ სასამართლოს, ადვოკატისა და დაწესებულების ადმინისტრაციისათვის, არც ექთნისა თუ ექიმისათვის.

როგორც კოპენჰაგენის დაწესებულებების მთავარი კონსულტანტის ჩვენებებიდან ჩანს, იზოლაციის სინდრომის საწყისი სტადიის შესახებ ეჭვის შემთხვევაშიც კი, დაწესებულების ხელმძღვანელობისათვის წერილობითი მოხსენების წარდგენა მის ზოგად პრაქტიკას წარმოადგენდა, ადვოკატისა და პროკურორისათვის გადაცემის მიზნით.

110. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ რაკი არსებობდა დაწესებულებაში ყოფნის პირობებზე ეფექტური მონიტორინგი, სამედიცინო მომსახურება ან ფსიქიატრიული შემოწმება, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

#### **ზემოხსენებულის ბათვალისწინებით, სასამართლო**

ადგენს ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ არ ჰქონდა ადგილი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და გამოცხადებულია 2005 წლის 21 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სანტიაგო კესადა  
რეგისტრატორის მოადგილე

კრისტოს როძაკისი  
პრეზიდენტი



**CONSEIL  
DE L' EUROPE**



**COUNCIL  
OF EUROPE**

**COURE EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS**

**მუსამე სექცია**

**რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ**

**CASE OF ROMANOV v. RUSSIA**

(ბანაცხელი № 63933/00)

**ბაღაწყვეტილება**

**სტრასბურგი**

**20 ოქტომბერი, 2005**

**ძალაშია  
20/01/2006**

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შევა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში გაწერილი პირობების შესაბამისად. იგი შეიძლება, დაექვემდებაროს სარედაქციო გადასინჯვას



## საქმეზე რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია), პალატის შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი: ბ.მ. ზუპანჩიჩი, პრეზიდენტი

ბატონი: ჰ. ჰელიგანი,

ბატონი: ლ. კაფლიჩი,

ქალბატონი: მ. ცაცა-ნიკოლოვსკა

ბატონი: ა. კოვლერი,

ბატონი: ვ. ზაგრაბელსკი,

ბატონი: ე. მეიერი, მოსამართლეები

და ბატონი ვ. ბერგერი, სექციის რეგისტრატორი,

2004 წლის 1 აპრილს და 2005 წლის 29 სექტემბერს დახურულ კარს მიღმა გამართული განხილვის შედეგად, იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

### პროცედურა

1. საქმე სათავეს იღებს 2000 წლის 16 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) 34-ე მუხლის შესაბამისად, რუსეთის მოქალაქე ბატონი ილია ფიოდორის ძე რომანოვის (განმცხადებელი) მიერ შეტანილ განაცხადში (განაცხადი № 63993/00).
2. განმცხადებელი, რომელსაც მიენიჭა სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის უფლება, სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი იყო ბატონი: ა.ა. რეკანტის მიერ, რომელიც მოსკოვში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის *Комитет за Гражданские Права* წევრია.
3. განმცხადებლის მტკიცებით, “ბუტირსკის” ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არსებული პირობები, რომელშიც იგი განთავსებული იყო ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში, კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი გახანგრძლივებული პატიმრობაში ყოფნა კონვენციის მე-5 (3) მუხლის მოთხოვნებსაც ეწინააღმდეგებოდა. განმცხადებლის მტკიცებით, სასამართლოს წინაშე გამოუცხადებლობა ასევე წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.
4. განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მესამე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52 (1) წესი). მოცემულ სექციაში საქმის განხილველი პალატა (კონვენციის 27 (1) მუხლი) დაკომლექტებული იყო 26 (1) წესის შესაბამისად.
5. 2004 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად გამოაცხადა.
6. განმცხადებელმა და მთავრობამ საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით საკუთარი მიმოხილვები წარმოადგინეს (59.1. წესი). პალატამ, მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, გადაწყვიტა, რომ საქმის არსებითი განხილვისათვის ზეპირი მოსმენის აუცილებლობა არ არსებობდა (59 (3) წესი). მხარეებმა შესაგებელი წერილობითი სახით წარმოადგინეს.
7. 2004 წლის 1 ნოემბერს, სასამართლოს შემადგენლობა შეიცვალა (25 (1) წესი) და საქმე ახლად დაკომლექტებულ მე -3 სექციას (52 (1) წესი) განსახილველად გადაეცა.

## შახტაბი

### I. საქმის ბარემოებები

8. განმცხადებელი დაბადებულია 1967. საქმის გარემოებების მიხედვით, იგი ამჟამად დაკავებულია უკრაინაში.

#### ა. განმცხადებლის პატიმრობა

9. განმცხადებელი დაკავებული იქნა 1998 წლის 12 ოქტომბერს საპატრულო პოლიციის მიერ და გადაყვანილი იქნა პოლიციის განყოფილებაში. დაკავების მომენტში იგი, სავარაუდოდ, ინტოქსიკაციის მდგომარეობაში იმყოფებოდა. პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ განმცხადებელი გაჩხრიკეს და ჩხრეკის შედეგად, გარკვეული რაოდენობის მარისუანა ამოღებული იქნა.

10. 1998 წლის 13 ოქტომბერს, 12:15 წუთზე განმცხადებელი მოსკოვის, აკადემიჩესკის რეგიონული გამომძიებლის გადაწყვეტილების საფუძველზე დააკავეს. დაკავების საფუძველს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნასა და ფლობასთან დაკავშირებული ეჭვი. წარმოადგენდა გამომძიებლის გადაწყვეტილებას საფუძველად ედო ვარაუდი, რომ განმცხადებელს შეიძლებოდა პასუხისმგებლობისთვის თავი აერიდებინა და ეფექტიანი გამოძიებისათვის ხელი შეეშალა.

11. იმავე დღეს განმცხადებელს ბრალად წაეყენა ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შექმნა, მოხმარება და ფლობა.

12. 1998 წლის 15 ოქტომბერს გამომძიებელმა განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილება იმავე დღეს საჯარო ბრალმდებელმა დაამტკიცა. გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილებული იყო განმცხადებლის პიროვნებაზე, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე და იმ რისკზე, რომელიც ბრალდებულის მიმალვასთან იყო დაკავშირებული.

13. 1998 წლის 16 ოქტომბერს განმცხადებელი გადაიყვანეს მოსკოვის “ბუტრიცკის” საპატიმრო დახესებულებაში იზ – 48/2.

14. საგამომძიებო ორგანოების გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ფსიქიატრიული გამოკვლევა ჩაუტარდა.

15. 1998 წლის 19 ნოემბერს იგი მოსკოვის ალექსეევის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექსპერტებმა შეამოწმეს. იმის გამო, რომ ექსპერტებს გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ, განმცხადებელი, შემდგომი გამოკვლევის მიზნით, გადაიყვანეს მოსკოვის სერბსკის სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, სადაც მას გამოკვლევები ჩაუტარდა 1998 წლის 10 დეკემბერს და 1999 წლის 6 იანვარს. დადგინდა, რომ წარსულში განმცხადებელი ფსიქიურად დაავადებული არ ყოფილა. ექსპერტთა კომისიის მიერ, ასევე დადგენილი იქნა, რომ განმცხადებელს მძიმე ფორმის ასოციალური პერსონალური აშლილობა (თანდაყოლილი ფსიქოპათია) აწუხებდა, რის გამოც მისი პასუხისმგებლობაში მიცემა არ შეიძლებოდა. კომისიის მიერ ასევე რეკომენდირებული იქნა, რომ განმცხადებელს ფსიქიატრიულ მკურნალობა საშინაო პირობებში გაეკვლო.

16. გამოძიების პერიოდი და განმცხადებლის პატიმრობა პროკურატურის მიერ ორჯერ იქნა გაგრძელებული. პირველად ეს მოხდა 1999 წლის 12 იანვარს და მეორედ – 1999 წლის 12 თებერვალს.

17. 1999 წლის 10 თებერვალს გამოდიება დასრულდა და საქმე განსახილველად მოსკოვის გაგარინსკის რეგიონულ სასამართლოს გადაეგზავნა.

### **ბ. სამართალწარმოება სასამართლოში**

18. 1999 წლის 28 ივნისს გაგარინსკის რეგიონულმა სასამართლომ უარყო რა განმცხადებლის შუამდგომლობა გათავისუფლების შესახებ, განმეორებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნა. 1999 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, მოსკოვის სააპელაციო სასამართლომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

19. განმცხადებლის შემოწმებამ, სერბსკის სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ინსტიტუტის მიერ, 1999 წლის 25 სექტემბერს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აჩვენა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის თვალსაზრისით. თუმცა, იმის გამო, რომ კომისიას განმცხადებლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანა გაუჭირდა, რეკომენდირებული იქნა მისი სტაციონარულ პირობებში შემოწმება.

20. 1999 წლის 20 სექტემბერს საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო განმცხადებლის სტაციონარულ პირობებში შემოწმების შესახებ. შემოწმება მოხდა სერბსკის სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ინსტიტუტის მიერ, 1999 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე. ექსპერტთა კომისიამ დაასკვნა, რომ განმცხადებელი ფსიქოპათიით იყო დაავადებული და, დანაშაულის ჩადენის მომენტში, არ მისი ქმედების შედეგების გაცნობიერება. ასევე დადგინდა, რომ განმცხადებელი საჭიროებდა სავალდებულო მკურნალობას, შესაბამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

21. საქმის განხილვა სასამართლოში რამდენიმეჯერ გადაიდო იმ მოტივით, რომ სათანადო წესით გამოძახებულ მოწმეთა სასამართლოს წინაშე გამოცხადება არ მოხდა. 2000 წლის 22 თებერვალს და 3 მარტს მიღებული გადაწყვეტილებებით, სასამართლომ რეგიონულ პოლიციას მოწმეთა სასამართლოს წინაშე გამოცხადების უზრუნველყოფა უბრძანა.

22. 2000 წლის 10 მარტს საოლქო სასამართლომ ისევ უარყო დაცვის მხარის შუამდგომლობა განმცხადებლის გათავისუფლების შესახებ და განაცხადა შემდეგი:

“დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, შუამდგომლობა ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ ვერ იქნება დაკმაყოფილებული”.

23. იმავე დღეს სასამართლომ უარყო განმცხადებლის თხოვნა სასამართლოს წინაშე პირადად გამოცხადების თაობაზე, იმაზე მითითებით, რომ მოცემული პერიოდისათვის ავადმყოფი პატიმრების სასამართლოში გადაყვანა საპატიმრო დაწესებულებიდან იხ 48/2 არ ხდებოდა.

24. 2000 წლის 3 აპრილს საოლქო სასამართლომ ისევ უარყო განმცხადებლის თხოვნა სასამართლოს წინაშე გამოცხადების თაობაზე იმავე საფუძველზე მითითებით. დამატებით, სასამართლომ ასევე აღნიშნა რომ იმ პირის ჩვენება, რომელიც კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად შეურაცხადად იქნა მიჩნეული, არ შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო, როგორც მტკიცებულება. სასამართლომ ასევე უარყო განმცხადებლის ადვოკატის შუამდგომლობა, რომლითაც იგი საპატიმრო დაწესებულების მიერ ტრანსპორტირებაზე უარის თქმის ფაქტის გამოძიებას ითხოვდა.

25. 2000 წლის 4 აპრილს სასამართლომ საჯარო მოსმენაზე, რომელსაც პროკურორი და განმცხადებლის ადვოკატი ესწრებოდნენ, საქმის არსებითი მხარე განიხილა. სასამართლომ ასევე მოუსმინა ექსპერტს, რომელიც ითხოვდა განმცხადებლის სავალდებულო მკურნალობას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ადვოკატის შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა იმ ექსპერტის მოსმენას, ვინც განმცხადებლის სტაციონარულ პირობებში მკურნალობა აუცილებლობად არ მიიჩნია, დაკმაყოფილებული არ იქნა.
26. სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ განმცხადებელმა 1998 წლის 12 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე, პირადი მოხმარების მიზნით, შეიძინა მარიჰუანა, რომელსაც ფლობდა მანამ, სანამ პოლიციის მიერ სამი საათით მოგვიანებით მისი დაკავება არ მოხდა. აღნიშნული ქმედება მიჩნეულია დანაშაულად, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 228 (1) მუხლის საფუძველზე. თუმცა, სპეციალიზირებული კომისიის დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი დანაშაულის ჩადენის მომენტში საკუთარი ქმედების შედეგს ვერ აცნობიერებდა, რაც მისი პასუხისმგებლობის საკითხს გამორიცხავს. დამატებით სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სავალდებულო მკურნალობას საჭიროებდა.
27. განმცხადებლის ადვოკატმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება იმაზე მითითებით, რომ: სასამართლომ არ მოუსმინა განმცხადებელს პირადად მისი პიროვნული მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით; სასამართლომ არ მოუსმინა ექსპერტს, რომელმაც პირველად შეამოწმა განმცხადებელი. დაცვის მხარემ ასევე წარმოადგინა ცნობებები საპატიმრო დაწესებულებიდან, რომელთა მიხედვითაც, პატიმრობაში ყოფნისას იგი კანონის შესაბამისად იქცეოდა და წესრიგი არ დაურღვევია. დაცვის მიერ ასევე აღინიშნა ის ფაქტი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. იგი იყო მეოჯახე ადამიანი და მისი გარშემომყოფებისათვის არასდროს ზიანი არ მიუყენებია.
28. 2000 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით მოსკოვის საქალაქო სასამართლომ განმცხადებლის საჩივარი უარყო და აღნიშნა, რომ არსებითი განსხვავება ორ საქსპერტო დასკვნას შორის არ არსებობდა. მოცემულ გადაწყვეტილებაში ანმცხადებლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი გ.
29. 2000 წლის 23 მაისს განმცხადებელი დროებითი განთავსების იზოლატორი 48/2-დან მოსკოვის №7 ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ადაიყვანეს. მოგვიანებით კი გადაყვანილ იქნა ნიჟნი ნოვგოროდის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, საიდანაც 2001 წლის 22 თებერვალს გაანთავისუფლეს.
30. 2003 წლის 11 თებერვალს სასამართლომ, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, მთავრობასთან კომუნიკაცია დაამყარა.
31. 2003 წლის 24 აპრილს მოსკოვის პროკურორის ოფისმა მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, მოსკოვის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმში საჩივარი წარადგინა. პროკურორის მტკიცებით, სასამართლოს უნდა განემარტა პირველი ექსპერტის მოსაზრების იგნორირებისა და მისი გადაწყვეტილების მეორე ექსპერტის მოსაზრებაზე დაფუძნების თაობაზე. აღინიშნა, რომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ორივე ექსპერტიზის დროს, მეტნაკლებად ერთნაირი იყო.
32. 2003 წლის 5 ივნისს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ, დაეთანხმა რა პროკურორის არგუმენტებს, მოსკოვის გაგარინსკის ოლქის სასამართლოს 2000 წლის 25

აპრილის გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე გადაიგზავნა ამავე სასამართლოში სხვა შემადგენლობის მიერ, განხილვის მიზნით.

33. 2003 წლის 9 ივლისს რაიონულმა სასამართლომ პროკურორისა და განმცხადებლის ადვოკატის თანხლებით მოსმენა ჩაატარა. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა ნარკოტიკული ნივთიერებები უკანონოდ შეიძინა, თუმცა სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, გამორიცხული უნდა ყოფილიყო. დამატებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი არ საჭიროებდა სავალდებულო სამედიცინო მკურნალობას, რასაც იგი უკვე დაექვემდებარა, 2000 წლის 4 აპრილის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
34. განმცხადებლის ადვოკატმა გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება იმ არგუმენტით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ჩატარებულ ზეპირ მოსმენას თავად განმცხადებელი არ ესწრებოდა.
35. 2003 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება გააუქმა და შეწყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოება განმცხადებლის მიმართ 2000 წლის 26 მაისის ამნისტიის აქტის საფუძველზე.

### **გ. პატიმრობის პირობები იზოლატორ 28/2-ში**

36. განმცხადებელი 1998 წლის 16 ოქტომბრიდან 2000 წლის 23 მაისამდე იმყოფებოდა ბუტირსკის იზოლატორ 48/2-ში, რომელიც ასევე მოიხსენიებოდა როგორც – “სიზო-2”.
37. განმცხადებელი, თავდაპირველად, საერთო რეჟიმის საკანში იყო განთავსებული. მას შემდეგ, რაც მას ჩაუტარდა ფსიქიატრიული გამოკვლევა 1999 წლის იანვარში, იგი “სიზო-2”-ის ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

### **1. განმცხადებლის პოზიცია**

#### **(ა) საკანი 404**

38. განმცხადებლის მტკიცებით, იგი 1999 წლის 6 იანვრიდან ამავე წლის 28 აპრილამდე და 1999 წლის 24 დეკემბრიდან 2000 წლის 25 მაისამდე, 404-ე საკანში იმყოფებოდა.
39. საკნის ფართობი წარმოადგენდა 32კვ.მ-ს. საკნის სიმაღლე იყო 3მ. და მას ჰქონდა ორი 1/7მ. ფართობის ფანჯარა, რომლებიც დაფარული იყო ქაღალუხებით: 6 სმ-იანი დამცავი ფირფიტები განთავსებული იყო 45 გრადუსიანი დახრით, რაც პატიმრებს ფანჯრის მიღმა რაიმეს დანახვის შესაძლებლობას არ აძლევდა და ასევე ხელს უშლიდა ბუნებრივი სინათლის საკანში შეღწევას.
40. საკანი განათებული იყო ერთი 40-დან 60 ვატამდე ნათურით. საკანის ტემპერატურა ზამთარში 15-დან 16 გრადუსამდე იყო.
41. საკანში ცხელი წყალი მოდიოდა და პატიმრები რელიგიური პერსონალისგან დასაბან საშუალებებს იღებდნენ.
42. პატიმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კვირაში ერთხელ, 15-20 წუთის განმავლობაში, შხაპი მიეღოთ.
43. საკნის გარეთ გასეირნების ხანგრძლივობა, რომელიც ხდებოდა საპატიმროს სახურავზე, 30-40 წუთს არ აღემატებოდა.

44. საკანში განთავსებული იყო 24 ორიარუსიანი საწოლი და 26 პატიმარი.
45. განმცხადებელს, ისევე როგორც სხვა პატიმრებს, ხშირად არ ჰქონდათ ქვეშაგები. განმცხადებელი ასევე არ იქნა უზრუნველყოფილი ჯამ-ჭურჭლით. შედეგად – მან შიმშილობა დაიწყო და საჩივარი იუსტიციის სამინისტროში წარადგინა. განმცხადებელი და მისი თანამოსაკნეები ქვეშაგებით და ჯამ-ჭურჭლით მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ დააკმაყოფილეს.

**(ბ) საკანი 415**

46. 1999 წლის 28 აპრილს განმცხადებელი განთავსებული იქნა 415-ე საკანში, სადაც მან 1999 წლის სექტემბრამდე დაჰყო.
47. საკანი იყო 11,25კვ.მ. საკნის სიმაღლე იყო 3მ. და მას ჰქონდა 2,9კვ.მ-იანი ფანჯარა, რომელიც აღჭურვილი იყო 404-ე საკნის მსგავსი ჟალუზით. საკანში განთავსებული იყო ექვსი ორიარუსიანი საწოლი და სამიდან ხუთ პატიმრამდე იმყოფებოდა.
48. 1999 წლის ზაფხული მოსკოვში განსაკუთრებით ცხელი იყო. მაშინ, როდესაც საკნის გარეთ ჰაერის ტემპერატურა 40 გრადუსი იყო, საკანში 50 გრადუსს აღწევდა. ჟალუზები მზისაგან ცხელდებოდა და გამათბობლის ეფექტს ქმნიდა. საკანში ჰაერის ვენტილაციის ხელშეწყობის მიზნით, ციხის ადმინისტრაცია საკნის კარებში საკვების მიწოდებისათვის გაკეთებულ მცირე ზომის სარკმელებს ღიად ტოვებდა. თუმცა, აღნიშნული მდგომარეობას რეალურად ვერ ცვლიდა.
49. განმცხადებლის მოცემულ საკანში ყოფნის პერიოდში საკნის დეზინფიცირება ჩატარდა მხოლოდ ერთხელ.

**(გ) საკანი 408**

50. 1999 წლის სექტემბერში განმცხადებელი გადაყვანილი იქნა 408-ე საკანში, რომელიც 404-ე საკნის მსგავსი იყო იმ განსხვავებით, რომ 408-ე საკნის ფანჯრები აღჭურვილი იყო გალიის მსგავსი დამცავი ჟალუზებით, რაც პატიმრებს ფანჯარასთან მიახლოების შესაძლებლობას არ აძლევდა.
51. 1999 წლის 24 ნოემბერს განმცხადებელი გადაყვანილი იქნა სერბსკის სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტში ფსიქიატრიული შემოწმების მიზნით, საიდანაც ერთი თვის შემდეგ იგი უკან, 404-ე საკანში გადაიყვანეს.

**(დ) ზოგადი მიმოხილვა**

52. სამედიცინო მომსახურების ხარისხი უკიდურესად დაბალი იყო. ბუტირსკის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ყოფნისას განმცხადებელი ფსიქიატრს ერთხელაც არ შეუმოწმებია. 1999 წლის მაის-ივნისში განმცხადებელი ავად გახდა. მისი არაერთი თხოვნა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ არ დააკმაყოფილეს ერთი თვის განმავლობაში, ვიდრე განმცხადებელი შიმშილობის დაწყებით არ დაიმუქრა. იგი პედიკულოზით ორჯერ დაავადდა 1999 წლის 25 აგვისტოს სერბსკის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის დასკვნის თანახმად, პატიმრობის პერიოდში განმცხადებელი დაავადებული იყო მუნიტ. განმცხადებლის მტკიცებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე საპატიმრო პირობების გამო გაუარესდა.
53. განმცხადებელი არაერთხელ გახდა ციხის თანამშრომლების მიერ სულიერად ავადმყოფი პატიმრების ცემის თვითმხილველი.

54. საკნები ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არასდროს შემოწმებულა. საკნების ვენტილაცია საკმარისი არ იყო. საკნები მცირე რაოდენობის და დაბალი ხარისხის იყო.
55. დაახლოებით თვეში ერთხელ, ციხის თანამშრომლები საკნებს აკრძალული ნივთების ამოღების მიზნითამოწმებდნენ. ამ დროს ხშირად პატიმართა პირადი ნივთები იკარგებოდა.
56. წიგნების არჩევანი უკიდურესად მწირი იყო.

## 2. მთავრობის პოზიცია

57. მთავრობის 2004 წლის 21 ივნისის მიმოხილვის თანახმად, რომელიც ეფუძნებოდა “სიზო-2”-ის ხელმძღვანელის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, განმცხადებელი სხვადასხვა დროს განთავსებული იყო სამ სხვადასხვა საკანში: საკანი 415 – 1999 წლის 25 აპრილიდან ამავე წლის 9 სექტემბრამდე (ფართი - 14/8კვ.მ. სიმაღლე - 3,5მ. ერთი ფანჯარა, ოთხი ორიარუსიანი საწოლი, საპირფარეშო, ხელსაბანი, ცივი წყლის ონკანი და ბუნებრივი ვენტილაცია ფანჯრის მეშვეობით); საკანი 408 – 1999 წლის 9 სექტემბრიდან 2000 წლის 19 იანვრამდე (ფართი - 34,9 კვ.მ. სიმაღლე - 3,5მ. ორი ფანჯარა, ცხრა ორიარუსიანი საწოლი, საპირფარეშო, ხელსაბანი, ცივი წყლის ონკანი და ბუნებრივი ვენტილაცია ფანჯრის მეშვეობით); საკანი 404 – 2000 წლის 19 იანვრიდან ამავე წლის 23 მაისამდე (ფართი 35,6კვ.მ. სიმაღლე - 3,5მ. ორი ფანჯარა, ათი ორიარუსიანი საწოლი, საპირფარეშო, ხელსაბანი, ცივი წყლის ონკანი და ბუნებრივი ვენტილაცია ფანჯრის მეშვეობით).
58. მთავრობის 2004 წლის 24 დეკემბრის წერილის თანახმად, 1999 წლის 10 იანვრიდან 2000 წლის 23 მაისამდე განმცხადებელი 408-ე და 415-ე საკნებში იყო განთავსებული.
59. მთავრობამ აღიარა, რომ საკნები გადატვირთული იყო. განმცხადებლის პატიმრობისას 22 ადგილიან 408-ე საკანში განთავსებული იყო 35 პატიმარი.
60. მთავრობის წერილის თანახმად, საკნის ფანჯრები ლითონის ჟალუზებით დაფარული არ იყო. აღნიშნულის დასადასტურებლად, მითითება გაკეთდა ჯანდაცვის სამინისტროს 2004 წლის 11 მაისის რეპორტზე, რომელიც “სიზო-2”-ის შემოწმების შედეგად იქნა მომზადებული: “არცერთი ზემოთხსენებული საკანი (404-ე, 408-ე და 415-ე) არ არის აღჭურვილი ჟალუზებით.”
61. ციხის ადმინისტრაცია ახორციელებდა საკნების ყოველდღიურ შემოწმებას, რომლის მიზანიც დაზიანებული მინების და გადამწვარი ნათურების შეცვლა იყო. ნებისმიერი აღმოჩენილი დაზიანება უმოკლეს დროში აღმოიფხვრებოდა. საკნების შემოწმებას, ასევე ახორციელებდა ჯანდაცვის სამინისტრო, რომელიც ამოწმებდა ისეთ საკითხებს, როგორცაა – გათბობა, ვენტილაცია და განათება. შესაბამისი მოხსენებები არ შეიცავს მითითებებს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საკნებში არსებული სტანდარტები ირღვეოდა.
62. განმცხადებელი ყოველდღიური ერთსაათიანი გასეირნების უფლებით სარგებლობდა. გასეირნება ხდებოდა დაწესებულების სახურავზე განთავსებულ სპეციალურ სასეირნო ადგილებში, რომელთა ფართობი იყო 10,4-დან 52,8კვ.მ-მდე.
63. პატიმრები დღეში სამჯერ ცხელ კერძს იღებდნენ. განმცხადებელს, ასევე ჰქონდა შესაძლებლობა, საკნები საპატიმრო დაწესებულების მაღაზიაში შეეძინა და ამანათები მიეღო ოჯახის წევრებისგან და ნათესავებისგან.

64. რაც შეეხება გადამდები დაავადებების პრევენციას, ამ მიზნით ყველა მიღებული პატიმარის სამედიცინო შემოწმება ხდებოდა და, საჭიროების შემთხვევაში, მათ მკურნალობა უტარდებოდათ. პატიმრებს შეეძლოთ, კვირაში ერთხელ მიეღოთ შხაპი, რომლის ხანგრძლივობაც სულ მცირე – 15 წუთს შეადგენდა.
65. განმცხადებელს, ისევე როგორც სხვა პატიმრებს, ჰქონდა ადეკვატური სამედიცინო დახმარება. პატიმრები, რომელთაც მუნი აღმოაჩნდებოდათ, იზოლირებულ საკანებში გადაჰყავდათ. განმცხადებლის პატიმრობის პერიოდში ინფექციური დაავადებების გავრცელების მასობრივი შემთხვევა დაფიქსირებული არ ყოფილა. დაწესებულების სამედიცინო პერსონალი თითოეულ საკანს მორიგეობით ამოწმებდა. გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ხდებოდა როგორც დაწესებულებაში, ასევე პენიტენციური სისტემის სპეციალიზირებულ საავადმყოფოებში ან სამოქალაქო საავადმყოფოებში.
66. განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩანაწერები განადგურებულ იქნა მათი შენახვისათვის გათვალისწინებული ვადის ამოწურვის გამო. რაც შეეხება ჩანაწერებს, თითოეულ საკანში პატიმართა რაოდენობის შესახებ, აღნიშნულიც განადგურდა, შენახვისათვის სავალდებულო ერთწლიანი ვადის ამოწურვის გამო.

## II. შუსაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა

### A. 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

#### 1. წინასწარი პატიმრობა

##### *მუხლი 11 (1).* პირადი ხელშეუხებლობა

“არავინ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლოს ან პროკურორის გადაწყვეტილება”

##### *მუხლი 89 (1).* აღმკვეთი ღონისძიების გამოყენება

“როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ბრალდებული პირი შესაძლოა მიემალოს გამოძიებას, ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ან ჩაიდინოს დანაშაული, ასევე სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, გამოძიების მწარმოებელმა პირმა, ასევე გამოძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ, შეიძლება გამოიყენოს შემდეგი სახის აღმკვეთი ღონისძიებები: წერილობითი ვალდებულება გარკვეული ადგილის დაუტოვლობის შესახებ, პირადი გარანტია ან გარანტია საჯარო დაწესებულებიდან, ან პატიმრობა.”

##### *მუხლი 92.* გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე

“აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებისას, გამოძიების მწარმოებელი პირი, გამოძიებელი, და პროკურორი ვალდებული არიან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღონ. სასამართლომ კი უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც მიეთითება ის დანაშაული, რომლის ჩადენაშიც კონკრეტული პირი არის ეჭვმიტანილი და ასევე განიმარტება კონკრეტული აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველები. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ პირს უნდა ეცნობოს პირდაპ. მას ასევე უნდა განემარტოს გასაჩივრების პროცედურა.

პირი უფლებამოსილია, მიიღოს მის წინააღმდეგ გამოხენებული აღმკვეთი ღონისძიების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ასლი.”

**მუხლი 96.** წინასწარ პატიმრობაში მოთავსება

“აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-11 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია პატიმრობა – ერთ წელზე მეტი ვადით. გამონაკლის შემთხვევებში, წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამოყენებული იქნას იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლისთვისაც, სასჯელის სახით, გათვალისწინებულია ერთ წელზე ნაკლები.”

**მუხლი 97.** წინასწარი პატიმრობის ვადები

“დანაშაულის გამოძიების პერიოდში გამოყენებული წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს. მოცემული ვადა შეიძლება სამ თვემდე გაგრძელდეს საოლქო პროკურორის გადაწყვეტილებით, თუ დანაშაულის გამოძიება ვერ ხერხდება და თუ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველები არ არსებობს. წინასწარი პატიმრობის ვადის დამატებით ექვს თვემდე გაგრძელება დასაშვებია: განსაკუთრებული სირთულის მქონე საქმეებში, რუსეთის ფედერაციის ფედერალური პროკურორის მიერ.

ექვს თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადის გახანგრძლივება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში იმ პირებთან მიმართებაში, ვისაც ბრალად მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა ედებათ. აღნიშნული ვადის გაგრძელება ერთ წლამდე ვადით უნდა მოხდეს გენერალური პროკურორის მოადგილის, ხოლო თვრამეტ თვემდე ვადით – გენერალური პროკურორის თანხმობით. დაუშვებელია წინასწარი პატიმრობის ვადის დამატებით გაგრძელება. მოცემული ვადის ამოწურვისას პატიმრობაში მყოფი პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

გამოძიებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, გაცნობის მიზნით, უნდა გადაეცეს ბრალდებულსა და მის დამცველს, წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე.

**მუხლი 101.** აღმკვეთი ღონისძიების გაუქმება ან შეცვლა

“აღმკვეთი ღონისძიება უნდა გაუქმდეს, როდესაც მისი გამოყენების საჭიროება აღარ არსებობს ან შეიცვალოს უფრო მძიმე, ან მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიებით საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. აღმკვეთი ღონისძიების გაუქმების ან შეცვლისას გამოძიების მწარმოებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან საქმის სასამართლოსადმი გადაცემის შემდგომ, სასამართლო იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

გამოძიების მწარმოებელი პირის ან გამომძიებლის მიერ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება პროკურორის თანხმობას საჭიროებს.”

**მუხლი 223-1.** სასამართლო განხილვის დროის დანიშვნა

“იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებული წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, სასამართლო განხილვის დანიშვნა უნდა მოხდეს საქმის სასამართლოსათვის გადაცემიდან არაუგვიანეს 14 დღისა.”

**მუხლი 239.** საქმის განხილვის ვადა

“სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უნდა დაიწყოს განხილვის თარიღის დანიშვნიდან არაუგვიანეს 14 დღისა.”

## 2. შეურაცხადი პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებული პროცედურა

**მუხლი 407.** სასამართლო სხდომისათვის მოსამზადებელი ღონისძიებები

“სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ბრალდებული პირის პირადად მოსმენა, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სასამართლოს წინაშე გამოცხადებას შეუძლებელს ხდის.”

**მუხლი 409.** სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტა

“სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

1. ადგილი ჰქონდა თუ არა სისხლის სამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას, რომელიც იმავდროულად საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელი იყო;
2. იქნა თუ არა ჩადენილი ქმედება იმ პირის მიერ, რომელსაც ბრალად დანაშაულის ჩადენა ედება;
3. დანაშაული ჩადენის მომენტში აცნობიერებდა თუ არა პირი საკუთარი ქმედების შედეგს;
4. ქმედების ჩამდენ პირს განუვითარდა თუ არა სულიერი ავადმყოფობა, რომელიც შეუძლებელს ხდის მის მიერ საკუთარი ქმედების შედეგების გაცნობიერებას და ატარებს თუ არა აღნიშნული სულიერი აშლილობა დროებით ხასიათს;
5. საჭიროა თუ არა იძულებითი მკურნალობა და იძულებითი მკურნალობის რა სახე უნდა იქნას გამოყენებული.”

**მუხლი 410.** სასამართლოს გადაწყვეტილება

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი იყო პირის მიერ, რომელიც ქმედების ჩადენის მომენტში არ იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, სასამართლოს შეუძლია, პირს იძულებითი სამედიცინო მკურნალობა დაუნიშნოს თუ მის გარეშე პირი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ან გაათავისუფლოს იგი, თუ საზოგადოებრივ საშიშროებას საფრთხე არ ექმნება.”

## B. 1996 წლის სისხლის სამართლის კოდექსი

**მუხლი 99.** იძულებითი სამედიცინო ღონისძიებები

1. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს იძულებითი მკურნალობის შემდეგი სახეები:
  - ა. ფსიქიატრიული მკურნალობა და ზედამხედველობა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში განთავსების გარეშე;
  - ბ. საერთო ტიპის საავადმყოფო დაწესებულებაში მკურნალობა;
  - გ. სპეციალიზირებულ ჰოსპიტალში მკურნალობა
  - დ. სპეციალიზირებულ ჰოსპიტალში მკურნალობა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

### III. ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები

ამონარიდები ევროპის წამების აღკვეთის კომიტეტის (CPT) მოხსენებებიდან:

ამონარიდი კომიტეტის (CPT) მეორე ზოგადი მოხსენებიდან (CPT/INFO (92) 3)

“46. ციხეების გადატვირთულობა არის საკითხი, რომელიც კომიტეტის მანდატში პირდაპირ ხვდება. როდესაც საპატიმრო დაწესებულებაში განთავსებულია იმაზე მეტი პატიმარი, ვიდრე – რეალურად არსებული ადგილი, აღნიშნული საპატიმროში არსებულ აქტივობებზე უკიდურესად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს და ცხოვრების დონეს მნიშვნელოვანწილად ამცირებს. რიგ შემთხვევებში, ციხის გადატვირთულობამ შესაძლოა მიღწიოს იმ კონდიციას, როდესაც გადატვირთულობის შედეგად შექმნილი პირობები, თავისთავად, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას წარმოადგენს.

47. აქტივობები, როგორცაა: სამუშაო, განათლება, სპორტი და ა.შ. პატიმართა კეთილდღეობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. იმის მიუხედავად, თუ რამდენად კარგი პირობებია საპატიმროში, არ შეიძლება პატიმართა აქტივობების გარეშე მიტოვება კვირების და თვეების განმავლობაში, საკანში ჩაკეტილ მდგომარეობაში. აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები დღის მნიშვნელოვან დროს (8 საათი ან მეტი) საკნის გარეთ ატარებდნენ და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობდნენ.

48. განსაკუთრებული ყურადღება საკნის გარეთ გასეირნებას უნდა დაეთმოს. მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ პატიმარი ყოველდღიურად, სულ მცირე, ერთ საათს უნდა ატარებდეს საკნის გარეთ, საყოველთაოდაა აღიარებული. მინიმალურ მოთხოვნად მიიჩნევა ისიც, რომ გასასეირნებელი ადგილი საკმარისად ფართე უნდა იყოს.

49. საპირფარეშოს მუდმივი ხელმისაწვდომობა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვა ასევე ადამიანური გარემოს აუცილებელ შემადგენელ კომპონენტად მიიჩნევა.

50. კომიტეტი (CPT) განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს იმ შემთხვევებზე, როდესაც ციხეების გადატვირთულობას თან ერთვის აქტივობების არარსებობა და არასათანადო ჰიგიენური პირობები, რასაც პატიმართა მდგომარეობაზე სავალალო შედეგი აქვს.

51. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პატიმართა გარესამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება. ყველა შემთხვევაში, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეინარჩუნონ ურთიერთობა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. პატიმრის გარესამყაროსთან ურთიერთობის შენარჩუნება სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს.

ამონარიდი კომიტეტის (CPT) მე -7 საერთო მოხსენებიდან (CPT/INFO (97)10)

13. გადატვირთულობის შედეგად გამოწვეული პერსონალური სივრცის ნაკლებობა, საკნის გარეთ გატარებული დროის სიმცირე და გადატვირთული სამედიცინო დახმარების სისტემა დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის და ძალადობის რისკის ზრდას განაპირობებს.

კომიტეტის არაერთხელ მისულა იმ დასკვნამდე, რომ გადატვირთულობის შედეგად შექმნილი პირობები არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ხშირად უტოლდება.”

## ამონარიდი კომიტეტის მე -11 საერთო მოხსენებიდან (CPT/INFO (2001) 16)

28. ციხეების გადატვირთულობის ფენომენი წარმოადგენს სერიოზულ დამაბრკოლებელ გარემოებას ევროპის მასშტაბით, პატიმრობის პირობების სრულყოფის თვალსაზრისით.
29. მთელ რიგ საპატიმრო დაწესებულებებში, განსაკუთრებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც კომიტეტს არაერთი ვიზიტი განუხორციელებია, პატიმართა საცხოვრებელი ხშირად წარმოადგენს ბარაკის ტიპის სადგომს, სადაც პატიმრებს უწევთ საძინებელი, სახცოვრებელი და ჰიგიენური ადგილების გაყოფა. კომიტეტი პრინციპულად წინააღმდეგია ამგვარი ტიპის სადგომებისა, სადაც პატიმრების პირადი ცხოვრების დაცვა შეუძლებელი ხდება.
30. კომიტეტი ვიზიტების დროს ხშირად ნახულობს შემთხვევებს, როდესაც საკნის ფანჯრები დაფარულია სხვადასხვა დამცავი საშუალებებით, რაც ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას ხელს უშლის. აღნიშნული დამცავი საშუალებები განსაკუთრებით წინასწარ საპატიმრო დაწესებულებებშია გავრცელებული. კომიტეტი სრულად აცნობიერებს იმ საჭიროებებს, რომელიც საპატიმრო დაწესებულებებში წესრიგის დაცვასთანაა დაკავშირებული. თუმცა აღნიშნავს, რომ უსაფთხოების დაცვა არ შეიძლება გახდეს არგუმენტი პატიმრობაში მყოფი პირებისათვის ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის შესახებუდად.

### სამართალი

#### I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

67. განმცხადებელი ასაჩივრებს მისი პატიმრობის პირობებს ბუტირსკის № 48/2 იზოლატორში, კონვენციის მე – 3 მუხლთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას.”

68. მთავრობამ აღიარა, რომ საპატიმრო დაწესებულება გადატვირთული იყო. მათი განხილვებით, ხდებოდა საკანონმდებლო, ფინანსური და სხვა ზომების გატარება, რომლის მიზანიც არის საპატიმრო პირობების გაუმჯობესება. შედეგად, ბუტირსკის № 48/2 იზოლატორში მყოფი პატიმრების რაოდენობა განახევრდა, 1998 წელთან შედარებით. 2004 წლის 11 მაისისათვის საპატიმროში, რომელიც პატიმართა განთავსების ლიმიტიც არის 275, განთავსებული იყო 308 პატიმარი.
69. მთავრობის მიერ ასევე აღინიშნა, რომ მათ არ ჰქონიათ არანაირი განზრახვა, განმცხადებელი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისათვის დაექვემდებარებინათ.
70. განმცხადებელმა მხარი დაუჭირა მის პირველად მტკიცებას.

#### სასამართლოს მიერ პრეცედენტული სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბებული პრინციპები

71. როგორც სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, კონვენციის მე-3 მუხლი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს. იგი წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას კრძალავს, მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქმედებისა. (ლაბიტა იტალიის წინააღმდეგ, 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება პარ. 119). თუმცა იმისათვის, რომ ქმედება

მოხვედეს მე-3 მუხლის დაცვის სფეროში, მან სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს. საკითხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისეთი საკითხები, როგორცაა, მოპყრობის ხანგრძლივობა, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ეფექტი და, რიგ შემთხვევებში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანრთელობის მდგომარეობა (ვალასინალი ლიტვის წინააღმდეგ, პარ. 100-101).

72. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ განცდილი ტანჯვა და დამცირება ყველა შემთხვევაში უნდა გასცდეს იმ ზღვარს, რომელიც კანონიერ მოყრობას ან სასჯელს შეიძლება ახლდეს. კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ პატიმრობაში მყოფი პირების განთავსება ისეთ პირობებში, რომლებიც მათ ადამიანურ ღირსებას არ ხელყოფს, სასჯელის აღსრულების მეთოდები სასჯელის აღსრულების კანონიერ ზღვარს არ ღა-ხავს და ჯანმრთელობის მდგომარეობას არ აუარესებს (კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, პარ 94, ვალასინასი ლიტვის წინააღმდეგ პარ 102). კონკრეტული საქმის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ კუმულატიურ ეფექტს, რომელსაც პატიმრობის პირობები პატიმარზე ახდენს (დოუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ, პარაგრაფი 46).

### **აღნიშნული პრინციპების მოცემულ საქმეზე გამოყენება**

73. მოცემულ საქმეში, განმცხადებელი დაკავებული იყო ბუტირსკის № 48/2 წინასწარი საპატიმრო დაცვებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში. მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლო ვარაუდობს, რომ განმცხადებელი აღნიშნულ საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფებოდა 1999 წლის 10 იანვრიდან 2000 წლის 23 მაისამდე პერიოდში 1999 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრის პერიოდის გამოკლებით, როდესაც იგი სერბსკის სასამარ-თლო სამედიცინო ფსიქიატრიის ინსტიტუტში გადაიყვანეს. საერთო ჯამში, განმცხადებელი სიზო –2 ში იმყოფებოდა ერთი წელი სამი თვე და ცამეტი დღე.

74. რაც შეეხება საკნებში გატრებულ დროს, განმცხადებლის მტკიცებით, მან 404 და 408-ე საკნებში თერთმეტი თვე და ნახევარი გაატარა. ორივე საკნის ფართობი 30 კვადრატული მეტრი იყო. 415 საკანში, რომელიც 15 კვადრატული მეტრი ფართობის იყო, განმცხადებელი დაკავებული იყო ოთხი თვე და ნახევარი. მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, განმცხადებელი დაკავებული იყო 408 და 415 საკნებში. მთავრობას არ მიუთითებია, თუ რა დრო დაჰყო განმცხადებელმა თითოეულ საკანში.

75. მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლო ვარაუდობს, რომ განმცხადებელი მცირე ზომის საკანში დაკავებული იყო ოთხი თვე და ნახევარი, ხოლო დიდი ზომის საკანში – თერთმეტი თვე.

76. სასამართლო, პირველ რიგში, დიდ საკანში არსებულ პირობებზე იმსჯელებს. საკანი 3 დან 3.5 მეტრამდე სიმაღლის იყო. მისი საერთო ფართობი იყო 32 კვადრატული მეტრი, განმცხადებლის თანახმად და 34.5 ან 35.6 კვადრატული მეტრი – მთავრობის თანახმად. საწოლების რაოდენობის გათვალისწინებით, საკანი 22 პატიმარზე იყო განკუთვნილი, განმცხადებლის თანახმად და 24 პატიმარზე – მთავრობის თანახმად. ღეალურად, საკანში განთავსებული იყო 26 პატიმარი, განმცხადებლის თანახმად და 35 პატიმარი, მთავრობის თანახმად. ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის შესაბამისად, საკანში თვითოეულ პატიმარზე მოდიოდა საშუალოდ 1.6 კვადრატული მეტრი და განმცხადებელს საწოლით სარგებლობის უსაძლებლობა ყოველთვის არ ჰქონდა. გარდა 30-40 წუთი გასერნებისა, განმცხადებლის

თანახმად და ერთი საათისა, მთავრობის თანახმად, განმცხადებელი მთელ დროს საკანში ატარებდა.

77. მოცემული საქმე მსგავსია სასამართლოს მიერ განხილული კალაშნიკოვის საქმისა, რომელშიც განმცხადებელს ჰქონდა 0.9 – 1.9 კვადრატული მეტრი პერსონალური სივრცე და რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი სიძიმის გადატვირთულობა თავისთავად მე-3 მუხლთან შეუსაბამო პრაქტიკას წარმოადგენდა (კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ, პარ 96-97). პირის საქმეში, სადაც ორი პატიმარი განთავსებული იყო 7 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე საკანში, პერსონალური სივრცის არასაკმარისობა მიხნეული იქნა ფაქტორად მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად, ვენტილაციისა და განათების არასაკმარისობისა, ერთად აღებული (პირის საბერძნეთის წინააღმდეგ პარ: 70-72). აღნიშნულის საპირისპიროდ, იმ საქმეებში სადაც, მიუხედავად საკანში პერსონალური სივრცის ნაკლებობისა, პატიმრებს ჰქონდათ დღის განმავლობაში დროის მნიშვნელოვანი ნაწილის საკნის გარეთ გატარების შესაძლებლობა, სასამართლომ მიერ მე-3 მუხლის დარღვევა დადგენილი არ იქნა (ვალასინასის გადაწყვეტილება პარ. 103-107, ნურმაგომელოვი რუსეთის წინააღმდეგ, 2004 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება).

78. ზემოთ მიმოხილულ საქმეებში სასამართლომ მიერ პერსონალური სივრცის საკითხი მიხნეული იქნა ფაქტორად, რომლის გათვალისწინებაც მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევის საკითხის შეფასებისას ხდება.

79. რაც შეეხება ისეთ საკითხებს როგორცაა სამედიცინო მომსახურება, გათბობა, ხელოვნური განათება და ვენტილაცია, სასამართლო არ განიხილავს: არც ერთ მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც მე-3 მუხლის მიზნებისათვის დასაშვებად შეიძლება იქნეს მიხნეული. რაც დადგენილად შეიძლება იქნას მიხნეული, არის ფაქტი იმის შესახებ, რომ განმცხადებელი კვირაში ერთხელ შხაპს იღებდა და იგი მუნით იყო დაავადებული. სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ საკნის ფანჯრები დამატებით დაფარული იყო სპეციალური ქაღალუხებით, რომელიც ბუნებრივი განათების საკანში შეღწევას ხელს უშლიდა. მთავრობამ ამგვარი ქაღალუხების არსებობა უარყო. მითითება გაკეთდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინსპექტირების შედეგად მომზადებულ 2004 წლის 11 მაისის მოხსენებაზე, რომლის თანახმადაც სიზო № 2 ში: “არც ერთ ფანჯარაზე დამცავი ქაღალუხები განთავსებული არ ყოფილა”.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ დამცავი ქაღალუხების დემონტაჟი მოხდა 2002 წელს, ანუ მას შემდეგ, რაც განმცხადებელი პატიმრობიდან გათავისუფლდა. მთავრობას აღნიშნული არ გაუპროტესტებია.

80. სასამართლო არ თვლის, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა განმცხადებლის განზრახ დამცირებას, თუმცა ამგვარი განზრახვის არარსებობა მე-3 მუხლის დარღვევის დადგენას არ გამოორიცხავს (იხილეთ პირის საქმე).

81. სასამართლო თვლის, რომ პატიმრობის პირობები, რომელშიც განმცხადებელს მოუხდა ყოფნა 11 თვის განმავლობაში, მისი ღირსების შემლახავ მოპყრობას წარმოადგენდა. ერთის მხრივ, სასამართლო მიესალმება მთავრობის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ბუტირსკის ციხეში პატიმართა რაოდენობა განახევრდა და, მატერიალური პირობები არსებითად გაუმჯობესდა. თუმცა აღნიშნავს, რომ ამ ცვლილებებს შემხებლობა არა აქვს განმცხადებლის საქმესთან, რომელზეც გავლენა არ მოუხდენია.

82. სასამართლო აღარ მიიჩნევს აუცილებლად, გააკეთოს 415 საკანში არსებული მდგომარეობის შეფასება მე-3 მუხლის მოთხოვნებთან მიმართებაში, რადგან ზემოთ მიმოხილული მდგომარეობა, თავისთავად, საკმარისია მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად.
83. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საკნის გადტვირთულობა და ის ნეგატიური ეფექტი, რომელიც ამგვარ გადატვირთულობას ჰქონდა განმცხადებლის მგომარეობაზე, დამამცირებელ მოპყობას წარმოადგენს.
84. შედეგად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე – 3 მუხლის დარღვევას.

## **II. კონვენციის მე-5 (3) მუხლის საგარაუდო დარღვევის საკითხი**

85. განმცხადებლის აზრით, მისი წინასწარი პატიმრობაში ყოფნის პერიოდი დაუსაბუთებლად ხანგრძლივი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ დაირღვა კონვენციის მუხლი 5 (3), რომლის თანახმადაც: “მოცემული მუხლის I(C) გონივრულ ვადაში უნდა იქნას წარდგენილი სასამართლოს წინაშე ან უნდა იქნას გათავისუფლებული. პირის გათავისუფლება სასამართლოს წინაშე გამოცხადების გარანტიებთან უნდა იყოს დაკავშირებული.”
86. მთავრობამ აღნიშნული ბრალდება უარყო.

### **A. პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული**

87. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მუხლის 5 (3) საფუძველზე, დაკავებისას მხედველობაში მისაღები პერიოდი იწყება პირის დაკავების მომენტიდან და გრძელდება ბრალდების განსაზღვრის მომენტამდე, თუნდაც ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალის დადგენის საკითხის გადაწყვეტა იყოს (იხ. მაგ.: ვემპოფი გერმანიის წინააღმდეგ, 1968 წ. 27 ივნისის გადაწყვეტილება).
88. სასამართლო მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, კონვენციის მუხლი 5 (3) კავშირში, მხედველობაში იღებს პერიოდს 1998 წლის 13 ოქტომბრიდან, როდესაც განმცხადებელი დააკავეს, 2000 წლის 4 აპრილამდე, როდესაც გაგარინსკის რეგიონულმა სასამართლომ არსებითად საქმე განიხილა. შესაბამისად, პერიოდი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არის – ერთი წელი, ხუთი თვე და ოცდასამი დღე.

### **B. წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობის საკითხი**

#### **1. სასამართლოს მიერ პრეცედენტული სამართლის განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული პრინციპები**

89. სასამართლო იმეორებს, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის საკითხის გონივრულობა არ შეიძლება შეფასდეს აბსტრაქტულად. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმის კონკრეტული გარემოებები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. მოცემულ საქმეზე პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდება, რომ არსებობს ნამდვილი საზოგადოებრივი ინტერესი, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მიუხედავად, გადაწონის მე-5 მუხლით დაცულ პიროვნული თავისუფლების უფლებას, როგორც ღირებულებას.
90. წინასწარი პატიმრობის გონივრულობის საკითხის გადაწყვეტა, პირველ რიგში, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ისინი ვალდებული არიან, პატივი სცენ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს და შეაფასონ ყველა ის არგუმენტი, რომელიც პირის წინასწარ პატიმრობაში მოთავსებას საფუძველად უდევს. ევროპული სასამართლო მუხლის 5 (3) დარღვევის

საკითხის გადაწყვეტისას, შეაფასებს ეროვნული სასამართლოს მიერ გამოყენებულ არგუმენტებს და ფაქტებს. ეს არგუმენტები ზოგადი ხასიათის და აბსტრაქტული არ უნდა იყოს.

91. გონივრული ეჭვის არსებობა იმასთან დაკავშირებით, რომ პირმა, რომელიც იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, ჩაიდინა დანაშაული, არის პირობა *Sinequanon* თუმცა, თავისთავად, საკმარის პირობას არ წარმოადგენს განგრძობადი პატიმრობისათვის. სასამართლო ამის შემდეგ აფასებს სხვა საფუძვლებს, რომელთაც ეროვნულმა სასამართლოებმა პატიმრობის გასამართლებლად გამოიყენეს. სასამართლო ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, დნენ ეროვნული სასამართლოები პროცედურულ საკითხებს რამდენად სკურპულოზურად მოეკი. ისეთი საკითხები, როგორცაა: გამოძიების სირთულე და სპეციალური მახასიათებლები, მხედველობაში იქნება მიღებული (იხ. მაგ.: სკოტი ესპანეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება).

**2. ზემოთმოყვანილი პრინციპების მოცემულ საქმეზე გამოყენება**

**(ა) წინასწარი პატიმრობის საფუძვლები**

92. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1998 წლის 13 ოქტომბერს განმცხადებლის პატიმრობას საფუძვლად დაედო დანაშაულის ჩადენაში ეჭვი და გამოძიებისაგან მიმალვის რისკი. უკანასკნელი ფაქტორი იმ საზოგადოებრივ საშიშროებასთან ერთად, რომელსაც ატარებს დანაშაული, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელი იყო ეჭვიმტანილი, 1998 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო. შესაბამისად, მოსკოვის გაგარინსკის რეგიონულმა სასამართლომ უარი თქვა რა განმცხადებლის გათავისუფლებაზე, მითითება გააკეთა ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და წაყენებული ბრალდების სერიოზულობაზე.

93. სასამართლო იმეორებს, რომ გამოძიებისაგან მიმალვის ალბათობა არ შეიძლება დაკავშირებული იყოს მხოლოდ, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე, სანაცვლოდ მისი შეფასება უნდა მოხდეს სხვა კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით. მოცემულ საქმეზე გამოძიებამ არ წარმოადგინა რაიმე კონკრეტული სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა გამოძიებისგან მიმალვის საფრთხის რეალურობას. გამოძიების მიერ განმცხადებლის პიროვნული მახასიათებლები ასევე არ ყოფილა შეფასებული.

94. რაც შეეხება იმ საფრთხეს, რომელსაც ატარებს დანაშაული, რომლის ჩადენაშიც განმცხადებელი იქნა ბრალდებული, კერძოდ – ნარკოტიკული საშუალებების პიროვნული მოხმარების მიზნით შექმნა და ფლობა, თავისთავად არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს წინასწარ პატიმრობაში განმცხადებლის ერთ წელზე მეტი დროით განთავსებისათვის.

95. სასამართლო, დამატებით მიიჩნევს, რომ რაიონული სასამართლოს მიერ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის გახანგრძლივება მას შემდეგ, რაც მან პატიმრობაში დაჰყო თითქმის წელიწადი და ხუთი თვე, სავარაუდოდ დანაშაულის სიმძიმეზე მითითებით, საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს.

96. სასამართლო, ზემოთაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ განმცხადებლის აღნიშნული დროით წინასწარ პატიმრობაში ყოფნა გაუმართლებელი იყო.

### **(ბ) პროცედურა**

97. განმცხადებლის თანახმად, მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება და ზოგადად – სისხლის სამართლის საქმე, რთული არ ყოფილა. შესაბამისად, საქმის გამოძიება რეალურად 1999 წლის 10 თებერვალს დამთავრდა. ორი ფსიქიატრიული შემოწმება ორ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა. სასამართლო განხილვის გადადება განმცხადებლის წარმომადგენლების ბრალით არ იყო გამოწვეული, რადგან მათი შეტყობინება არ მომხდარა. რაც შეეხება სასამართლო განხილვის გადადებას მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, აღსანიშნავია, რომ გამოძიებას, მოწმეთა სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფის მიზნით, ზომები არ მიუღია.
98. მთავრობამ აღიარა, რომ 1999 წლის 28 ივნისს განმცხადებლისათვის ფსიქიატრიული შემოწმების დანიშვნისას სასამართლომ ვერ შეძლო, დაესაბუთებინა მისი გადაწყვეტილება. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა განპირობებული იყო განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემოწმების აუცილებლობით. გარდა ამისა, სასამართლო განხილვის გადადება არაერთხელ მოხდა – განმცხადებლის წარმომადგენლებისა და მოწმეთა სასამართლოს წინაშე გამოუცხადებლობის მიზეზით.
99. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის გამოსაძიებლად, პოლიციას ოთხი თვე დაჭირდა. აღნიშნული დროის განმავლობაში განმცხადებელს ჩაუტარდა ფსიქიატრიული შემოწმება, რომლის დროსაც დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში განმცხადებელი შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა და იგი სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობას არ საჭიროებდა. მოგვიანებით – 1999 წლის 28 ივნისს, მოსკოვის გაგარინსკის რეგიონულმა სასამართლომ განმცხადებელი გააგზავნა დამატებითი ფსიქიატრიული შემოწმების მიზნით ისე, რომ არ მისცა შესაძლებლობა, სასამართლოს წინაშე პირადად გამოცხადებულიყო. ასევე მის დამცველებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ აღნიშნული გადაწყვეტილება. მეორე ფსიქიატრიული შემოწმება აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებიდან ოთხი თვის შემდეგ ჩატარდა და მისი ხანგრძლივობა იყო ერთი თვე. ამის შემდეგ გავიდა კიდევ სამი თვე, სანამ სასამართლო საქმის განხილვას მოახდენდა.
100. სასამართლო ასკვნის, რომ პროცედურის ხანგრძლივობა არც საქმის სირთულესთან და არც განმცხადებლის ქცევასთან არ არის დაკავშირებული. სანაცვლოდ, პროცედურის გაჭიანურება მოსკოვის გაგარინსკის რაიონული სასამართლოს არასათანადო გულისხმიერებამ გამოიწვია.

### **(გ) დასკვნა**

101. ზემოთხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მიუხედი 5 (3)-ის დარღვევას.

### **III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

102. განმცხადებლის მტკიცებით, მიუხედავად მისი არაერთი შუამდგომლობისა, გამოცხადებულიყო გაგარინსკის რაიონული სასამართლოს წინაშე, აღნიშნული არ მომხდარა, რის გამოც, მისი მტკიცებით, დაირღვა მუხლი 6 (1).
103. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჩივარი განხილული უნდა იქნეს მე-6 (1) და მე-3(ც) მუხლების კონტექსტში, რომელთა თანახმადაც: “წაყენებული სისხლის სამართლებრივი ბრალდებისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმე საჯაროდ იქნას განხილული... 3. წაყენებული სისხლის სამართლებრივი ბრალდებისას,

ყველას აქვს უფლება მინიმუმ (c) დაიცვას თავი პირადად, ან ისარგებლოს სამართლებრივი დაცვით მისი არჩევანის შესაბამისად მაშინ, როდესაც მას არ გაჩნია საკმარისი სახსრები დაცვის ხარჯების ასანაზღაურებლად. როდესაც ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვენ, დაცვა უფასოდ უნდა განხორციელდეს.”

#### **A. მხარეთა შუამდგომლობებთან დაკავშირებით**

104. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლოს უარი მის ზეპირ მოსმენაზე პირადად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ჭეშმარიტ ფაქტებს არ ეფუძნებოდა. ერთ-ერთი მიზეზი გამცხადებლის სასამართლოს წინაშე არდაშვებასთან დაკავშირებით, მისი შეურაცხადობის ფაქტი იყო. განმცხადებლის თანახმად, აღნიშნული ეროვნულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდა რადგან მისი შეურაცხადობის ფაქტი გაგარინსკის სასამართლოს 2000 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებამდე დადგენილი არ ყოფილა. მან, დამატებით, აღნიშნა, რომ შეურაცხადობის ფაქტის გარკვევა უნდა მომხდარიყო არა მხოლოდ საექსპერტო დასკვნის, არამედ ყველა სხვა ფაქტორების მხედველობაში მიღებით. მან, ასევე, წარმოადგინა მეორე იზოლაციის ადმინისტრაციის მიერ გაცემული სერთიფიკატები, რომელთა თანახმადაც, განმცხადებელი კანონმორჩილად იქცეოდა და, საერთო ჯამში, მისი ქცევა დამაკმაყოფილებელი იყო.
105. სახელმწიფოს მოსაზრებით, განმცხადებლის სასამართლოს წინაშე გამოუცხადებლობა აიხსნებოდა იმ ფაქტით, რომ იგი შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა და საკუთარი მოქმედების შედეგებს ვერ აცნობიერებდა. მთავრობა, ასევე ამტკიცებდა, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლს: რომლის თანახმადაც, სულიერად დაავადებული პირის სასამართლოს წინაშე გამოცხადების გადაწყვეტა, თავად სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროში ხდებოდა. მთავრობამ, ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებლის სასამართლოს წინაშე გამოუცხადებლობას არსებითი გავლენა მის უფლებებზე არ მოუხდენია, რადგანაც მისი ინტერესები მისი დამცველების მეშვეობით იყო წარმოდგენილი.

#### **B. სასამართლოს შეფასება**

106. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი, როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე უნდა გამოცხადდეს. მოცემულ საქმეში აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნა. აღსანიშნავია ისიც, რომ განმცხადებელს სასამართლოს წინაშე გამოცხადების შესაძლებლობა სააპელაციო მოსმენების დროსაც კი არ მიეცა. სასამართლო დამატებით იმსჯელებს იმის შესახებ, თუ რამდენად არებობდა მოცემულ საქმეში გარემოებები, რომელიც სასამართლოს წინაშე გამცხადებლის გამოუცხადებლობას გაამართლებდა.
107. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოცემული საქმე არ ეხება შემთხვევას, როდესაც განმცხადებელმა თავად თქვა უარი სასამართლოს წინაშე პირადად გამოცხადებაზე. შანაცვლოდ, საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როდესაც განმცხადებელი სასამართლოს წინაშე გამოცხადებას დაჟინებით ითხოვდა. თხოვნები უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ საპატიმრო დაწესებულებებიდან სულიერი ავადმყოფები სასამართლოში არ გადააყვავდათ და სულიერად ავადმყოფი პირის მიერ მიცემულ ჩვენებას სამართლებრივი ძალა არ ჰქონდა.

108. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ იმ პირთა სასამართლოს წინაშე გამოცხადება, რომელნიც პა-

ტიმრობაში იმყოფებიან. დამატებით, სასამართლო აღნიშნავს რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია განსასჯელის უშუალო მონაწილეობის გარეშე გააგრძელოს ზეპირი მოსმენა მაშინ, როდესაც პროცესზე გამოცხადება ავადმყოფობის მიზეზით ვერ ხერხდება და იმ პირობით, რომ მისი ინტერესები სათანადოდ იქნება წარმოდგენილი. თუმცა როდესაც საქმე ეხება განსასჯელის პიროვნების შეფასებას და მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას დანაშაულის ჩადენის მომენტში (რამაც საერთო ჯამში, საქმის შედეგზე შეიძლება არსებითად იმოქმედოს) სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ განსასჯელი სასამართლო მოსმენებზე პირადად მონაწილეობდეს.

109. მოცემულ საქმეში ხელისუფლებამ განმცხადებლის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა ვერ შეძლო. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ განმცხადებლის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეუძლებელს ხდიდა მის სასამართლოს წინაშე წარდგენას. რეგიონული სასამართლოს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებლის გამოცხადება სასამართლოს წინაშე არ იყო სავლდებულო იმ მოტივით, რომ შეურაცხადი პირის მტკიცებულება ჩვენებად არ შეიძლება იყოს მიღებული, შემაშფოთებელია: სასამართლო მსჯელობდა უშუალოდ შერაცხადობის საკითხზე, რომლის შეფასებაც განმცხადებლის სასამართლო განხილვაში მონაწილეობას გულისხმობდა.
110. რეგიონულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში ბრალეულობის საკითხის დადგენა მოახდინა და გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი არ შეიძლებოდა პასუხისგებაში მიცემულიყო: სადაო ქმედების ჩადენის მომენტში იგი სულიერი აშლილობის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობას საჭიროებდა.
111. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ორი დასკვნის საფუძველზე, რომლებიც ერთი-დაიმავე ფსიქიატრიული დაწესებულების მიერ იყო გაცემული და გასატარებელი ღონისძიებების თვალსაზრისით განსხვავდებოდა. პირველი დასკვნის მიხედვით, განმცხადებლის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განთავსების აუცილებლობა არ არსებობდა, მაშინ, როდესაც მეორე დასკვნა ამგვარ მკურნალობას სავალდებლოდ მიიჩნევდა. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი შეუსაბამობა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქმის შედეგზე, განმცხადებლის სასამართლო განხილვაზე პირადად გამოცხადებას აუცილებელს ხდიდა.
112. რეგიონულ სასამართლოს არ შეეძლო, განმცხადებლის უშუალო შეფასების გარეშე და მხოლოდ დამცველის მონაწილეობით, მიეღო ობიექტური გადაწყვეტილება განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ.
113. ზემოხსენებული საკითხების გათვალისწინებით, სასამართლო ადასტურებს მუხლების 6 (1) და 3 (ც)-ს დარღვევას.

## **VI კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

114. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად: “როდესაც სასამართლო დაადგენს კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას და როდესაც მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა უფლებებში აღდგენის მხოლოდ ნაწილობრივ შესაძლებლობას ითვალისწინებს, სასამართლოს შეუძლია, აუცილებლობის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს სასამართლიანი დაკმაყოფილება მიაკუთვნოს.”

## A. მორალური ზიანი

115. განმცხადებელი მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100 0000 ევროს ითხოვდა. იგი აღნიშნავდა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში მე-2 იზოლატორში ყოფნა მოუწია; მის წინააღმდეგ განხორციელებული სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი და მას მოუხდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი მკურნალობა მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობდა. დამატებით, აღნიშნული დროის განმავლობაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მას არ ჰქონდა საკუთარი ოჯახის წევრების რჩენის შესაძლებლობა. სანაცვლოდ, მის ნათესავებს მნიშვნელოვანი ხარჯების გაღება მოუხდათ მისი პატიმრობაში შენახვის მიზნით. მან განიცადა არსებითი ხასიათის მორალური ტანჯვა, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის დარღვევის შედეგად მის წინააღმდეგ აღძრულ სამართალწარმოებაში.
116. მთავრობამ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენა თავისთავად საკმარისი დაკმაყოფილება იქნებოდა. დამატებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებული, დაუსაბუთებელი და არაგონივრული იყო.
117. სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის ზოგიერთი ფორმა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, არ შეიძლება, ობიექტურად იქნას დადგენილი. თუმცა აღნიშნული ხელს არ უშლის სასამართლოს, დაზარალებულს მიაკუთვნოს ფულადი კომპენსაცია, თუ იგი გონივრულად მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ განცდილი ზიანი მოითხოვს ფინანსურ კომპენსაციას. მოცემულ საქმეზე სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის ხანგრძლივი წინასწარი პატიმრობა პირობებში, რომელიც უტოლდებოდა დამამცირებელ მოპყრობას და საქმის მოსმენაზე არდაშეება, იყო ფაქტორები, რომლებთან მიმართებაშიც მხოლოდ უფლების დარღვევის დადგენა საკმარისი არ იქნება.
118. განცდილი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს ხუთიათას ევროს, იმ გადასახადების დამატებით, რომლითაც შეიძლება მოცემული თანხა დაიბეგროს.

## B. გაწეული ხარჯები

119. განმცხადებელმა მოითხოვა 14 775 აშშ დოლარი არასამთავრობო ორგანიზაცია – სამოქალაქო უფლებათა დაცვის კომიტეტის ადვოკატის ბ.ნ. ა.ა.რეკანტის მიერ გაწეული სამართლებრივი მომსახურებისათვის ადგილობრივი სასამართლოებისა და ამ სასამართლოს წინაშე. დამატებით, განმცხადებელმა მოითხოვა 644 აშშ დოლარი, 2 694,6 რუსული რუბლი და 791,34 უკრაინული გრივნა, რომელიც გაღებული იყო ბ.ნ. რეკანტის ოდესაში ვიზიტის მიზნით, სადაც განმცხადებელი დაკავებული იყო. და ბოლოს – მან მოითხოვა 3 561,86 რუსული რუბლი, საფოსტო და სატელეფონო ხარჯების ანაზღაურებისათვის.
120. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოთხოვნილი თანხები სათანადოდ დასაბუთებული არ იყო, მაგალითად – საფოსტო ჩეკებზე გადამხდელის სახელი არ იკითხებოდა.
121. სასამართლო აღნიშნავს, იმისათვის, რომ გაწეული ხარჯების გადახდა დაეკისროს მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელია დადასტურდეს, რომ ეს ხარჯები ნამდვილად იქნა გაღებული.
122. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სასამართლო განმცხადებელს მიაკუთვნებს 1500 ევროს გაწეული სამართლებრივი ხარჯებისათვის, რომელსაც

გამოაკლდება ევროსაბჭოს მიერ უკვე გადახდილი 872 ევრო და დაემატება ნებისმიერი სახის გადასახადი, რომელიც შეიძლება დაიქვითოს ზემოთაღნიშნული თანხიდან. რაც შეეხება 4 519,99 რუსული რუბლისა და 620,36 უკრაინული გრივნის გადახდას, აღნიშნული ასევე დადასტურდა და უნდა იქნას გადახდილი განმცხადებლის სასარგებლოდ, სახელმწიფოს მიერ.

### **აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთსულოვნად**

1. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (3) მუხლის დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (1) და მე-3 (ც) მუხლების დარღვევას;
4. ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის 44 (2)-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხა:
  - (i) 5 000 ევრო – განცდილი მორალური ზიანისათვის;
  - (ii) 628 ევრო – გაწეული სამართლებრივი ხარჯებისათვის;
  - (iii) 4 519,99 რუსული რუბლი და 620,36 უკრაინული გრივნა – სხვა გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად;
  - (iv) ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება დაერიცხოს ზემოთმოცემულ თანხებს.
5. უარყოფს განმცხადებლის სხვა მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან მიმართებაში.

შესრულებულია ინგლისურად 2005 წლის 20 ოქტომბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფების შესაბამისად.

ვინსენტ ბერგერი  
რეგისტრატორი

ბოშტან მ. ზუპანჩიჩი  
პრეზიდენტი



## შინაარსი

რამიძეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ	5
ბოიჩენკო მოლდოვას წინააღმდეგ	61
რეპოკი სლოვენის წინააღმდეგ	99
როდე დანის წინააღმდეგ	127
რომანოვი რუსეთის წინააღმდეგ	161

